

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კავკასიოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

ნათია ფონიავა

აფხაზურ-აბაზურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ფონემატური
სტრუქტურა

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ნანა მაჭავარიანი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჩუხუა, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

ენის ფონემატური სტრუქტურის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ენის კვლევის, ისე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. აფხაზურ-აბაზური ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები დამუშავებული აქვს სხვადასხვა მეცნიერს, მაგრამ არაერთი საკითხი ითხოვდა ახლებური მიდგომით დეტალურ კვლევა-ძიებას. სადისერტაციო ნაშრომის თემად განისაზღვრა აფხაზურისა და აბაზურის ძირეული და აფიქსური მორფემების ფონემატური სტრუქტურის კვლევა სინქრონიული თვალსაზრისით, საჭიროებისამებრ დიაქრონიული ვითარების გათვალისწინებით. მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა სტატისტიკის ჩვენებით ფონემათა განაწილებისა და შეზღუდვის კანონზომიერებების, ძირეული და აფიქსური მორფემის აგებულების, ძირეულ მორფემასა და მორფემათა მიჯნაზე ხმოვან- და თანხმოვანკომპლექსების, დიფთონგებისა და ტრიფთონგების გამოვლენისა და შეერთების წესების, ბგერათშეერთებისას საკუთარ და ნასესხებ მასალაში მომხდარი კომბინატორული ცვლილებების შესწავლა. კვლევა წარმოებულია აღწერითი და საჭიროებისამებრ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ბგერათკომპლექსების შესასწავლად გამოყენებულია ფონემათა თანმიმდევრული ანალიზი, აფხაზურ-აბაზურ ფონემათა დისტრიბუცია პირველად გამოკვლეულია კორპუსზე დაყრდნობით. მოზადებულია კვლევის შედეგების ამსახველი 45 ცხრილი და 4 ილუსტრაცია. ნაშრომში გადაფასებულია აქამდე ამ ენათა ძირისა და აფიქსის ამოსავალი და ამჟამინდელი სტრუქტურის, ფონემათა განაწილებისა და ბგერათშეერთების შესახებ არსებული მოსაზრებები, გამოვლენილია ამ ენათათვის დამახასიათებელი აქამდე შეუმჩნეველი კომბინატორული ცვლილებები. აფხაზურ-აბაზურის კვლევისას მიღებული ძირითადი დასკვნები მნიშვნელოვანია შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევების წარმოებისთვის. დისერტაციის შედეგების ჩართვა შესაძლებელია სხვადასხვა საფეხურის როგორც აფხაზურისა და აბაზურის, ისე ლინგვისტური კავკასიოლოგიის სასწავლო კურსებში.

საკვანძო სიტყვები: ფონემათა დისტრიბუცია, ბგერათშეერთების წესები, ძირთა და აფიქსთა სტრუქტურა, კომბინატორული ცვლილებები.

Abstract

The study of a language's phonemic structure is significant for both language-specific research and general linguistics. Although various scholars have addressed topics in Abkhaz-Abaza phonetics and phonology, several issues still warrant detailed investigation through innovative approaches. The topic of this dissertation was defined as a synchronic investigation of the phonemic structure of root and affixal morphemes in Abkhaz and Abaza, with consideration of the diachronic aspects where necessary. To achieve this aim, the study employs statistical analysis to examine: the principles governing phoneme distribution and phonotactic constraints; the structure of root and affixal morphemes; the occurrence and combinatorial patterns of vowel and consonant clusters, including diphthongs and triphthongs, within root morphemes and at morpheme boundaries; and the combinatorial changes observed in both native and borrowed lexicon. The research methodology combines descriptive analysis with historical-comparative methods where applicable. This study examines sound clusters using a gradual consonant analysis and, for the first time, investigates the distribution of Abkhaz-Abaza phonemes through a corpus-based approach. The findings are illustrated with 45 tables and 4 figures. This dissertation re-evaluates existing theories on the historical and contemporary structure of root and affix morphemes, as well as the principles governing phoneme distribution. Furthermore, it identifies previously unobserved combinatorial changes characteristic of these languages. The primary results of this study are significant for comparative and typological research. The findings of the dissertation can be incorporated into academic courses at various levels, covering Abkhaz, Abaza, and Caucasian linguistics.

Keywords: phoneme distribution, phoneme combination rules, root and affix structure, combinatorial changes.

შინაარსი

აბსტრაქტი	II
Abstract	III
აბრევიატურა და შემოკლებათა განმარტება	VIII
შესავალი	1
0.1. აფხაზური და აბაზური ენები: გავრცელების არეალი, ენობრივი ვითარება, დიალექტები	1
0.2. საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა	3
0.3. კვლევის მიზანი	4
0.4. საკვლევი საკითხები	5
0.5. თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია	6
0.6. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	7
I თავი. აფხაზურ-აბაზურ ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკური ანალიზი	23
1.1. აფხაზურ ფონემათა განაწილების საკითხები	23
1.2. აბაზურ ფონემათა დისტრიბუცია	36
1.3. აფხაზურ-აბაზურ ფონემათა გავრცელებულობის შედარებითი განხილვა	43
1.4. I თავის დასკვნა	45
II თავი. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ფონემატური სტრუქტურა	47
2.1. აფხაზურ-აბაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა	48
2.1.1. აფხაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა	48
2.1.2. აბაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა	51
2.2. აფხაზურ-აბაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი	53
2.2.1. აფხაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი	53
2.2.2. აბაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი	69
2.3. აფხაზურ-აბაზურ ორმარცვლიან ძირთა აგებულება	80
2.3.1. აფხაზურ ორმარცვლიან ძირთა აგებულება	80
2.3.2. აბაზურ ორმარცვლიან ძირთა აგებულება	96
2.4. აფხაზურ-აბაზურ სამ- და მეტმარცვლიან ძირთა სტრუქტურა	106
2.4.1. აფხაზურ სამ- და მეტმარცვლიან ძირთა სტრუქტურა	106
2.4.2. აბაზურ სამ- და მეტმარცვლიან ძირთა სტრუქტურა	110
2.5. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა შედარებითი ანალიზი	112
2.6. II თავის დასკვნა	115
III თავი. აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა სტრუქტურა	117
3.1. აფხაზური აფიქსური მორფემების სტრუქტურული ანალიზი	118
3.1.1. აფხაზური პრეფიქსები	119
3.1.2. აფხაზური პრევერბები	120
3.1.3. აფხაზური სუფიქსები	120
3.2. აბაზური აფიქსური მორფემების აგებულება	121
3.2.1. აბაზური პრეფიქსები	121
3.2.2. აბაზური პრევერბები	124
3.2.3. აბაზური სუფიქსები	128
3.3. აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა შედარებითი ანალიზი	136
3.4. III თავის დასკვნა	138

IV თავი. აფხაზურ-აბაზური ძირეული და მორფემათა მიჯნის ბგერათკომპლექსები.....	140
4.1. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ხმოვანკომპლექსები.....	141
4.2. აფხაზურ-აბაზური ძირეული მორფემების დიფთონგებისა და ტრიფთონგების ანალიზი.....	143
4.3. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა თანხმოვანკომპლექსები.....	146
4.3.1. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ორწევრა თანხმოვანკომპლექსები.....	146
4.3.2. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა სამწევრა თანხმოვანკომპლექსები.....	160
4.4. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ხმოვანკომპლექსები.....	162
4.5. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის დიფთონგები, ტრიფთონგები.....	163
4.6. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის თანხმოვანკომპლექსები.....	166
4.6.1. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ორწევრა თანხმოვანკომპლექსები.....	167
4.6.2. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის სამწევრა თანხმოვანკომპლექსები.....	174
4.6.3. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ოთხ- და მეტწევრა თანხმოვანკომპლექსები.....	178
4.7. ფონემათა შეერთებით გამოწვეული ფონეტიკური პროცესები აფხაზურსა და აბაზურში.....	181
4.7.1. რედუქცია.....	182
4.7.2. ასიმილაცია.....	183
4.7.3. დისიმილაცია.....	184
4.7.4. დელაბიალიზაცია.....	185
4.7.5. აფრიკატიზაცია.....	185
4.7.6. დეზაფრიკატიზაცია.....	185
4.7.7. მეტათეზისი.....	186
4.7.8. ბგერის განვითარება.....	186
4.7.9. კომპლექსთა სუპერაცია.....	186
4.7.10. ბგერათგადაწევა.....	187
4.8. ფონოტაქტიკის კანონების მოქმედება ნასესხები ლექსიკის ადაპტაციის პროცესში.....	188
4.9. IV თავის დასკვნა.....	194
დასკვნა.....	197
ბიბლიოგრაფია.....	202
დანართი.....	211
ცხრილი 1. აფხაზურ ხმოვანთა გავრცელების ცხრილი.....	211
ცხრილი 2. აფხაზურ ფრიკატივთა გავრცელების ცხრილი.....	211
ცხრილი 3. აფხაზურ ხშულთა გავრცელების ცხრილი.....	212
ცხრილი 4. აფხაზურ სონორთა გავრცელების ცხრილი.....	212
ცხრილი 5. აფხაზურ ფონემათა გავრცელების საერთო ცხრილი.....	213
ცხრილი 6. აბაზურ ხმოვანთა გავრცელების ცხრილი.....	214
ცხრილი 7. აბაზურ ხშულთა გავრცელების ცხრილი.....	214
ცხრილი 8. აბაზურ ფრიკატივთა გავრცელების ცხრილი.....	215

ცხრილი 9. აბაზურ სონორთა და ლატერალთა გავრცელების ცხრილი	216
ცხრილი 10. აბაზურ ფონემათა გავრცელების საერთო ცხრილი	216
ცხრილი 11. აფხაზურ უმარცვლო ძირთა გავრცელების ცხრილი	217
ცხრილი 12. აფხაზურ CVC სტრუქტურის ძირებში თანხმოვანთა გავრცელების ცხრილი.....	218
ცხრილი 13. აფხაზურ ერთმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	219
ცხრილი 14. აფხაზურ ორმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	219
ცხრილი 15. აფხაზურ სამმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	220
ცხრილი 16. აფხაზურ ოთხმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი.....	221
ცხრილი 17. აფხაზურ ძირთა გავრცელების საერთო ცხრილი.....	221
ცხრილი 18. აბაზურ უმარცვლო ძირთა გავრცელების ცხრილი.....	223
ცხრილი 19. აბაზურ CVC სტრუქტურის ძირებში თანხმოვანთა გავრცელების ცხრილი.....	223
ცხრილი 20. აბაზურ ერთმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი.....	224
ცხრილი 21. აბაზურ ორმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	224
ცხრილი 22. აბაზურ სამმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	225
ცხრილი 23. აბაზურ ოთხმარცვლიან ძირთა გავრცელების ცხრილი	225
ცხრილი 24. აბაზურ ძირთა გავრცელების საერთო ცხრილი	225
ცხრილი 25. აფხაზურ პრეფიქსთა გავრცელების ცხრილი.....	227
ცხრილი 26. აფხაზურ პრევერბთა გავრცელების ცხრილი.....	227
ცხრილი 27. აფხაზურ სუფიქსთა გავრცელების ცხრილი	227
ცხრილი 28. აბაზურ პრეფიქსთა გავრცელების ცხრილი	228
ცხრილი 29. აბაზურ პრევერბთა გავრცელების ცხრილი	228
ცხრილი 30. აბაზურ სუფიქსთა გავრცელების ცხრილი	229
ცხრილი 31. ძირეული მორფემის აფხაზურ ხმოვანკომპლექსთა ცხრილი	230
ცხრილი 32. აფხაზური ძირეული მორფემის აღმავალ დიფთონგთა ცხრილი.....	230
ცხრილი 33. აბაზური ძირეული მორფემის აღმავალ დიფთონგთა ცხრილი	230
ცხრილი 34. აფხაზური ძირეული მორფემის დამავალ დიფთონგთა ცხრილი.....	230
ცხრილი 35. აბაზური ძირეული მორფემის დამავალ დიფთონგთა ცხრილი.....	231
ცხრილი 36. აფხაზური ძირეული კომპლექსების ცხრილი	231
ცხრილი 36.1. აფხაზურ ხშულთა კომბინაციის ცხრილი.....	231
ცხრილი 36.2. აფხაზურ ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი.....	232
ცხრილი 36.3. აფხაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა ცხრილი.....	232
ცხრილი 36.4. აფხაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	233
ცხრილი 37. აბაზური ძირეული კომპლექსების ცხრილი	233
ცხრილი 37.1. აბაზურ ხშულთა კომბინაციის ცხრილი.....	233
ცხრილი 37.2. აბაზურ ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	234
ცხრილი 37.3. აბაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა ცხრილი	235
ცხრილი 37.4. აბაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	235
ცხრილი 38. მორფემათა მიჯნის აფხაზურ ხმოვანკომპლექსთა ცხრილი	236
ცხრილი 39. მორფემათა მიჯნის აბაზურ ხმოვანკომპლექსთა ცხრილი	236
ცხრილი 40. მორფემათა მიჯნის აფხაზურ აღმავალ დიფთონგთა ცხრილი.....	237
ცხრილი 41. მორფემათა მიჯნის აბაზურ აღმავალ დიფთონგთა ცხრილი.....	237

ცხრილი 42. მორფემათა მიჯნის აფხაზურ დამავალ დიფთონგთა ცხრილი	237
ცხრილი 43. მორფემათა მიჯნის აბაზურ დამავალ დიფთონგთა ცხრილი	237
ცხრილი 44. მორფემათა მიჯნის აფხაზური თანხმოვანკომპლექსების ცხრილი	238
ცხრილი 44.1. აფხაზურ ხშულთა კომბინაციის ცხრილი	238
ცხრილი 44.2. აფხაზურ ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	238
ცხრილი 44.3. აფხაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა ცხრილი	239
ცხრილი 44.4. აფხაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	240
ცხრილი 45. მორფემათა მიჯნის აბაზური თანხმოვანკომპლექსების ცხრილი	240
ცხრილი 45.1. აბაზურ ხშულთა კომბინაციის ცხრილი	240
ცხრილი 45.2. აბაზურ ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	241
ცხრილი 45.3. აბაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა ცხრილი	242
ცხრილი 45.4. აბაზურ ფრიკატივთა/სონორთა და ფრიკატივთა/სონორთა ცხრილი	242
ილუსტრაცია 1. აფხაზური ძირეული კომპლექსების ჩამონათვალი	244
ილუსტრაცია 2. აბაზური ძირეული კომპლექსების ჩამონათვალი	261
ილუსტრაცია 3. მორფემათა მიჯნის აფხაზური თანხმოვანკომპლექსების ჩამონათვალი	274
ილუსტრაცია 4. მორფემათა მიჯნის აბაზური თანხმოვანკომპლექსების ჩამონათვალი	321

აბრევიატურა და შემოკლებათა განმარტება

C – თანხმოვანი; ქვემოდელებში: ხშული და აფრიკატი

C₁ – თანხმოვანკომპლექსის პირველი წევრი

C₂ – თანხმოვანკომპლექსის მეორე წევრი

C₃ – თანხმოვანკომპლექსის მესამე წევრი

C₄ – თანხმოვანკომპლექსის მეოთხე წევრი

C₅ – თანხმოვანკომპლექსის მეხუთე წევრი

F – ფრიკატივი

F₁ – ვ, ჭ, ზ, ს, ჟ, შ, ჟჲ, შჲ, ჟჲ, შჲ ფრიკატივები

F₂ – ღ, ხ, ღჲ, ხჲ, ღჲ, ხჲ, ჳ, ჳჲ, ჳჲ, ჳჲ ფრიკატივები

id – იდენტური

S – სონორი

S^o – სონანტი

V – ხმოვანი

V₁ – ხმოვანკომპლექსის პირველი წევრი

V₂ – ხმოვანკომპლექსის მეორე წევრი

აბაზ. – აბაზური

აბჟ. – აბჟური

ად. – ადამიანი

ად. კ. – ადამიანის კლასი

ანატ. – ანატომიური

არაბ. – არაბული

არაგონ. – არაგონიერი

არაგონ. კ. – არაგონიერთა კლასი

აფხ. – აფხაზური

ბათ. – ბათუმის აფხაზური მეტყველება

ბერძ. – ბერძნული

ბზიფ. – ბზიფური

გადატ. – გადატანითი

გეოგრ. – გეოგრაფიული
გონ. კ. – გონიერთა კლასი
გრდმ. – გარდამავალი
ზოოლ. – ზოოლოგიური
თურქ. – თურქული ენა; თურქული ენები
იხ. – იხილე
კ. – კაცი
მამაკ. კ. – მამაკაცის კლასი
მეგრ. – მეგრული
მედ. – სამედიცინო
მრ. რ. – მრავლობითი რიცხვი
მხ. რ. – მხოლოლობითი რიცხვი
ნ. – ნივთი
ნ. კ. – ნივთის კლასი
რელიგ. – რელიგიური
სამხ. აფხ. – სამხრულაფხაზური
საუბ. – საუბრული
სპარს. – სპარსული
ტაპ. – ტაპანთური
ფერ. – ფერიის აფხაზური მეტყველება
ფოლკ. – ფოლკლორული
ქ. – ქალი
ქართ. – ქართული
შდრ. – შეადარე
ჩერქ. – ჩერქეზული
ძვ. – ძველი
ძვ. ეთნ. – ძველი ეთნოგრაფიული

შესავალი

0.1. აფხაზური და აბაზური ენები: გავრცელების არეალი, ენობრივი ვითარება, დიალექტები

აფხაზური და აბაზური ენები. მათი გავრცელების არეალი. აფხაზური და აბაზური შედის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში ყაზარდოულ, ადიღურ და უბიხურ ენებთან ერთად. ზოგი მკვლევარი აფხაზურსა და აბაზურს ერთი ენის დიალექტებად განიხილავს (გვანცელაძე 2003, ქურდიანი 2007, Bouda 1940, Hewitt 1979, Chirikba 1996), რაც ლინგვისტური თვალსაზრისით გამართლებულია. მკვლევართა ნაწილი მათ დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს (ლომთათიძე 1976, ჩიქობავა 1979, მაჭავარიანი 2017, Чыxya 2021, O’Herin 2020), რასაც მათი თანამედროვე სტატუსიც ამყარებს – ისინი დამოუკიდებელი სალიტერატურო ენებია. ამასთანავე, აფხაზური სახელმწიფო ენაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა, ქართულთან ერთად, აბაზურს კი ენის სტატუსი აქვს რუსეთის ფედერაციის ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში. აფხაზური სამწერლობო ენა დაფუძნებულია აბჟურ დიალექტზე, ხოლო აბაზური – ტაპანთურზე.

აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათი ნაწილი მკვიდრობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც (ქალაქ ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე), აფხაზეთიდან დევნილი აფხაზები მცირე რაოდენობით სახლობენ საქართველოს სხვა ქალაქებშიც (თბილისში, ზუგდიდში...), აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები ბინადრობენ თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში: იალოვა, ბურსა, საქარია, დუზჯე...; ისინი გაფანტულად ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში, სირიაში, იორდანიაში, ევროპის სახელმწიფოებსა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც.

აბაზები მკვიდრობენ რუსეთის ფედერაციაში, ყარაჩაი-ჩერქეზეთის აულებში. 15 000-მდე აბაზა სახლობს თურქეთში, ასევე ლევანტისა და ბალკანეთის ქვეყნებში. მთელ მსოფლიოში მათი რიცხვი მერყეობს 50 000-100 000-ს შორის (Matsumura 2002, 1).

აფხაზური და აბაზური, როგორც საფრთხეში მყოფი ენები. აფხაზური იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების სიაში შეტანილია, როგორც პოტენციურად მოწყვლადი ენა,

თუმცა არაა მითითებული მოლაპარაკეთა რიცხვი¹. ამავე სიაში აბაზური წარმოდგენილია, როგორც საფრთხეში მყოფი, დაუცველი ენა და მასზე მეტყველთა რაოდენობა განსაზღვრულია 30.194-ით². როგორც აფხაზები, ისე აბაზები ბილინგვები არიან.

აფხაზური ენის ფლობის დონე საქართველოსა და თურქეთში განსხვავებულია. თ. გვანცელაძე და ს. ჭაავა ნაშრომში, რომელიც ეხება აფხაზური ენის ეკოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ მდგომარეობას, ასკვნიან, რომ აფხაზური კარგად ან საშუალოდ იციან 50 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა, 30-40 წლის თაობა საშუალო დონეზე ფლობს ენას, ხშირ შემთხვევაში ესმით და ვერ ლაპარაკობენ, უმცროსმა თაობამ კი ნაკლებად ან საერთოდ არ იცის აფხაზური (გვანცელაძე და ჭაავა 2021, 272). მათი დაკვირვებით, აჭარაში მცხოვრები აფხაზების უფროსმა და საშუალო თაობამ მეტ-ნაკლებად იცის ენა, საშუალო თაობის ნაწილს ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს აფხაზურად, ახალი თაობის უდიდესმა ნაწილმა კი ენა არ იცის. აფხაზური უფროსი და საშუალო თაობის აფხაზებს შორის „საიდუმლო ენის“ ფუნქციას ასრულებს (იქვე, 294, 304).

მართალია, 2012 და 2014 წლებში სოციოლინგვისტური კვლევა არ მიწარმოებია, მაგრამ აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან სასწავლო-პრაქტიკული მივლინებებისას მეც მქონდა საშუალება, რომ დაკვირვებოდი იქაურ ენობრივ ვითარებას და, იუნესკოს კრიტერიუმების გათვალისწინებით, აჭარაში აფხაზური ენის მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი.

თ. გვანცელაძესა და ს. ჭაავას ზემოხსენებულ მონოგრაფიაში თურქეთში აფხაზური ენის მდგომარეობა შეფასებული აქვთ ალექსანდრე კვახაძის მონათხრობის მიხედვით, კერძოდ, თურქეთში აფხაზური ენა იცის უფროსმა თაობამ, საშუალო თაობას ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, უმცროსი თაობის უმრავლესობამ ენა საერთოდ არ იცის (გვანცელაძე და ჭაავა 2021, 310).

აფხაზურ-აბაზური დიალექტები. აფხაზურში გამოყოფენ აბჟურ და ბზიფურ დიალექტებს, აბაზურში კი – აშხარულსა და ტაპანთურს (ლომთათიძე 1976, გვანცელაძე 2011, მაჭავარიანი 2017), ბ. ო'ჰერინი აფხაზურში ემხრობა საძური დიალექტის გამოყოფასაც (O'Herin 2020). აფხაზურ-აბაზური დიალექტების

¹ UNESCO. 2010a. Abkhaz. *The world atlas of languages*. <https://en.wal.unesco.org/search?keys=Abkhaz> (accessed on 20.04.2023).

² UNESCO. 2010. Abaza. *The world atlas of languages*. <https://en.wal.unesco.org/languages/abaza> (accessed on 20.04.2023).

ვ. ჩირიქბასეული დაჯგუფება ასეთია: საერთო აფხაზური იყოფა ჩრდილოაფხაზურად, აშხარულად (შუამავალი რგოლი პირველსა და მესამეს შორის) და სამხრულაფხაზურად. ჩრდილოაფხაზურში შედის მხოლოდ ტაპანთური, სამხრულაფხაზური იყოფა სამხრულდასავლურ და სამხრულაღმოსავლურ კილოებად. მათგან პირველში შედის საძური, ხოლო სამხრულაღმოსავლურში ერთიანდება აჭიფმის, ბზიფის, წებელდისა და აბჟუის მეტყველება. საძის, აჭიფმისა და წებელდის სამეტყველო ერთეულები შემორჩენილია მხოლოდ თურქეთში (Chirikba 1996, 14). როგორც თ. გვანცელაძე აღნიშნავს, პ. უსლარის, ნ. მარისა და სხვათა მხრიდან იყო სამურზაყანოულის დამოუკიდებელ აფხაზურ დიალექტად გამოყოფის ცდაც, მაგრამ ეს მოსაზრება არ დამკვიდრდა, რადგან სამურზაყანოში გავრცელებული აფხაზური დიდად არ სხვაობს აბჟუური კილოსაგან (გვანცელაძე 2011, 20).

აჭარაში მცხოვრები აფხაზების დიალექტურ კუთვნილებას რაც შეეხება, მათ შენარჩუნებული აქვთ იმ რაიონის მეტყველება, საიდანაც არიან გადმოსულები, კერძოდ, ე. კილბას დაკვირვებით, ანგისის მეტყველება აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტს უახლოვდება, ხოლო ფერიისა – აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტსა და აფხაზური ენის აშხარულ დიალექტს (Килба 1983, 8). ამავე ავტორის აზრით, ისტორიული საძური დიალექტის ამჟამინდელი მემკვიდრეებია: აშხარული დიალექტი, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ფერიისა და სირიაში დამკვიდრებულ აფხაზთა მეტყველება, აჭიფმისა და ფსხუს აფხაზური თურქეთში და საკუთრივ საძების დიალექტი თურქეთში (Килба 2012). თ. გვანცელაძეც საძების მეტყველებას მიიჩნევს ბზიფური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავად (გვანცელაძე 2011, 26).

0.2. საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა

ენის ფონემატური სტრუქტურის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კონკრეტული ენის, ისე მისი მონათესავე ენების საკვანძო საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. აუცილებელია, გამოკვლეული იყოს ყოველი ენის ძირისა და მორფემის აგებულება სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, თითოეულ მათგანში ფონემათა დისტრიბუციისა და ბგერათშეერთების წესები, მათ განაწილებასთან დაკავშირებული კანონზომიერებანი და შეზღუდვები, პოზიციების მიხედვით. აქედან გამომდინარე, საჭიროა, ეს საკითხები დეტალურად დამუშავდეს აფხაზურისა

და აბაზურის შემთხვევაში და მიღებული შედეგები ურთიერთშედარდეს, რაც სამომავლოდ მათი მონაცემების შედარების შესაძლებლობას შექმნის როგორც მათ მონათესავე, ისე არამონათესავე ენებთან. კვლევა საშურია როგორც გენეტიკური, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

აფხაზურისა და აბაზურის მეცნიერული შესწავლა სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს. მას იკვლევდნენ როგორც ქართველი და აფხაზი მეცნიერები, ისე უცხოელები, რაც დღესაც გრძელდება. აფხაზურ-აბაზური ფონეტიკა-ფონოლოგიის სხვადასხვა საკითხი შესწავლილი აქვთ ქ. ლომთათიძეს, ა. გენკოს, ვ. ჩირიქბას, ა. კვიპერსს, ა. სპრუიტს, პ. უსლარს, ნ. მარს, გ. ახვლედიანს, ს. ჯანაშიას, გ. როგავას, ჯ. ჰიუიტს, ე. კილბას, ნ. ტრუბეცკოის, ვ. ალენს, ფ. ბორკს, ხ. კაკავას, ბ. ვოქსს, ზ. ფსიფას, ჯ. კეტფორდს, ჯ. კოლარუსოს, რ. ჯანაშიას, მ. ქურდიანს, თ. გვანცელაძეს, ნ. მაჭავარიანს, ვ. შენგელიას, მ. ჩუხუას.

დასახელებულ მკვლევართა ნაშრომებიდან წინამდებარე კვლევისთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“, ვ. ჩირიქბას „Common West Caucasian (The reconstruction of its phonological system and parts of its lexicon and morphology)“ და ხ. კაკავას სადისერტაციო ნაშრომი „აფხაზური ენის თანხმომავანკომპლექსები“. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი სამეცნიერო მემკვიდრეობისა, საკითხი საჭიროებს დეტალურ სინქრონიულ ანალიზს, დიაქრონიის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომაც განისაზღვრა ეს საკითხი წინამდებარე დისერტაციის თემად.

0.3. კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია, შესწავლილ იქნეს აფხაზურ-აბაზურის ძირეული და აფიქსური მორფემების ფონემატური სტრუქტურა სინქრონიული თვალსაზრისით, ცხადია, დიაქრონიული სურათის გათვალისწინებით. ნაშრომში თავკიდური, ინლაუტისა და ბოლოკიდური პოზიციების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ფონემათა განაწილების ან მათი შეზღუდვის წესები, აფხაზურისა და აბაზურის ხმოვან-და თანხმომავანკომპლექსების ანალიზი, ფონემათა შეერთების კანონზომიერებანი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეცნიერი შეეხო დასახელებულ თემებს და ამ მიმართულებით მრავალი საყურადღებო ნაშრომია შესრულებული, საკითხი მაინც არ არის

გამოწვლილვით შესწავლილი და ამ კუთხით აუცილებელია აფხაზურ-აბაზურის კომპლექსური კვლევა.

0.4. საკვლევი საკითხები

წინამდებარე ნაშრომის ამოცანებად დასახულია პოზიციების მიხედვით აფხაზური და აბაზური ფონემების დისტრიბუციის შესწავლა და მათი სტატისტიკური ანალიზი; სტრუქტურული თვალსაზრისით აფხაზურისა და აბაზურის ძირეული და აფიქსური მორფემების დეტალური შესწავლა; მათში პოზიციების გათვალისწინებით ფონემათა განაწილებისა და შეზღუდვების გამოვლენა; აფხაზურისა და აბაზურის ბგერათკომპლექსების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.

კვლევის შედეგად პასუხი გაეცემა ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: რომელი ფონემებია დომინანტი თითოეულ პოზიციაში, რა კანონზომიერება შეიმჩნევა მათი განაწილების მხრივ, რომელი კლასის ფონემები ჭარბობს, რა შეზღუდვებით ხასიათდება ფონემები სხვადასხვა პოზიციაში; როგორი სტრუქტურული მოდელებითაა წარმოდგენილი აფხაზური და აბაზური ძირეული და აფიქსური მორფემები, რომელია მათგან ყველაზე გავრცელებული, რომელი მოდელებია შეზღუდული ძირში და რომელი აფიქსურ მორფემაში; რა საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები მოქმედებს აფხაზურ და აბაზურ ბგერათკომპლექსებში, როგორია მაქსიმალური სიგრძის ხმოვან- და თანხმოვანკომპლექსი თითოეული მათგანის ძირეულ და აფიქსურ მორფემაში; ბგერათა შეერთების რა წესები იკვეთება, რა გავლენას ახდენს ფონოტაქტიკური კანონზომიერებანი აფხაზურისა და აბაზურის ფონეტიკურ პროცესებზე.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. თითოეული თავი იყოფა ქვეთავებად.

შესავალში გადმოცემულია მოკლე ცნობები აფხაზურისა და აბაზურის, მათი გავრცელების არეალის, სტატუსისა და თანამედროვე მდგომარეობის, დიალექტების შესახებ; მოცემულია საკვლევი პრობლემის აღწერა, კვლევის აქტუალურობა, მიზანი, საკვლევი საკითხები და კვლევის მეთოდები. ამას მოსდევს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

პირველ თავში განხილულია აფხაზურ-აბაზურ ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, მეორე თავი ეთმობა აფხაზურ და აბაზურ ძირეულ მორფემათა სტრუქტურას, მესამე თავში წარმოდგენი-

ლია აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა ფონემატური სტრუქტურის ანალიზი, მეოთხე თავში გაანალიზებულია აფხაზურ-აბაზური ძირეული და მორფემათა მიჯნის ბგერათკომპლექსები, სათანადო ადგილას ყურადღება გამახვილებულია მახვილისა და რედუპლიკაციის საკითხებზე, განხილულია ის ფონეტიკური პროცესები, რომლებიც განაპირობა აფხაზურ-აბაზურში მოქმედმა ბგერათშეერთების წესებმა. თითოეულ თავს აქვს მოკლე შესავალი და ბოლოში ერთვის დასკვნა.

0.5. თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს დღემდე ენათმეცნიერებაში არსებული კონცეფციები ენათა ფონემატური სტრუქტურის, ფონემათა დისტრიბუციის, ფონემათა შეერთების შესწავლის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, ავტორთა კოლექტივის „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, ნ. ტრუბეცკოის, ბ. ჰაიესის, უშუალოდ აფხაზურ-აბაზურ ენათა შესახებ ქ. ლომთათიძის, ვ. ჩირიქას, ჯ. ჰიუიტის, სხვა კავკასიურ ენათა სათანადო საკითხების შესახებ ჰ. ფოგტის, გ. მაჭავარიანის, ს. ჟღენტის, თ. უთურგაიძის, მ. ბუცხრიკიძის, მ. კუმახოვის, ნ. ქუთელიას, ვ. შენგელიას, მ. ჩუხუას, ც. ბარამიძის, ნ. არდოტელის, რ. აბაშიას და სხვათა ნაშრომები.

ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული და არაემპირიული მეთოდებიც. საწყის ეტაპზე დაიგეგმა კვლევა, რის შემდეგაც დაიწყო მასალების მოძიება, როგორც გამოცემული ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან, ასევე ველზე, კერძოდ, აფხაზური მასალის ნაწილი გადამოწმებულია ჩემ მიერ, ბათუმში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებთან სასწავლო პრაქტიკისას, სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური წრის ადამიანებთან. მასალა ჩაწერილია აუდიო და ვიდეოაპარატურით, ჩაწერისას გამოყენებულია გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდი, თუმცა იმდენად გამოწვლილვითაა შესწავლილი აჭარაში გავრცელებული აფხაზური მეტყველება, წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საკითხებზე სიახლე არ გამოვლენილა.

საანალიზო მასალა მოძიებულია გამოცემული ლექსიკონებიდან, აფხაზური და აბაზური კორპუსებიდან. გათვალისწინებულია როგორც საკუთრივ აფხაზურ-აბაზური, ასევე ნასესხები ლექსიკა. რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი კვლევისას ცალ-ცალკეა გაანალიზებული, რომ ნათლად წარმოჩნდეს და გაიმიჯნოს საკუთრივ აფხაზურ-აბაზურის ფონოტაქტიკა და მასზე სესხების გავლენა.

საკვლევი მასალა, პირველ რიგში, განიმარტა ქართულად და შემდეგ დაიწყო მონაცემთა დამუშავება. მასალის სისტემატიზაციისა და საკითხის კვლევის პროცესში გამოყენებულია აღწერის, შედარება-შეპირისპირების, კლასიფიკაციის, ანალიზისა და განზოგადების მეთოდები. შედარებისას გათვალისწინებულია სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტები.

თანხმომავანკომპლექსები შესწავლილია ფონემათა თანმიმდევრული ანალიზის გამოყენებით, რომელიც მოიცავს პარადიგმატულ, სინტაგმატურ, ისტორიულ, ფონეტიკურ და შედარებით ანალიზს (The gradual consonant analysis) (Butskhrikidze 2002, 147-152).

მასალის ანალიზი წარმოებულია როგორც ტრადიციული (მაგ., ძირებისა და აფიქსების სტრუქტურების მიხედვით დაყოფა, მათში ფონემათა განაწილების კანონზომიერების დადგენა), ისე თანამედროვე მიდგომით, რაც კვლევას უფრო სისტემურს ხდის, იგულისხმება კორპუსზე დაფუძნებული კვლევა. მოცემულია მასალის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი (რა სტრუქტურის ძირები და აფიქსებია, თითოეული რა რაოდენობითაა...). კვლევისას მიღებული დასკვნები ეფუძნება დასაბუთებულ თეორიას – დასკვნები მონაცემებიდან გამომდინარეობს.

0.6. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და აფხაზურ-აზერულ კორპუსებს. საკვლევი მასალა მოძიებულია გამოცემული ლექსიკონებიდან, რომლებიც მეტწილად თარგმნითია, კერძოდ, გამოყენებულია ნ. მარის „Абхазско-русский словарь“³ (Март 1926), ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (ჯანაშია 1954), ხ. ბლაქას რედაქციით გამოცემული „Русско-абхазский словарь“⁴ (Бгажба 1964a), ავტორთა კოლექტივის „Аҧсуа бызшәа ажаар“⁵, I (Шьякрыл и Концъариа 1986) და II ტომი (Шьякрыл, Концъариа и Чкадуа 1987), ა. ხეციას „Русско-абхазский экономический словарь“⁶ (Хеция 1986), ვ. ჩირიქბას „A dictionary of Common Abkhaz“⁷ (Chirikba 1996), ა. გენკოს „Абхазско-Русский словарь“⁸ (Генко 1998), ვ. კასლანძიას ორტომეული

³ აფხაზურ-რუსული ლექსიკონი.

⁴ რუსულ-აფხაზური ლექსიკონი.

⁵ აფხაზური ენის ლექსიკონი.

⁶ რუსულ-აფხაზური ეკონომიკური ლექსიკონი.

⁷ საერთოაფხაზურის ლექსიკონი.

⁸ აფხაზურ-რუსული ლექსიკონი.

„Абхазско-русский словарь“⁹ (Касландзия 2005, Касландзия 2005a), თ. გვანცელაძის აფხაზურ-ქართული (გვანცელაძე 2000, გვანცელაძე 2012) და ქართულ-აფხაზური (გვანცელაძე 2012a) ლექსიკონები, თ. გვანცელაძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ვ. რომანოვის „აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი“ (რომანოვი 2013), ვ. კასლანძიასა და ბ. ჯონუას სამტომეული „Русско-абхазский словарь“¹⁰ (Касландзия и Джонуа 2016, Касландзия и Джонуа 2016a, Касландзия и Джонуа 2016b), ნ. მაჭავარიანის „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით“ (მაჭავარიანი 2018), მ. ბერიძის, მ. თეთრაძის, ს. დარასელიას, ნ. შარაშენიძისა და ნ. ფონიავას „ქართულ-აფხაზურ-ინგლისური სიხშირული ლექსიკონი“ (ბერიძე და სხვები 2018), ლ. შებზუხოვის რედაქციით გამოსული „Русско-абазинский словарь“¹¹ (Шебзухова 2018), რომლის პირველი გამოცემაც გამოვიდა 1956 წელს, ვ. ტუგოვის რედაქციით გამოცემული „Абаза-Урышв Ажвар“¹² (Т|ыгв 1967).

ნასესხები ლექსიკონის შემთხვევაში სათანადო ადგილას მითითებულია წყარო ენა, რომლიდანაც უშუალოდ ან შუალობით უნდა შესულიყო აფხაზურსა და აზერულში ესა თუ ის სიტყვა. ნასესხები მასალის ანალიზისას გამოყენებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ძველი და ახალი რედაქციის ელექტრონული ვერსია (ქეგლი), ოთარ ქაჯაიასა და ალიო ქობალიას მეგრულ-ქართული და მეგრული ლექსიკონები (ქაჯაია 2001, ქაჯაია 2002, ქაჯაია 2002a, ქაჯაია 2009, ქობალია 2010), თურქულენოვანი ლექსიკა გადამოწმებულია Güncel Türkçe sözlük-ში¹³ (TDK 2023), ჩერქეზულენოვანი – English-Adyghe dictionary-ში¹⁴ (EAD), ხოლო რუსულენოვანი – ავტორთა კოლექტივის რუსულ-ქართულ ლექსიკონში (გაგუა და სხვები 1983). ცალკეული სიტყვების არაბულიდან, ბერძნულიდან და სპარსულიდან მომდინარეობაზე მინიშნება ეყრდნობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და Güncel Türkçe sözlük-ს.

როგორც აღინიშნა, კვლევისთვის გამოყენებულია აფხაზური და აზერული კორპუსები. აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის შექმნა 2015 წელს პროექტ „Palag“-ის ფარგლებში დაიწყო. ის მოიცავს 10 მილიონზე მეტ ერთეულს, რომელთაგან 7 596

⁹ აფხაზურ-რუსული ლექსიკონი.

¹⁰ რუსულ-აფხაზური ლექსიკონი.

¹¹ რუსულ-აზერული ლექსიკონი.

¹² აზერულ-რუსული ლექსიკონი.

¹³ თანამედროვე თურქული ლექსიკონი.

¹⁴ ინგლისურ-ადიღური ლექსიკონი.

355 სიტყვაფორმაა. მასში შესულია სხვადასხვა შინაარსის ტექსტები როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ისე მასმედიის ენიდან (ANC). დასახელებული კორპუსი იმიტომ შეირჩა, რომ უფრო რეპრეზენტაციული და ტექნოლოგიურად განვითარებულია. აბაზურისთვის მხოლოდ ერთი კორპუსი არსებობს. მასში შეტანილია 2017-2019 წლებში რუსეთის ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის ეკონომიკის უმაღლესი სკოლისა და რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ აბაზინსკის რაიონის სოფელ ინჯიკ-ჰკუნში ჩაწერილი ტაპანთური დიალექტის მასალები და მოიცავს 3 636 ტოკენს. მთქმელები დაბადებული არიან 1930-1961 წლებს შორის. მათგან ჩაწერილი ტექსტები სპონტანური მონათხრობია ინფორმატორთა ცხოვრებაზე, სოფლის ტრადიციებზე, ზღაპრებსა და ლეგენდებზე (Panova and others).

აფხაზურისა და აბაზურის მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნიდან მოყოლებული მიმდინარეობს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში; გამოცემულია კიდევ არაერთი მონოგრაფია თუ ცალკეული გამოკვლევა ამ ენებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ამ ნაწილში მიმოხილული იქნება ის შრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება აფხაზურისა და აბაზურის ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხებს, კერძოდ, ამ ენათა ფონემურ შედგენილობასა და მათ განაწილებას სხვადასხვა პოზიციაში, აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა სტრუქტურას, ბგერათკომპლექსებს და მათ შექმნაში მახვილის, რედუქციისა და რედუპლიკაციის როლს.

აფხაზურ-აბაზური, ადიღურ და უბიხურ ენათა მსგავსად, ხასიათდება ხმოვანთა რამდენიმეწევრიანი და თანხმოვანთა მდიდარი ინვენტარით, რასაც გ. როგავა მეორეულად, ხმოვანთა დიფთონგიზაციით გამოწვეულად, მიიჩნევს (Poraba 1985, 185).

თანამედროვე აფხაზურსა და აბაზურში ექვსი ხმოვანია. მათგან ორი (ა და გ) ძირითად ხმოვნად განიხილება (ლომთათიძე 1976, 24, Kuipers 1955, 198-199, Трубецкой 1960, 108-109, Deeters 1931, 291). პ. უსლარი აფხაზურში ძირეულად მიიჩნევდა ა, ი და უ ხმოვნებს (Услар 1862, 8). ა. გენკო სულაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გ აფხაზურსა და აბაზურში ფონემა არ არის (Генко 1955, 20). სხვა ხმოვნებს (ე, ი, ო, უ) ზოგი მკვლევარი დღესაც არ მიიჩნევს ფონემად, რადგან ისინი მეტწილად ა და გ ხმოვნების ძ და ჟ სონანტებთან კომბინაციითაა მიღებული (ლომთათიძე 1976, 24,

Chirikba 1996, 29, Hewitt 1979, 259-260, Hewitt 2010, 11-13).

სინქრონიულ დონეზე უფრო მართებულია თ. გვანცელაძის მოსაზრება, რომ ნა-სესხობებშიცა და ძირეულ სიტყვებშიც ექვსივე ზემოხსენებულ ბგერას აქვს სიტყვათ-და ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციები, შესაბამისად, ისინი ფონემებს წარმოადგენენ (გვანცელაძე 2011, 29-30). ამავე ავტორს მიაჩნია, რომ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში ი და უ ხმოვნების ჩამოყალიბების პროცესი დაწყებულია XV-XVI საუკუნეთა განმავლობაში, ხოლო ე და ო ხმოვნები უფრო გვიან ქცეულა ფონემებად, კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში, რუსული ენის ძლიერი გავლენით (იქვე, 31-33).

ქ. ლომთათიძეს ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I“ დეტალურად აქვს განხილული აფხაზურისა და აბაზურის ვოკალური და კონსონანტური სისტემა, მახვილი, ფონეტიკური პროცესები როგორც ხმოვნებსა და დიფთონგებში, ასევე თანხმოვნებში, თანხმოვანკომპლექსები სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით, აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი (ლომთათიძე 1976). მისი დაკვირვებით, ა ხმოვანი აფხაზურსა და აბაზურში რეალიზდება ყველა პოზიციაში (იქვე, 24-25). მისგან განსხვავებით, გ შეზღუდულია, თავკიდურ პოზიციაში კი საერთოდ არაა წარმოდგენილი. ქ. ლომთათიძის აზრით, ნ. მარის მიერ აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში შეტანილი გ-თი დაწყებული სამიოდე სიტყვა (გზგჯ „ათასი“, გზქნგჯ „მუდამ“, გშთა „ახლა, აწ“), ახლადწარმოქმნილი (სასაუბრო ენის) დიალექტური ვარიანტებია. ვ. ალენის მიერ „ქონა-ყოლა“ ზმნის ძირად გამოყოფილ გმა-შიც გ ძირში არ შედის, ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსის ნაშთია (იქვე, 37-39). ცხადია, ამ ფორმათა ამოსავალში გ არ იქნებოდა, მაგრამ სინქრონიულ დონეზე თავკიდურ პოზიციაში გ-ს გამოვლენაც ფაქტია და აჩვენებს, რომ ის ამ პოზიციაში დიდად გავრცელებული არაა, მაგრამ არც აკრძალულია (იხ. ცხრილი #1).

ვ. ჩირიქბაც მიიჩნევს, რომ ა-სგან განსხვავებით, რომელიც ყველა პოზიციაში რეალიზდება, გ არასდროს არაა წარმოდგენილი ანლაუტში, ზოგი ფონეტიკურად რედუცირებული ზმნური ფორმის გარდა. სამხრულ აფხაზურში გ იშვიათია ჰ-ს მომდევნოდ, მაგრამ კიდევ უფრო იშვიათია აშხარულსა და ტაპანთურში (Chirikba 1996, 28-29). გარდა ზმნური ფორმებისა, გ ანლაუტში დასტურდება შორისდებულებშიც (იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავის I ქვეთავი).

ქ. ლომთათიძე ეხება აფხაზურ-აბაზურში **ღ**-სა და **ჟ**-ს ძირეულ და აფიქსურ ელემენტად გამოვლენის საკითხსაც. ამატებს, რომ ორივე ფართოდაა გავრცელებული დიფთონგებსა და ტრიფთონგებში, რაც ხელს უწყობს ფონეტიკურ ცვლილებებს და მეორეული ხმოვნების (**ე, ი, ო, უ**) წარმოქმნას (ლომთათიძე 1976, 53-54, 60-61).

ქ. ლომთათიძე ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ ზოგი თანხმოვნის დახასიათებისას მიუთითებს, თითოეული მათგანი რომელ პოზიციაში დასტურდება (ლომთათიძე 1976, 24-61, 139-190), მაგრამ სტატისტიკური თვალსაზრისით არ აქვს ეს საკითხი შესწავლილი. იგი ამავე მონოგრაფიაში ახასიათებს ყველა თანხმოვანს და აღნიშნავს, რომ ანლაუტში დასტურდება **ბ** და **ფ** (მისი შეფასებით, **პ** არაა საკუთარ ლექსიკურ ფონდში – ა-პყარა „ცემა“-ს აქვს **ბ** მჟღერიანი ამოსავალი ვარიანტი. ამოსავლად **ბ** ვარიანტს ვარაუდობს სხვა სიტყვებისთვისაც: აპყა „წერო“, აპყაშ „კობრი“, თუმცა რიგ შემთხვევებში უშვებს მის თავდაპირველობას, ზოგჯერ კი **პ ბ**-ს მონაცვლედ ესახება: ა-პაჭა და მეგრ. ა-ბაჭა „ტკიპა“), სხვა ფონემებისთვის პოზიციის განუხილველად მითითებული აქვს მათი შემცველი სიტყვები (იქვე, 148-210).

ჯ. ჰიუიტის მიხედვით, აფხაზურისთვის სიტყვის ბოლოკიდურად დასაშვებია თანხმოვნები, თუმცა ამ პოზიციაში არაა გამოვლენილი **თ** და **ძ**, ხოლო იშვიათია **ღ**, **ც**, **გ**, **ქ**, **გ**, **ლ** ფონემები. თავკიდურად თანხმოვნები წარმოდგენილია შეუზღუდავად (Hewitt 1979, 260). ჩემი კვლევის განსხვავებული შედეგი იხ. I თავის I ქვეთავში, აგრეთვე ცხრილებში #2-5.

ვ. ჩირიქბას აფხაზურ ლიტერატურულ ჟურნალ „ალაშარას“ ათგვერდიან ტექსტზე დაყრდნობით ჩატარებული აქვს თანხმოვანთა სტატისტიკური კვლევა, რომლის მიხედვითაც აფხაზურში დომინანტურია სონორები, ნახევარხმოვნები და კბილბაგისმიერი ხშულები, კერძოდ, ყველაზე ხშირია: **ღ**, **რ**, **ნ**, **ლ**, **ჟ**, **ზ**, **დ**, **მ**, **ხ**, **თ**. მასვე ზიფურის სამგვერდიან მასალაზე ანალოგიურმა კვლევამ განსხვავებული შედეგი მისცა. მისი დასკვნით, ყველაზე იშვიათი სიხშირისაა: **ჭ**, **ჭ'**, **ვ**, **ძ**, **ლ**¹⁵. მისი აზრითაც, თანხმოვანთა დისტრიბუციაში მკაფიო შეზღუდვა არ ვლინდება (Chirikba 1996, 27).

ვ. ჩირიქბას კვლევის შედეგზე უნდა ითქვას, რომ ზიფურის შემთხვევაში

¹⁵ ვ. ჩირიქბა ფონემათა გადმოსაცემად ნაშრომში იყენებს საერთაშორისო ტრანსკრიფციას.

სხვაგვარი ვითარების ჩვენება უნდა გამოეწვია საკვლევი მასალის რაოდენობრივ სხვაობას და არა იმას, რომ ფონემათა დისტრიბუციის მხრივ ძალიან სხვაობს ერთმანეთისაგან სალიტერატურო აფხაზური ენა და მისი ბზიფური დიალექტი. ვ-ს იშვიათობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქ. ლომთათიძის აზრი, რომ ის აფხაზურს თავიდან არ უნდა ჰქონოდა (ლომთათიძე 1976, 176-177). ჩემ მიერ ჩატარებულმა კორპუსულმა კვლევამ ვ. ჩირიქბას გამოკვლევისაგან განსხვავებული შედეგი აჩვენა (იხ. I თავის I ქვეთავი, აგრეთვე ცხრილები #2-5).

აფხაზური ფონემების დისტრიბუციას აფიქსებსა და მოდალურ ელემენტებში ეხება ნ. მაჭავარიანი ნაშრომში „აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები გრამატიკული მიმოხილვითურთ“. მას მოცემული აქვს მორფემების ანალიზი, თითოეულს ახლავს ილუსტრაცია და ზოგ შემთხვევაში ცალკეულ აფიქსთა თუ მოდალურ ელემენტთა ეტიმოლოგია. ის ასკვნის, რომ აფიქსებსა და მოდალურ ელემენტებში იშვიათად მონაწილეობს: ე, ო, გ, ფ, ლ, თ, ქ, ქ, კ, გ, ყ, ყ, ძ, წ, ჩ, ჭ, ჯ, ვ, ჭ, შ, ჟ, ლ, ლ, ხ, ჰ, ჰ... მისივე დასკვნით, ფონემათა ნაწილი – ძ, გ, ლ – მხოლოდ ლოკალურ და სხვა შინაარსის პრევერბებშია. აფიქსებში ყველაზე ინტენსიურია: ა, ს, ბ, დ, ზ, ნ, რ, ლ, მ, სიხშირით მათ მოსდევს: შ, შ, ც, ჩ, ჰ, წ (მაჭავარიანი 2020, 38). აფხაზურ ფონემათა არა მხოლოდ აფიქსებსა და მოდალურ ელემენტებში, არამედ მთელ ენობრივ სისტემაში გამოვლენის სტატისტიკური და დისტრიბუციული ანალიზი მოცემულია წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის I თავის I ქვეთავში, მეტი თვალსაჩინოებისთვის დანართის სახით მომზადებულია ცხრილებიც (იხ. ცხრილები #1-5).

სხვადასხვა მკვლევარს განხილული აქვს აფხაზურ-აბაზური ძირის სტრუქტურის საკითხებიც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზურ-აბაზური სიტყვის ძირი ისტორიულად მარტივი იყო (CV) (ლომთათიძე 1976, 248-249). ამ აზრს იზიარებენ თ. გვანცელაძე და ნ. მაჭავარიანი, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამჟამად CV სტრუქტურის გვერდით დასტურდება CVC აგებულების ძირებიც; ზოგჯერ ძირისეული თანხმოვანი უხმოვნოდაც არის წარმოდგენილი, ძირთა დიდი ნაწილი წარმოქმნილია კომპოზიციით ან რედუპლიკაციით (გვანცელაძე 2003, 33, მაჭავარიანი 2020, 46).

მ. ქურდიანის შეფასებით, ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზურ-აბაზურისთვის ისტორიულად CV ან CVCV სტრუქტურის ძირებისა და მორფემების მიჩნევა არნ.

ჩიქობავას მიერ საერთოქართველურისთვის შემუშავებულ პრინციპზე დაყრდნობით მოხდა, გ. როგავას მიერ ადიღური (ჩერქეზული) ენების შესახებ ანალოგიური დასკვნის გამოტანის მსგავსად (ქურდიანი 2007, 272, 276).

ვ. ჩირიქბა საერთო დასავლურკავკასიური ძირისთვის გამოყოფს **VC(C)V, C(C)V, C(C)VC(C)V** სტრუქტურულ მოდელებს, ხოლო უშუალოდ საერთო აფხაზურისთვის (აფხაზურ-აბაზურისთვის) – **VC(C)V, C(C)V, CVC, CVC(C)V** სტრუქტურის ძირებს. მისი მოსაზრებით, ყველაზე გავრცელებულია **CV**, მათგან 47 ძირში **C** არის ხშული ან სპირანტი, ხოლო 5 ძირში – სონორი. **CV**-სა და ხშირად **CVCV**-ს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ისინი დერივაციით წარმოებული ძირები არ ჩანს, სხვა სტრუქტურის ძირები ძირითადად დერივაციისა და კომპოზიციის გზითაა მიღებული (Chirikba 1996, 73-74). წინამდებარე კვლევამ სტრუქტურათა გავრცელებულობის განსხვავებული შედეგი აჩვენა (იხ. ნაშრომის II თავი, ცხრილები #17, 24).

2010 წელს თ. გვანცელაძის ხელმძღვანელობით თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩემ მიერ დაცულ იქნა სამაგისტრო ნაშრომი „ფონემათა დისტრიბუცია აფხაზურ ზმნურ ფუძეებში“. მასში ნაშრომის შეზღუდულობის გამო გაანალიზებულია ზმნური ძირები და არა მთლიანი ფუძეები. ეს კვლევა ეყრდნობოდა აფხაზური ენის ორტომეულ ლექსიკონს, რომლის პირველი ტომის ავტორები არიან კ. შაყრილი და ვ. კონჯარია, ხოლო მეორე ტომისა – დასახელებულ ავტორებთან ერთად ლ. ჭკადუა. მართალია, კვლევა მთლიან ენობრივ მასალას არ მოიცავს, მაგრამ ზმნური ძირების ანალიზის შედეგად საყურადღებო დასკვნებია გამოტანილი, კერძოდ, აფხაზურში გამოიყო ზმნურ ძირთა 40-ზე მეტი მოდელი, განხილულ იქნა მათში ხმოვანთა და თანხმოვანთა დისტრიბუცია, ასევე ამ ძირებში შემავალი თანხმოვანკომპლექსები; გამოვლინდა ცალკეულ ფონემებთან დაკავშირებული შეზღუდვები; ყურადღება გამახვილდა მახვილის, რედუქციისა და რედუპლიკაციის საკითხებზეც. ნაშრომი დაყოფილია ოთხ თავად: პირველი ეთმობა ოდენ კონსონანტურ ზმნურ ძირებს, მეორეში განხილულია ერთმარცვლიანი, მესამეში – ორმარცვლიანი, ხოლო მეოთხეში – სამ- და მეტმარცვლიანი ზმნური ძირების ფონემური შედგენილობა (ფონიავა 2010). ოდენ კონსონანტურ ზმნურ ძირებში გამოიყო სამი ქვემოდელი: **C, CC** და **CCC**, ხოლო ერთმარცვლიანთა შორის ყველაზე გავრცელებულია **CVC** და **CV** მოდელები (იქვე, 7). ამავე ნაშრომში გამოკვეთილია, რომ აფხაზურ

ენაში ზმნური ძირი მაქსიმუმ ოთხმარცვლიანია. თავს იჩენს მარცვლიანობის შემცირების ტენდენციაც, განსაკუთრებით რედუპლიკაციისას (იქვე, 72). ამავე კვლევის მიხედვით, ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ინტენსიური ფონემები ძირითადად იდენტურ თანხმოვნებთან ქმნის ბგერათმომდევრობას, გაანალიზებულია როგორც A, ისე B ტიპის თანხმოვანკომპლექსები (იქვე, 75-76).

ზემოთ განხილულ სამაგისტრო ნაშრომზე დაყრდნობით მოხსენება „აფხაზური ენის CVC ტიპის ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის“ წარდგენილ იქნა 2010 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიაზე. კვლევაში საანალიზო სტრუქტურის 90 ზმნური ძირია გამოვლენილი, რომლებიც გადანაწილებულია 11 ქვემოდელში. ძირთა უმეტესობაში წარმოდგენილია ა ხმოვანი, ამ მხრივ მეორე ადგილზეა გ. საანალიზო მოდელში საერთოდ არ რეალიზდება ვ და ჰ. CVC სტრუქტურაში ანლაუტსა და აუსლაუტში არ დასტურდება ერთი და იმავე რიგის არაიდენტური ფონემები, არც სისინა და შიშინა აფრიკატები და სპირანტები (ფონიავა 2010ა, 43-44).

აფიქსურ მორფემებს ეხება ვ. ჩირიქბა ნაშრომში „Common West Caucasian (The reconstruction of its phonological system and parts of its lexicon and morphology)“¹⁶. ავტორი განიხილავს საერთო აფხაზურ-ადიღურ აფიქსებს, რომელთა რეკონსტრუქცია შესაძლებლად მიაჩნია ფუძე ენაში და არა ამა თუ იმ დასავლეთ კავკასიური ენის აფიქსთა ფონემატურ სტრუქტურას (Chirikba 1996, 364-381). ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ძირის სტრუქტურის მსგავსად, აფხაზურ-აბაზური მორფემებისთვისაც ამოსავლად მიჩნეულია CV ტიპი (ლომთათიძე 1976, 248-250). ამ მოსაზრებას ხ. კაკავაც იზიარებს (კაკავა 2012, 124, 148, 153). აფიქსებში CV ძალიან გავრცელებულია, მაგრამ მის გვერდით აფხაზურ-აბაზურში სხვა სტრუქტურებიც რეალიზდება (იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი, ცხრილები #25-30).

ფ. ლარსონი თავის სადოქტორო ნაშრომში „Nominal and Verbal Affixation in the Caucasus: A Morphological and Phonological Approach“¹⁷ ასკვნის, რომ აფხაზურსა და აბაზურში აფიქსთა ტიპებს შორის პრეფიქსები (პრევერბების გამოკლებით) ყველაზე გავრცელებულია. ის აფხაზურს ახასიათებს, როგორც ენას, რომელშიც პრეფიქსთა

¹⁶ საერთო დასავლეთ კავკასიური (მისი ფონოლოგიური სისტემის, ლექსიკისა და მორფოლოგიის ნაწილების რეკონსტრუქცია).

¹⁷ სახელური და ზმნური აფიქსაცია კავკასიაში: მორფოლოგიური და ფონოლოგიური მიდგომა.

მაქსიმალური თანაფარდობა 70.8%-ია, პრევერბების გამორიცხვით – 62.0% (Larsson 2024, 313). ჩემმა კვლევამ სრულიად განსხვავებული სურათი აჩვენა (იხ. თავი III და ცხრილები #25-30).

აფხაზურ-აბაზურში მეტად მნიშვნელოვანია ბგერათკომპლექსების საკითხი. ისინი განხილული აქვთ ფ. ბორკს, ვ. ალენს, ქ. ლომთათიძეს, ვ. ჩირიქბას, ბ. ვოქსს, ჯ. კეტფორდს, ჯ. კოლარუსოს, ჯ. ჰიუიტს, ა. სპრუიტს, თ. გვანცელაძეს, ნ. მაჭავარიანს და ხ. კაკავას.

აფხაზურ-აბაზური თანხმოვანკომპლექსების შესახებ არსებული მოსაზრებების განხილვამდე, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა აფხაზურსა და აბაზურში ხმოვანკომპლექსების არსებობასთან დაკავშირებით. მიჩნეულია, რომ აფხაზურ ენაში ორი ა ან /s/ წარმოქმნილია სხვადასხვა გზით: ცალკეული თანხმოვნების (ჭ, ჰ, ყ, ზ, ღ) დაკარგვის, ასიმილაციის ან სპონტანური ცვლილებების შედეგად (ლომთათიძე 1976, 25-29, გვანცელაძე 2011, 48-49). თ. გვანცელაძის დაკვირვებით, ორი (გრძელი) ა ხმოვნის წარმოქმნა დაწყებულია XVI საუკუნემდე, აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის დაშლამდე და დასრულებულია XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე (გვანცელაძე 2011, 52-53).

ვ. ჩირიქბაც აღნიშნავს, რომ აა-ს წყარო განსხვავებულია, მათ შორის ასახელებს თურქულ ნასესხობებს. მას აა შენიშნული აქვს ბავშვთა მეტყველებაში. ქ. ლომთათიძის მიერ პირობითის ფორმებში -აზარ მიმდევრობის ნაცვლად -ზაარ-ს გამოყენებას ბზიფურში ვერ ადასტურებს, თუმცა იზიარებს ამავე მკვლევრის აზრს, რომ აა ააა ტრიფთონგისგანაცაა მიღებული. მისივე დასკვნით, აა სხვადასხვა მარცვალში ვერ გადანაწილდება, ის ერთჟამიერი არტიკულაციით ხასიათდება, აა-ს სიგრძე არ აღემატება სხვა ფონემების გრძლივობას; აფხაზური, ტაპანთურის მსგავსად, განიცდის ხმოვანკომპლექსების უქონლობას, სამხრულაფხაზურის აა არაა ა+ა კომბინაცია. ის აა-ს განიხილავს ზ-სა და ა-ს კომბინაციად ან ვოკალურ დიფთონგად (იქვე, 29-32).

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, აა დასტურდება სიტყვის თავკიდურად, შუაშიც და ბოლოშიც (ლომთათიძე 1976, 26). მისი შეფასებითაც, აფხაზურსა და აბაზურში ორი ა არ მიიღება ორი ა მორფემის ან ორი კიდური ა ხმოვნის შეერთებით, რადგან ასეთ შემთხვევაში ერთი ა რჩება. იგივე ვრცელდება სამ და ოთხ ა-ზეც (იქვე, 29-33).

აფხაზურისთვის რომ ხმოვანკომპლექსთა არსებობა მეორეულია, ეს წინამდება-

რე სადისერტაციო კვლევითაც ჩანს, აბაზურში კი სინქრონიულ დონეზეც არ რეა-ლიზდება ხმოვანმიმდევრობები (იხ. ნაშრომის მეოთხე თავის I ქვეთავი).

ქ. ლომთათიძე მიიჩნევდა, რომ ამოსავალში აფხაზურ-აბაზურისთვის არ იყო დამახასიათებელი თანხმოვანთა თავყრილობა. ეს ვითარება სხვადასხვა დიალექტში ან სიტყვათა სხვადასხვა ფორმაში დღესაც არის შემორჩენილი – მეტწილად შესაძლებელია თავდაპირველი, ხმოვნისანი, სახის დადგენა. ის განასხვავებდა პირველად ე.წ. „მტკიცე“ (ზაგისმიერთავეკიდურიან) და მეორეულ თანხმოვანკომპლექსებს (ლომთათიძე 1976, 41, 242-244).

ვ. ჩირიქბას აზრით, საერთოაფხაზურში სიტყვის დონეზე თანხმოვანკომპლექსების შედგენა განსხვავებულია ჩერქეზულისა და უბიხურისაგან. ის შეიძლება შედგებოდეს სამზე მეტი კომპონენტისაგან (ზოგჯერ ექვსისგანაც). აფხაზური კომპლექსები შეიცავს სხვადასხვა რიგის თანხმოვნების კომბინაციებს: მჟღერი, გლოტალიზებული, ყრუ, მაშინ როცა ადილეურსა და უბიხურში კომპლექსების ელემენტები ერთი და იმავე რიგისაა. თუმცა მორფემის დონეზე აფხაზური, განსაკუთრებით საერთო აფხაზური, აჩვენებს მნიშვნელოვან პარალელებს ჩერქეზულსა და უბიხურთან კომპლექსში როგორც თანხმოვანთა რაოდენობის, ისე ამა თუ იმ ლოკალური რიგის თანხმოვნის მონაწილეობის თვალსაზრისით (Chirikba 1996, 76).

ამავე მეცნიერის დასკვნით, აფხაზურში მორფემის დონეზე თანხმოვანთა მაქსიმალური რაოდენობა კომპლექსში, ჩერქეზულის მსგავსად, არის სამი, იშვიათად ოთხი, ყველაზე გავრცელებულია ორთანხმოვნისანი მიმდევრობები. ჩერქეზულისაგან განსხვავებით, ბევრი საერთოაფხაზური კომპლექსი მიღებულია ექსპრესიული გემინაციით ან ძირის რედუპლიკაციისას ხმოვნის ელიზიით (Chirikba 1996, 76). ის აღნიშნავს კიდევ, რომ სონორთა მონაწილეობა ჩვეულებრივია თანხმოვანკომპლექსის როგორც პირველ, ისე მეორე წევრად (იქვე, 73-74). იგი სამსეგმენტის კომპლექსების პირველ სეგმენტად ბილაბიალს ან დენტალს ასახელებს და მათ მორფემათა კომბინაციებისა თუ ხმოვანთა ელიზიის შედეგად მიღებულად მიიჩნევს (იქვე, 86).

ჯ. კეტფორდის შეფასებით, ქართულის ჰარმონიული კომპლექსებისთვის დამახასიათებელი სამ წესი – ა) ხშულს და აფრიკატს მოსდევს ისევ ხშული ან ფრიკატივი; ბ) ისინი ჰომოგენურია; გ) რეცესიულია – ვრცელდება აფხაზურსა და აბაზურზე, თუმცა მათში გაჩნდა უფრო რთული კომპლექსები თანხმოვანთაგამყარი

გ-ს დაკარგვის შედეგად (Catford 1977, 292).

ჯ. კოლარუსო აფხაზურ-აბაზურ თანხმომავანკომპლექსებში თანხმომავანთა უმეტესობის შეუზღუდავად მონაწილეობას (რაც, მისივე აზრით, არაა დამახასიათებელი ჩერქეზულისა და უბიხურისთვის) ხსნის იმით, რომ მრავალი ძირი აფხაზურ ენაში იწყება ა ხმოვნით (Colarusso 1988, 194-195). უნდა აღინიშნოს, რომ ა-ს უქონელ აბაზურ ძირებშიც ჩვეულებრივია თანხმომავანკომპლექსთა წარმოქმნა.

აფხაზურ-აბაზურში მარცვალთა სტრუქტურას ეხება ო'ჰერინი, რომელსაც C(C)V(C)(C) ფორმულირებით გამოხატავს და დასძენს, რომ თავკიდურად შეიძლება შეგვხვდეს ერთი ან ორი თანხმომავანი, კოდა კი შესაძლოა იყოს ნულოვანი ანდა ერთი ან ორი თანხმომავნით წარმოდგენილი. მისი შეფასებითაც, არ ჩანს არანაირი სისტემური შეზღუდვა ამ პოზიციებში თანხმომავნების გამოვლენისა. უფრო რთული მარცვლები თავკიდურად ხუთი და ბოლოკიდურად ოთხამდე თანხმომავნის შემცველიცაა (O'Herin 2020, 452).

აფხაზურ-აბაზურში თანხმომავანკომპლექსთა შექმნა მიეწერება მახვილის მოქმედებით გამოწვეულ რედუქციას. ამ მოვლენაში მის როლზე მიუთითებს გენკო (Генко 1955, 63). ნ. არშბას მოსაზრებით, რედუქცია უფრო ინტენსიურია, როცა მახვილი სიტყვის თავშია, ხოლო – სუსტი, თუ იგი სიტყვის ბოლოსკენაა (Аршба 1979, 87). ქ. ლომთათიძე აზუსტებს, რომ ხმოვნის რედუქციით გამოწვეული თანხმომავანთშეჯრა უფრო დამახასიათებელია ბზიფურისთვის, აბაზურს უკეთ აქვს დაცული სრულხმოვნობა (ლომთათიძე 1976, 131). ვ. ჩირიქბას მიხედვითაც, აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში ძლიერი დინამიკური მახვილი გამხდარა თანხმომავანკომპლექსთა შექმნის მიზეზი, მით უფრო ბზიფურში (Chirikba 1996, 27).

ვ. ჩირიქბა შენიშნავს, რომ ჩვეულებრივ კომპლექსები რეალიზდება ანლაუტსა და ინლაუტში. მორფემათა ზღვარზე კომპლექსები მრავალრიცხოვანია და შეიძლება შეიცავდეს ორიდან ხუთამდე წევრს, მაგრამ უფრო გავრცელებულია ორ- და სამთანხმომავანი ჯგუფები (Chirikba 1996, 27). ქ. ლომთათიძის აზრით, აფხაზურში თანხმომავანკომპლექსთა დაყოფა თავკიდურად, შუაკიდურად და ბოლოკიდურად ხშირად არ გამოდის გამართლებული თვით ძირთა მარტივი შედგენილობის გამო (ლომთათიძე 1976, 242). კომპლექსთა პოზიციების მიხედვით გავრცელების შესახებ უფრო მართებულია ჯ. ჰიუიტისა და ხ. კაკავას დაკვირვება, რომ ენა უშვებს

თანხმოვანკომპლექსებს როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტსა და აუსლაუტში (Hewitt 1979, 261, კაკავა 2012, 10).

ბ. კაკავას სადისერტაციო ნაშრომის „თანხმოვანკომპლექსები აფხაზურ ენაში“ მიხედვით, ყველაზე გავრცელებულია ორწევრა თანხმოვანკომპლექსები, სიხშირით მათ მოსდევს სამწევრა კომპლექსები, ოთხ- და ხუთწევრა თანხმოვანთა მიმდევრობები საკმაოდ იშვიათია, ხუთზე მეტწევრა კომპლექსები კი არ რეალიზდება ენაში. ის იზიარებს მოსაზრებას, რომ კომპლექსთა შექმნაში მთავარია მახვილის, რედუქციის, კომპოზიციის, რედუპლიკაციისა და მრავალმარცვლიან სიტყვათა სიგრძის რეგულირებისკენ მიდრეკილების როლი. მკვლევარი აფხაზურში გამოყოფს თავკიდურ, ბოლოკიდურ და ინტერვოკალურ თანხმოვანკომპლექსებს. ბ. კაკავას დაკვირვებით, აფხაზურ ორწევრა თანხმოვანკომპლექსებში პირველ წევრად დასტურდება სადა და პალატალიზებული ხშული (გამონაკლისია ქ), ხოლო მეორე წევრად – როგორც სადა, პალატალიზებული და ინტენსიური სპირანტები, ისე სადა და ინტენსიური აფრიკატები. ნაკლები დისტრიბუციით ხასიათდება სადა და ინტენსიური ჯ არა მხოლოდ ორწევრა, არამედ მეტწევრა კომპლექსებშიც. ის აღნიშნავს, რომ აფხაზურს ახასიათებს ჰომოგენური და ჰეტეროგენული, ასევე ჰომორგანული და ჰეტერორგანული კომპლექსები. მისი კვლევის მიხედვით, აფხაზურში გამოვლინდა ისეთი ორწევრა კომპლექსებიც, რომელთა პირველ კომპონენტად დასტურდება სადა, პალატალიზებული და ინტენსიური სპირანტები, ხოლო მეორე წევრად – სადა და პალატალიზებული ხშული, სადა სპირანტი და როგორც სადა, ისე ინტენსიური აფრიკატი. ასეთ კომპლექსებში შენიშნულია იდენტური სპირანტების მონაწილეობაც. ავტორი გამოყოფს სადა და ინტენსიური აფრიკატებით დაწყებულ კომპლექსებსაც, რომელთა მეორე წევრად წარმოდგენილია როგორც იდენტური ფონემები, ისე სადა და პალატალიზებული ხშულები და სპირანტები. ბ. კაკავა აღნიშნავს, რომ აფხაზურში ხშირია სონორის შემცველი ორწევრა კომპლექსები. მათ თავკიდურად ყველაზე გავრცელებულია რ-ს გამოყენების შემთხვევები, რომელიც მეტწილად კაუზატივის მაწარმოებელია, პალატალიზებული სპირანტების წინ არ დასტურდება ლ, ხოლო ინტენსიური სპირანტების წინ – ნ, სხვა შეზღუდვა არაა. სონორბოლოკიდურიანი კომპლექსების უმრავლესობა მორფემათა მიჯნაზე ან ნასესხებ ერთეულებშია. მათშიც ყველაზე ხშირია რ, რომელიც მასდარის, აბსტრაქტული სახელებისა და კრებითობის

აფიქსია. იგი დასძენს, რომ აფხაზურში ხშირია გემინირებული თანხმოვნებისაგან (სადა, პალატალიზებული, ლაბიალიზებული და ინტენსიური) შემდგარი ორწევრა კომპლექსები, არის მათი მონაწილეობით შექმნილი სამ- და მეტწევრა კომპლექსებიც. აფხაზურში რეალიზდება სამწევრა კომპლექსები, რომელთა მეორე წევრი სონორია (მათი შემცველი სიტყვები ძირითადად კომპოზიტები და ნეოლოგიზმებია) ან ისეთები, რომელთა პირველი და მეორე წევრია სონორი, მესამე წევრად კი ხშული, აფრიკატი და სპირანტია წარმოდგენილი. მკვლევარი აფხაზურში უსონორო სამწევრა თანხმოვანკომპლექსებსაც აღწერს, რომლებშიც ბაგისმიერთაგან თავკიდურ პოზიციაში მხოლოდ ფ დასტურდება, მაგრამ ამგვარ კომპლექსთა ანლაუტში არ რეალიზდება ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხშული. ხ. კაკავას გამოთვლით, აფხაზურში დაახლოებით 130 სიტყვაშია წარმოდგენილი ოთხწევრა კომპლექსი, ხოლო ხუთწევრა – ათში. მას მიაჩნია, რომ ამგვარი კომპლექსები ყველა პოზიციაში მეორეულია. მართალია, შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ აფხაზურს მოეპოვება ე.წ. „ჰარმონიული კომპლექსები“, კერძოდ: **ბგ, პკ, დგ, ტკ, ჯგ, ჩქ, ბღ, პყ, თხ, ტყ, ძღ, ცხ, წყ, ჩხ**. მათგან **ტყ** მხოლოდ ნასესხობებში რეალიზდება (კაკავა 2012).

თანხმოვანკომპლექსების თავკიდურად ბაგისმიერთა გამოვლენას აფხაზურის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევდა ნ. მარი (Mapp 1912, 3-4). ქ. ლომთათიძე ბაგისმიერ თავკიდურიან კომპლექსებს აფხაზურ-აბაზურში განიხილავდა საკმაოდ გავრცელებულად, თან „მტკიცე“ კომპლექსებად (ლომთათიძე 1976, 242). აფხაზურ თანხმოვანკომპლექსებში პირველ კომპონენტად ბაგისმიერი **ბ ფ მ** თანხმოვნების ყველაზე გავრცელებულობისა და **წყ, ჭყ, ტყ** კომპლექსების ძირითადად ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში რეალიზების შესახებ მოსაზრებას იზიარებენ თ. გვანცელაძე და ნ. მაჭავარიანი (გვანცელაძე 2003, 34, მაჭავარიანი 2020, 46).

ხ. კაკავა სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის ბოლო ქვეთავს უთმობს ინტერნაციონალიზმების ფონეტიკური ადაპტაციის საკითხებს აფხაზურში. გამოკვეთილია, რომ რუსულისეული **кт, кс, кц, пс** კომპლექსები 1986-1987 წლებში გამოცემულ აფხაზური ენის ლექსიკონის ორტომეულში რუსულისთვის დამახასიათებელი ფორმითაა გადმოცემული, მაგრამ 2005 წელს გამოქვეყნებულ ვ. კასლანძიას აფხაზურ-რუსული ლექსიკონის ორტომეულში **к, п, т** სათანადო ყრუ ფშვინვიერებითაა (**к, п, т**) გადმოტანილი. რუსული **я, э, ю, ё**-ს ასე გადმოიცემა: **я – иа, э – е, ю – иу, ё – ио**. გამსესხებე-

ლი ენის გაორმაგებული თანხმოვნები აფხაზურშიც შენარჩუნებულია: *агрессия, антенна...* (კაკავა 2012, 154-159). მის მიერ აფხაზურში გამოყოფილი ძირეული და მორფემათა მიჯნის კომპლექსების სია მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის დანართში (კაკავა 2012, 166-174). სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც უკვე მისი ნაშრომის რეზიუმირებისას გადმოვეცი, ასახულია მის სტატიებში (კაკავა 2006, 137-145; კაკავა 2006ა, 115-123; კაკავა 2008, 66-69; კაკავა 2009, 103-110).

ჩემს სამაგისტრო ნაშრომზე დაყრდნობითაც მომზადებულია ორი მოხსენება, რომლებიც ეხება აფხაზური ენის თანხმოვანკომპლექსებს:

1) „თანხმოვანტკომპლექსები აფხაზური ენის ერთმარცვლიან ზმნურ ძირებში“¹⁸. კვლევამ აჩვენა, რომ ერთმარცვლიანი ზმნური ძირები რეალიზდება შემდეგი ქვემოდელეებით: **CCV, VCC, CCCVC, CVCCC, CCVC, CVCC, CCVCC, CCCV**. ამათგან ყველაზე ხშირია **CCV** ქვესტრუქტურის ზმნური ძირები, რომლის იდენტურთანხმოვნიანი მიმდევრობები მიღებული უნდა იყოს **CVCV** სტრუქტურისაგან მახვილის მოქმედების შედეგად, რასაც აღნიშნავდა ქ. ლომთათიძე. ამგვარ იდენტურ თანხმოვანმიმდევრობებში არ მონაწილეობენ მხოლოდ სონორები და სონანტები. ამ სტრუქტურაშიც ლაბიალიზებული თანხმოვნები უმეტესად მსგავს ფონემებთან ქმნის მიმდევრობას, პალატალიზებული და ინტენსიური ფონემები თანხმოვანმიმდევრობებში დასტურდება როგორც იდენტურ, ისე არაიდენტურ ფონემებთან. რეალიზდება აღმავალი და იშვიათად დამავალი კომპლექსებიც, ნასესხებ ძირებში დასტურდება **ნ, ლ, მ** სონორებით დაწყებული კომპლექსებიც (ფონიავა 2011ა, 68-70).

2) **CVCV** და **CVCVC** სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის¹⁹. **C**-ს ადგილას იგულისხმება როგორც ცალი თანხმოვანი, ასევე ორ- და სამწევრა თანხმოვანმიმდევრობებიც. კვლევიდან ჩანს, რომ **CVCV** სტრუქტურის 84 ძირიდან 24 **CV** ტიპის ძირთა რედუპლიკაციის გზითაა მიღებული. ამავე სტრუქტურაში შეინიშნება ნასესხობებიც. **CVCVC** მოდელის 26 ძირიდან უმეტესობა ნასესხებია. **CVCCVC** მოდელის ინლაუტში რეალიზდება ორწევრა, იშვიათად სამწევრა თანხმოვანკომპლექსებიც, რომლებიც **CVC** ტიპის ძირთა რედუპლიკაციის გზითაა

¹⁸ ნათია ფონიავა, „თანხმოვანტკომპლექსები აფხაზური ენის ერთმარცვლიან ზმნურ ძირებში“, *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXII* (თბილისი, 2011), 68-70.

¹⁹ ნათია ფონიავა, „**CVCV** და **CVCVC** სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის“, *აკად. ქ. ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლინგვისტ-კავკასიოლოგთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი* (თბილისი, 2011), 154-156.

მიღებული. ორმარცვლიან ძირებშიც ხმოვნებიდან ყველაზე გავრცელებულია ა, მეორე ადგილზეა გ (ფონიავა 2011, 154-155). როგორც აფხაზური, ისე აბაზური თანხმოვანკომპლექსების დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დისერტაციის მეოთხე თავში.

სხვა ენათა მსგავსად, აფხაზურ-აბაზურშიც მიმართავს თანხმოვანკომპლექსთა სუპერაციას. ქ. ლომთათიძის მიხედვით, თანხმოვანთა შეყრის დაძლევა ხდება კომპლექსის გამარტივებით, ბგერათშენაცვლებით ან ორი თანხმოვნის შემდეგ მესამის ზღვარზე გ-ს გაჩენით (ლომთათიძე 1976, 240).

ბ. კაკავაც იზიარებს ორი თანხმოვნის კანონის არსებობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ გ ჩნდება კომპლექსის პირველ და მეორე კომპონენტს შორის, ასევე აფხაზური ენა ნაკლებად ეგუება მარცვალთა სიმრავლეს (კაკავა 2012, 125).

ფ. ბორკი თვლიდა, რომ თანხმოვანთგამყარი გ ჩნდებოდა არა ორი თანხმოვნის შემდეგ, არამედ წინ, ანუ პირველისა და მეორის ზღვარზე (Bork 1909, 9). „ორი თანხმოვნის კანონის“ არსებობას ადასტურებდა ვ. ალენიც აბაზურში, ოღონდ აღნიშნავდა, რომ მას ახასიათებდა გარკვეული შეზღუდვები (Allen 1956, 141-142). ამ კანონის შეზღუდულობას არც ქ. ლომთათიძე უარყოფს (ლომთათიძე 1976, 42).

ა. სპრუიტის მიხედვით, სამწევრა თანხმოვანკომპლექსში გ შეიძლება იყოს პირველსა და მეორეს შორის, ოთხწევრაში – პირველსა და მეორეს ან მეორესა და მესამეს შორის (Spruit 1986, 84). „ორი თანხმოვნის კანონის“ დარღვევის საკითხზე იხ. წინამდებარე დისერტაციის მეოთხე თავი.

ვ. ჩირიქბაც ეხება კომპლექსთა დაძლევის საკითხებს. მისი დაკვირვებით, კომპლექსებში მოქმედებს ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვის წესი. ის გამოყოფს რამდენიმე შემთხვევას:

1) იკარგება ბგერათკომპლექსის პირველი კომპონენტი:

ბჟ > ჟ: ბზიფ. ა-ბჟაჰა-რა, აბჟ. ა-ჟაჰა-რა, ტაპ. ჟაჰა-რა „ლეჰვა“

ბღ > ღ: სამხ. აფხ. (ბზიფ. აბჟ.) ა-ბღაღა-რა „ბარბაცი“, ტაპ. ბღაბღა-რა „ჩორთით სიარული (ცხენისა)“

ფს > ს: სამხ. აფხ. (ბზიფ. აბჟ.) ა-ფსასგა-რა „დნობის დაწყება (თოვლისა)“, ტაპ. სასგა-რა „დნობა“

2) კომპონენტის მეორე ელემენტი გამქრალია:

სამხ. აფხ. (ბზიფ. აბჟ.) ა-ბგრ-რა, ტაპ. ბგრთ-რა „ბარბაცი“ (Chirikba 1996, 77).

ვ. ჩირიქბა აღწერს ორი გლოტალიზებული წევრისაგან შემდგარ თანხმოვანკომპლექსში ერთ-ერთის დეგლოტალიზაციას, რაც, მისი დასკვნით, განსაკუთრებით დამახასიათებელია აშხარულისა და ტაპანთურისათვის:

კტ > ქტ: სამხ. აფხ. (ბზიფ. აბჟ.) ა-კტგ, აშხ. ქტგჟ, „ქათამი“

დეგლოტალიზება ხდება აგრეთვე ყრუ ფრიკატივების წინ:

კშ > ქშ: აბჟ. ა-ქშა-რა, ბზიფ. ა-კშა-რა, ტაპ. ქშა-რა „დარტყმა“

დეგლოტალიზება გვხვდება მორფემათა ზღვარზეც: ბზიფ. აბჟ. ლა-კ-წა, ტაპ. ლა-ქ-ცა „უპე“ (იქვე, 78).

ვ. ჩირიქბა მსჯელობს კომპლექსის შემადგენელი წევრის აფრიკატიზაციის შესახებაც და მოჰყავს შემდეგი მაგალითები: შკ > ჩკ: სამხ. აფხ. (ბზიფ. აბჟ.) ა-შკგლ, ტაპ. შკლა, აშხ. ჩკგლა „უზანგი“ (იქვე, 78).

აფხაზურ-აბაზურისთვის დამახასიათებელი სპონტანური და პოზიციური ფონეტიკური პროცესები აღწერილი აქვს ქ. ლომთათიძეს და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი შედარებით შეზღუდულია, რაც ძირითადად მარტივ შედგენილობასა და თანხმოვანთა სიმრავლეს უნდა გამოეწვია (ლომთათიძე 1976, 220-232, ლომთათიძე 2006, 16-17).

აფხაზურის ფონეტიკურ პროცესებზე მსჯელობას თავიანთ კვლევებში ადგილს უთმობენ აგრეთვე ხ. ბლაჟბა, მ. ციკოლია, ე. კილბა, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი და ო'ჰერინი (Бражба 1964, 94-130, ციკოლია 1969, 17-30, Килба 1983, 15-30, გვანცელაძე 2003, 34-36, კაკავა 2008, 66-69, მაჭავარიანი 2017, 21-29, მაჭავარიანი 2020, 47, O'Herin 2020, 453-454). წინამდებარე კვლევაში ამ მიმართულებით გამოვლენილი სიახლეები ასახულია ნაშრომის ბოლო თავში.

I თავი. აფხაზურ-აბაზურ ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკური ანალიზი

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში აფხაზური ენის ეროვნულ კორპუსსა და აბაზურ სასაუბრო კორპუსზე დაყრდნობით შესწავლილია აფხაზურ და აბაზურ ფონემათა განაწილების საკითხები, ანლაუტის, ინლაუტისა და აუსლაუტის პოზიციების მიხედვით; მოცემულია მათი გავრცელების სტატისტიკა. ამ მიმართულებით კორპუსული კვლევა სიახლეა როგორც აფხაზურის, ისე აბაზურისათვის.

წინამდებარე თავში ჯერ გაანალიზებულია აფხაზურ, ხოლო შემდეგ აბაზურ ხმოვანთა და თანხმოვანთა განაწილების კანონზომიერებანი, შემდეგი ქვეთავი კი ეთმობა აფხაზურ და აბაზურ ფონემათა დისტრიბუციის შედარებით ანალიზს, ბოლო ქვეთავი – შეჯამებას. კვლევის ფარგლებში მომზადებულია ფონემათა დისტრიბუციისა და სტატისტიკის ამსახველი დანართები.

პირველ თავში განხილულ საკითხებზე ამ დისერტაციის ფარგლებში მომზადდა ერთი მოხსენება²⁰ და სამი სამეცნიერო სტატია – აფხაზურ ხმოვანთა დისტრიბუცია ინგლისურ ენაზე²¹, ხოლო აფხაზურ ხშულთა²² და ფრიკატივთა დისტრიბუცია²³ ქართულ და ინგლისურ ენებზე – რომელთა შედეგები მოხმობილია სათანადო საკითხებზე მსჯელობისას.

1.1. აფხაზურ ფონემათა განაწილების საკითხები

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავში წარმოდგენილი აფხაზურ ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკური ანალიზი ეყრდნობა აფხაზურ-

²⁰ ნათია ფონიავა, „აფხაზური ენის ხშულ ფონემათა დისტრიბუცია ანლაუტში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“, *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXII* (თბილისი, 2021), 39-41.

²¹ Natia Poniava, 'Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)', *Caucasica Antiqua et Christiana (In memory of Jan Braun)* I (Warsaw, 2021), 87-90.

²² ნათია ფონიავა, „აფხაზურ ხშულ ფონემათა დისტრიბუცია (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“, *რეცენზირებადი ბილინგვური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“* (ქართულ ენაზე) (თბილისი, 2025) (მიღებულია გამოსაქვეყნებლად). Natia Poniava, 'Distribution of Abkhaz plosive phonemes (According to the Abkhaz National Corpus)', *Electronic bilingual scholarly peer-reviewed Journal 'Spekali'* (in English) (Tbilisi, 2025) (Accepted for publication).

²³ ნათია ფონიავა, „ფრიკატივ ფონემათა დისტრიბუცია აფხაზურში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“, *რეცენზირებადი ბილინგვური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“* 14 (ქართულ ენაზე) (თბილისი, 2020). <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/250> (18.06.2023). Natia Poniava, 'Distribution of fricative phonemes in Abkhaz (According to the Abkhaz National Corpus)', *Electronic bilingual scholarly peer-reviewed Journal 'Spekali'* 14 (in English) (Tbilisi, 2020). <http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/14/250/> (accessed on 18.06.2023).

რი ენის ეროვნულ კორპუსს. კორპუსული კვლევა ამ მიმართულებით სიახლეა, რადგან მანამდე არავის ჩაუტარებია. უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსი ვერ ასხვავებს ძირეულ მორფემას და მორფემათა მიჯნას, აქედან გამომდინარე, თანხმოვანთა განაწილება განხილულია სიტყვაფორმების მიხედვით.

ცნობილია, რომ აფხაზურ სალიტერატურო ენაში 64 ფონემაა, რომელთაგანაც 58 თანხმოვანია და 6 ხმოვანი. როგორც შესავალშიც აღინიშნა, ენის ფონემატური სტრუქტურის კვლევისას მეტად საჭიროა მისი ფონემების დისტრიბუციული კანონზომიერებების დადგენა სტატისტიკის ჩვენებით. ეს საკითხი სათანადოდ რომ არაა შესწავლილი, ლიტერატურის მიმოხილვის დროსაც გამოჩნდა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მომზადდა ერთი მოხსენება და სამი სტატია, რომლებიც ეხება აფხაზურის ხმოვანთა, ფრიკატივ და ხშულ თანხმოვანთა განაწილების საკითხებს ანლაუტის, ინლაუტისა და აუსლაუტის პოზიციების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მომზადებული სტატიებისა და მოხსენების მოკლე დასკვნებია გადმოცემული, შემდეგ მოცემულია სხვა ფონემათა კლასების სიხშირული ანალიზი და ბოლოს ერთიანადაა განხილული აფხაზური ფონემები დისტრიბუციულ-სტატისტიკური თვალსაზრისით, სათანადო მაგალითების დართვით.

როგორც აღინიშნა, ეს კვლევა კორპუსულია, შესაბამისად, სათანადო მაგალითები მოყვანილია არა სალექსიკონო ფორმით, არამედ იმ სახით, როგორც წყაროში (კორპუსში) დასტურდება. ერთი და იგივე სიტყვა კორპუსში სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი; ამის მიზეზი ისაა, რომ ა-პრეფიქსი, რომელიც ხან ზოგადობას გამოხატავს, ხანაც – განსაზღვრულობას, სიტყვაში ზოგჯერ წარმოდგენილია, ზოგჯერ – არა: სალექსიკონო ფორმა ა-მზა „თვე“ კორპუსში მზა ფორმითაცაა დადასტურებული და ამზა ფორმითაც. პირველ შემთხვევაში სონორი ანლაუტის პოზიციას ეკუთვნის, მეორეში – ინლაუტისას.

ჩემს ინგლისურენოვან სტატიაში „Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)“²⁴ დადგენილია, რომ ანლაუტში ხმოვნებიდან ყველაზე ხშირი გავრცელებისაა ა, მას მოსდევს ე, გ, ო, სონანტებიდან ი || ე სჭარბობს უ || ჟ-ს.

²⁴ ხმოვანთა დისტრიბუცია აფხაზურში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით).

ინლაუტშიც ყველაზე ხშირია ა, ამ შემთხვევაში მეორე ადგილზეა გ, შემდეგ უკვე მოდის ე და ო, სონანტებიდან უ || ჭ ამ პოზიციაში აღემატება ი || ძ-ს. აუსლაუტში ხმოვანთა სიხშირული გავრცელება ამ თანმიმდევრობისაა: ა, გ, ო, ე, ბოლოკიდურ პოზიციაშიც ი || ძ უ || ჭ-ზე მეტი სიხშირით ხასიათდება. კვლევიდან ჩანს, რომ ყველა პოზიციაში ა უპირატესია, კერძოდ, ანლაუტში – 22.57%, ინლაუტში – 62.85%, აუსლაუტში – 31.54%. მეორე ადგილს ინლაუტსა (32.09%) და აუსლაუტში (13.83%) იკავებს გ, თუმცა ანლაუტში გ-ს (0.24%) საგრძნობი სხვაობით აღემატება ე (2.14%) (Poniava 2021, 87-90). აფხაზურ ხმოვანთა პოზიციების მიხედვით რეალიზების ცხრილი იხ. დანართში (ცხრილი #1).

ფრიკატივებზე ჩატარებულმა კორპუსულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ისინი წარმოდგენილია ინლაუტში (66.49%), ანლაუტში – 13.06 %-ით, ყველაზე იშვიათად კი – აუსლაუტში (12.05%). მათი სიხშირული გავრცელების თანმიმდევრობა პოზიციათა მიხედვით ასეთია:

ანლაუტი: ს, ზ, ჰ, ჰი, ში, ში, ხ, ჰ²⁵, შ, ხი, ჟი, ს, ლ, ჭ, ვ, დ, ჟი, ჟ, ლ.

ინლაუტი: ხ, ზ, ს, ში, ჰი, ს, ჰი, ში, ში, ჰი, ხი, ჟი, ვ, ჭ, დ, ჟი, ლ, ლ.

აუსლაუტი: ზ, ს, ს, ში, ჰი, ხ, ში, ში, ხი, ჟი, ვ, ჰი, ჭ, დ, ლ, ჟი, ლ.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ფრიკატივები სხვადასხვა სიხშირით რეალიზდება სხვადასხვა პოზიციაში. მაგალითად, ხ ანლაუტში მეშვიდე ადგილასაა, ინლაუტში ყველაზე გავრცელებულია, აუსლაუტში კი მეექვსე ადგილს იკავებს; ზ ანლაუტსა და ინლაუტში მეორე ადგილზეა, აუსლაუტში კი – პირველზე. კორპუსულმა კვლევამ ისიც წარმოაჩინა, რომ ვ, ჭ, ჰ (შორისდებულებშიც, მით უფრო აუსლაუტში) და ჟი ყველა პოზიციაში ძირითადად ნასესხებ ლექსიკაშია წარმოდგენილი; ლ, ინლაუტის მსგავსად, აუსლაუტშიც ყველაზე იშვიათია, თან ბოლოკიდურ პოზიციაში უმეტესად სხვა ენათაგან შეთვისებულ სიტყვებში ვლინდება. აუსლაუტში ჰ ძირითადად პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი აფიქსის ფუნქციითაა. სხვა ფრიკატივები ძირითადად საკუთრივ აფხაზურ მასალაში დასტურდება, უფრო იშვიათად – ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში (ფონიავა 2020). დასახელებული სტატიის ფარგლებში მომზადებული ფრიკატივთა პოზიციების მიხედვით გავრცელების

²⁵ ნაშრომში ფონოლოგიური სიზუსტისთვის ამ გრაფემით გამოხატულია აფხაზური ფონემა, რომელიც აფხაზურ ანბანში გადმოიცემა <თი, ხოლო მის ქართულ ტრანსკრიფციაში – ჯ-თი.

ცხრილი იხ. დანართში (ცხრილი #2).

ამავე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მომზადდა მოხსენება „აფხაზური ენის ხშულ ფონემათა დისტრიბუცია ანლაუტში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანლაუტში ხშულ ფონემათა განაწილება სიხშირის მიხედვით ამგვარია: **დ, ბ, ფ, ყ, თ, კ, გ, ჭ, ჯ, წ, ც, ც, პ, გ, ჩ, ძ, ტ, ჩ, ჭ, ყ, კ, ჭ, ქ, კ, წ, ტ, ქ, ყ, ლ, გ, ძ, თ, ჯ**. ისინი რეალიზდება როგორც საკუთრივ აფხაზურ, ისე ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში, **დ** და **ბ**-ს ყველაზე ხშირი გავრცელება აიხსნება მათი მორფემული ფუნქციითაც. **პ** კორპუსში მხოლოდ რუსულ ნასესხობებში (**პოეტ** „პოეტი“, **პოეზია** „პოეზია“, **პროზა** „პროზა“) რეალიზდება ანლაუტში, სხვა ფონემები დასტურდება საკუთრივ და ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში (ფონიავა 2021, 39-40).

ზემოთ განხილული მოხსენების წაკითხვის შემდეგ, ჩემ მიერ მსგავსი კვლევა ჩატარდა ინლაუტისა და აუსლაუტის პოზიციების გათვალისწინებითაც, რამაც ამ ფონემათა დისტრიბუციის უფრო სრულყოფილი სურათი მოგვცა. დადგინდა ინლაუტისა და აუსლაუტის პოზიციებშიც ხშულთა სიხშირული რეალიზაციის შემდეგნაირი თანმიმდევრობა:

ინლაუტი: **თ, ფ, ბ, ჭ, გ, კ, წ, დ, გ, ყ, ძ, ც, ც, ტ, გ, ტ, კ, ჭ, პ, ჩ, ჩ, წ, ყ, ჭ, ჯ, ყ, ქ, ქ, კ, ძ, ლ, თ, ჯ**.

აუსლაუტი: **ტ, პ, კ, ტ, თ, ც, გ, ბ, ფ, ჭ, დ, ქ, ჩ, ყ, ძ, გ, გ, წ, ძ, ც, ჭ, ჯ, კ, კ, წ, ჭ, ყ, ლ, ქ, ჩ, ჯ, თ, ყ**.

კვლევის შედეგი სრულად ასახულია სტატიაში „აფხაზურ ხშულ ფონემათა დისტრიბუცია (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“. კვლევისას გამოიკვეთა, რომ აფხაზურში ყველა ხშული რეალიზდება სამივე პოზიციაში, ცხადია, განსხვავებული სიხშირული მაჩვენებლით. ყველაზე გავრცელებულია ის ხშულები, რომლებიც აფიქსებია ან აფიქსთა შემადგენლობაშია. ხშულთა უმეტესობა დასტურდება როგორც საკუთარ ლექსიკურ ფონდში, ისე ნასესხობებში, მაგრამ ცალკეული ფონემები დიდწილად ნასესხებ მასალაშია (ფონიავა 2025). სტატიის ფარგლებში მომზადებული ხშულთა გავრცელების ცხრილი იხ. დანართში (ცხრილი #3).

აფხაზურში სონორები ანლაუტში ასეთი თანმიმდევრობით რეალიზდება: რ, ლ, მ, ნ. ინლაუტშიც რ ლიდერობს, მაგრამ მეორე ადგილს ნ იკავებს, მესამე და მეოთხე ადგილებს ლ და მ ინაწილებენ. აუსლაუტში პირველობა ნ-ს ეკუთვნის, მეორე და მესამე ადგილზე რ და მ არის, ყველაზე იშვიათი დისტრიბუციით კი ლ ხასიათდება (იხ. ცხრილი #4).

აქამდე განხილული იყო აფხაზურ ფონემათა კლასების მიხედვით განაწილება სხვადასხვა პოზიციაში, მაგრამ სრული სურათის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ერთად იყოს ნაჩვენები მთლიანი ფონემატური ინვენტარის დისტრიბუციული კანონზომიერებები. ქვემოთ ერთიანად იქნება წარმოდგენილი აფხაზურ ფონემათა სიხშირული გავრცელების ანალიზი ანლაუტის, ინლაუტისა და აუსლაუტის გათვალისწინებით (იხ. ცხრილი #5).

ჯამში დანართში 62 გრაფემაა, რადგან ი || მ და უ || ჭ აფხაზურში ორი გრაფემით (ი || ყ) გამოიხატება. თითოეული ფონემისთვის მოხმობილია ორი ან სამი მაგალითი; ნასესხები მასალის შემთხვევაში მითითებულია წყარო ენაც, რომლიდანაც უშუალოდ ან შუალობით უნდა იყოს ნასესხები ესა თუ ის სიტყვა.

ანლაუტი. ჩემ მიერ ჩატარებული კორპუსული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ანლაუტში ყველაზე გავრცელებულია ა ხმოვანი, კერძოდ, 22.6%-იანი მაჩვენებლით. ის აქტიურია როგორც ძირის შემადგენელ ნაწილად, ისე აფიქსის ფუნქციით (ან „დედა“, არ „არმია“, ანცა „ღმერთი“). მას მცირედ ჩამორჩება მ || ი, რეალიზებულია 18.9%-იანი მაჩვენებლით. როგორც აღინიშნა, აფხაზურში ი გრაფემით გადმოიცემა როგორც ი, ისე მ, რის გამოც კორპუსი ვერ მიჯნავს ხმოვანსა და სონანტს. მ-ს ასეთ სიხშირეს ხელს უწყობს მისი კლასოვან-პიროვან პრეფიქსად გამოყენება (ინხო „მცხოვრები“, იზბანზარ „ამიტომაც“, მარა „ის“ (კაცი, ნივთი).

სხვა ფონემები ა-სა და მ || ი-ს მსგავსი მაღალი პროცენტულობით ანლაუტში ვერ სარგებლობს, თუმცა დასახელებულ ფონემებთან ერთად პირველ ხუთეულში შედის ისინი, რომლებიც მეტად ნაყოფიერია კლასოვან-პიროვან პრეფიქსად, ესენია: დ, ჭ, რ:

დ – დტაპ „დაჯდება ის (ად.)“, დასუ „ყოველი“, დაგა „ყრუ“;

ჭ || უ²⁶ – ჭცოფტ „მიდიხარ შენ (კ.)“, ჭახუნლა „წუხელ“, უბრი „იგი“;

რ – რასა „თხილი“, რბეფტ „ნახეს“, რაბაცა „წინაპარი“.

²⁶ ჭ || უ-ც, მ || ი-ს მსგავსად, აფხაზურში ერთი, კერძოდ, ყ, გრაფემით გამოიხატება.

ანლაუტში გავრცელების მხრივ მეორე ხუთეულს ქმნის: **ს, ზ, ე, ჰ, ლ**:

ს²⁷ – სან „დედაჩემი“, სცემტ „წავედი“, სტოლ „მაგიდა“ < რუს. стол „id“;

ზ²⁸ – ზნე „ერთხელ“, ზბოდტ „ვხედავ“, ზაკან „კანონი“ < რუს. закон „id“;

ე – ეძა „მეტი“, ესემზა „ყოველთვე“, ეჯერთ „სხვები“;

ჰ²⁹ – ჰცოდტ „მივდივართ“, ჰუს „ჩვენი საქმე“, ჰალალ „კეთილი“ < თურქ. helal „id“);

ლ³⁰ – ლარა „ის (ქ.)“, ლაბ „მისი (ქ.) მამა“, ლექტორ „ლექტორი“ < რუს. лектор „id“.

აფხაზური ენის ანლაუტში ყველაზე გავრცელებული მეორე ათეული ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: **ნ** (ნანდუ „ბებია“, ნაპე „ხელი“, ნომერ „ნომერი“ < რუს. номер „id“), **ჰ** (ჰიგზბალა „დანით“, ჰაადა „უსაზღვრო“, ჰენთქარცა „სახელმწიფოები“), **მ** (მავ „არა“, მზა „თვე“, მეტრ „მეტრი“ < რუს. метр „id“), **ბ** ხშირია კლასოვან-პიროვან პრეფიქსადაც (ბარა „შენ (ქ.)“, ბაშა „ფუჭი“, ბაბ „შენი (ქ.) მამა“), **შ** (შაყა „რამდენი?“, შიკაკა „თეთრი“, შიკოლ „სკოლა“ < რუს. школа „id“), **შ** მეტად გავრცელებულია კლასოვან-პიროვან პრეფიქსად (შაბ „მამათქვენი“, შიყე „წიგნი“, შიტოჟპ „თქვენ სხედართ“), **ხ** (ხაწა „კაცი“, ხაა „ტკბილი“), **ფ** (ფჰა „ქალიშვილი“, ფჰეს „ქალი, ცოლი“), **ყ** (ყაფშ „წითელი“, ყაჰწეპტ „გავაკეთეთ“, ყალა „ციხე“ < თურქ. kale „id“), **თ** (თაგალან „შემოდგომა“, თაცა „რძალი, პატარძალი“, თძე „კედელი“).

აფხაზურში ანლაუტში რეალიზების თვალსაზრისით მესამე ათეულს შეადგენს: **ჰ** (ჰეჯა „ორი (ად. კ.)“, ჰაჟა „ოცი (ნ. კ.)“, ჰნე „სახლი“), **შ** (შა „სისხლი“, შარდა „ბევრი“, შთა „კვალი“), **კ** (კჰა „ძუძუ“, კრა „კონცხი“, კამბაშ „კამეჩი“ < მეგრ. კამბეში „id“), **ხ** (ხჰეკ „ხუთი (ად. კ.)“, ხეცრა „ფიქრი“), **გ** (გაშ „ჭიშკარი“, გაშა „ფულურო“), **ჰ** (ჰაწა „ლუკმა“, **ჰ**ე „პირი“), **ჯ** (ჯარჯე „არსად“, ჯრა „მუხნარი“, ჯჰანგმ „ჯოჯობეთი“ < თურქ. cehennem „id“), **გ** (გჰ „შორისდებული“, გჰ „ჭამე!“), **ჟ** (ჟაბა „ცამეტი (ნ. კ.)“, ჟრა „დალევა“, ჟლარ „ხალხი“), **წ** (წა „ფსკერი“, წაჰე „მკითხავი“, წას „წესი, ადათი, ჩვეულება“ < ქართ. წესი „id“).

თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილი მეოთხე ათეული ასეთია: **ც** (ცეძ

²⁷ ფუნქციით კლასოვან-პიროვანი პრეფიქსია.

²⁸ წარმოდგენილია როგორც ძირის ელემენტად, ისე აფიქსად.

²⁹ ძირითადად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსის ფუნქციითაა.

³⁰ მეტწილად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსის ფუნქციითაა.

„დანაკარგი“, ცა „ტყავი“, ცაზა „ცუდი“), ც (ცვა „ხიდი“, ცხა „თაფლი“, ცინკ „თუთია“ < რუს. цинк „id“), ჰ მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში რეალიზდება (პასპორტ „პასპორტი“ < რუს. паспорт „id“, პლაკატ „პლაკატი“ < რუს. плакат „id“), გ (გადა „სულელი“, გიმნ „ჰიმნი“ < რუს. гимн „id“), ხ (ხჩა „მწყემსი“, ხემ „სახელი“, ხთა „სიცივე“), ჩ (ჩენლა „დღისით“, ჩან „ჭაკი“, ჩა „ფურირემი“), ძ (ძადა „ცვარი“, ძა „ნედლი“, ძბა „წყურ-ვილი“), თ (თჰ „შორისდებული“, თჰ „შორისდებული“, ანლაუტისეული თ-ს შემცველი სიტყვების აბსოლუტური უმეტესობა რუსულიდანაა ნასესხები: თჰიცერ „ოფიცერი“ < რუს. офицер „id“), ტ (ტსა „ტყვია“, ტატარა „რბილობი“, ტემა „თემა“ < რუს. тема „id“), ჭ (ჭჰგვ „ექვსი (ად. კ.)“. ჭ განსაკუთრებით ხშირია ნასესხობებში: ჭორმა „ფორმა“ < რუს. форма „id“).

სიტყვის თავკიდურად აფხაზურ ენაში რეალიზებული მეხუთე ხუთეული ასეთი შემადგენლობისაა: ჩ (ჩა „პური“, ჩეს „საჭმელი“, ჩართა „პურის ყანა“), ჭ (ჭედალა „განსაკუთრებით“, ჭერჭერა „ჭიკჭიკი“, ჭანდარ „ჭადარი“ < მეგრ. ჭანდარი „id“), ვ (ვაწეს „ნეკნი“, ვბა „ბრალი“, ვერს „ვერსი“ < რუს. верс „id“). ვ მეტწილად ნასესხებ ლექსიკაშია, ასევე კორპუსში შესული აფხაზური მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟების რუსულენოვან დიალოგებში: все „ყველა“), ლ (ლე „ფიცარი“, ლლა „ძლიერი“), ყ (ყმა „განყოფილება“, ყოდ „ლობიო“, ყარა „რიყე“), კ (კა „უბე“, კადგრ „უნაგირი“, კატა „იხვი“ < მეგრ. კვატა „id“), ქ (ქჰძარალა „წარმატებით“, ქა „წვიმა“, ქაბ „სპილენძის ქვაბი“ < ქართ. ქვაბი „id“), ქ (ქდგ „ჯირკი“, ქეთა „სოფელი“, ქალაქ „ქალაქი“ < ქართ. ქალაქი „id“), კ (კაჭრა „სიმოკლე“, კაკა „მაგარი“, კგბა „კიბე“ < ქართ. კიბე „id“), წ (წე „შამფური“, წეჟარა „ტირილი“, წაწლა „ვაშლის ხე“).

აფხაზურ ენაში ლექსიკური ერთეულის თავკიდურ პოზიციაში გავრცელების მხრივ მეექვსე ათეულს შეადგენს: ტ (ტართა „დასაჯდომი ადგილი“, ტე „მონა“, ტეჭა „რქა“), ქ (ქამსა „კუჭი“, ქაჰ „ქეიფი“ < თურქ. keyif „id“), ყ (ყანტაზ „შიშველი“, ყაფს „ბრტყელი“), ლ (ლეღბა „მატარებელი“, ლანგ „გარეთ“. ლ ხშირია ლოკალური პრევერბის შემადგენელ ნაწილად: ლეღლწრა „გარეთ გასვლა“), ლ (ლბა „გემი“, ლრა „ნაკლი“), გ (გაგა „რგოლი“, გეჟ „ბორბალი“, გამა „გემო“ < ქართ. გემო „id“), ჟ (ჟეგო „მოზარდი“. ჟ მეტწილად ნასესხებ სიტყვებშია: ჟანრ „ჟანრი“ < რუს. жанр „id“), ჟ (ჟთაარა „რთველი“, ჟგ „ხორცი“, ჟა „კურდღელი“), ლ (ლალ-პალ „ხმაური“, ლგჩ

„ქურდი“), ძ (ძებრა „ბევრი“, ძიარა „რეცხვა“).

აფხაზურ ენაში ანლაუტის პოზიციებში, მეექვსე ათეულში შემავალი ლ, გ, ჟ, ჟ, ლ და ძ ფონემების მსგავსად, 0.01%-ით დასტურდება თ (თჰა „შელოცვა“, თა „თივა“) და ჯ (ჯგერ „ფოლადი“, ჯგშე „ნიორი“).

ინლაუტი. კორპუსული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინლაუტშიც, ანლაუტის მსგავსად, ყველაზე მაღალი დისტრიბუციით ხასიათდება ა ხმოვანი, კერძოდ, 62.85%-ით (ამათ „გველი“, აბართ „ესენი“, აპლან „გეგმა“ < რუს. план „id“). მას მოსდევს გ, 32.09%-იანი სიხშირით (აჭგრხაწა „ვაჟკაცი“, აძგნ „ზამთარი“, ახთგს „თავგადასავალი“). სამეულში შედის რ 26.55%-ით (სარა „მე“, ამრა „მზე“, აბარწა „აივანი“). მათთან ერთად პირველ ხუთეულს შეადგენს: ძ || ი (აბზიბარა „სიყვარული“, იზბოდტ „ვნახე“, ავტონომია „ავტონომია“ < რუს. автономия „id“) და ნ (აბნა „ტყე“, აანდა „ლობე“, კაბინეტ „კაბინეტი“ < რუს. кабинет „id“).

ინლაუტში აფხაზურ ფონემათა ყველაზე ხშირად ხმარებული მეორე ხუთეულია: ლ, ჟ || უ, ე, ხ, ზ:

ლ – აბლა „თვალი“, აწლა „ხე“, აკლასს „კლასი“ < რუს. класс „id“;

ჟ || უ – აზოჟრა „სიცხე“, აუს „საქმე“, აინსტიტუტ „ინსტიტუტი“ < რუს. институт „id“;

ე – ზევი „ყველა“, სცედტ „წავედი“; ე არის ნასესხობანშიც: ალლერგია „ალერგია“ < რუს. аллергия „id“;

ხ – აცხა „თაფლი“, სგნხოდტ „ვცხოვრობ“;

ზ – აზნა „სავსე“, ბზგგ „ბზიფი“. ზ ზოგჯერ დასტურდება ნასესხებ სიტყვებშიც: აზინ „უფლება“ < თურქ. izin „id“.

აფხაზურ ფონემათაგან ინლაუტში წარმოდგენილი მეორე ათეული ასეთი თანმიმდევრობისაა: მ (ამთა „დრო“, ათაჰმადა „მოხუცი“, ატემა „თემა“ < რუს. тема „id“), ო (სყოჟე „ვარ“, ავტორ „ავტორი“ < რუს. автор „id“), ს (აფსნგ „აფხაზეთი“, აფსა „ფასი“. ს გავრცელებულია საკუთარ სახელებსა და სხვა ლექსიკურ ნასესხობებშიც: ასლან „ასლანი“, აჭასად „ფასადი“ < რუს. фасад „id“), თ (ათრა „ბუდე“, აუთრა „ბოსტანი“, ათბაა „ფართო, განიერი“), ფ (ეფშემ „განსხვავებული“, აფსრა „გარდაცვალება“, ათეფჰა „ქალიშვილი“), ბ (აბზ „ენა“, აბრი „ეგ“, დარბან „ვინ?“), ქ (აზჰა „ზურგი“, აჰაჰა „ქატო“. ქ ხშირია მრავლობითის სუფიქსის შემადგენელ

ელემენტად: ამხჷა „ყანები“, გ (აგაძა „სულელი“, ანაგა „ღირსი“, აგარა „წაღება“), კ (აწაკე „შინაარსი“, ალკაარა „გამორჩევა“, ასეკუნდ „წამი“ < რუს. секунда „id“), ში (ბაშა „სადა“, აფშა „ქარი“. დასტურდება ში ფონემის შემცველი ნასესხები სიტყვებიც: აშკოლ „სკოლა“ < რუს. школа „id“).

აფხაზური ენის ინლაუტში ფონემათა მესამე ათეული ამ თანმიმდევრობით რეალიზდება: წ (აზწარა „შეკითხვა“, აფწარა „გამომწვევა“, ახაწარა „დაჯერება“), დ (ადკლარა „მიღება“, ხემფადა „აუცილებლად“, აბდუ „ბაბუა“), ჯ (ზეჯე „ყველა“. ჯ ძალიან ხშირია -ც ნაწილაკის ფუნქციით: სანჯე „დედაჩემიც“), ჰ (ანგჰაშა „ჰიმნი“, ადთაჰარა „გამეორება“, ახენჰარა „დაბრუნება“), ყ (იყალაჰ „მოხდება“, აფსყე „საჭე“, ზაყა „რამდენი?“), ძ (ამძენ „ზამთარი“, აგაძარა „სისულელე“. ძალიან ხშირია ინტენსივობის სუფიქსისეული ძ: დუძმა „ძალიან დიდი“), წ (აფწარა „დაძახება“, აფწაძარა „თვლა“, სანწა „სახე“ < ქართ. სახე „id“), ჰ (საკუთარი ლექსიკური ფონდის სიტყვებშია: ამჰასრა „ჩავლა“, ჟაჰგუ „ათი (ად.)“, ში (აყაზშა „ხასიათი“, აშა „სისხლი“. ში იშვიათად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშიცაა: ადაშმა „იატაკი“ < თურქ. döşeme „id“), ც (აცგრა „ღერი“, ამგცრა „შური“, ამცგლარა „ჩვევა“).

აფხაზური ენის ინლაუტის პოზიციებში გავრცელებულ მეოთხე ათეულს შეადგენს შემდეგი ფონემები: ცი (ათაცე „ცარიელი“, აციგძრა „დაკარგვა“. ძალიან ხშირია მრავლობითის სუფიქსისეული ცი: აფგლაცა „მეზობლები“), ში (აფშამაფჰეს „დიასახლისი“, აბეზშა „ენა“), ჰი (აკაჰარა „ვარდნა“, აზჰარა „გაზრდა“. ჰი ხშირია ნასესხებ ლექსიკაში: აბაჰჩა „ბალი“ < თურქ. bahçe „id“), ტი (ატე „ბუ“. ტი გავრცელებულია ნასესხობანში: ანკეტა „თეატრი“ < რუს. анкета „id“), გი (აგი „გული“, აფგრჰა „დარდი“, აგილ „ვარდი“ < თურქ. gül „id“), ტი (ატიარა „ჯდომა“, სენტი „წელს“. ძალიან ხშირია დანიშნულების სუფიქსისეული ტი: არატი „აქაური“), კი (აკატე „ქათამი“, ათაკაჟი „მოხუცი“, აჰკოენ „ბიჭი“), ჰი (აშაჰა „ნაბიჯი“, აჰგეჰი „ნაპირი“), ხი (ანხა „დედამთილი“, იშვითად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშიცაა: აჰხაჰამა „ეკლესია“ < მეგრ. ოხვამე „id“), ჟი (საკუთრივ აფხაზურ ლექსიკაშია: აჟჰან „ცა“, ჟაჟტი „თანამედროვე“).

აფხაზურ ენაში ინლაუტში გავრცელების მხრივ მეხუთე ათეულში შემავალი ფონემებია: პი (აჟპარა „სიხშირე“. პი ძალიან ხშირია ნასესხებ ლექსიკაში: აოპერა „ოპერა“ < რუს. опера „id“), ჟი (აბჟარა „მანძილი“, რგბჟე „მათი ხმა“). ნასესხებია ჟი

ფონემის შემცველი საკუთარი სახელები: ბეჟან „ბეჟანი“), ჩხ (დაჩხა „სხვა“, ესჩხნგ „ყოველდღე“), ჩ (აჩხა „მწყერი“, აჩაშ „ხაჭაპური“), წ (ალარწარა „გავრცელება“, აწახრა „დამალვა“, აწწამთა „დასასრული“), ყ (ანგყარა „მოგზაურობა“, ატყა „ტყვე“ < ქართ. ტყვე „id“), ჭ (აჭგდა „თავისებური“, მაჭკ „ოდნავ“), ვ (ავბარა „დადანამაულება“, ათძგვარა „გარეთა კედელი“. ვ უმეტესწილად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია: აკვარტირა „ბინა“ < რუს. квартира „id“), ჯ (ჭგჯა „ორი“. ჯ რეალიზდება ნასესხობებშიც: აბჯარ „აბჯარი“ < ქართ. აბჯარი „id“), ყ (ამყარა „უხერხული“, აცყარა „მიზანი“).

აფხაზური ენის ინლაუტში ყველაზე იშვიათ, კერძოდ, მეექვსე ათეულს ქმნის შემდეგი ფონემები: ქ (აქეთაჭე „სოფელში“. ქ არის ნასესხობანშიც: პუნქტ „პუნქტი“ < რუს. пункт „id“), ჭ (აჭარა „ჭამა“. ჭ მეტწილად ნასესხებ სიტყვებშია: აჭუნქცა „ფუნქცია“ < რუს. функция „id“), ლ (ალა „მტერი“, აყგლა „ჭკვიანი“. ლ რეალიზდება სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებშიც: აძღაბ „გოგო“ < მეგრ. ძღაბი „id“), ჟ (აჟგა „ბარი“, აჟანრ „ჟანრი“ < რუს. жанр „id“), ლ (არლა „მარჯვენა“, აბლგც „ფოთოლი“), ქ (ესქგნაგ „ყოველთვის“, აპაქგმ „ექიმი“ < თურქ. hakim „id“), კ (არგაჭარა „შეჭრა“, სარგა „სარკე“ < ქართ. სარკე „id“), ძ (აძგე „არავინ“, აძძაგა „სარეცხი“), ლ (აღეჭარა „გაგზავნა“, აღეჭლარა „გამგზავრება“), ლ (არლლარა „გამლიერება“, ახღლრა „იატაკი“).

ანლაუტის მსგავსად, ინლაუტშიც ყველაზე იშვიათია თ (აკათარა „გადაქცევა“, ამათახ „ნივთიერება“, ათან „ჭერი“ < თურქ. tavan „id“) და ჯ (აჯგეშ „ნიორი“, აჯგერ „ფოლადი“).

აუსლაუტი. ჩემ მიერ ჩატარებული კორპუსული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აუსლაუტშიც ყველაზე მაღალი გავრცელებით გამოირჩევა ა ხმოვანი (დარა „ისინი“, აბნა „ტყე“, უბრა „იქ“), კერძოდ, 31.54%-ით, 13.83%-ით მეორე ადგილზეა გ (აბჟე „ხმა“, აკგ „ერთი“, ზნგ „ერთხელ“). მათთან ერთად პირველ ხუთეულს ქმნის: ტ³¹ (დცეღტ „წავიდა ის (ად.)“. ტ ძალიან გავრცელებულია ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში: კანდიდატ „კანდიდატი“ < რუს. кандидат „id“), ნ (ან „დედა“, ამშგნ „ზღვა“, აზაკან „კანონი“ < რუს. закон „id“) და ი || ი (აბრი „ეგ“, აღუნემ „სამყარო“ < თურქ. dünya „id“), ი || ი ყველაზე ხშირია „და“ კავშირისა და ინფინიტურ ფორმათა სუფიქსის ფუნქციით).

³¹ ყველაზე ხშირია ფინიტობის სუფიქსის შემადგენელ ერთეულად.

აფხაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში ყველაზე გავრცელებული მეორე ხუთეული ამ შემადგენლობისაა: **ზ, პ, რ, ს, კ**:

ზ – აზზ „ენა“. **ზ** ხშირია ინფინიტურ ფორმათა სუფიქსად (დაბაყაზ „სადაც იყო“) და დასტურდება ნასესხებ ლექსიკაშიც: კავკაზ „კავკასია“ < რუს. Кавказ „id“;

პ – მაპ „არა“. **პ** ძირითადად გვხვდება სუფიქსისეულ ელემენტად: დხალაპ „მოასწრებს ის (გონ.)“;

რ – არ „ჯარი“, აზარ „აგერ“, ავტორ „ავტორი“ < რუს. автор „id“;

ს – მეტწილად საკუთრივ აფხაზურ ლექსიკაშია წარმოდგენილი: აზას „ასე“, ასას „სტუმარი“, მაგრამ არის ნასესხობებშიც: წას „წესი“ < ქართ. წესი „id“;

კ – აკ „ერთეული“, ბზანწკ „არასოდეს“. **კ** მეტწილად განუსაზღვრელობის სუფიქსის ფუნქციითაა: ხათარნაკ „(ერთი) წარმომადგენელი“.

აფხაზური ენის აუსლაუტში გავრცელების მხრივ მეორე ათეულს ქმნის: **ჟ || უ** (დუ „დიდი“, საბდუ „ბაბუაჩემი“, იმარიოჟ „ადვილი“. ბოლოკიდური **ჟ** მეტწილად ინფინიტურ ზმნურ ფორმებშია), **ო** (იცო „წამსვლელი“. **ო** დასტურდება ნასესხობებშიც: არადიო „რადიო“ < რუს. радио „id“), **მ** (ყველაზე გავრცელებულია უარყოფის სუფიქსად და ხშირია ნასესხებ ლექსიკაშიც (აბჟმ „უცხო“, აშჰამ „შხამი“, აგრონომ „აგრონომი“ < რუს. агроном „id“), **ტ** (აკერენტ „ბევრჯერ“. **ტ** მეტწილად დანიშნულების სუფიქსის ფუნქციითაა: არჟჟოტ „სასმელი“), **თ** (ურთ „ისინი“, აშჰჰათ „მოწმე“ < თურქ. şahit „id“), **წ** (ხეწ „ზევით“, აშთაწ „შემდეგ“, ამაწურთაწ „სამზარეულოსკენ“. **წ** ყველაზე ხშირია სწორედ -აწ „-კენ, -ში“ თანდებულის ფორმებში), **შ** (ახში „რძე“, ზეფშე „საერთო“, აკარტოშე „კარტოფილი“ < რუს. картошка „id“), **ც** (აც „კბილი“, ამც „ტყუილი“, ნაპხეც „ხელის ფრჩხილი“), **ლ** მეტწილად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია წარმოდგენილი (იმგალ „მისი (კ.) მჭადი“, აშჰკოლ „სკოლა“, აზარალ „ზარალი“ < რუს. зарал „id“), **ჯ** (ესნაჯ „მუდამ“, აზრაჯ „ყაჩაღი“ < ქართ. აზრაგი < რუს. аргаг „id“).

აფხაზურ ენაში აუსლაუტის პოზიციაში მესამე ათეული ამ თანმიმდევრობითაა გამოვლენილი: **ჰ** (აბაჰ „ძვალი“. **ჰ** მეტწილად პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი აფიქსის ფუნქციით რეალიზდება: ააბაჰ „გამზრდელი“), **ბ** (ახებ „სახურავი“, აბ „მამა“, აბლაბ „გოგო“ < მეგრ. ძლაბი „id“), **ხ** (წფეხ „შარშან“, აჟათახ „ოთახი“ < ქართ. ოთახი

„id“. აქვე არის ზოგი რუსული სიტყვა, რომელიც აფხაზურ მხატვრულ ნაწარმოებთა დიალოგებშია გამოყენებული: многих „ბევრს“, შ (აშ „ყველი“, აძერლაშ „ანკარა (ქვეწარმავალი)“, აგაშ „ჭიშკარი“), ფ (ათფ „ადგილი“, აგფ „ჯგუფი“, ანსფ „ბედი“ < თურქ. nasip „id“), შ (აჯგშ „ხახვი“, ყაფშ „წითელი“, არაშ „რაში“ < ქართ. რაში „id“), ხ (სგძაშ „ჩემი ამბავი“, ირაშ „მისი (კ.) საქონელი“, არგცხ „რიცხვი“ < ქართ. რიცხვი „id“), ყ (ამჩგბყ „კვირა“, აშგყ „დილა“, აყ „ყურძენი“), ჭ (კაჭ „მოკლე“. ის ყველაზე გავრცელებულია თანდებულის სახით: აბნაჭ „ტყეში“), დ (ლყგდ „მისი (ქ.) ლობიო“. დ ძალიან ხშირია ნასესხებ ლექსიკაში: ლტეტრად „მისი (ქ.) რვეული“ < რუს. тетрад „id“).

აფხაზური ენის აუსლაუტში წარმოდგენილი მეოთხე ათეული ასეთი თანმიმდევრობისაა: ქ (აჩგქ „ბუჩქი“, აჩოთქ „ჯაგრისი“ < რუს. щётка „id“), ჟ (აჟ „ძველი“, ათაჟაჟ „მოხუცი“. ჟ ნასესხებ ლექსიკაშიც რეალიზდება: აკარპჟო „საზამთრო“ < თურქ. karpuz „id“), ვ (საკუთრივ აფხაზურ ერთადერთ ხმაბადვით სიტყვაშია: აჭგვ-სგვ „ტყვის ზუზუნის ხმა“, სხვები ნასესხებია: რეზერვ „რეზერვი“ < რუს. резерв „id“), ჰ (მეტწილად შორისდებულებსა (ოჰ „ოჰ“) და სხვა ენათაგან შეთვისებულ ლექსიკაშია: აკალმაჰ „კალმახა“ < ქართ. კალმახა „id“, ავადიმაჰ „ვადიმაჰი“ < თურქ. padişah „id“), ჩ (რგმჩ „მათი ძალა“, ამატჩ „მატჩი“ < რუს. матч „id“), ე (აევანგელდე „სახარება“ < რუს. евангелие „id“, აკაჟე „კაფე“ < რუს. кафе „id“. ე სახელებსა და გვარებშიც მხოლოდ ნასესხობებშია: თორნიკე, კაპანადე...), ყ (ყყ „ბლო“, იჟაჯაყ „მისი ბუხარი“ < თურქ. ocak „id“), ძ (აძ „რწყილი“, რგძ „მათი სახელი“), გ (ლგო „მისი (ქ.) გული“, იმაგო „მისი (კ.) ჩექმა“ < მეგრ. მაგუ „ცუდი ფეხსაცმელი“), გ (აწაბგრგ „სიმართლე“. გ ძალიან ხშირია ნასესხობებში: აჟლაგ „დროშა“ < რუს. флаг „id“).

აფხაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში რეალიზებული მეხუთე ათეული ასეთი შედგენილობისაა: ჰ (უმეტესწილად აფხაზურ სიტყვებშია: წაჰ „კაუჭი“, აჰგჰ „მტრედი“, ამაჰ „სიძე“), წ (ნხგწ „გადაღმა“, აჰაანხგწ „საზღვარგარეთ“), ძ (აძ „ვინმე“, დაჩააძ „სხვა“, ორივე შემთხვევაში ბოლოკიდური გ მოკვეცილია), ც (აცო „ხარი“, აარცო „გამოდმა“, აბნაცო „ირემი“), ჭ (მაჭ „ცოტა“, აკაჭგჭ „კაჭიჭი“ < მეგრ. კაჭიჭი „id“), ჭ (რეალიზდება აფხაზურ ლექსიკაშიც: ჟაჭ „თექვსმეტი“, მაგრამ უმეტესად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია: ეტნოგრაჭ „ეთნოგრაფი“ < რუს. этнограф „id“), ჯ (ანეიჯ

„ჭა“, აკოლლეჯ „კოლეჯი“ < რუს. колледж „id“), კ (აბგვ „სიგნალი“, აკააკ „კუთხე“, ასაკ „ტომარა“ < მეგრ. საკი „id“), კ (ალაკ „ზღაპარი“, ზაკ „რა?“), წ (მჭაწ „კოვზი“, ზაწ „მარტო“).

აუსლაუტში მეექვსე ათეულს შემდეგი ფონემები ქმნის: ჭ (აჭეჭ „ნაპირი“, აჭ „სახურავი“), ლ (აგებზგლ „ალერსიანი“, აწემლ „ლურსმანი“, აგალ „სიბრაზე, სიძულვილი“), ლ (არბალ „მამალი“, აკატალ „კვერცხი“), ყ (ბმყ „შენი წიგნი“, რყაყ „მათი ზურგი“. პირველ სიტყვას მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური გ, მეორეს – ა), ჟ (აფხაზურ სიტყვაშიცაა: ჭეჟე-ჭეჟე „ჭრიალი“, მაგრამ ძირითადად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია: აეტაჟ „სართული“ < რუს. этаж „id“), ლ (ალო (ბოლო გ დაკარგულია) „მინდორი“, იყარლო „მისი (კ.) სკამი“), ქ (აქქე „კინაღამ“, აყაბაქ „ყაბაყი“ < თურქ. kabak „id“), ჩ (ამახჩი „აქლემი“, აჩი (ბოლო გ დაკარგულია) „ცხენი“), ლ (ცგრდალო „ხის საწოლი“. ლ ძირითადად ნასესხებ სიტყვებშია: აულო „უღელი“ < მეგრ. უღუ „id“, ისანძლო „მისი საზღვარი“ < მეგრ. სანძლო „id“), ჯ (ახბგჯი „მოზარდი“).

ბოლოკიდურ პოზიციაში ყველაზე იშვიათია თ (ათო (ბოლო გ მოკვეცილია) „სავსე“, სხვა შემთხვევებში მეტწილად კორექტურაა – ტ-ს ნაცვლად წერია თ: მილათთო, უნდა იყოს: მილათტო „ეროვნული“ < თურქ. Millet „ერი“) და ყ (აკატგყ „სკინტი“, აბგცაყ „ფაცხა“).

ამრიგად, კორპუსულმა კვლევამ აჩვენა, რომ ა ხმოვანი პირველ ადგილს ინარჩუნებს სამივე პოზიციაში, ანლაუტში არცთუ ხშირია, თორემ ინლაუტსა და აუსლაუტში მეორე ადგილზეა გ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა პოზიციაში გრამატიკული ფუნქციის უქონელ ფონემებს სიხშირით საგრძნობლად აღემატება ისინი, რომლებიც ან უშუალოდ აფიქსად გვევლინება, ან აფიქსის შემადგენლობაში შედის.

ფონემათა უმეტესობა დასტურდება როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსიკურ ფონდში, მაგრამ ცალკეული ფონემები დიდწილად ან მხოლოდ სხვა ენათაგან შეთვისებულ ლექსიკურ ერთეულებში რეალიზდება, კერძოდ, ჟ ყველა პოზიციაში ძირითადად ნასესხებ ლექსიკაშია წარმოდგენილი; ანლაუტის ვ და თ უმეტესად რუსულ ნასესხობანშია, ანლაუტის პ კი მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია; ინლაუტშიც პ ძალიან გავრცელებულია ნასესხებ სიტყვებში, ვ და ჭ-ც მეტწილად ნასესხობანშია; აუსლაუტის ლ, ჭ და ლ ძირითადად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია წარმოდგენი-

აბაზურ ენაში სიტყვის თავკიდურად ფრიკატივები განაწილებულია ასეთი რიგით: ს, ჰ, ზ, ჟ, შ, მ, ხ, ხო, ჟ, ჰ, ვ, ჰ, შ, ჭ, ნ, ხოლო ჟ, ჟ, ლ, ლ და ლ ფონემები სიტყვის თავკიდურად საერთოდ არ ვლინდება.

ინლაუტში ფრიკატივთა სიხშირული მიმდევრობა შემდეგია: ს, ზ, ჰ, ხ, ჰ, ჟ, ჰ, შ, ჟ, შ, ხ, ჰ, ხო, ჭ, ლ, ჟ, ლ, ლ, ვ.

აუსლაუტში ფრიკატივები ამგვარი მიმდევრობითაა რეალიზებული: ზ, ს, შ, ჰ, ჟ, ხ, ხო, ჰ, ნ, ჭ, ვ, შ, ჰ, ჟ, შ, ლ, ბოლოკიდურ პოზიციაში კი საერთოდ არაა წარმოდგენილი: ლ, ლ, ჟ, ჟ (იხ. ცხრილი #8).

თავკიდურ პოზიციაში აბაზურ ენაში სონორებიდან ყველაზე გავრცელებულია რ, შემდეგ პოზიციებს ინაწილებს ლ, ნ და მ, ლატერალებიდან ლ საერთოდ არ რეალიზდება, ლ კი ერთადერთ ნასესხებ სიტყვაშია წარმოდგენილი. ინლაუტში სონორთა და ლატერალთა განაწილება ამ მიმდევრობისაა: რ, ნ, ლ, მ, ლატერალებიდან ლ ბევრად აღემატება ლ-ს. აუსლაუტში სონორებიდან ყველაზე ხშირია ნ, შემდეგ პოზიციებში ვლინდება მ, რ და ლ, ლატერალებიდან, ლ-სგან განსხვავებით, ლ საერთოდ არ დასტურდება (იხ. ცხრილი #9).

ზემოთ მოცემული იყო აბაზური ენის ფონემათა კლასების ცალ-ცალკე დისტრიბუცია თავკიდურ, ინლაუტისა და ბოლოკიდურ პოზიციებში. ქვემოთ აბაზურ ფონემათა განაწილების სრული სურათის საჩვენებლად მოცემული იქნება მათი გავრცელების საერთო სიხშირული ანალიზი სამივე პოზიციის გათვალისწინებით (იხ. ცხრილი #10) და, კორპუსის მოცულობიდან გამომდინარე, თითოეული მათგანისთვის მოყვანილი იქნება მხოლოდ თითო ან ორი მაგალითი, საჭიროების შემთხვევაში მითითებული იქნება სესხების მიმართულებაც.

ანლაუტი. აბაზური ენის კორპუსზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ანლაუტში ყველაზე მაღალი დისტრიბუციით გამოირჩევა ა ხმოვანი (28.27%): არახო „საქონელი“, არკა „ველი“, მას მოსდევს ძ³²: ძალაგატ „დაიწყო“, ძეზგატ „მოვიტანე“, მასთან ერთად ყველაზე გავრცელებულ პირველ ხუთეულს ქმნის: ს (სა „მე“, სალაგად „დავიწყე“), დ (დცან „წავიდა ის (ად.)“, დარა „ისინი“) და ჰ (ჰემაპ „გვექნება“, ჰცად „წავედით“), რომლებიც, ძ-ს მსგავსად,

³² უმეტესწილად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსის ფუნქციითაა.

კლასოვან-პიროვანი პრეფიქსის ფუნქციის მატარებელია.

აბაზური ენის ანლაუტში ყველაზე გავრცელებული მეორე ხუთეული ასე გამოიყურება: **ჟ || უ, ზ, რ, ზ, ბ:**

ჟ || უ – ჟა „შენ“, უჟო „ახლა“;

ზ – ზნგკ „ერთხელ“, ზგმჰა „მთლიანად“;

რ – რგზ „მათი გული“, რგმაპ „ექნებათ“;

ზ – ზაჰზზზან „ვიყიდეთ“;

ბ – ბზი „კარგი“, ბაცაწახა „ბუჩქნარი“.

ამათგან **ჟ** და **რ**-ც კორპუსში გამოვლენილ მაგალითებში მეტწილად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსის ფუნქციას ასრულებს.

აბაზური ენის ანლაუტში ყველაზე ხშირ მეორე ათეულს ქმნის შემდეგი ფონემები: **ლ** (ლლა „მისი (ქ.) ძალი“, ლსაბი „მისი (ქ.) ბავშვი“), **შა** (შაგლა „ფქვილი“), **შ** (შარდალა „ბევრით“, შგმთალა „დილით“), **ფ** (ფჰგესჯი „ქალიც“, ფგმგზკ „ოთხი თვე“), **ნ** (ნაპე „ხელი“, ნბჯაჰ „მეგობარი“ < ჩერქ. нынжыэгъу „id“), **ჩა** (ჩაჰაბარა „დაბანა“, ჩაგთკ „ერთი ნაჭერი“), **მ** (მჩბჟგკ „ერთ კვირას“, მგზკკ „ერთი თვე“), **ჯ** (ჯგრდგრამ „არ იციან“), **ხ** (ხვილომეტერკი-ბჟაჰკი „3.5 კმ“ (< რუს. километр „კილომეტრი“), ხაბეზ „მდ. ხაბეზი“) და **ქ**, რომელიც მეტწილად ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშია (ქნიგა „წიგნი“ < რუს. книга „id“, ქლასს „კლასი“ < რუს. класс „id“).

აბაზურ ენაში თავკიდურ პოზიციაში გავრცელების თვალსაზრისით შედგენილი მესამე ათეული ამგვარია: **ხა** (ხაბგჟთა „ძლიერად“), **თ** (თაბა „ტაფა“ < თურქ. tava „id“), **ჩ** (ჩგა „გააკეთე!“, ჩერქესსკ „ქ. ჩერქეზსკი“ < რუს. Черкесск „id“), **ჟა** (ჟაბა „ათი“, ჟაგკ „ცხრაასი“), **ჰა** (ჰაჟო „ოცი“), **ჯა** (ჯა „თავი“, ჯადათა „ხელმძღვანელად“), **გა**, რომელიც, **თ**-ს, ასევე ქვემოთ წარმოდგენილი **ვ**-სა და **ი**-ს მსგავსად, თავკიდურ პოზიციაში მხოლოდ ნასესხობანშია (გარდერობთა „გარდერობში“ < რუს. гардероб „id“, გექთარ „ჰექტარი“ < რუს. гектар „id“), **ვ** (ვინნიცა „ვინიცი“ < რუს. Винница „id“), **ჰა** (ჰითთა „თავისუფლად“) და **ი** (ისანბაევი „ისანბაევი (გვარი)“, ინსთითუთ „ინსტიტუტი“ < რუს. институт „id“).

აბაზური ენის სიტყვათა თავკიდურად წარმოდგენილი მეოთხე ათეული ასეთი შედგენილობისაა: **შა** (შარა „თქვენ“), **ძ** (ძე „წყალი“, ძგთა „წყალში“), **ყ** (ყურანჯი „ყურა-

ნიც“ < თურქ. Kuran „id“), **ჭ** (ჭაჩგჷ „შაქარი“ < ჩერქ. Фoшыгыу „id“, ჭლ~აგკ „კოლბა“ < რუს. фляга „id“), **ც** (ცქათა „სუფთად“), **ც** (ცაყაჰ „აჰ“, ცადაბი „აღზრდაც“), **ჭ** (ჭერმეშ „მშვილდი“, ჭტალ „კვერცხი“), **კ** (კარა „რაც“, კარტოჭ „კარტოფილი“ < რუს. картофель „id“), **ო** (ოსმან „ოსმანი“, ობლიგაცა „ობლიგაცია“ < რუს. облигация „id“) და **წ** (წოლათა „სიღრმეში“, წალათა „გამხდრად“). ამ ათეულიდან **ყ**, **ჭ** და **ო** მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში დასტურდება.

აბაზური ენის ანლაუტში ყველაზე იშვიათი გავრცელებისაა მოცემული ცამეტი ფონემა: **ჩ** (ჩემლა „კიბე“, ჩეგათა „ბოროტად“), **გ** (გე „გული“, გაჟა „უხეში“), **ჭ** (ჭეცთა „ახლად“), **ტ** (ტაკო „ცოტა“), **ჭ** (ჭორგთა „გრძლად“), **ჰ** (ჰაჰკლა „გემით“), **ხ** (ხშაშაჰჰაჰ „ცივა“), **ყ** (ყერლეყო „მსახურობა“), **ე** (ესტ „არის“ < რუს. есть „id“), **ჟ** (ჟენსოვეთგი „ქალთა საბჭოც“ < რუს. женсовет „id“), **ჯ** (ჯანთემერ „ჯანთემური“), **ჯ** (ჯანთემერ „ჯანთემური“ – წინა მაგალითიდანაც ჩანს, რომ ეს სახელი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი კორპუსში) და **ლ** (ლ'აფა „ფასდაუდებელი“ < ჩერქ. л'ап'а „მვირი“). აბაზურ ენაში სიტყვის თავკიდურად ყველაზე ნაკლებ ხმარებული 13 ფონემიდან 5 – **ე**, **ჟ**, **ჯ**, **ჯ** და **ლ** – მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია რეალიზებული.

აბაზური ენის თავკიდურ პოზიციაში საერთოდ არ რეალიზდება შემდეგი 13 ფონემა: **ჯ**, **ჭ**, **პ**, **ქ**, **კ**, **კ**, **ყ**, **გ**, **ჟ**, **ლ**, **ლ**, **ლ** და **ლ**.

ინლაუტი. ზემოთ აღინიშნა, რომ აბაზური ენის ანლაუტში საერთოდ არაა წარმოდგენილი **გ**, მაგრამ ის ინლაუტში ყველაზე გავრცელებული ფონემაა, კერძოდ, 34.82%-ით (ხაბეჟეთა „ძლიერ“, აჟერა „გრძელი“). მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებს **რ** (ძარა „ის (კ.)“, ნხარა „მუშაობა“) და **ა** (ამარა „მზე“, ჰარა „ჩვენ“), ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებზეა **ჟ** || **უ** (აჟჰაჰა „ხალხი“, ადუნეე „მსოფლიო“ < თურქ. dünya „id“) და **ნ** (ანჩა „ღმერთი“, ამაშინაჰა „მანქანები“ < რუს. машина „id“). ინლაუტში ყველაზე ხშირი მეორე ხუთეული ასეთია: **თ** (გემხათა „ცუდად“, ჭათიმა „ფატიმა“), **ლ** (აშეგლა „ფქვილი“, ამსელმან „მუსლიმანი“ < თურქ. Müslüman „id“), **ს** (აფჰესფა „ქალიშვილი“, დანფსე „როცა ის (ად.) გარდაიცვალა“), **ფ** (აფნე „ახლოს“, აფშეთა „მსგავსი“) და **მ** (ამშთაზ „შემდეგ“, ამშ „დღე“).

აბაზური ენის ინლაუტში ყველაზე გავრცელებულ მეორე ათეულს ქმნის

შემდეგი ფონემები: გ, რომელიც ძირითადად -გი ნაწილაკის შემადგენელ ელემენტადაა კორპუსში (სარჯი „მეც“, ზაჯჯი „არავინ“), ი (ასაბიქა „ბავშვები“, ყბინა „ყუბანი“), ზ (დაბაზაპ „აბაზაა“, აზნა „სავსე“), ჰ (სფჰგს „ჩემი ცოლი“, აჰგნაფ „თავვი“), ბ (საშაჰბა „ჩემი უფროსი ძმა“, აბიბლიოთექა „ბიბლიოთეკა“ < რუს. библиотека „id“), ხ (ნხარა „მუშაობა“, კალხოზ „კოლმეურნეობა“ < რუს. колхоз „id“), ჟ (აქტუქა „ქათმები“, ასქში „წელი“), ზ (ალგაჟი „ბერიკაცი“, შაბგჟ „მთლიანი“), ჯ (ასჯან „როდესაც“, აფჯაფჯა „თავიდან“) და დ, რომელიც უმეტესად ნასესხებ სიტყვებშია (ადგელ „მიწა“ < ქართ. ადგილი „id“, ქანადა „კანადა“ < რუს. Канада „id“).

აბაზურ ენაში ინლაუტის პოზიციაში გავრცელებულ მესამე ათეულში შედის ქვემოთ დასახელებული ფონემები: ზ (ამჰა „გზა“, ზგმჰა „ყველაფერი“), ჩ (სჩფიტ „ვაკეთებ“, ახჩა „ფული“), ო (შჰოჰი „თეთრი და (კავშირი)“, აბომბა „ბომბი“ < რუს. бомба „id“), ძ (აძან „მერე“, დძადრიდ „დაიბადა ის (ად.)“), ე (აწეძქაგი „ბავშვებიც“, თანეცქა „ცეკვები“ < რუს. танец „id“), ე (აყარა „ოდენა“, ძეჟჟ „მყოფი“), ი (აიხა „რკინა“, დანჰაიხ „როცა ის (ად.) მოვიდა“), ც (ცეცა „ბოლოვი“, რეცჰა „საწყალი“), ჰ (აჰბა „უფროსი“) და კ (ჰაჰკლა „გემით“, ძჰარაკჟ „მაღალი“).

აბაზური ენის ინლაუტში წარმოდგენილ მეოთხე ათეულში შემდეგი ფონემებია: ძ, რომელიც ხშირია -ძა სუფიქსის შემადგენელ ნაწილად (ბზიძძა „ძალიან კარგი“, ცქაძძათა „ძალიან სუფთად“), შ (ჰაშაჰბა „ჩვენი უფროსი ძმა“, სშაჰქა „ჩემი ფეხები“), კ (ჩკუნ „ყმაწვილი“, ტაკჯი „ცოტაც“), ქ (აქეთ „აული“, აშქოლ „სკოლა“ < რუს. школа „id“), წ (რეწა „მეტი“, ადწბა „უმცროსი“), ჟ (უჟინას „ამიერიდან“, აჟგჰანდ „ცა“), ში (მშიკე „ერთ დღეს“, ხშია „კარაქი“), ხ (აფხართა „სკოლა“, აფხაჰჩაქა „მოსწავლეები“), ში (ჟშიგ „ცხრაასი“, ჟბგზშიათა „შენს მშობლიურ ენაზე“) და ჩი (ადგჰჩა „ჯარისკაცები“, აჩერლო „ნიჩაბი“).

აბაზურ ენაში ინლაუტის პოზიციაში რეალიზებული მეხუთე ხუთეული ასეთია: ტ (ძტაკ „ცოტა წყალი“, ძჰაშტალგნ „დაწვნი“), ჰ (ჟანჰალა „დღემდე“, ჰგლაჰათა „დავსხდეთ“), გ (რგჟ „მათი გული“, სგლაჟგ „ჩემი თვალის გუგა“), ხ (მხიგ „საწყალი“, ახთან „კაბა“ < ჩერქ. сәхтан „სპეციალური ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელი“), ჯ (ზჯარა „სადღაც“, აზჯაკვი „ერთიც“), ლ (აჰაბლა „უბანი“ < ჩერქ.

ხეზღჲ „id“), ჟ (აბჟა „ნახევარი“, შაბგჟთა „ძლიერ“), ჰ (ჭაწგჰან „მერე“, სკაჰე „ჩემი თმა“), ყ (აყაბგზ „გარმონი“, ნყცანჭავი „გამოდებაც“) და ჭ, რომელიც კორპუსში მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია რეალიზებული (აჭოდე „ფოიე“ < რუს. фойе „id“, ჭრონთ „ფრონტი“ < რუს. фронт „id“).

აბაზური ენის ინლაუტში ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ათეული ამგვარადაა ჩამოყალიბებული: პ (სმაპქა „ჩემი ფეხები“, სნაპე „ჩემი ხელი“), ქ (ცქათა „სუფთად“), ჩ (ამაჩაფე „მდინარის ნაპირი“, დაჩაგვი „სხვაც“), ჯ (ზაჯგეკ „ერთი ვინმე“, ჟზაჯგეკ „ერთი ძროხა“), ყ, რომელიც კორპუსში ოდენ ნასესხობებში დასტურდება (აყამგე „მახვილი“ < თურქ. kamçı „მათრახი“, ხარყანკ „სამი თოკი“ < რუს. аркан „თოკი“), ლ (ჩეგრლე „ნიჩაბი“), ჟ (აჟურა „ჩრდილი“, შაჟეთავი „ადრეც“), ჭ (აჭაფხარა „სითბო“), ლ (ჰალაკ „ტვირთი“ < ჩერქ. хыльа „მძიმე“) და ლ (ალმალა „მარჯვნივ“, ბალაკ „მყარი რამ“).

აბაზური ენის ინლაუტში ყველაზე იშვიათი გავრცელებისაა შემდეგი ფონემები: ლ (წალათა „გამხდრად“, ლგბლა „მისი (ქ.) ზურგი“), ჭ (მაჭკ „ცოტა“), ვ (ასავხოზ „სახელმწიფო მეურნეობა“ < რუს. совхоз „id“), ჯ (დგნჯგე-ჩგენ „სოფ. ინჯიკ-ჭკუნი“), კ (იშანძგჰარა „გათენებამდე“) და ყ (დაჰყაჰა „ძლიერ“).

აუსლაუტი. აბაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში, ანლაუტის მსგავსად, ყველაზე ხშირი დისტრიბუციით ხასიათდება ა ფონემა (35.67%) (ჰბა „ორი“, აჰაპრა „ცეკვა“), მეორე და მესამე ადგილზეა ი (არი „ეს“) და ნ (ასკან „როდესაც“, ჟაწგჰან „მერე“), ხოლო მეოთხე-მეხუთე ადგილებს ტ (რჰიტ „თქვეს“, დკაპატ „წაიქცნენ“) და დ (დჰად „თქვეს“, ჟარად „სიმღერა“) ინაწილებს.

აბაზური ენის აუსლაუტში წარმოდგენილი მეორე ხუთეული ასეთია: გ (ზნგ „ერთხელ“, მხე „ღარიბი“), ზ (ასაჭხოზ „სახელმწიფო მეურნეობა“ < რუს. совхоз „id“), პ (ბაბაზაპ „აბაზა ხარ შენ (ქ.)“, წაბგრგპ „მართალია“), თ (აქეთ „აული“, მახმუთ „მაჰმუდი (საკუთარი სახელი) < თურქ. Mahmut „id“ და კ (ზაკ „რადაც“, ჟარადკ „ერთი სიმღერა“).

აბაზურ ენაში ბოლოკიდურად რეალიზებული მეორე ათეული ამგვარადაა შედგენილი: მ მეტწილად უარყოფის გამომხატველი სუფიქსის ფუნქციითაა (აჟრამ „ქუჩა“, გაჟმემ „აკრძალულია“), ჟ || უ ძირითადად ინფინიტურ ფორმათა სუფიქსის

სახითაა (აბგჟ „მთლიანი“, დგმჟ „მქონე“), **დ** (აღ „ოჰ“, აღუნეი „მსოფლიო“ < თურქ. dünya „id“), **ს** (რჟეს „მათი საქმე“, ფჰგეს „ცოლი“), **ბ** (აკლუბ „კლუბი“ < რუს. клуб „id“), **რ** (ახაბარ „ახალი ამბავი“ < თურქ. haber „id“, ათეათრ „თეატრი“ < რუს. театр „id“), **შ** (ამშხ „დღე“, ასქშხ „წელი“ – ბოლოკიდური **გ** დაკარგულია), **ო** (აქინო „კინო“ < რუს. кино „id“, აზერნო „სიმინდი“ < რუს. зерно „id“), **ჰ** (აჰ „მეფე“, ალლაჰ „ალაჰი“ < თურქ. Allah „id“) და **ჟ** (ათაჟ „დედაბერი“, ჟეჟ „შენი (ვ.) ძროხა“). ამ ათეულიდან **დ**, **ბ**, **რ**, **ო** და **ჰ** ოდენ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში დასტურდება.

აბაზურ ენაში სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში გავრცელების მხრივ მესამე ათეულს ქმნის ფონემები: **ლ**, რომელიც, ქვემოთ დასახელებული **ლ**-სა და **ე**-ს მსგავსად, მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია (აყრალ „ქვეყანა, სახელმწიფო“ < თურქ. kral „მეფე“, რაყელ „მათი გონება“ < თურქ. akıl „ჭკუა, გონება“), **ლ** (ადგელ „მიწა“ < ქართ. ადგილი „id“, აზალ „დარბაზი“ < რუს. зал „დარბაზი“), **ხ** (ჟიხ „ოცდაათი“), **ხ** (არახხ „საქონელი“), **ე** (თურნე „ტურნე“ < რუს. турне „id“, აჰოდე „ფოიე“ < რუს. фойе „id“), **კ** (მტაკ „ცოტა წყალი“, ქატაკ „ცოტა წვიმა“), **ჯ** (აჯ „ვინმე“ – ბოლოკიდური **გ** მოკვეცილია), **ჰ** (აჰაჩჰ „შაქარი“ < ჩერქ. Фохыгъу „id“, დრგჰ „გააფართოვით!“), **ხ** (აჟან „იქ“, აამშტან „შემდეგ“) და **ფ** (აჰგნაფ „თავი“, აჯგფ „ჯიბე“ < თურქ. сер „id“).

აბაზურ ენაში აუსლაუტის პოზიციაში გამოვლენილი მეოთხე ათეული ამგვარადაა დაკომპლექტებული: **ქ** (ჩერქესსქ „ჩერქეზსკი“ < რუს. Черкесск „id“), **ც** (ქეც „ახალი“), **გ** (აჟასაბერგ „ზუსტად ასე“), **ჩ** (აჰამაჩ „ბელელი“, აბდულათიფოვიჩ „აბდულათიფოვიჩი (გვარი“), **ჭ**, ქვემოთ მოყვანილი **ვ**-ს მსგავსად, ოდენ ნასესხებ ლექსიკაშია (კარტოჭ „კარტოფილი“ < რუს. картофель „id“, ტიჭ „ტიფი“ < რუს. тиф „id“), **ვ** (როსთოვ „როსტოვი“ < რუს. Ростов „id“, ისანბაევ „ისანბაევი (გვარი“), **ყ** (აბაყ „ბელელი“ < თურქ. bağ „ბაღი“), **ყ** (ყეგრლეყ „მსახურობა“), **შ** (ახეშხ „ხუთასი“ – ბოლოკიდური **გ** მოკვეცილია, ამაშხ „კალო“) და **ჯ** (აჟაჯ „ღამე“ – ბოლოკიდური **გ** მოკვეცილია).

მეოთხე ათეულის **ყ**, **ყ**, **შ** და **ჯ** ფონემათა მსგავსად, აბაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში მხოლოდ 2-2 ფორმაში რეალიზებულია შემდეგი 3 ფონემა: **ჯ** (ჰეჯ „ორი“ – ბოლოკიდური **ა** მოკვეცილი ჩანს, აქერბეჯ „აგური“ < რუს. кирпич „id“), **ჭ** (ჰრეჟაჭხ „ვიყოთ მისი ნაწილი“, დზაჭხ „ძალიან“) და **ჰ** (აჟასჰ დაჟამემა „შემიძლია ვიმღერო“),

მხოლოდ თითო ერთეულში დასტურდება დასახელებული 5 ფონემა: ჩ (სანჩ ჩ „როცა ჩამეძინა“), ჳ (მგნჯეგ „სოფ. ინჯიკ-ჭკუნი“), ჟ (ფსგჟ „სოფ. ფსიჟი“), შ (აწერნაფშ „სალამური“) და ლ (ქტალ „კვერცხი“).

ფონემათა დიდი ნაწილი, კერძოდ, 17 ფონემა საერთოდ არაა რეალიზებული აბაზური ენის აუსლაუტში. ესენია: ჭ, ჩ, ჭ, წ, ჯ, ლ, ლ, მ, შ, ც, გ, ლ', ზ, ძ, კ, ქ და ქ.

ამდენად, აბაზურ სასაუბრო კორპუსზე დაყრდნობით ჩემ მიერ შესრულებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ანლაუტსა და აუსლაუტში ყველაზე გავრცელებულია ა ხმოვანი, ინლაუტში კი პირველ ადგილს გ იკავებს.

აფხაზურის მსგავსად, აბაზურშიც სიხშირული უპირატესობა მოდის იმ ფონემებზე, რომლებიც აფიქსის ფუნქციითაა აღჭურვილი ან აფიქსის შემადგენლობაშია. ანლაუტში ყველაზე ნაკლებ ხმარებული 13 ფონემიდან 5 – ე, ჟ, ჯ, ჯ და ლ' – მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია რეალიზებული.

აბაზური ენის თავკიდურ პოზიციაში საერთოდ არ რეალიზდება შემდეგი 13 ფონემა: ჯ, ჭ, ჰ, ქ, კ, კ, ყ, გ, შ, ლ, ლ', ლ და ლ'. ინლაუტის დ უმეტესად ნასესხებ სიტყვებშია, ხოლო ჭ, ყ, ვ და ლ' კორპუსში მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია.

აბაზური ენის ინლაუტში ყველაზე იშვიათი გავრცელებისაა: ლ, ჭ, ვ, ჯ, კ და ყ. აუსლაუტის ლ', ლ, მ, ბ, რ, ო, ვ, ჭ და ჰ ოდენ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში დასტურდება.

აბაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში მხოლოდ 2-2 ფორმაშია გამოვლენილი ყ, ყ, შ, ე, ჯ, ჭ და ჰ, მხოლოდ თითო სიტყვაში დასტურდება ჩ, ჳ, ჟ, შ და ლ', შემდეგი 17 ფონემა კი – ჭ, ჩ, ჭ, წ, ჯ, ლ, ლ, მ, შ, ც, გ, ლ', ზ, ძ, კ, ქ, ქ – საერთოდ არაა რეალიზებული.

აბაზურ ფონემათა სრული დისტრიბუციული სურათი ჩანს დანართში (იხ. ცხრილები #6-10).

1.3. აფხაზურ-აბაზურ ფონემათა გავრცელებულობის შედარებითი განხილვა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში როგორც აფხაზურის, ისე აბაზურის ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა სათანადო კორპუსებზე დაყრდნობით. განსხვავება მათ მოცულობაშია: აფხაზური ეროვნული კორპუსი აბაზურისაზე გაცილებით მრავალფეროვანია როგორც მასში შესული ტექსტების, ისე

სიტყვაფორმათა რაოდენობის თვალსაზრისით. აბაზურის სასაუბრო კორპუსი მოიცავს სხვადასხვა თემატიკის, მაგრამ მაინც ერთ სოფელში 8 მთქმელისაგან ჩაწერილ 25 ტექსტს. მოცულობითი სხვაობა უფრო რომ ჩანდეს, კონკრეტულად, აფხაზურ კორპუსში 7 596 355 სიტყვაფორმაა, აბაზურში – 3 636 ტოკენი.

მიუხედავად ამგვარი სხვაობისა, კვლევის შედეგები მაინც იძლევა საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალებას როგორც თითოეული მათგანისთვის, ისე მათი მონაცემების შედარებისთვის.

აფხაზურსა და აბაზურში ყველა პოზიციაში ყველაზე გავრცელებული ფონემების პირველ ათეულს ქმნის ისინი, რომელთა უმეტესობა აფიქსებია, ანლაუტსა და ინლაუტში ისინი მეტწილად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსებია, ხოლო აუსლაუტში – ძირითადად ფინიტურ-ინფინიტურ ფორმათა სხვადასხვა დრო-კილოს სუფიქსები.

ფონემათა გავრცელების მხრივ აფხაზური და აბაზური ავლენს როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ შედეგებს. მართალია, ორივე სხვაობს ფონემათა რაოდენობის მხრივ, მაგრამ მაინც აღნიშვნის ღირსია, რომ ორივეგან ანლაუტში პირველ და მეორე ადგილზეა ა და ძ, ორივეგან მეშვიდე ადგილს იკავებს ზ; აუსლაუტში აფხაზურშიც და აბაზურშიც ყველაზე ხშირად ა ხმოვანია წარმოდგენილი.

აფხაზურის მსგავსად, აბაზურის ანლაუტში ჟ || უ-ს ბევრად სჭარბობს ძ. ორივეგან ფრიკატივებიდან ყველაზე ხშირია ს ანლაუტში, ორივეგან მეშვიდე ადგილზეა ხ; ინლაუტში აფხაზურსა და აბაზურშიც მეორე ადგილზეა ზ; აუსლაუტში ფრიკატივებიდან ორივე ენაში პირველ და მეორე ადგილებს ინაწილებს ზ და ს, ორივეგან მეექვსე ადგილზეა ხ.

აფხაზურისგან განსხვავებით, აბაზურში გ თავკიდურ პოზიციაში საერთოდ არაა წარმოდგენილი, განსხვავებულია სხვა ხმოვანთა გავრცელებულობის მაჩვენებელი სამივე პოზიციაში.

აფხაზურში ყველა ფონემა, ცხადია, განსხვავებული სიხშირული მაჩვენებლით, დასტურდება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში, სხვაგვარი ვითარებაა აბაზურში: თავკიდურ პოზიციაში ჯ, ჭ, პ, ქ, კ, კ, ყ, გ, ჟ, ლ, ლ', ლ და ლ' ფონემები საერთოდ არ რეალიზდება, შემდეგი 38 ფონემა კი იშვიათია, 1%-ზე დაბალია მათი გავრცელება: ჩ, მ, გ, ხ, ქ, ხ, თ, ჩ, შ, ჭ, ნ, გ, ვ, პ, ი, შ, ძ, ყ, ჭ, ც, ც, ქ, კ, ო, წ, ჩ, გ, ჭ, ტ, ჭ, ვ, ხ', ყ, ე, შ, ჯ, ჯ და ლ'; აბაზურის ინლაუტში ყველა ფონემაა წარმოდგენილი, მაგრამ

ამ პოზიციაში ყველაზე იშვიათად, 1%-ზე ნაკლები სიხშირით, დასტურდება 22 ფონემა: ჯ, ლ, ჟ, ზ, ყ, ჭ, ჰ, ქ, ჩ, ჯ, ყ, ლ, ჟ, ჭ, ლ, ლ, ღ, ჭ, ვ, ჯ, კ და ყ. ფონემათა შეზღუდვა განსაკუთრებით თვალშისაცემია აბაზური ენის ბოლოკიდურ პოზიციაში, სადაც შემდეგი 17 ფონემა საერთოდ არაა რეალიზებული: ჭ, ჩ, ჭ, წ, ჯ, ლ, ლ, მ, ჟ, ც, გ, ლ, ზ, ძ, კ, ქ და ქ, 36 ფონემა იშვიათია, კერძოდ, 1%-ზე დაბალი სიხშირითაა წარმოდგენილი: მ, ს, ბ, რ, შ, ო, ჰ, ჟ, ლ, ლ, ხ, ხ, ე, კ, ჯ, მ, ს, ფ, ქ, ც, გ, ჩ, ჭ, ვ, ყ, ყ, შ, ჰ, ჯ, ჰ, ჰ, ჩ, გ, ჟ, შ და ლ. აფხაზური ენის ანლაუტში 49 ფონემა 1%-ზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება: ბ, შ, შ, ხ, ფ, ყ, თ, მ, შ, კ, ხ, გ, ჭ, ჯ, გ, ჟ, წ, ც, ც, პ, გ, ს, ჩ, მ, ო, ტ, ჭ, ჩ, ჭ, ვ, ლ, ყ, კ, ქ, ქ, ქ, წ, ტ, ქ, ყ, ლ, ლ, გ, ჟ, ჟ, ლ, ძ, თ და ჯ. აფხაზურში ანალოგიურ სურათს აჩვენებს ინლაუტის 17 (ყ, ჭ, ვ, ჯ, ყ, ქ, ჭ, ლ, ჟ, ლ, ქ, კ, ძ, ლ, ლ, თ და ჯ), ხოლო აუსლაუტის 46 ფონემა: ს, შ, ც, ლ, გ, მ, ბ, ხ, ფ, შ, ხ, ჟ, ჭ, დ, ქ, ჟ, ვ, ჰ, ჩ, ე, ყ, ძ, გ, გ, ჰ, წ, ძ, ც, ჭ, ჭ, ჯ, კ, კ, წ, ქ, ლ, ლ, ყ, ჟ, ლ, ქ, ჩ, ლ, ჯ, თ და ყ.

აფხაზურსა და აბაზურში ფონემები ყველაზე მაღალი დისტრიბუციით გამოირჩევა ინლაუტში, შემდეგ აუსლაუტში და ყველაზე იშვიათად წარმოდგენილია ანლაუტში. ორივე ენობრივ ერთეულში გამონაკლისს ქმნის ფრიკატივები, რომლებიც სხვა ფონემათა მსგავსად, მაღალი დისტრიბუციული სიხშირით ხასიათდება ინლაუტში, მაგრამ, მათგან განსხვავებით, აუსლაუტზე უფრო გავრცელებულია ანლაუტში.

1.4. I თავის დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი დაეთმო აფხაზურ-აბაზურ ფონემათა დისტრიბუციულ-სტატისტიკურ ანალიზს. კვლევა ჩატარდა აფხაზური ენის ეროვნულ და აბაზურ სასაუბრო კორპუსზე დაყრდნობით. კვლევის ეს მეთოდი პირველად გამოიყენება, რაც ერთგვარი სამეცნიერო სიახლეა აფხაზურ-აბაზურ ენათა ფონოლოგიის პრობლემურ საკითხთა შესწავლის ისტორიაში.

კვლევისას ანლაუტის, ინლაუტისა და აუსლაუტის პოზიციების გათვალისწინებით დადგინდა აფხაზურ და აბაზურ ფონემათა დისტრიბუციული სიხშირე. პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ფონემათა კლასების გავრცელების მაჩვენებელი, შემდეგ უკვე შეჯამდა სრული ინვენტარის მონაცემები, ბოლოს კი შედარდა აფხაზურისა და აბაზურის კვლევით მიღებული ძირითადი შედეგები, გამოიკვეთა როგორც საერთო,

ისე განსხვავებული მახასიათებლები:

აფხაზურსა და აბაზურში ფონემები განსაკუთრებული სიხშირით რეალიზდება ინლაუტში, შემდეგ აუსლაუტში, ხოლო ყველაზე იშვიათად დასტურდება ანლაუტში. ერთ სხვაობას ავლენს ფრიკატივები: ისინი აუსლაუტზე მეტად წარმოდგენილია ანლაუტში.

აფხაზურში ყველა ფონემა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სიხშირით, რეალიზდება ყველა პოზიციაში, რაც არ ვრცელდება აბაზურზე: აქ ანლაუტში 13 ფონემა (ჯ, ჭ, ჰ, ქ, კ, კ', ყ, გ, ჟ, ლ, ლ', ლ, ლ~) საერთოდ არ ვლინდება, აუსლაუტში კი – 17: ჭ, ჩ, ქ, წ, ჯ, ლ, დ, ზ, ჟ, ც, გ, ლ', ვ, ძ, კ', ქ, ქ'.

აფხაზურსა და აბაზურშიც შეიძლება ითქვას, რომ ანლაუტსა და აუსლაუტში პირველი 15 ფონემა ყველაზე ხშირი, სხვები 1%-ზე ნაკლები სიხშირით რეალიზდება, ინლაუტში, აფხაზურშიც და აბაზურშიც, დაახლოებით პირველი 45 ფონემა ხასიათდება 1%-ზე მაღალი გავრცელებულობით.

II თავი. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ფონემატური სტრუქტურა

წინამდებარე თავში განიხილება აფხაზურისა და აბაზურის ძირეული მორფემები. როგორც სადისერტაციო ნაშრომის შესავალში აღინიშნა, ეს საკითხი განხილული აქვთ ქ. ლომთათიძეს, ვ. ჩირიქბას, თ. გვანცელაძეს, ნ. მაჭავარიანს, მ. ქურდიანს, ხ. კაკავას, ო'ჰერინს. ამავე შესავალში მოკლედ წარმოდგენილია ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგები, რომელიც მიემდგვნა ფონემათა დისტრიბუციას აფხაზურ ზმნურ ძირებში. ვინაიდან ზმნური ძირები სრულ სურათს ვერ მოგვცემდა, წინამდებარე დისერტაციის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა როგორც აფხაზური, ისე აბაზური ძირეული მორფემის დეტალური კვლევა.

საანალიზო მასალა მოძიებულია აფხაზურ-აბაზური გამოცემული ლექსიკონებიდან, რომელთა სრული ჩამონათვალი არის შესავალში. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია მხოლოდ საკუთრივ აფხაზურ-აბაზური მასალა; მოდელებისა და ქვემოდელების მიხედვით ცალკე ქვეთავებში მოცემულია აფხაზურ-აბაზური ძირეული მორფემების კლასიფიკაცია და სტატისტიკა, მათში ხმოვანთა და თანხმოვანთა დისტრიბუციის საკითხები.

ძირეული მორფემები ქვეთავებად დაჯგუფებულია მარცვლიანობის მიხედვით, კერძოდ, პირველი ქვეთავი ეხება უმარცვლო, ოდენ კონსონანტური შედგენილობის ძირებს, მეორე – ერთმარცვლიანებს, მესამე – ორმარცვლიანებს, მეოთხე კი – სამ- და მეტმარცვლიან ძირთა სტრუქტურულ ანალიზს. მეხუთე ქვეთავში განხილულია აფხაზურ და აბაზურ ძირეულ მორფემათა საერთო და განსხვავებული მახასიათებლები.

ზოგად სტრუქტურებში თანხმოვანთა კლასი აღნიშნულია **C** სიმბოლოთი, ხოლო ხმოვნებისა – **V**-თი. ქვესტრუქტურებში ხმულებისა და აფრიკატების აღსანიშნავად გამოყენებულია **C**, ფრიკატივები გამოიხატება – **F**-ით (**F**₁ – ვ, ჭ, ზ, ს, ჟ, შ, ჟ₂, მ₂, ჟ₃, შ₃; **F**₂ – ღ, ხ, ლ, ხ₂, ლ₂, ს₂, ჰ, ჰ₂, ჰ₃), სონორები – **S**-ით, სონანტები – **S**⁰-ით. ფრიკატივების მსგავსი აღნიშვნა ნახურ ენებში გამოიყენა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2009, 65-66). მასზე დაყრდნობით, აფხაზურ-აბაზური ფონემები ამგვარად კლასიფიცირებულია ჩემ მიერ, რადგან აფხაზურ-აბაზურის ფონემატური სტრუქტურა ნახური

ენებისაგან განსხვავებულია და იდენტური ვერ იქნებოდა.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მომზადდა სამი მოხსენება („ფონემათა დისტრიბუცია CV და CVCV სტრუქტურის აბაზურ ზმნურ ძირებში“³³, „აფხაზურ-აბაზურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ამოსავალი სტრუქტურა“³⁴, „CVC ტიპის აბაზურ ზმნურ ძირთა ფონემური სტრუქტურის ანალიზი“³⁵) და ერთი სტატია („CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აბაზურ ენებში“³⁶). თითოეული მათგანის ძირითადი დებულებები განხილულია სათანადო საკითხებთან.

2.1. აფხაზურ-აბაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა

2.1.1. აფხაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა

აფხაზურში არცთუ იშვიათია უმარცვლო ძირები, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ცალი, ორი ან სამი თანხმოვნის სახით, შესაბამისად, რეალიზდება C, CC და CCC მოდელები.

C

აფხაზურ ენაში C სტრუქტურის 84 ძირეული მორფემაა. ეს სტრუქტურა დასტურდება C, F₁, F₂, S და S^o ქვემოდელების სახით. თითოეული ქვემოდელისთვის მოხმობილია რამდენიმე მაგალითი:

აფხაზურში C ქვემოდელის 37 ძირია. რეალიზდება როგორც სადა, ისე ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ველარიზებული თანხმოვნები:

გ: ა-გ-რს „ნაკლი, ნაკლებობა“;

დ: ა-დ-რს „დავალემა, დასაქმება“;

ჯ: ა-ჯ „მუხა“;

ც: ა-ც „ხარი“;

თ: ა-თ-რს „დამრგვალება“;

კ: ა-ლა-კ-რს „კლაკნა, გრეხა“;

³³ ნათია ფონიავა, „ფონემათა დისტრიბუცია CV და CVCV სტრუქტურის აბაზურ ზმნურ ძირებში“, *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია* (თბილისი, 2012), 35-36.

³⁴ ნათია ფონიავა, „აფხაზურ-აბაზურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ამოსავალი სტრუქტურა“, *ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V – ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის საკითხები* (თბილისი, 2019), 73-74.

³⁵ ნათია ფონიავა, „CVC ტიპის აბაზურ ზმნურ ძირთა ფონემური სტრუქტურის ანალიზი“, *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXIII* (თბილისი, 2012ა), 74-75.

³⁶ ნათია ფონიავა, „CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აბაზურ ენებში“, *ჰუმანიტარული კვლევების წელიწადი III* (თბილისი, 2012ბ): 125-142.

ქ: ა-ქ-რს „კვნესა“;

ჯ: ა-ჯ „კანის ჭუჭყი“.

C ქვემოდეღში საერთოდ არ დასტურდება ლ, ძ, ჭ, ქ, კ, ჯ და ყ ფონემები.

F1 ქვემოდეღის 19 ძირი გამოვლინდა აფხაზურში. წარმოდგენილია ყველა, ჟ და ვ ფონემების გარდა:

ტ: ტ-ბს „ექვსი (ნ. კ.)“;

ჟ: ა-ჟ „ყურძენი“;

ს: ა-ს-რს „ცემა, დარტყმა“;

შ: ა-შ-რა „ორმო“;

შ: ა-შ „კარი“.

აფხაზურში F2 ქვემოდეღი 20 ძირითაა წარმოდგენილი. მასში გამოვლენილი არაა მხოლოდ ჰ ფრიკატივი:

ღ: ა-ღ „მსხვილი სეტყვა; ავდრიანობა“;

ხ: ა-ხ „თხლე“;

ღ: ა-ღ „ბოლი; დამწვარი რამ“;

წ: ა-წ-რა „ატკივება“;

ღ: ა-ღ „ფიცარი“;

ჰ: ა-ჰ-რს „ძოვა“;

ჰ: ა-ჰ „ჩრჩილი“.

აფხაზურში S ქვემოდეღის ოდენ სამი ძირია, სონორებიდან მხოლოდ რ და ლ რეალიზდება, მ და ნ საერთოდ არ დასტურდება:

რ: ა-რ-რა „წყლის გადალახვა, წყალში გასვლა“; ა-რ „ჯარი“;

ლ: ა-ლ „მურყანი“.

S^o ქვემოდეღი აფხაზურში ორივე სონანტიტა და ხუთი ძირითაა წარმოდგენილი:

ა: ა-ა-რა „მოსვლა“;

ჟ: ა-ა-რა „მოპოვება, მიღება“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდეღის ძირთა აბსოლუტური უმრავლესობა ზმნურია, შესაბამისად, ისინი გაფორმებულია სხვადასხვა აფიქსით, რამდენიმე

სახელს კი ერთვის ზოგადობის ა- პრეფიქსი. ეს იმიტომ აღინიშნა, რომ საანალიზო ფონემები ენაში მხოლოდ ცალი თანხმომავის სახით არ რეალიზდება.

CC

აფხაზურში CC სტრუქტურის 82 ძირია და ისინი გადანაწილებულია შემდეგ 12 ქვესტრუქტურაში: CC, CF₁, CF₂, CS, F₁C, F₁F₁, F₂F₁, F₂F₂, F₂S, SC, SF₁ და SF₂.

CC ქვემოდელის 24 ძირი რეალიზდება აფხაზურში, მათი უმეტესობა, კერძოდ, 13 ძირი შედგენილია იდენტური ფონემებისაგან, თითო-ოროლა ძირის გარდა, ყველა ზმნურია:

პპ: ა-ღრგ-პპ-რს „გამოყრა“;

წწ: აა-წწ-რა „ამოსვლა“;

კკ: ა-კკ 1. „გუგული“. 2. „მაჩიტა, მაჩიტელა“;

ძძ: ა-წგ-ძძ-აა-რს „მოზანა, გამორეცხვა“.

აქაც და ქვემოთაც იდენტურფონემიანი ძირები რედუპლიცირებულია და გადმოსცემს „სიმრავლე-სიხშირეს, პროცესის განმეორებასა და ინტენსივობას“ (ლომთათიძე 1976, 204). მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ CC ქვემოდელის იდენტურფონემიან ძირებში სადა და ლაბიალიზებული ფონემები მონაწილეობს, მაგრამ არ დასტურდება იდენტური პალატალიზებული და ველარიზებული ფონემების შემცველი CC მიმდევრობა. არაიდენტურფონემიან CC ქვემოდელის ძირებში კი პალატალიზებული და ველარიზებული თანხმომავებიც გვხვდება:

ცა: ა-თ-რგ-ცა-აა-რა „გათლა, გაფცქვნა“;

ყჭ: ა-ხგ-რ-ყჭ-აა-რს „მოკვნეტა“.

CC სტრუქტურაში სხვა ქვემოდელებიც დასტურდება შემდეგი ოდენობით:

CF₁ (10) – ფშ: ა-ფშ-რს „ხედვა, ცქერა“;

CF₂ (10) – ფჰ: ა-ფჰ „ჩალა“;

CS (6) – ფრ: ა-დ-ფრ-აა-რა „გაფრენა“;

F₁C (2) – შთ: ა-შთ-რა „შთამომავლობა“;

F₁F₁ (6) – შშ: ა-შშ-რა „ჩივილი, წვნა“;

F₂F₁ (7) – ხშ: ა-ხშ „ქორი“;

F₂F₂ (3) – სამივე იდენტური ფონემისგანაა შემდგარი – ლლ: ა-ლლ-რს „ღრენა“;

F₂S (1) – ზრ: ა-ლგ-ზრ-რა „დავარდნა“;

SC (7) – მც: ა-მც „ტყუილი“;

SF₁ (5) – მშ: ა-მშ „დათვი“;

SF₂ (1) – მდ: ა-მდ „ეკალი“.

CCC

აფხაზურში **CCC** მოდელის ერთი ძირია, **SCF₂** ქვემოდელისა:

SCF₂: მცხ: ა-მცხ „მეტი, ზედმეტი, ჭარბი“

როგორც **CC**, ისე **CCC** სტრუქტურის ძირები წარმოდგენილია თანხმოვანკომპლექსების სახით, ამიტომ მათში ბგერათშეერთების წესები მოცემულია წინამდებარე ნაშრომის მეოთხე თავში.

უმარცვლო ძირებში გამოვლენილი სტრუქტურებისა და მათი სტატისტიკის ხილვა შესაძლებელია ცხრილში (იხ. ცხრილი #11).

2.1.2. აბაზურ უმარცვლო ძირთა ფონემური შედგენილობა

აბაზურშიც, აფხაზურის მსგავსად, დასტურდება ოდენ თანხმოვნის ან თანხმოვანთა მიმდევრობისაგან შემდგარი ძირეული მორფემები. აბაზურშიც უმარცვლო ძირები მხოლოდ **C**, **CC** და **CCC** მოდელებით რეალიზდება.

C

აბაზურში **C** სტრუქტურის 36 ძირი გამოვლინდა, რომლებიც **C**, **F₁**, **F₂** და **S^o** ქვემოდელების სახით რეალიზდება.

C ქვემოდელის 13 ძირია, რომლებშიც ვლინდება ფ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჩ^o, ჭ, გ, კ, ქ, ყ, ც ხშულები:

ძ: ძ-რა 1. „შეწვა“; 2. „გაქრობა“;

ჭ: ჭ-რა „ამჟავება“;

ქ: ქ-რა „ოხვრა, კვნესა“.

F₁ ქვემოდელი 12 ძირითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ჭ, ს, ჟ, შ^o, ჟ და შ^o ფრიკატივებით:

ჭ: ჭ-ბა „ექვსი (ნ. კ.)“;

შ^o: შ^o-რა „ყეფა“;

შ^o: შ^o-ჭ^o „მღებავი“.

აბაზურში F₂ ქვემოდელის ცხრა ძირი გვხვდება, რომლებშიც გამოვლენილია **ხ**, **წ**, **ხ₀**, **ჰ** და **ჰ₀** ფონემები:

ხ: ხ-რა 1. „რადაცის გაჩეხა“; 2. „გათლა“; 3. „თიბვა“;

წ: წ-რა 1. „გაგრილება“. 2. „ჩაქრობა“;

ჰ: ჰ₀-რა „ძოვა“.

5^o ქვემოდელი აბაზურში თითო ძირის შემცველი ორივე სონანტიანა წარმოდგენილი:

ჟ: რა-ჟ-რა 1. „გაგრძელება“; 2. „წაგრძელება“;

ა: მა-ა-რა „ჩამოსვლა“.

აბაზურში ცალთანხმოვნიან ძირებად საერთოდ არ ვლინდება სონორები.

აბაზურშიც, აფხაზურის მსგავსად, ეს ფონემები ცალი თანხმოვნის სახით არ არის წარმოდგენილი, ფუძე გაფორმებულია სხვადასხვა პრეფიქსითა თუ სუფიქსით.

CC

აბაზურში CC სტრუქტურის 38 ძირია, რომლებიც შემდეგი ცხრა ქვესტრუქტურის სახით რეალიზდება: **CC**, **CF₁**, **CF₂**, **F₁C**, **F₁F₁**, **F₂F₁**, **F₂F₂**, **F₂C** და **SC**.

CC (14) – **ბბ: ბბ-ჰ₀** „მარქენალი“;

CF₁ (6) – **ფმ: ფმ-ბ₀** „ოთხი (ნ. კ.)“;

CF₂ (4) – **ბლ: ბლ-რა** „ფხანა, მოფხანა“;

F₁C (3) – **შთ: მა-ლ-შთ-რა** „გამომშვება, გახვრეტა“;

F₁F₁ (1) – **შშ: შშ-რა** „სტვენა“;

F₂F₁ (2) – **ხშ: ა-ხშ** „ქორი“;

F₂F₂ (5) – **ლლ: ლლ-რა** „ღრენა“;

F₂C (1) – **ხჟ: ხჟ-რა** „დაფშვნა, დამსხვრევა“;

SC (2) – **ნწ: ნწ-რა** „ცხოვრება, საუკუნე“.

CCC

აბაზურში CCC სტრუქტურის სამი ძირია, რომლებიც **CF₁F₁**, **CF₂C**, **CF₂F₂** ქვესტრუქტურებად გვევლინება:

CF₁F₁: ფსს: მა-ფსს-მა-რა 1. „მოფრენა“. 2. „რადაცის გავლით გაფრენა“;

CF₂C: ფხთ: ფხთ-რა „ქეცით დაავადება“;

CF₂F₂: ჩხხ: ჯა-რგ-ჩხხ-რა „რადაცის რაღაცაზე დახვევა“.

აბაზური CC და CCC სტრუქტურის თანხმომავანკომპლექსები დეტალურად გაანალიზებული იქნება ამავე ნაშრომის მეოთხე თავში. განხილულ სტრუქტურათა სიხშირე ნაჩვენებია ცხრილში (იხ. ცხრილი #18).

2.2. აფხაზურ-აბაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი

2.2.1. აფხაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი

აფხაზურში ერთმარცვლიანი ძირები საკმაოდ გავრცელებულია. ისინი წარმოდგენილია 12 სტრუქტურად: V, VC, VCC, CV, CCV, CCCV, CVC, CVCC, CCVC, CCCVC, CVCCC და CCVCC.

V

აფხაზურში V სტრუქტურის მხოლოდ ერთი ძირია:

ი: ა-რ-რ-რა „შობა“

VC

აფხაზურში VC სტრუქტურა 17 ძირითა და ყველა შესაძლო ვარიანტიც წარმოდგენილი: VC, VF₁, VF₂, VS და VS^o.

VC (2) – აბ „მამა“;

VF₁ (7) – ა-ემი „ციყვი, თრიტინა“; მს „ასე“; ა-ჟს „საქმე“;

VF₂ (4) – ეჰ „ეჰ“; აჰ „მთავარი“; ოჰ „ოხ“; უხ „უჰ“;

VS (1) – მნ „დედა“;

VS^o (3) – ად „ეხ, ეჰ“; ად „შემახილი ძროხის გარეკვისას“; აჟ „გრძელი“.

17 ძირიდან ცხრაში ა რეალიზდება, ხუთში – უ, ორში – ე და ერთში – ო. რაც შეეხება თანხმომავანებს, ორივე სონანტი ვლინდება, ხმულებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ბ, სონორებიდან ოდენ – ნ, ხოლო ფრიკატივებიდან – ჭ, ს, შ, ჟ, ხ და ჰ. კონსონანტებიდან ყველაზე ხშირია ს (4), ჰ (3) და ა (2), სხვები თითო ძირში დასტურდება.

VCC

VCC სტრუქტურის სამი ძირი გამოვლინდა, რომლებიც VF₁C, VSC და VS^oC ქვესტრუქტურების სახით რეალიზდება:

VF₁C (1) – უშთ: ა-უშთ-რა „გაშვება, მოშვება“;

VSC (1) – ჟრთ: ა-ჟრთ „ქარბუქი“;

VS°C (1) – გატ „რისხვის, აღშფოთების გამომხატველი შორისდებული“.

საანალიზო სამი ძირიდან ორში უ ხმოვანი გვაქვს და ერთში – გ. ამ ძირთა თანხმომხმდევერობებიც, სხვა სტრუქტურების ბგერათმომხმდევერობების მსგავსად, განხილული იქნება მეოთხე თავში.

CV

აფხაზურში CV სტრუქტურის 161 ძირი დადასტურდა, რომლებიც გადანაწილებულია შემდეგ ქვემოდებში: CV, F₁V, F₂V, SV და S°V.

CV ქვემოდელი 81 ძირეული მორფემითაა წარმოდგენილი. რეალიზებულია ა, გ, ი და უ ხმოვნები ქვემოთ მოცემული თანმომხმდევერობით, ო და ე კი საერთოდ არ გვხვდება:

ა (58): ა-ჩა „მწყერი“;

გ (16): ა-ძგ „წყალი“;

ი (4): ა-წი „მრუდე, მოღუნული“;

უ (3): ა-დუ 1. „დიდი“. 2. (ბზიფ.) „ორსული, ფეხმძიმე“.

C-ს ადგილას რეალიზებულია როგორც სადა, ისე ველარიზებული, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხშულები:

ა-ფა „ვაჟი, ძე“;

ა-პა „წვრილი“;

ა-და-რა „ჩავარდნა“;

ა-ჩა „ფურირემი“;

ა-ჭა „ახალგაზრდა, ახალი, ნორჩი“;

ა-გუ 1. „გული“. 2. „ცენტრი, შუაგული“;

ა-თა „კავკასიური ცაცხვი“;

ა-ტუ „მონა“;

ა-გა-ლა-რა „რხევა, ქანაობა“;

ა-ყა-რა „ქნევა“;

ა-კა „შევარდენი“.

CV ქვემოდელოში დასტურდება ყველა ხშული, გარდა დასახელებული ფონემებისა: ბ, ჯ, ჯ^ფ, ჭ, ქ.

F1V ქვემოდელოს 34 ძირია აფხაზურში. მასალაში ხმოვნები ასეთი სიხშირითაა გამოვლენილი:

ა (21): ა-შა „მწარე“;

გ (11): ა-სგ „თოვლი“;

ი (2): ა-ში-რა „წყევლა“.

საანალიზო ქვემოდელოში ყველა ფრიკატივია, ველარიზებული და ლაბიალიზებული ვარიანტებითურთ, ვ-ს გამოკლებით:

ა-ჟგ 1. „ჭექა-ქუხილის ღვთაება“. 2. „ელვა, მეხი“;

ა-სა „ნაჭერი“;

ა-ზა „სუფთა (სითხეზე)“;

ა-ჟრ „მჭედელი“;

ა-შა „სისხლი“;

ა-ჟა ბოტ. „იფანი, კოპიტი“;

ა-შა „მწარე“;

ა-ჟა-ბა „ათი (ნ. კ.)“;

ა-ში-რა „წყევლა“.

F2V ქვემოდელო 28 ძირითაა რეალიზებული. სათანადო მასალაში ე, ო და უ ხმოვნები არ გვხვდება, ხოლო ა, გ და ი ასეთი თანმიმდევრობით ნაწილდება:

ა (15): ა-ჰა 1. „მსხალი“;

გ (12): ა-ხგ „წილი, ხვედრი“;

ი (1): ა-ხრ-რა „დამუშავება“.

აღნიშნულ ქვემოდელოში ფრიკატივები წარმოდგენილია როგორც სადა, ისე ლაბიალიზებული და პალატალიზებული ვარიანტებით:

ა-ღ „მტერი“;

ა-ხ^გ „თავი“;

ა-ჰა-რა „სმენა, გაგონება“;

ა-ლ^გ „დაფა, ფიცარი“;

ა-ხა 1. „ნაცარი“. 2. „მრუდი“. 3. „ხორცის მატლი“;

ა-ჰ^გ „დაგრეხილი“;

ა-ჰა „ხმელი“;

ა-ლ^გ „სწრაფი“;

ა-ხა „წაბლი“.

SV ქვემოდეღში ცხრა ძირი გამოვლინდა, რეალიზებულია **რ, ლ, მ** სონორები. ყველაზე ხშირია **ლ**, კერძოდ, ხუთ ერთეულში, სამში – **მ** და ერთში – **რ**, ხმოვნები კი ამგვარი სიხშირითაა წარმოდგენილი (**გ, ე და ო** არ დასტურდება):

ა (7): ა-რ^ა 1. „კაკალი (ხე)“. 2. „წყრთა (ზომა)“;

უ (1): ა-ლ^უ „დოლაბი“;

ი (1): ა-მი „ქათმის ფეტვი“.

S^oV ქვემოდეღში ორივე სონანტია გამოვლენილი, დასტურდება ცხრა ძირი, მათგან ექვსში გვხვდება **ჟ**, სამში – **ღ**. საანალიზო ძირებში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია:

ა (7): ა-ან^ა „ან“;

უ (1): ა-ჟ^უ „ალიაქოთი, აურზაური“;

ი (1): ჟი „ის“.

CCV

აფხაზურ ენაში ხშირი გავრცელებისაა **CCV** სტრუქტურის ძირები. საანალიზო მასალაში **CCV, CF₁V, CF₂V, CSV, F₁CV, F₁F₁V, F₁F₂V, F₁SV, F₂CV, F₂F₁V, F₂F₂V, F₂SV, SCV, SF₁V, SF₂V, SSV** ქვესტრუქტურების სახით 243 ერთეული დადასტურდა:

CCV ქვესტრუქტურის 70 ძირი გამოვლინდა. მათში მხოლოდ **ა** და **გ** ხმოვნები გვხვდება ასეთი ოდენობით:

ა (50): ა-ბგ „ნაჯახი“;

გ (20): ა-კტ „ქათამი“.

მოხმობილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ CC შედეგა არაიდენტური ფონემებისაგან, მაგრამ მის ადგილას ხშირია იდენტური ფონემებიც. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, რადგან მათი დეტალური ანალიზი მოცემულია ორწევრა თანხმოდანკომპლექსებთან:

ჩჩა: ა-ჩჩა-რა „სიცილი“;

ჭჭა: ა-ჭჭა-რა „დახეთქა, დასკდომა“;

ძძა: ა-ძძა-რა „დაბანა, რეცხვა“;

წწა: ა-ფგ-წწა-რა „ბევრ ადგილას გადატეხა“;

ყყა: ა-წყყა-რა „რამდენიმე რაღაცის მოწყდომა“;

ჩჩა: ად-ლა-ჩჩა-რა „ბობოქრობა, მძვინვარება“.

CF₁V ქვესტრუქტურის 28 ძირია აფხაზურში. მათში მხოლოდ ა და გ ხმოვნები ვლინდება შემდეგი ოდენობით:

ა (18): ა-ფშა „ქარი“;

გ (8): ა-ფსგ 1. „სული“. 2. „მკვდარი“;

ი (2): ა-ბჟა-აა „შუათანა და, ძმა“.

CF₂V ქვესტრუქტურა 24 ძირითაა რეალიზებული, რომლებშიც მხოლოდ ა და გ ხმოვნებია წარმოდგენილი:

ა (20): ა-ფჰა „ასული, ქალიშვილი“;

გ (4): ა-ძღ „ლოყა, ღაწვი“.

CSV ქვესტრუქტურის 14 ძირია აფხაზურში, მათში მხოლოდ ა, გ და უ ხმოვნებია ასეთი სიხშირით:

ა (9): ა-ზნა „ტყე“;

გ (4): ა-ყრ „ლოჯი“;

უ (1): ა-ბრუ „ქანჩი“.

F₁CV ქვესტრუქტურა ა და გ ხმოვნების შემცველი 16 ძირითაა წარმოდგენილი:

ა (13): ა-ვბა „ბრალი, დანაშაული“;

გ (3): ა-შყუ „წიგნი“.

F1F1V 10 ძირით რეალიზდება, მათგან ცხრა იდენტური თანხმონების შემცველია, ხმონები კი ასეა განაწილებული:

ა (7): ა-სსა „წვრილი“;

ა-შეშა „ცხიმი, ქონი, საპოხი“;

გ (3): ა-დგ-შეშეგ-ლა-რა „ერთმანეთისთვის მისამძიმრება, ერთმანეთთან წუხილის გამოხატვა“.

F1F2V ქვესტრუქტურის 10 ძირი დადასტურდა, რომლებიც მხოლოდ ა და გ ხმონებს შეიცავს:

ა (7): ა-შხა 1. „მთა“. 2. „ფუტკარი“;

გ (3): ა-შხგ „მახრასებრი“.

F1SV ქვესტრუქტურის ა და გ ხმონებიანი ხუთი ძირია აფხაზურში:

ა (3): ა-ზლა „ტკბილი“;

გ (2): ა-ჟლა 1. „თესლი“. 2. „გვარი“. 3. „ჯიში“.

F2CV 16 ძირითაა რეალიზებული. ამ ქვემოდელშიც მხოლოდ ა და გ ხმონებია:

ა (9): ა-ხდა 1. „კისერი“. 2. „ყელი (ჭურჭლისა)“. 3. „საყელო“;

გ (7): ა-ხძგ „კვერცხის ცილა“.

F2F1V ქვესტრუქტურის სამი ძირია. მათშიც ოდენ ა და გ ხმონებია:

ა (2): ა-ხშა „ერბო; კარაქი“;

გ (1): ა-ჰზგ „გრძელი, თანაც გამხდარი“.

F2F2V ქვესტრუქტურის 15 ძირი გამოვლინდა, რომელთაგან 12 იდენტურ ფრიკატივებს შეიცავს, ხმონებიდან კი მხოლოდ ა და გ დასტურდება:

ა (14): ა-ლრა „ჩამოფხეკა, აფხეკა“;

გ (1): ა-ხგ-ხხგ-ლა „მწვანილი, რომელსაც ზედ აჭრიან საჭმელს შეკაზმვის დროს“.

F2SV ექვსი ძირითაა წარმოდგენილი. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია:

ა (5): ა-ღრა „მუცელი“;

გ (1): ა-ჰნგ 1. „სახლი“. 2. „შინ“.

SCV ქვესტრუქტურის 13 ძირია აფხაზურში. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ამგვარია:

ა (9): ა-მცა „ცეცხლი“;

გ (3): ა-რწგ „მწნილი“;

უ (1): ა-რწუ „კალია“.

SF₁V ხუთი ა ხმოვნიანი ძირითაა რეალიზებული:

ა (5): ა-მზა „მთვარე“

SF₂V ქვესტრუქტურის ექვსი ძირია. ამ ქვემოდელში ოდენ ა და გ ხმოვნებია:

ა (5): ა-ნზა-ჰგ „გლეხი“;

გ (1): ა-მზგ „ყანა“.

SSV ქვემოდელი ოდენ ორი ძირითაა რეალიზებული:

ა (1): ა-მრა „მზე“;

ი (1): ა-მრი „მახინჯი, უშნო“.

CCCV

CCCV მოდელი 13 ძირს ითვლის და რეალიზდება 6 – CF₁CV, CF₁F₁V, CF₁SV, CF₂CV, CF₂SV და SCF₂V – ქვემოდელის სახით.

CF₁CV ქვემოდელის ხუთი ძირი დადასტურდა, რომელთაგან ოთხი ა-ს, ხოლო ერთი გ ხმოვანს შეიცავს:

ა-ფშქა „ჩვილი, რბილი“;

ა-ფსყგ „საჭე“.

CF₁F₁V ქვემოდელში სამი ძირია. მათგან ერთი შეიცავს გ ხმოვანს:

ა-ფშშა-რს „გამოშრობა“;

ტსსგ „დუმილის, სიწყნარის გამომხატველი შორისდებული“.

CF₁SV ქვემოდელის ორივე ძირი ა ხმოვნის შემცველია:

ა-ფშმა 1. „მასპინძელი, კატრონი (მხოლოდ ოჯახის უფროსის მიმართ)“. 2. „ქმრისთვის ცოლი, ოჯახობა და ცოლისთვის ქმარი“

CF₂CV და CF₂SV თითო ძირს შეიცავს. ორივე გ ხმოვნიანია:

CF₂CV: ა-ფხთგ „ქეციანი, მუნიანი“;

CF₂SV: ა-ფხნგ-გა „მუშტისოდენა მომრგვალო ქვა, რომლითაც სპეციალური დანიშნულების ბრტყელ ქვაზე ნაყავენ მარილს, წიწაკას, ნიგოზს და სხვა; მომრგვალო ფილთაქვა, როდინის ქვა; ქვასანაყი“.

SCF₂V ქვემოდელი ა ხმოვნის შემცველი ერთი ძირითაა წარმოდგენილი:

ა-რფჰ „ფილტვი“ (შდრ. ა-რფჰჰ „ფილტვი“)

CVC

ჩემს სტატიაში „CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აბაზურ ენებში“ საკუთართან ერთად გათვალისწინებულია ნასესხები მასალაც. საანალიზო სტრუქტურის 70 ზმნური ძირია გამოვლენილი აფხაზურში, რომლებშიც ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია: ა (35), გ (31), ი (2), ე (1), ო (1). ნაშრომის მიხედვით, თუ ძირის თავკიდურად ხშულია, ბოლოკიდურად მეტწილად იქნება სონორი ან სპირანტი, იშვიათად – ხშული. კვლევისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია: თუ ფონემა ანლაუტში დისტრიბუციული სიხშირით გამოირჩევა, ნაკლებია მისი გამოვლენის ალბათობა აუსლაუტში და, პირიქით. ამასთანავე, ერთი ძირის ფარგლებში თავკიდურად და ბოლოკიდურად აკრძალულია ერთი და იმავე რიგის არაიდენტური ფონემები. ეს წესი ეხება ხშულებსაც და ფრიკატივებსაც, ასევე ერთ ძირში აფრიკატებთან სისინა და შიშინა სპირანტების გამოვლენასაც (ფონიავა 2012ბ, 125-142).

სტატიის შემდეგ საკვლევ მასალას დაემატა სახელური ერთეულები, სრული მასალა გაიხშირა ნასესხები ლექსიკისაგან. შედეგად აფხაზურ CVC მოდელში გამოიყო 23 ქვემოდელი: CVC, CVF₁, CVF₂, CVS, CVS^o, F₁VC, F₁VF₁, F₁VF₂, F₁VS, F₁VS^o, F₂VC, F₂VF₁, F₂VF₂, F₂VS, F₂VS^o, SVC, SVF₁, SVF₂, SVS, SVS^o, S^oVC, S^oVS და S^oVS^o. სულ ამ მოდელის 349 ძირია.

საკუთრივ CVC ქვემოდელში 98 ძირია. მათში გ, ა, ი და უ ხმოვნები ასეთი სიხშირითაა:

გ (52): ა-დღდ „ქუხილი“;

ა (43): ა-გაფ „ტყაპანი, ზღართანი“;

ი (2): ა-წიტ-რა „ჩიტების ჭიკჭიკი“;

უ (1): ა-ჩუქ „დამრბევი, მაროდორი“.

ამ ქვემოდელში თავკიდურად და ბოლოკიდურად იდენტური ფონემები დასტურდება 14 ძირში:

ა-ბგბ 1. „მტვერი“. 2. „ხის სოკო“;

ტ^oტ^o „ლეკვების მოსახმობი შორისდებული“;

ა-ძამ „სადგისი“;

ა-ც^oტ^o „ბურბუმელა; ნახერხი“.

CVF₁ ქვემოდელი 33 ძირს ითვლის. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია:

ა (20): ა-კაშხ „ციცაბო კლდე“;

გ (13): ა-ჯაგშხ 1. „ნიორი“. 2. „წყალმანკი“.

თითო ძირში ფონეტიკური ვარიანტების სახით ვლინდება უ და ე:

ა-გაჟუ „ჯორი“, შდრ. ა-გაჟუ „id“ ;

ა-გაჟუ „ბორბალი“, შდრ. ა-გაჟუ „id“;

CVF₂ 37 ძირითაა რეალიზებული. მათში ა და გ ხმოვნებია:

ა (22): ა-ბაჟხ 1. „ძვალი“. 2. „ჩონჩხედი, კარკასი“;

გ (15): ა-ცაღ „კვერნა“.

ერთ ძირში ა ხმოვნიანი ვარიანტის პარალელურად დასტურდება ე ხმოვნიანი ფორმაც: ა-ჭაჟხ || ა-ჭაჟხ „სილის გარტყმის, ჯოხის, ტოტის, ხის და მისთანების გადატყდომის ხმა“.

CVS ქვემოდელის ა და გ ხმოვნების შემცველი 24 ძირი ვლინდება:

ა (14): ა-წარ 1. „მახვილი, მჭრელი, ბასრი“. 2. „წკრიალა“;

გ (10): ა-დგრ „ნაცნობი“.

მათ ბოლოკიდურად მხოლოდ ოთხ ძირშია ლ და ორში ნ, სხვები რ სონორზე ბოლოვდება:

რ (18): ა-გარ 1. „ნემსი“. 2. „წიწვი“;

ლ (4): ა-ბელ-რა „ხანძარი“;

ნ (2): ა-კან ეთნ. „წლისთავზე, ქელეხზე გამართული გრძელი ლატანი, ზემოთ მორთული სხვადასხვა ხელსაქმარებით, რომლებსაც სროლით ჩამოაგდებდნენ“.

CVS^o ქვემოდელის შვიდი ერთეული გამოვლინდა, რომელთა ოთხ ძირში ო ხმოვანია, სამში – ე, ზუსტად ასეთი ოდენობითაა განაწილებული ჟ და ძ სონანტებიც ბოლოკიდურად:

ო (4): რაჟ „აჩუ! (შემახილი ცხენის გასარეკად)“;

ე (3): ჯაღ „თუ არ“.

FiVC 19 ძირის შემცველია, რომლებშიც მხოლოდ ა და გ გვხვდება:

ა (12): ა-შაც „მოლი“;

გ (7): ა-შაგც „ბზა“.

F₁V_{F₁} ქვემოდელის 10 ძირია, რომელთა შემადგენლობაში ხმოვნები ასეთი სიხშირითაა:

გ (5): **ა-შეშ** „წნული ღობე“;

ა (4): **ა-სას** „სტუმარი“;

ი (1): **სიშ!** „სუ! ჩუმად!“.

ერთ ძირში ე ხმოვანიც რეალიზდება, **გ** ხმოვნიანი ვარიანტის პარალელურად: **ა-შეუ** „დილა“, შდრ. **ა-შეუ** „id“

საანალიზო ქვემოდელის 10 ძირიდან ექვსი იდენტური ფრიკატივებისაგან შედგება:

ა-შაშ „ისლი“;

ა-სეს „კრავი, ბატკანი“.

F₁V_{F₂} რვა ძირითაა წარმოდგენილი. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ამგვარია:

ა (4): **ა-შაღ** „წიწიბო“;

გ (2): **ა-ჭეჭ-რ** „ყნოსვა, სუნვა“;

ი (1): **ა-შირ** „გაიძვერა, მატყუარა“;

ე (1): **ა-ზეჭ-რა** „სროლა (მონადირეთა ენაზე)“.

F₁V_S ქვესტრუქტურის ოდენ სამი ძირია, რომლებშიც **ა**, **გ** და **ი** ხმოვნები მონაწილეობს:

ა (1): **ა-შან-ჟა** „სვანი“;

გ (1): **ა-შეღ** „ხილი“;

ი (1): **ა-სირ** „ჰარამხანა“.

F₁V_S^o ქვესტრუქტურაში **ო** და **ე** ხმოვნების შემცველი ორი ძირია, ბოლოკიდურად ორივე სონანტია რეალიზებული:

ო (1): **ა-შირჟ-რა** „სიცხე, პაპანაქება“;

ე (1): **ა-შეღ** „უკანა ტანი, სახსენე“.

F₂V_C 23 ძირითაა წარმოდგენილი, რომლებშიც ხმოვანთა სიხშირული განაწილება ასეთია:

ა (13): **ა-რ-ხაჩ-რა** „დალაგება, დაწყობა“;

გ (9): **ა-ღეჩ** „ქურდი“;

ო (1): ა-ხით „მუცლის ჭიის სახეობა“.

F₂VF₁ ქვესტრუქტურის 15 ძირია:

ა (9): ა-ხაჟო „შქერი“;

გ (6): ა-ჰიგს „ხზო“.

ამ ქვემოდელშიც არის ერთი ე ხმოვნიანი ძირი, რომელიც ა ხმოვნიანის ვარიანტი ჩანს: ა-ჰიჟ „ყვითელი“, შდრ. ა-ჰიჟ „id“.

F₂VF₂ 10 ძირს მოიცავს, რომლებშიც თანაბრადაა განაწილებული ა და გ:

ა (5): ა-ხაჰი „ქვა“;

გ (5): ა-ჰიგხ-რა „გაწეწა, გაჩეჩა“.

ამ ძირთა ნახევარი თავკიდურად და ბოლოკიდურად იდენტური ფრიკატივების შემცველია:

ჰჰჰ „ოჰო (გაკვირვების გამომხატველი შორისდებული)“;

ა-ჰიჰჰი „მტრედი“.

F₂VS 11 ძირით ვლინდება. მხოლოდ ორ ძირშია ბოლოკიდურად **ნ**, სხვა შემთხვევებში **რ** გვაქვს, ხმოვნებიდან შვიდ ძირშია ა, ოთხში – გ:

ა-ჰარ „ღვარი, ნიაღვარი“;

ა-ჰინ „ცბიერი ადამიანი“.

F₂VS^o ქვემოდელის ოთხი ძირია, რომლებშიც გამოვლენილია ა, ი, გ და ე ხმოვნები, ბოლოკიდურად მხოლოდ ერთ ძირშია ჟ, სამში – ძ:

ჰაძ 1. „გამოხმაურების გამომხატველი შორისდებული“. 2. „სინანულის გამომხატველი შორისდებული“;

ა-ჰიდ-რა „შამბი, შამბნარი“;

ა-ღედ „გამხდარი (საქონელზე)“;

ა-ღეჟ „გუგუნი (ხმაბამვითი)“.

SVC ქვემოდელი 26 ძირს ითვლის. მათში ხმოვანთა, ხოლო თავკიდურად სონორთა განაწილება ასეთია:

ა (15): ა-მათ „გველი“;

გ (10): ა-ლგ „სუსტი; მახინჯი“;

ო (1): ა-მიტ „ურჩხული, მონსტრი“;

ლ (9): ა-ლსჟ „ზღაპარი“;

მ (9): ა-მჰჟ 1. „ცოტა“. 2. „პატარა, მცირე“;

რ (4): ა-რგც „კეფალი“;

ნ (4): ნაყ „იქით“.

SVF₁ ხუთი ძირითაა წარმოდგენილი. მათში თავკიდურად გვხვდება რ, ლ, ნ, ხმოვნებიდან მხოლოდ ა და გ რეალიზდება:

ა (4): ა-რაშჟ „თელა“;

გ (1): ა-ნგშ „მიწა“.

SVF₂ ქვემოდელის რვა ძირი დასტურდება. თავკიდურად გამოვლენილია ოთხივე სონორი, ხმოვნებიდან მხოლოდ ა და გ გვხვდება:

ა (7): ა-მაჰჟ „სიძე“;

გ (1): ნგხ „არ“.

SVS ოდენ ორ ძირს მოიცავს, ა და გ ხმოვნებიანს:

ა-მარ „ბაია“;

ა-მგმ „ბუა, მითოლოგიური პერსონაჟი, რომლითაც ბავშვებს აშინებდნენ“.

SVS^o, S^oVC, S^oVS და S^oVS^o ქვესტრუქტურები თითო ძირითაა წარმოდგენილი:

SVS^o: მრჟ „არა, არა მხოლოდ“;

S^oVC: ა-ჟგ „ნეხვი, ნაკელი“;

S^oVS: ა-ჟარ „გადამდები დაავადება“;

S^oVS^o: ა-ჟრჟ „სამგლოვიარო სიმღერა“.

ჩემს ზემოდასახელებულ სტატიაში „CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხა-ზურ-აბაზურ ენებში“ გამოვლენილი ტენდენცია (ფონიავა 2012ბ, 125-142) გავრცობილი კვლევითაც დასტურდება, კერძოდ, თუ ანლაუტში ფონემა გამოირჩევა დისტრიბუციული სიხშირით, ნაკლებია მისი აუსლაუტში გამოვლენის ალბათობა და, პირიქით (იხ. ცხრილი #12).

CVCC

CVCC მოდელში წარმოდგენილია 23 – CVCF₁, CVCF₂, CVSC, CVSF₁, CVSF₂, CVF₁F₁, CVF₂F₂, F₁VCF₁, F₁VSC, F₁VSF₁, F₁VSF₂, F₂VCF₁, F₂VCF₂, F₂VF₂C, F₂VSC, F₂VSF₁, F₂VSF₂, F₂VS^oC, SVCF₁, SVF₂C, SVSC, SVSF₁ და S^oVCF₁ – ქვემოდელის სახით რეალიზებული 78 ძირი.

CVSC ქვემოდელოში 23 ძირია:

ა (10): ა-ჰანქ „გვიძრის ან ჯოხის სათამაშო“;

ბ (10): ა-ბერგ „მოხუცი“;

გ (3): ა-დერჯ „ჩოქელა“.

CVCF₁ ქვემოდელოს 11 ძირი დასტურდება:

ა (8): ა-ყაფშ „წითელი“;

ბ (3): ა-ქუფშ „მოზარდი“.

CVCF₂ შვიდი ძირითაა წარმოდგენილი:

ბ (5): წუფხ „შარშან“;

ა (1): ა-ფათხ „ღვინის ყანწი“;

გ (1): ა-თეთხ „ეპილეფსია“.

F₂VSC ქვემოდელოც შვიდი ძირითაა გამოვლენილი, რომელთაგან მხოლოდ ერთშია გ:

ა (6): ა-ჰამგ „ფარისთვის აგებული სადგომის ქვის ჭერში ჩაფენილი მწვანე გვიძრა“;

ბ (1): ა-ხერგ „ფარის შექმნის შემდეგ მწყემსისთვის საჩუქრად მიცემული თხა“.

F₁VSC ქვემოდელოს მხოლოდ სამი ძირია რეალიზებული:

ბ (2): ა-შუმშ „ბოლქვი“;

ა (1): ა-შალტ „შლამი“.

CVSF₂ ქვემოდელოშიც სამი ძირია, სამივე ბ ხმოვნია:

ა-წუმლ „ლურსმანი“

ორ-ორი ძირის შემცველია F₁VCF₁, F₂VCF₁, F₂VSF₁, SVCF₁, SVSC, SVSF₁ და S^oVCF₁ ქვემოდელები:

F₁VCF₁: ა-შეჟს „წელიწადი, წელი“;

F₂VCF₁: ა-ხაფშ „მღვრიე“;

F₂VSF₁: ა-ხარშ „პატარძლის მისალოცი საჩუქარი, პირის სანახავი“;

SVCF₁: ა-ნაფშ „შავთავა შაშვისებრთა ოჯახიდან“;

SVSC: ა-მარჩ „ბაია“;

SVSF₁: ა-ღემშ „სვია, ფშალა“;

S^oVCF₁: ა-ჭაფშ „თემი“.

CVF₁F₁, CVF₂F₂, CVSF₁, F₁VSF₁, F₁VSF₂, F₂VCF₂, F₂VF₂C, F₂VSF₂, F₂VS^oC და **SVF₂C**

ქვემოდელების თითო ძირი გამოვლინდა:

CVF₁F₁: ჩაჭაფშ „გაჩუმების გამომხატველი შორისდებული“;

CVF₂F₂: ა-ბეჭაჩა-რა „ხარის ბღავილი“;

CVSF₁: ა-კარშა-რა „ვაკე, ველი“;

F₁VSF₁: ა-შარშ „ცვილის თხელი ფურცლები“;

F₁VSF₂: ა-ჭარწ 1. „ფიჩხი, ხმელი წვრილი ტოტები“. 2. „გამხდარი“;

F₂VCF₂: ა-ხაჭაფწ „დაფქული (მარილი)“;

F₂VF₂C: ა-ღაღა „ხმელი (თამბაქოზე, სიმინდზე)“;

F₂VSF₂: ა-ხაჩაჩა „ქატო“;

F₂VS^oC: ჰადა „ზღვის ღმერთი“;

SVF₂C: ა-მაჩაჩა „აქლემი“.

CCVC

CCVC მოდელი რეალიზდება 82 ძირით, რომლებიც შემდეგ ქვემოდელებშია გადანაწილებული: **CCVC, CCVF₁, CCVF₂, CCVS, CF₁VC, CF₁VF₁, CF₁VF₂, CF₁VS, CF₂VC, CF₂VF₁, CF₂VF₂, CF₂VS, CSVC, CSVF₁, CSVF₂, CSVS, CSVS^o, F₁CVS, F₁F₂VS, F₁SVC, SCVF₁, SCVS, SCVS^o, SF₁VS** და **SF₂VC**. ქვემოთ მოცემულია მათში ხმოვანთა დისტრიბუცია, თანხმოვანმიმდევრობათა ანალიზი, როგორც ზემოთ აღინიშნა, განხილული იქნება მეოთხე თავში.

CCVC ოთხი ძირითაა წარმოდგენილი, რომლებშიც **გ, ა** და **ი** ხმოვნებია:

ა-წაჭაჭა „პატარა, ღრმად დარგული, ჩარგული“

CCVF₁ ქვემოდელებშიც ოთხი ძირია, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეიცავს ა-ს, სხვები **გ** ხმოვნიანია:

ა-პაჭაჭა „კობრი“

CCVF₂ ქვესტრუქტურაში ოდენ ერთი ძირია – ა ხმოვნის შემცველი:

ა-მაჩაჩა „ამბავი“

CCVS ა და **გ** ხმოვნებიანი რვა ძირითაა წარმოდგენილი:

ა (4): ა-ჩაჩაჩა „მცენარე, რომლისგანაც მათრახს ამზადებენ“;

გ (4): ა-ჭკუნ 1. (ბზიფ.) „ახალგაზრდა, ყმაწვილი“. 2. „ვაჟიშვილი, ბიჭი“.

CF₁VC ქვემოდელის ოთხი ძირი ვლინდება, გ ხმოვნია:

ა-ფსტ „თევზი“

CF₁VF₁ ორი ძირითაა წარმოდგენილი:

ა-ბჟეს 1. „დაზიანებული“. 2. „თავდაუჭერელი“;

ა-ბჟას „ვეფხვი, ლეოპარდი“.

CF₁VF₂ ქვემოდელშიც ა და გ ხმოვნია ორი ძირია:

ა-ფსახ-გა „საცვლები“;

ა-ფშეს-რა „შემჩნევა, მეთვალყურეობა“.

CF₁VS ერთი ძირით ვლინდება:

ა-კშარ „შავი ყურძნის ჯიში“

CF₂VC ქვემოდელში რვა ერთეული გამოიყოფა:

ა (5): ა-ცხაჯ „გამხდარი“;

გ (3): ა-ფხტ „სიზმარი“.

CF₂VF₁ შვიდი ძირით რეალიზდება:

გ (4): ა-ფჰეს 1. „ქალი, დიაცი“. 2. „ცოლი“;

ა (3): ა-ბლაჟ „ფუფხვი, ქერქი“.

CF₂VF₂ ოდენ ერთ ძირს მოიცავს:

ა-ფხაპი „ჭოპოსანი“

CF₂VS ქვემოდელის ოთხი ძირი დასტურდება:

ა (2): ა-წჰან „სარი, მარგილი“;

გ (2): ა-ცხტრ-აა-რა „დახმარება“.

CSVC ქვემოდელი რვა ძირითაა წარმოდგენილი, რომლებშიც თანაბრადაა განაწილებული ა და გ:

ა (4): ა-ბლაჟი „ზღვის ძროხა (თევზი)“;

გ (4): ა-წრჯჟ 1. აბჟ. „ძაფის გორგალი“ 2. ბზიფ. „თითისტარი“.

CSVF₁ 10 ძირის შემცველია, რომელთა შემადგენლობაში გ სჭარბობს ა-ს:

გ (7): ა-ქნგში „ვერცხლისფერი თოლია“;

ა (3): ა-ფრას „ჭრიჭინა“.

CSVF₂ ქვემოდელის მხოლოდ ერთი ძირი ვლინდება:

ა-ჭრ'ხ „ჭრელი“

CSVS ა ხმოვნის შემცველი სამი ძირითაა წარმოდგენილი:

ა-ჭლარ „ყურძნის სახეობა“

F₁CVS გ ხმოვნიანი ორი ძირით რეალიზდება:

ა-სქ'გრ „ველური ნიორი“

CSVS^o, F₁F₂VS და F₁SVC ქვემოდელების თითო ძირით გამოვლინდა:

CSVS^o: ა-ბრეჟ „ხრახნი“;

F₁F₂VS: ა-ჟიჟან „ცა“;

F₁SVC: ა-ჭლ'კ „თამბაქოს მორჩი“.

SCVF₁ ორი გ ხმოვნიანი, ხოლო SCVS ორ-ორი ა და გ ხმოვნიანი ძირით ვლინდება:

SCVF₁: ა-რფეს „ჭაბუკი“;

SCVS: ა-მგ'ალ „მჭადი“;

SCVS: ა-მპ'ელ „ბურთი“.

SCVS^o, SF₁VS და SF₂VC ქვემოდელების თითო ძირი დასტურდება:

SCVS^o: ა-რც'ჲ „მდოგვი“;

SF₁VS: ა-მშ'გნ ზღვა“;

SF₂VC: ა-მჰ'წო „კოვზი“.

CCCVC

CCCVC მოდელში გამოიყოფა CF₂SVS და SCCVS ქვემოდელების გ და ა ხმოვნებიანი ორი ძირი:

CF₂SVS: ა-ცხლ'გმ „მშიერი (მგელზე)“;

SCCVS: ა-მშ'კან „არტახი“.

CVCCC

CVCCC მოდელში სამ ქვემოდელოდ წარმოდგენილი სამი ძირია, სამივე ა ხმოვნიანი:

CVSCF₁: ა-კ'ამფში „ქორის სახეობა“;

F₂VSCF₂: ა-ჰანთხ 1. „ხმელი“. 2. „მქლე (მოხუცებზე)“;

SVSCF₂: ა-მარცხ „ურქო ცხვარი“.

CCVCC

CCVCC მოდელში დასტურდება ოთხ ქვემოდელად – CF₁VSC, CF₂VSC, F₁SVSC და SCVCF₁ – წარმოდგენილი ხუთი ძირი, რომელთაგან ერთი შეიცავს გ-ს, სხვები ა ხმოვნია. ამათგან CF₁VSC ქვემოდელი ორი ძირით რეალიზდება, სხვები მხოლოდ თითო ძირს ითვლის:

CF₁VSC: ა-ბუნწ „იელი“;

CF₂VSC: ა-ბღანჭ „ლორდი“;

F₁SVSC: ა-ჭრანჭ „ქრელი ბუზიჭერია ჩიტი“;

SCVCF₁: ა-რწაფშ „ისარი, ნესტარი“.

აფხაზურ ერთმარცვლიან ძირთა მოდელები გავრცელების სიხშირითურთ ნაჩვენებია ცხრილში (იხ. ცხრილი #13).

2.2.2. აფხაზურ ერთმარცვლიან ძირთა სტრუქტურული ანალიზი

აფხაზურში ერთმარცვლიანი ძირები რეალიზებულია 11 მოდელად: V, VC, CV, CCV, CCCV, CVC, CVCC, CCVC, CCCVC, CCVCC და CVCCC.

V

აფხაზურში V სტრუქტურის ორი ძირი დასტურდება, ი და ო ხმოვნებით წარმოდგენილი:

ი: შა-რ-ი-რა „შობა“;

ო: ო „შორისდებული“.

VC

VC ოთხ ქვემოდელში – VC (2), VF₁ (2), VF₂ (3), VS^o (3)– განაწილებული 10 ძირით გამოვლინდა:

VC: ჰბ „ვაცი“;

VF₁: აზ „ნადველი“;

VF₂: აჰ „მთავარი“;

VS^o: ად „ოხ, ეხ“.

CV

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მომზადდა მოხსენება CV და CVCV სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირებში ფონემათა დისტრიბუციის შესახებ.

კვლევის მიხედვით, CV მოდელში გამოვლენილია 50 ზმნური ძირი, C-ს ადგილას არაა რეალიზებული: ვ, ჭ, ჯ, ჩ, გ, ქ, კ, კო, ყ, ჟ, ლ, ლო, რ, ნ, ლ, ე. CV მოდელში დომინანტია ა, მას მოსდევს გ, უ და ი თითო ძირში დასტურდება (ფონიავა 2012, 35-36).

მოხსენების შემდეგ კვლევა გაგრძელდა სახელური მასალის გათვალისწინებით, რის შედეგადაც CV მოდელში სულ 142 ერთეული გამოვლინდა – CV, F1V, F2V, SV და S°V ქვემოდელების სახით.

CV ქვემოდელის 76 ძირი აღმოჩნდა. მათში, აფხაზურის მსგავსად, რეალიზდება ყველა ხმოვანი, ო და ე-ს გამოკლებით:

ა (57): კა „ილია“;

გ (16): გუ „გული“; შუა, ცენტრი“;

უ (2): დუ-ხა-რა „გაზრდა, დიდად ქცევა“;

ი (1): ყო „ქეცი, მუნი, მღიერი“.

C წარმოდგენილია სადა, ველარიზებული, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხშულების სახითაც:

წა „ტილი“;

ძე 1. „წყალი“. 2. „სითხე“;

ჭა „პირი, სახე“;

ჩე „ცხენი“;

ქე „სახურავი“;

ჩე „ხარი“;

ყა-რა „რაღაცის ქნევა“.

CV ქვემოდელში საერთოდ არაა გამოვლენილი ჯ, გ, ქ, კ, ქ, კ და ყ ხშულები.

F1V 35 ძირითა და, ე-სა და ო-ს გამოკლებით, ყველა ხმოვნით ვლინდება:

ა (16): შა „სისხლი“;

გ (14): შე „კარი“;

უ (3): ჭუ! „ფუ! ფუი!“;

ი (2): ში-რა „დაწყველა“.

ამ ქვემოდელოში ფრიკატივები დასტურდება როგორც სადა, ისე ველარიზებული და ლაბიალიზებული ერთეულებით, ოღონდ საერთოდ არ რეალიზდება ვ:

სა „მე“;

ჟა-რა „მოტყუება“;

ჟბ-რთა „ორმო“;

შბ „ლიბრი“;

ჟგ „ძროხა“;

შა-ჰგ „მშიშარა, ლაჩარი“.

F₂V ქვემოდელოში ა და გ ხმოვნების შემცველი 23 ძირია:

ა (13): ჰა „მსხალი“;

გ (10): ლგ „სეტყვა“.

ამ ქვემოდელოშიც ფრიკატივები სადა, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ვარიანტებითურთ რეალიზდება, თუმცა საერთოდ არ ვლინდება ლ:

ხგ „ტყვია“;

ღგ „სეტყვა“;

ჰა „ღორი“;

ჰგ-რა „ხელნაწერი“;

ხგ „ფარჩა“.

SV ქვემოდელოს ექვსი ძირია, რომლებშიც გვაქვს რ, ლ და მ სონორები, ხოლო ხმოვნებიდან – ა, გ და უ:

ა (4): ა-მა-ზლა-რა 1. „რადაცის ან ვილაცის დაჭერა“. 2. „რადაცის ქონა“;

გ (1): რგ „არმია, ჯარი“;

უ (1): ლუ „ხელის საფქვავი“.

ამ ქვემოდელოში რ და მ თითო ძირშია, ლ ოთხ ძირში ვლინდება.

S^oV ქვემოდელის ორი ძირი დასტურდება, ორივეში თავკიდურად სონანტის ადგილას უგვხვდება:

ჭ „შენ“

CCV

აბაზურ ენაში საკმაოდ გავრცელებულია **CCV** სტრუქტურის ძირები. ამ მოდელის 188 ერთეული გამოვლინდა **CCV, CF₁V, CF₂V, CSV, F₁CV, F₁F₁V, F₁F₂V, F₁SV, F₂CV, F₂F₁V, F₂F₂V, F₂SV, SCV, SF₁V, SF₂V, SSV** ქვესტრუქტურების სახით:

CCV ქვემოდელის 46 ძირი დადასტურდა. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია:

ა (32): ბგა-რა 1. „გავარდნა რაღაცის მიმართულებით“. 2. „ჩამონგრევა“;

გ (12): ცგუ „კატა“;

უ (1): ქტუ „ქათამი“;

ო (1): ტკრ „მკაცრი“.

CC ძირითადად არაიდენტური ხმულებითაა წარმოდგენილი, მაგრამ იშვიათად მის ადგილას იდენტური ფონემებიც გვხვდება:

ჯჯა-გა „სარეცხი“;

გგა „გრუხუნი“.

CF₁V ა, გ და ი ხმოვნების შემცველი 28 ძირით ვლინდება:

ა (16): ფსა-რა 1. „მოხვეტა, დაგვა“. 2. „დასველება“;

გ (11): ბჟუ „ხმა“;

ო (1): ბზი-ზლა-რა „სიკარგე“.

CF₂V ქვემოდელის 25 ძირი დადასტურდა, რომლებშიც მხოლოდ ა და გ ხმოვნებია რეალიზებული:

ა (21): ფჰა „ქალიშვილი“;

გ (4): ბლგ 1. „ფურცელი“. 2. „ფოთოლი“.

CSV ქვემოდელში 16 ძირია, რომლებშიც ხმოვანთა განაწილება ასეთია:

ა (9): წლს „ხე“;

გ (5): გრგ „ნემსი“;

უ (1): ბრუ „ბურღი“;

ო (1): ცრრ „ნათესავი, ნათესაობა, მშობლიური“.

F₁CV ა, გ და უ ხმოვნების შემცველ 17 ძირს ითვლის:

ა (14): შჭა „მთა, საძოვარი“;

გ (2): ზქგ „ზურგი“;

უ (1): შტუ „შემახილი ძაღლისადმი“.

F₁F₁V იდენტური ფრიკატივებისა (ქვემოთ მოყვანილი ერთი ძირის გამოკლებით) და ა, გ ხმოვნებისაგან შემდგარი ექვსი ძირითაა გამოვლენილი:

ა (5): ჟჟა-გა „ფარცხი“;

გ (1): შსგ „მძევალი“.

F₁F₂V ქვემოდელის ექვსი ძირი დადასტურდა, რომლებშიც ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთ სურათს იძლევა:

ა (5): სჭა „დაბალი“;

გ (1): შხგ „სტაფილო“.

F₁SV ქვემოდელის ერთი ძირიდა აღმოჩნდა:

ჟლა „ოჯახი“

F₂CV სამი ა ხმოვნიანი ძირის შემცველია:

ხჩა-რა „დაცვა, გაფრთხილება“

F₂F₁V ქვემოდელში ექვსი ძირია და მათში გ სჭარბობს ა-ს:

გ (4): ხშგ „ქორი“;

ა (2): ჰზა 1. „თანამგზავრი“. 2. „კოლეგა“.

F₂F₂V ა ხმოვნიანი ხუთი ძირითაა წარმოდგენილი. მათგან ოთხი იდენტურ ფრიკატივებს შეიცავს:

ლლა-რა „ვაკე“;

ხჭა-რა „ყიდვა“.

F₂SV ა ხმოვნის შემცველი ორი ძირით რეალიზდება:

ჰნა „მამის სახლი, კერა“

SCV ქვემოდელში გამოვლენილ 11 ძირში რეალიზებულია ა და გ, სონორებიდან საერთოდ არაა ლ, ნ და რ კი თითო ძირშია:

ა (7): რჭა „ველი, ტრამალი“;

ნჩა „ღმერთი, ღვთაება“;

გ (4): მცგ „ტყუილი“.

SF₁V ა და **გ** ხმოვნთან ხუთ ძირს ითვლის, რომლებშიც **S**-ის პოზიციაში მხოლოდ **მ** დასტურდება:

გ (3): **მშგ** „დათვი“;

ა (2): **მზა** „ნათურა“.

SF₂V ქვემოდელი **მ**, **ლ**, **ნ** სონორებისა და **ა**, **გ** ხმოვნების შემცველ 10 ძირს შეიცავს:

ა (6): **ლჭა** „კვამლი“;

გ (4): **მხგ** „ყანა“.

SSV ქვემოდელის ერთი ძირი გამოვლინდა:

მლა „შიშხილი“

CCCV

CCCV მოდელში **CCF₂V**, **CCSV**, **CF₁CV**, **CF₁F₁V**, **CF₂CV**, **CF₂F₂V**, **SF₁CV** ქვემო-
დელების სახით 15 ძირი გამოვლინდა.

ხუთი ძირის შემცველია **CF₁CV**:

ფშქა „რბილი, სუსტი“

სამი ძირით დასტურდება **CF₂CV**:

ფხთგ „ქეციანი, მუნიანი“

ორ-ორი ძირით რეალიზდება **CCF₂V** და **CF₁F₁V**:

CCF₂V: **თფჰა** „ქალი“;

CF₁F₁V: **თ-ფსსა-რა** „გამოგვა, ვიღაცის გაგდება“.

თითო ძირს შეიცავს **CCSV**, **CF₂F₂V** და **SF₁CV**:

CCSV: **ა-ცა-ცკრგ-ჭა-რა** „ერთმანეთის დახმარება“;

CF₂F₂V: **ა-წა-ფხხა-რა** „გაბრაზება“;

SF₁CV: **მსთა** ანატ. „საზარდული“.

CVC

ჩემ მიერ მომზადდა მოხსენება, რომელიც დაეთმო CVC ტიპის აბაზურ ზმნურ ძირთა ფონემური სტრუქტურის ანალიზს. გამოვლინდა 12 ქვემოდელოდ რეალიზებული 128 ზმნური ძირი. მათში ხმოვნები ასე გადანაწილდა: **ა** (73), **გ** (51), **უ** (2), **ო** (1) და **ე** (1). დადგინდა, რომ CVC სტრუქტურაში ერთი ძირის ფარგლებში თავკიდურად და ბოლოკიდურად არ დასტურდება ერთი და იმავე რიგის არაიდენტური ფონემები

(ფონიავა 2012ა, 74-75).

ამავე საკითხზე გამოქვეყნდა ჩემი სტატია „CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აბაზურ ენებში“. აბაზურში საანალიზო მოდელის 78 ზმნური ძირი გამოვლინდა. მათში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია: ა (46), გ (28), ი (2), ე (1), უ (1). კვლევამ აჩვენა, რომ, აფხაზურის მსგავსად, თუ თავკიდურად ხშულია, ბოლოკიდურად ძირითადად წარმოდგენილი იქნება სონორი ან სპირანტი, ნაკლებად – ხშული. ისევე როგორც აფხაზურში, აბაზურშიც ანლაუტში დისტრიბუციული სიხშირით გამორჩეული ფონემის აუსლაუტში გამოვლენის ალბათობა ნაკლებია და, პირიქით. აბაზურშიც CVC მოდელში ძირეული მორფემის ფარგლებში თავკიდურად და ბოლოკიდურად ერთი და იმავე რიგის არაიდენტური ფონემები აკრძალულია (ფონიავა 2012ბ, 125-142).

ნასესხები ლექსიკის გამორიცხვითა და ზმნური მასალის სახელური ერთეულებით შევსების შედეგად აბაზური ენის CVC მოდელში გამოიყოფა 22 (CVC, CVF₁, CVF₂, CVS, CVS^o, F₁VC, F₁VF₁, F₁VF₂, F₁VS, F₂VC, F₂VF₁, F₂VF₂, F₂VS, F₂VS^o, SVC, SVF₁, SVF₂, SVS, S^oVC, S^oVF₁, S^oVF₂ და S^oVS^o) ქვემოდელის სახით წარმოდგენილი 223 ძირი.

CVC ქვემოდელში 64 ძირია. მათში ე ხმოვანი არ მონაწილეობს, სხვა ხმოვნების დისტრიბუცია ამგვარია:

გ (35): ყაგყ „მოხრილი, მოღუნული“;

ა (24): დაგ „ყრუ“;

უ (3): ტუფ „ანწლი“;

ო (1): ცობ „ხარის შემახილი“;

ი (1): ყრყ „დამრეცი“.

64 ძირიდან ექვსში თავკიდურად და ბოლოკიდურად იდენტური თანხმოვნები დასტურდება:

ყაყ-რა „დაღეჭვა, რაღაცის ახსნა“;

წგწ „რეზინა, საშლელი“.

CVF₁ 19 ძირით ვლინდება, რომლებშიც ხმოვნები ამგვარადაა განაწილებული:

ა (10): ჳამ-ხა-რა „ამღვრევა“;

გ (7): ბგჟ-ბა „შვიდი (ნ. კ.)“;

ე (1): ფემ „ოთახი“;

ო (1): წის „ბელურა“; „ჩიტი“.

CVF₂ ა და გ ხმოვნების შემცველი 20 ძირით რეალიზდება:

ა (14): ჭგ'ხო „ლურჯი“;

გ (6): ა-ლა-დახ „რამეში ჩაკერებული“.

CVS 24 ძირით ვლინდება, რომლებშიც ხმოვანთა განაწილება ასეთია:

ა (10): კარ-რა „თოხარიკივით სიარული“;

გ (11): წგრ-რა „ყვირილი“;

ე (2): თენ „ციყვი“;

ო (1): ყრმ „რამდენიმე“.

CVS^o შვიდი ძირითაა წარმოდგენილი:

ა (3): პად „ტალახი, ჭუჭყი“;

გ (1): ა-ლა-ჭგ'ჟ-რა „ერთად ტირილი“;

უ (1): ყრუჟ „გედი“;

ე (1): ჭედ „საზომი“;

ო (1): დიდ-რა 1. „გაქვავება“; 2. „გაცივება“.

F₁VC ა და გ ხმოვნიან 12 ძირს შეიცავს:

ა (8): ვაგ-ხა-რა „კუზიანად ქცევა“;

გ (4): შგ'ბ „თრთვილი“.

F₁VF₁ ოთხი ძირითაა წარმოდგენილი, რომელთაგან სამი თავკიდურად და ბოლოკიდურად იდენტურ ფრიკატივებს შეიცავს:

ა (2): სას-რა „სტუმრობა“;

გ (2): სგ'ს „ბატკანი“.

F₁VF₂ ქვემოდელის ხუთი ძირი გამოვლინდა:

გ (4): შგ'ჰ „ბზე, ჩალა“;

ა (1): ჟაჰ „ნიკაპი, ძირი“.

F₁VS ქვემოდელში ექვსი ძირია:

გ (4): შგ'რ „მხეცი, ნადირი“;

ა (1): შან „ხასიათი, ზნე, მანერა“;

ო (1): სრნ „ძეგლი“.

F₂VC ქვემოდელის 16 ძირი დადასტურდა:

ა (11): ხაჭ-რა „დალამბვა“;

გ (4): ხეც-ხა-რა „მოცულობის შემცირება“;

ო (1): ხართ „თავისუფალი, გაშლილი“.

F₂VF₁ შვიდი ძირით ვლინდება:

ა (6): ჰაჟ-რა „სიყვითლე“;

გ (1): ჰა-ლ-ღეზ-ჰა-რა „კვნესა, ძილში ბოდვა“.

F₂VF₂ სამ ძირს ითვლის. მათგან ორში თავკიდურად და ბოლოკიდურად ჰ დას-ტურდება:

ა (2): ჰაჰ-ჰე „მოცეკვავე“;

გ (1): ჰეჰ „მტრედი“.

F₂VS ქვემოდელიც ექვს ძირს შეიცავს:

ა (4): ღარ „ტუსაღი“;

გ (2): ა-ქ-ჰეგრ-რა „დანგრევა“.

F₂VS^o ო ხმოვნიათ ერთი ძირითაა წარმოდგენილი, რომლის ბოლოკიდურად ჟ გვხვდება:

ჰარჟ „მალემსრბოლი, შიკრიკი“

SVC ცხრა ძირით რეალიზდება. მასში თავკიდურად სონორებიდან მხოლოდ რ არ გვხვდება:

გ (5): ლგ „ტყვე“;

ა (3): მაჰ-ზლა-რა „უმნიშვნელოდ ყოფნა“;

ო (1): ღრკ „ზღაპარი“.

SVF₁ ქვემოდელებში ცხრა ძირია, რომელთა თავკიდურად ყველა სონორია რეალიზებული:

გ (5): ნეშ „თიხა, მიწა“;

ა (4): ლას-ხა-რა „დამსუბუქება“.

SVF₂ გ ხმოვნიან ორ ძირს შეიცავს:

რეჰ „ლატანი, კოჭი“

SVS ოდენ ერთ ძირს ითვლის:

ნარ „ტრიბუნა“

S^oVC ქვემოდელის **ა** და **ი** ხმოვნისანი ორი ძირი ვლინდება, თავკიდურად კი ორივე სონანტია წარმოდგენილი:

აც-ჭ^არ „გუშინდელი“;

ჭრტ „უჰ“.

S^oVF₁ ქვემოდელში **გ** ხმოვნისანი ორი ძირია:

გ (2): ჭ^ას „საქმე“

S^oVF₂ **ა** და **გ** ხმოვნისან ორ ძირს შეიცავს:

ჭ^აჭ^ა „გვალვა“;

ჭ^აჭ^ა „ობ! ვაი!“.

S^oVS^o ქვემოდელში **ა** და **გ** ხმოვნისანი ორი ძირი გვაქვს:

ჭ^აჭ^ა „შხამი“;

ჭ^აჭ^ა „ყმილი“.

ჩემს სტატიაში „CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აბაზურ ენებში“ დადგენილი ტენდენცია (ფონიავა 2012ბ, 125-142) გავრცელდა სახელურ ძირეულ მორფემებზეც, შესაბამისად, აფხაზურის მსგავსად, CVC სტრუქტურის ძირეულ მორფემაში ანლაუტის პოზიციაში დისტრიბუციული სიხშირით გამორჩეული ფონემის აუსლაუტში გამოვლენის ალბათობა ნაკლებია და, პირიქით (იხ. ცხრილი #19).

CVCC

CVCC სტრუქტურაში 31 ძირია წარმოდგენილი, რომლებიც **CVCC**, **CVCF₁**, **CVCF₂**, **CVF₁C**, **CVSC**, **CVSF₂**, **F₁VSF₂**, **F₂VCF₁**, **F₂VSC**, **SVF₁C**, **SVSC** და **SVS^oC** ქვესტრუქტურების სახით რეალიზდება.

ამ ქვესტრუქტურაში ყველაზე გავრცელებულია **CVSC**, რომელიც **გ**, **ა** და **უ** ხმოვნებისან 13 ძირს ითვლის:

გ (6): დ^ამ^ა „სროლის ხმა“;

ა (5): ვ^არ^აფ „სოკო“;

უ (2): ჟ^აშ^ამ^აფ „კენკრა“.

სამი ერთეულით ვლინდება **CVF₁C**:

ფ^აჭ^აშ^ათ „ზღვარი, დასასრული“

ორ-ორი ძირის შემცველია **CVCC**, **CVCF₁**, **CVSF₂**, **CVCF₂** და **F₂VCF₁**:

CVCC: ჯ^აპ^აყ „ღერო“;

CVCF₁: ყაფშ-ხა-რა „გაწითლება“;

CVSF₂: ძერჟ-ჟი „დამჯერი“;

CVCF₂: წგფხ „მარშან“;

F₂VCF₁: ხაფშ „ოქრო“.

თითო ძირითაა წარმოდგენილი **F₁VSF₂**, **F₂VSC**, **SVF₁C**, **SVSC** და **SVS^oC**:

F₁VSF₂: ა-ჭარხ 1. „ფიჩხი“. 2. გადატ. „გამხდარი“;

F₂VSC: ა-ჭერჯ „ძლივძლივობით“;

SVF₁C: მიშტ „განა, ნუთუ“;

SVSC: ხგრჟი „მდინარის გაღმა ნაპირი“;

SVS^oC: რადჯ „ფურჩალი“.

CCVC

CCVC მოდელი CCVC, CCVS, CCVS^o, CF₁VC, CF₁VF₁, CF₁VF₂, CF₂VF₁, CF₂VF₂, CF₂VS, CSVC, CSVS, CS^oVS, F₁CVC, F₁CVF₂, F₂CVF₁, SCVS, SF₁VC, SF₁VF₂ ქვემოდელელებითა და 36 ძირით რეალიზდება:

CSVC ოდენ გ ხმოვნიან ექვს ძირს შეიცავს, ექვსძირიანია CCVS ქვემოდელიც, მაგრამ მას ერთი ა ხმოვნიანი ერთეული ურევია:

CSVC: პრგჟ „მტომი“;

CCVS: ჯგარ „მომრავი“.

სამ-სამი ძირითაა წარმოდგენილი **CF₁VF₁** და **CF₂VF₁**:

CF₁VF₁: ფსგზ „თევზი“;

CF₂VF₁: ფჟგს „ცოლი“.

ორ-ორ ძირს შეიცავს **CCVC**, **CF₂VS**, **CF₁VF₂** და **SF₁VC**:

CCVC: ჩხგგ „ცელი“;

CF₂VS: ჭჟჟან „სარი, პალო“;

CF₁VF₂: ფშგზ „ქარი“;

SF₁VC: ლღჟჟ „სტეპის ან ტყის ხანძარი“.

თითო ძირით დასტურდება **CCVS^o**, **CF₁VC**, **CSVS**, **CF₂VF₂**, **CS^oVS**, **F₁CVC**, **F₁CVF₂**, **F₂CVF₁**, **SCVS** და **SF₁VF₂**:

CCVS^o: ჩიკჟ „თავხედი, უტიფარი“;

- CF₁VC: ფსგვ „ალვის ხე“;
- CSVS: ყოლან „ამლაკი“;
- CF₂VF₂: ბლლ „მდგომარეობა, ქონება“;
- CS^oVS: ყდგნ „მომაბეზრებელი“;
- F₁CVC: შჰჰგჰჰ „ჯოგი, გუნდი“;
- F₁CVF₂: შტან „გავა, საჯდომი“;
- F₂CVF₁: ხწგჰ „ტყვია“;
- SCVS: მგალ „მჭადი“;
- SF₁VF₂: მზჰჰ „ფიჭვი, ნაძვი“.

CCCVC

CCCVC მოდელი CF₁F₁VS, CF₂F₂VS და F₂F₁SVC ქვემოდელებითა და სამი ძირით ვლინდება:

- CF₁F₁VS: ფშშგვრ „ფოცხვერი“;
- CF₂F₂VS: ჩხხგვრ „ხუჭუჭი, ხვეული“;
- F₂F₁SVC: ხშრგვპ „ნამგალი“.

CCVCC

CCVCC სტრუქტურაში CF₁VSC და F₁F₂VSC ქვესტრუქტურების მქონე ორი ძირი გამოიყოფა:

- CF₁VSC: ჟჰანდ „ცა, ზეცა“;
- F₁F₂VSC: ფსგნჩ „ტვირთი, უღელი“.

CVCCC

CVCCC მოდელი F₂VSCF₂ ქვემოდელის ერთ ძირს ითვლის:
ჰართხ „ძალიან მშრალი“

აბაზურ ერთმარცვლიან ძირებში გამოვლენილი სტრუქტურების სიხშირე ნაჩვენებია ცხრილში (იხ. ცხრილი #20).

2.3. აფხაზურ-აბაზურ ორმარცვლიან ძირთა აგებულება

2.3.1. აფხაზურ ორმარცვლიან ძირთა აგებულება

აფხაზურში საკმაოდ გავრცელებულია ორმარცვლიანი ძირები. ისინი რეალიზ-

დება შემდეგი მოდელების სახით: VV, VVC, VVCC, VCV, VCVC, VCCV, CVV, CVVC, CVCV, CCVV, CCVCV, CVCCV, CVCCVCC, CVCVC, CVCCVC, CCVCCV და CCVCCVC.

VV

VV 10 ძირითაა წარმოდგენილი. მათგან ცხრაშია სხვადასხვა სემანტიკის მქონე აა მიმდევრობა:

- აა „ურთხელი“;
- აა-რს „მოსვლა“;
- აა „უი!“.

VVC

VVC მოდელის ოთხი ძირია – VVC, VVF₁ და VVF₂ ქვემოდელებად რეალიზებული.

პირველი ორი თითო ძირს შეიცავს, მესამე – ორს:

- VVC: ააგ „სიბრძნის კბილი“;
- VVF₁: აას „ქვეტყე“;
- VVF₂: ააბ „ეხ“;
- VVF₂: აად „მსხვილი ღერდილი“.

VVCC

VVCC მოდელში VVSC და VVS^oC ქვემოდელების თითო ძირი გამოვლინდა:

- VVSC: აარგ „ნადირობისა და გარეული ცხოველების ღმერთი“;
- VVS^oC: ააბტ „ეხ, ახ“.

VCV

VCV მოდელში 19 ძირია – VCV, VF₁V, VF₂V და VSV ქვემოდელებად წარმოდგენილი.

VCV ქვემოდელებში რვა ძირია, რომლებშიც ა და გ ხმოვნები მონაწილეობს:

- აკგ „ერთი“;
- აბა „ნორჩი, ნედლი“.

VF₁V ქვემოდელები ოდენ ა ხმოვნის შემცველი ორი ძირითაა რეალიზებული:

- აბა „ძმა“

VF₂V ექვსი ძირითაა წარმოდგენილი, რომლის მხოლოდ ერთ ძირშია თავკიდუ-

რად ე, სხვა პოზიციებში ყველგან ა დასტურდება:

ა-ეჰა „საწნახელი“;

ახს „მაგრამ“.

VSV ქვემოდელოში სამი ძირია, რომლის ოდენ ერთ ძირში ბოლოკიდურად რეალიზდება ი, სხვა შემთხვევებში ყველა პოზიციამი ა ხმოვანია:

ანს „იქ“;

ანს „ის, იგი“.

VCVC

VCVC მოდელოში VS^oVF₁ და VS^oVS^o ქვემოდელების თითო ძირია:

VS^oVF₁: ადაშო „კვერნა“;

VS^oVS^o: ადად „ჰო, კი, დიახ“.

VCCV

ექვს-ექვს მოდელად წარმოდგენილი 52 არასეგმენტირებადი და 12 სეგმენტირებადი პრეფიქსი. პრეფიქსთა გავრცელების თანმიმდევრული სიხშირე ასეთია: არასეგმენტირებადი (52): **C** (20), **CV** (16), **VC** (9), **V** (5), **VV** (1), **VCV** (1); სეგმენტირებადი (12): **VCCV** (6), **VCC** (2), **VCV** (1), **CCV** (1), **CVCCV** (1), **VCVCCV** (1) (იხ. ცხრილი #25).

3.1.2. აფხაზური პრევერბები

აფხაზურში დადასტურებულ 124 პრევერბს დაემატა ერთი **CCV** მოდელის, კერძოდ, **SCV** ქვემოდელის არასეგმენტირებადი ლოკალური პრევერბი:

მგა- – შიგ, შუაგულში (მუცელში): **მ-ა-ამგა-ზ** „შიგ ჩაყრილი იყო“.

ამდენად, აფხაზურში რეალიზებულია **CCV** მოდელის 20 პრევერბი, შესაბამისად, არასეგმენტირებადი პრევერბების რიცხვი გახდა 66. აფხაზური 125 პრევერბი წარმოდგენილია შვიდ მოდელში ასეთი თანმიმდევრობით გადანაწილებული არასეგმენტირებადი 66 ერთეულით: **CV** (31), **CCV** (20), **C** (9), **CVCV** (3), **CVC** (1), **VV** (1), **CCVV** (1), ხოლო სეგმენტირებადი 59 პრევერბი ამგვარად დაჯგუფებული რვა მოდელის სახით ვლინდება: **CVC** (19), **CCV** (16), **CVCV** (11), **CCVCV** (5), **CCVC** (3), **CVV** (2), **CVCCV** (2), **CCCV** (1) (იხ. ცხრილი #26).

3.1.3. აფხაზური სუფიქსები

რამდენიმე ახალი ერთეული დაემატა აფხაზურ არასეგმენტირებად სუფიქსებს, კერძოდ, **VC**, **CV**, **C**, **CCV** და **CC** მოდელებს.

VC სტრუქტურაში გამოვლინდა **VS** ქვესტრუქტურის **ა** და **ნ** ფონემების შემცველი ერთი სუფიქსი:

-ან – მდედრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა სუფიქსი: **ა-ჩე-ან** „ფაშატი“

CV სტრუქტურას **CV**, **F₁V**, **F₂V**, **SV**, **S^oV** ქვესტრუქტურების 18 ერთეული დაემატა, რომელთაგან 16 ერთეულში ვლინდება **ა**, ორში – **გ**, თანხმოვანთა განაწილება კი ასეთია: ოთხი **რ**, სამი **ზ**, ორი **ბ**, თითო **თ**, **გ**, **ჯ**, **ლ**, **ნ**, **შ**, **ს**, **ჰ**, **ჟ**:

SV: **-ნგ** (< **-ნა**) – ჯერობის სუფიქსი: **ზ-ნგ** „ერთხელ“

C სტრუქტურაში **C**, **F₁**, **F₂**, **S**, **S^o** ქვესტრუქტურების დამატებით შვიდი სუფიქსი გამოვლინდა, რომლებიც ორი **ნ**-სა და თითო **ჰ**, **ჩ**, **ს**, **წ**, **ჟ** ფონემების სახით რეალიზდება:

S: **-ნ** – უარყოფითი ბრძანებითის ფორმების სუფიქსი: **მგ-ჟ-მ-გა-ნ** < **მგ-ჟ-მ-გა-მ**

„არ წაილო შენ (კ.)!“

CCV მოდელს CSV ქვემოდელის ა ხმოვნიათ ერთი სუფიქსი დაემატა:

-ფნგ – -თან ახლოს: ამშენ ა-ფნგ „ზღვასთან ახლოს“

CC სტრუქტურაშიც CF₁ ქვესტრუქტურის დამატებით ერთი სუფიქსი აღმოჩნდა:

-ფს – მდებრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა სუფიქსი: ა-ლა-ფს „ძუკნა“

ამრიგად, დამატებითი მასალების ჩათვლით, აფხაზურში ჯამურად 157 სუფიქსი დაფიქსირდა. არასეგმენტირებადი 120 სუფიქსი ვლინდება შემდეგი თანმიმდევრობის 12 მოდელად: CV (58), C (32), CCV (9), VC (7), CVC (4), CC (3), V (2), VV (1), VCV (1), CVV (1), CCVC (1), CVCC (1), ხოლო სეგმენტირებადი 37 სუფიქსი გადანაწილებულია 17 მოდელში ასეთი რიგით: CVC (12), CC (5), CVCVCV (3), VC (2), CVCC (2), CVCV (2), VCC (1), CV (1), CVV (1), CCV (1), CVCCV (1), CCVCV (1), CVVC (1), VVCC (1), CVVCC (1), CCCV (1), CVVCVC (1) (იხ. ცხრილი #27).

აფხაზურში სულ 346 მორფემა დადასტურდა. სუფიქსები 157 ერთეულს შეადგენს და სჭარბობს როგორც პრეფიქსებს, ისე პრევერბებს. ამ ორს შორის კი პრევერბები (125) აღემატება პრეფიქსებს (64).

3.2. აბაზური აფიქსური მორფემების აგებულება

აფხაზურის მსგავსად, აბაზური აფიქსური მორფემებიც პრეფიქსებისა და სუფიქსების სახითაა წარმოდგენილი. მორფემებში განხილულია ლოკალური პრევერბები და ძირ-სუფიქსებიც, რადგანაც ისინიც აფიქსების ფუნქციას ასრულებს. სინქრონია-დიაქრონიის გასამიჯნად, ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ადვილად სეგმენტირებადი და არასეგმენტირებადი აფიქსები, რადგან სეგმენტირებად მორფემებში ვლინდება არასეგმენტირებადისთვის უჩვეულო მოდელები.

აბაზურ აფიქსებთან მოყვანილი ილუსტრაციები ძირითადად აღებულია ქ. ლომთათიძისა (აბაზური ენა) და ნ. თაბულოვას (Грамматика абазинского языка: Фонетика и морфология) ნაშრომებიდან (ლომთათიძე 2006, Табулова 1976).

3.2.1. აბაზური პრეფიქსები

აბაზურში საკმაო რაოდენობით ვლინდება პრეფიქსები. როგორც აღინიშნა, მათში გამოიყოფა არასეგმენტირებადი და სეგმენტირებადი ერთეულები.

არასეგმენტირებადი პრეფიქსები

V

ა- – ლ-ს რიგის III პირის (არაგონ. კ.) ნიშანი მხ. რ.-ში: ს-ა-ბა-ტ „მან მნახა მე“.

V მოდელში სხვადასხვა ფუნქციის მქონე ექვსი პრეფიქსია, ა-ს სახით წარმოდგენილი.

VC

VC მოდელი რეალიზდება VF₁ (1) და VS (2) ქვემოდელების სამი პრეფიქსის სახით:

VF₁: გმ- – ინფინიტურ ზმნათა ვითარების საგარემოებო ელემენტი: დ-გმ-ცა-ჟს „როგორც მიდის“;

VS: ან- – ინფინიტურ ზმნათა დროის საგარემოებო ელემენტი (დ-ან-ცა-ჟს „როცა მიდის“).

ხმოვნის პოზიციაში ერთ აფიქსში რეალიზდება ა, ორში – გ. თანხმოვნებიდან წარმოდგენილია ნ, რ და შხ.

VCV

VCV სტრუქტურის ერთი პრეფიქსია აბაზურში, რომელშიც თავკიდურად და ბოლოკიდურადაც ვლინდება ა, თანხმოვნის პოზიციაში კი – თ:

ათა- – კვლავობის გამომხატველი პრეფიქსული ნაწილაკი: დ-ათა-ფეს-ხ-ტ „კვლავ ესროლა მას“.

CV

CV სტრუქტურაში CV (7), F₁V (6), F₂V (2), SV (7) და S^oV (6) ქვემოდელებში გადანაწილებული 28 აფიქსია წარმოდგენილი:

CV: დგ- – დ-ს რიგის III პირის (გონ. კ.) ნიშანი მხ. რ.-ში: დგ-ჟ-იტ „ის გარბის“;

F₁V: შგ- – ლ-ს რიგის II პირის ნიშანი მრ. რ.-ში: შგ-რ-ხ-ფმ-იტ „თქვენ უყურებთ მათ“;

F₂V: ჟა- – სააქეთო მიმართულების ზმნისწინი: დ-ჟა-რ-ბა-ტ „მათ ის (ად.) მო-დაინახეს“;

SV: რგ- – ლ-ს რიგის III პირის ნიშანი მრ. რ.-ში: დარა დ-რგ-ზ-რა-ჩაჟა-ტ „ის მათ მათ ელაპარაკა“;

ს^oV: აგ- – III პირის (მამაკ. კ.) ნიშანი მხ. რ.-ში: **აგ-ჭ-ბა-ტ** „ჩვენ ვნახეთ ის“.

მოდელში შემავალი 28 ერთეულიდან 24 აფიქსში ვლინდება **გ**, 4-ში – **ა**. თანხმოვნებიდან ოთხ აფიქსში გვხვდება **ა**, სამში – **რ**, ორ-ორში – **ბ**, **ს**, **ზ**, **შ**, **ნ**, **ლ**, **ჟ**, თითოში – **დ**, **ც**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**, **ც** და **ჭ**.

C

C სტრუქტურა შემდეგი ხუთი ქვემოდელითაა წარმოდგენილი: **C (8)**, **F₁ (8)**, **F₂ (2)**, **S (7)**, **ს^o (6)**:

C: ბ- – II პირის ქალთა კლასის კუთვნილებითი პრეფიქსი მხ. რ.-ში: **ბ-ჩე** „შენი (ქ.) ცხენი“;

F₁: ზ- – ინფინიტურ ზმნათა მიზნის საგარემოებო ელემენტი: **დგ-ზ-ცა-ჟ** „რისთვისაც მიდის“;

F₂: შ- – ლ-ს რიგის I პირის ნიშანი მრ. რ.-ში, **ჭ-ს** ალომორფი: **ა-შ-გ-ა-ტ** „ის (ნ.) მიგვაქვს ჩვენ“;

S: მ- – უარყოფის პრეფიქსი: **ა-მ-ც-ს** „რომელიც ჯერ არ წასულა“;

ს^o: ჟ- – II პირის (მამაკ. კ.) ნიშანი მხ. რ.-ში: **ჟარა ჟ-ჭ-იტ** „შენ წერ“.

ცალთანხმოვნიანი აფიქსები 31 ერთეულით არის წარმოდგენილი. მათგან ოთხ-ოთხ აფიქსში დასტურდება **ზ**, **რ**, **ა**, ორ-ორში – **ბ**, **დ**, **შ**, **ლ**, **ჟ**, თითოში – **ჯ**, **ც**, **ჩ**, **ჭ**, **ს**, **ჟ**, **ჭ**, **მ**.

სეგმენტირებადი პრეფიქსები

VCV

VCV სტრუქტურის ოდენ სამი პრეფიქსია აბაზურში. ხმოვნებიდან მხოლოდ ერთ პოზიციაშია **გ**, სხვებში **ა** რეალიზდება თავკიდურადაც და ბოლოკიდურადაც, თანხმოვნებიდან დასტურდება – **ბ** და **მ**:

ა-ბა- – საურთიერთო (საორმხრივო) კატეგორიის სუფიქსი: **ა-აბა-დგრ-ა-ტ** „ისინი ერთმანეთს (ეცნობიან)“.

VCCV

VCCV სტრუქტურის **VSCV (2)** და **VF₂CV (1)** ქვესტრუქტურებში გადანაწილებული სამი პრეფიქსია, რომელთა ერთ პოზიციაშია **გ**, სხვაგან ყველგან **ა** გვხვდება:

VSCV: ან-ბა- – კითხვითი აფიქსი **როდის**: **დ-ან-ბა-ჟ-ბა** „როდის ნახე შენ (კ.) ის (ად.)?“;

V_{F2}CV: აწ-ფა- < აწ + ზა – კითხვითი სუფიქსი სად, საიდან: დ-აწ-ფა-ჟ-ზა „სად ნახე შენ (კ.) ის (ად.)?“.

CCV

CCV მოდელი **F₁CV** ქვემოდელის ა ხმოვნია ერთი პრეფიქსითაა წარმოდგენილი:

შ₀-ფა- < **შ₀-** + **ზა** – კითხვითი პრეფიქსი როგორ: დგ-შ₀-ფა-ცუ „ის (ად.) როგორ არის?“

აბაზურ პრეფიქსთა მოდელების თანმიმდევრული სიხშირე ასახულია დანართში (იხ. ცხრილი #28).

3.2.2. აბაზური პრევერბები

აბაზურის მსგავსად, აბაზურსაც მიმართულების გამომხატველ პრევერბებთან ერთად ახასიათებს ლოკალური პრევერბებიც, რომლებიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, აწარმოებს სტატიკურ ზმნებს (ხშირად ამოსავალი ლოკალური შინაარსის დაჩრდილვითაც), წარმოქმნის რთულფუძიან დინამიკურ ზმნებს და მათში უჩვენებს მოქმედების გარკვეულ ლოკალიზაციას გადატანითი მნიშვნელობების თანდართვით (ლომთათიძე 1982, 3-4). პრევერბებშიც ცალ-ცალკეა გაანალიზებული არასეგმენტირებადი და სეგმენტირებადი ერთეულები.

არასეგმენტირებადი პრევერბები

CV

CV მოდელი შემდეგი ოთხი სტრუქტურული ქვესახეობით გვხვდება: **CV** (15), **F₁V** (6), **F₂V** (1), **SV** (6):

CV: თა- – შიგნით (სიღრმეში): დ-თა-ნ „შიგ იყო“;

F₁V: ჟგ- – ზედ (გდებით, ცემით): ალს აქ⁰ჯმა ე-ა-ჟგ-ლ-ტ „მაღლი მგელს ეცა“;

F₂V: ხგ- – ზედ, კენ, მიმართულებით: აჟრა ჟა-ე-ხგ-მა-ტ „მას სიბერე მოეწია (დაბერდა)“;

SV: ლო- „შიგ, შორის“: ს-რგ-ლო-ჟპ „მათში ვურევივარ“.

CV მოდელში გამოვლენილი 28 პრევერბიდან თექვსმეტში რეალიზდება გ, თერთმეტში – ა, ერთში – ო, თანხმოვანთა განაწილება კი ამგვარია: სამი ლ, ორ-ორი თ, წ, ჭ, ყ, შ, ვ, ჯ, მ, თითო ფ, დ, ქ, კ, კა, ჟ, შა, ხ და ნ.

C

C სტრუქტურაში სამი ქვეერთეული გამოიყოფა: **C** (7), **F₂** (2), **S** (3):

C: ქ- – ზედ, ზევიდან...: ჴფსარჴჳ სგ-ქ-უ-მა „განა შენი ვალი მადევს?“;

F₂: წ- – ზედ, კენ, მიმართულებით: აჴასა დ-ჴა-რ-წ-შა-ზ „ბატკანი, რომელიც ცხვრის (ფარას) ჩამორჩა“;

S: ლ- – შიგნიდან გარეთკენ: დფსგ ა-ლ-წ-იტ „კვდება (მისი სული სხეულიდან გამოდის)“.

C მოდელში სულ დადასტურებულია 12 პრევერბი, თითოში რეალიზდება ფ, დ, თ, წ, ქ, კ, ყ, ხ, წ, ლ, ნ და მ ფონემები.

CCV

CCV მოდელში ექვსი ქვესტრუქტურაა წარმოდგენილი: **CCV** (2), **CF₁V** (2), **CF₂V** (3), **F₁CV** (4), **F₂SV** (5), **SCV** (1):

CCV: ძვა- – გვერდით: დ-ა-ძვა-პ „გვერდით არის (ახლოს)“;

CF₁V: ბუჯ- – შორის, შუაში: დ-ჴა-რ-ბუჯ-ყ-იტ „მათ შორის გამოედინება (შორის ვარდება)“;

CF₂V: ჩაჴა- – კერასთან, ცეცხლის პირას ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებული: ათაბა ჩაჴა-ლგ-რ-გგლ-ტ „ტაფა დადო ცეცხლზე (კერაზე)“;

F₁CV: შთა- – კვალზე, უკან: ჴხაგა ჴ-ა-შთა-მ-ლგ-ნ „შენს აჩრდილს ნუ გამოედევნები!“;

F₂SV: ჴნ(გ)- – შენობასთან, სახლთან დაკავშირებული წინდებული: დგ-ჴნგ-ჴ-მ-გა-ზ „რაც შიგნიდან არ გამოგიტანია“;

SCV: მგჯ- – შიგნით (მუცელში): ჴაჴგნლა დ-ა-მგჯ-წ-იტ „ლამით გაიშლება“.

CCV მოდელის 17 პრევერბიდან 10 ა ხმოვნია, შვიდი კი გ-ს შეიცავს.

CVC

CVC მოდელის ერთადერთი ა ხმოვნიანი პრევერბი დადასტურდა:

გარ- – შემოღობილ-შემოკავებულთან, სადგომთან ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებული: აჴანა ლა გარ-ნა-ცა-ტ „შინაური ძალი გააგდო (ბინიდან)“.

CVCV

CVCV მოდელი CVSV ქვემოდელის სამი პრევერბითაა წარმოდგენილი:

გარა – აკვანთან დაკავშირებული მოქმედება, აკვანში წოლა: ასაბჭდ დ-გარა-პ „ჩვილი აკვანში წევს“.

მათგან ერთი პრევერბის ბოლოკიდურად დასტურდება **გ**, სხვა პოზიციებში **ა** გვხვდება.

CCCV

CCCV მოდელში SCF₂V ქვემოდელის **ა** ხმოვნიათ ერთადერთი პრევერბია რეალიზებული:

ლბჭა- – ძირს, ზემოდან ქვევით: არახო ჭა-ლბჭა-ხ-ტ „საქონელი ჩამოვიდა (მთის სამოვრიდან)“.

სეგმენტირებადი პრევერბები

CCV

CCV მოდელი ორი ქვემოდელითა და ექვსი პრევერბითაა გამოვლენილი: **CSV** (4), **SCV** (2). მათგან ოთხ ერთეულში **გ** დასტურდება, ორში – **ა**:

CSV: კ-ნგ- – ზედ მჭიდროდ, შემორტყმით: აჩაჟ დ-ა-კ-ნგ-მ „რაც ტანზე არაა (მიკრული)“;

SCV: მწა- – წინ: დ-ა-მწა-ს-ტ „წაეკიდა“.

CVC

CVC მოდელი ხუთ ქვემოდელში გადანაწილებული 12 პრევერბით რეალიზდება: **CVC** (3), **CVS** (3), **F₂VS** (2), **SVC** (3), **SVS** (1). მათგან რვა პრევერბი **გ** ხმოვნიათ, ოთხი კი **ა** ხმოვანს შეიცავს:

CVC: ჩიგ-ჟ- – ცხენზე ჯდომასთან დაკავშირებული: ჰ-ჩიგ-ჟ-წ-პ „ცხენიდან ჩამოვხტეთ!“;

CVS: კვ-ლ- – შიგ, ჭუჭრუტანაში, გამქოლ: აფშერჰა აძგ კვ-ლ-ს-იტ „ვედროს წყალი გასდის“;

F₂VS: ხ-გ-ნ- – ზედ, მიქცევით: აგარა ჩა-ხ-გ-ნ-რ-რ-ჰა-ლ-ტ „ღობეს მიაწვა“;

SVC: ნა-დ- – სივრცეში, სიბრტყის გასწვრივ: ნა-დ-გელ-რა „მიდგომა“;

SVS: ნა-ლ- – რამიდან იქით: ნა-ლ-ს-ჭა-ს-რა „გავლა-გამოვლა“.

CVCV

CVCV მოდელი რვა პრევერბითა და ორი ქვემოდელითაა წარმოდგენილი: **CVCV** (3) და **CVSV** (5). ამ მორფემათა ბოლოკიდურად მხოლოდ ოთხგან არის **ა**, სხვა

პოზიციებში გ ვლინდება:

CVCV: გგ-დგ- – მკერდზე, გულის ფიცარზე, სიბრტყეზე, ზედ: აწა დგ-ა-გგ'-დგ-
ა-ჰა-ლ-ტ „ბავშვი ჩაიკრა გულში“;

CVSV: კგ-ლა- – შიგ, ჭუჭრუტანაში, გამჭოლ: ასარან აგლა კგლხთა ახჩა კგ'-ლა-რ-
ჰ-ა „ხარბს თვალი ამოთხარე და შიგ ფული ჩაუსვი“.

CCCV

CCCV მოდელში CF₁CV ქვემოდელის ა და გ ხმოვნიანი ორი პრევერბია:

ფშ-წგ- – კარ-მიდამოსთან, ეზოსთან, სამფლობელოსთან დაკავშირებით: აგჩრგნ
დგ-ფშწგ'-ა-შთგ-ხ-ტ „მან თავისი მსახური დაითხოვა (თავისი კარ-მიდამოდან)“.

CCVC

CCVC მოდელში CCVS ქვემოდელის გ ხმოვნიანი ერთი პრევერბია:

ჩაფგ-ნ- – ნაპირთან დაკავშირებული: ჩაფგ-ნ-გგლრა „ნაპირზე დგომა“.

CCVCV

CCVCV მოდელში CCVSV ქვემოდელის ა და გ ხმოვნიანი ორი პრევერბი დას-
ტურდება:

ჩაგა-რგ- – კარ-მიდამოსთან, ეზოსთან, დაკავშირებით: ჟგფსგა ჩაგა-რგ-რ-გა-ტ
„შენი ცხედარიმც გაიტანეს (ეზოდან, კარ-მიდამოდან)!“

CVCVC

CVCVC სტრუქტურა SVCVC ქვესტრუქტურის ა და გ ხმოვნების შემცველი ერთი
პრევერბით ვლინდება:

ნაგგ-წ- – ხელში: ა-ნაგგ-წ-წ-იტ „ხელიდან გაუვარდა“.

CVCVCV

CVCVCV მოდელში SVCVCV ქვემოდელის ა და გ ხმოვნიანი ერთი პრევერბია
გამოვლენილი:

ნაგგ-წა- – ხელში: ასარან აშ ა-ნაგგ-წა-ჰ-იტ „ხარბის ხელში ყველი ხმება“.

CCCVC

CCCVC მოდელში CCF₂VS ქვემოდელის გ ხმოვნის შემცველი ერთი პრევერბია:

ჩა-ფგ-ნ- – ცხენზე თან (აფხაზურისგან განსხვავებით, გართულებულია ფ
ელემენტით): აჭკუნგ დგ-ა-ჩა-ფგ-ნ-აგ-რ-წა-ლა-ნ „ბიჭუნაც შემოისვა ცხენზე და“.

CC

CC მოდელი SC ქვემოდელის ერთი პრევერბითაა წარმოდგენილი:

ნ-ყ- – სივრცეში, სიბრტყის გასწვრივ: აფშა დგ-ნ-ყ-ნა-გა-ტ „ქარმა წაიღო“.

აბაზურ პრევერბებში გამოვლენილი სტრუქტურების გავრცელების მაჩვენებელი ცხრილი მოცემულია დანართში (იხ. ცხრილი #29).

3.2.3. აბაზური სუფიქსები

აბაზური სუფიქსები გამოირჩევა სიმრავლითა და სტრუქტურული მრავალფეროვნებითაც. ისინიც იყოფა არასეგმენტირებად და სეგმენტირებად ერთეულებად.

არასეგმენტირებადი სუფიქსები

V

V მოდელის სამი სუფიქსია აბაზურში, რომელთაგან ორი ი ხმოვნითაა წარმოდგენილი, ერთი – უ-თი:

-ი – კითხვითი ნაწილაკი: სარ-ი „მე?“

VC

VC სტრუქტურაში VC (1) და VS (2) ქვესტრუქტურებში გადანაწილებული სამი სუფიქსია, რომლებშიც ხმოვნის პოზიციაში დასტურდება ა, ი, გ, თანხმოვნისაში – ორგან ნ და ერთგან ტ:

VC: -იტ – დინამიკურ ზმნათა ფინიტობის სუფიქსი, -იტ-ის ალომორფი: დფსტ ა-ლ-წ-იტ „კვდება“;

VS: -გნ – ნამყო განუსაზღვრელის სუფიქსი: დ-გგლ-გნ „იდგა“.

CV

CV მოდელი CV (43), F₁V (8), F₂V (21), SV (18), S^oV (5) ქვემოდელების 95 მორფემას შეიცავს:

CV: -ჩა – ადამიანთა კლასის მრ. რ.-ის სუფიქსი: ალა-ჩა „მტრები“;

F₁V: -შა – მოქმედების მანერის, ჩვევის გამომხატველი სუფიქსი: ნხა-შა „მუშაობის მანერა“;

F₂V: -ჭა – აბსტრაქტულობის, განყენებულ ცნებათა სუფიქსი: რგცჰა-ჭა „უბედურება“;

SV: -რა – მასდარის მაწარმოებელი: დგრ-რა „ცოდნა“;

S°V: -ჭა – დინამიკურ ზმნათა აწმყოს სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: **ა-ცა-ჭა** „რომელიც მიდის“.

ამ მოდელში ხმოვანთა განაწილება ასეთია: **ა** (79), **გ** (13), **ი** (2), **უ** (1), თანხმოვნები კი ასეთი სიხშირით რეალიზდება: შვიდ-შვიდი – **ჰ, რ**, ექვს-ექვსი – **ჭ, ლ**, ხუთ-ხუთი – **ძ, ჭ, ოთხ-ოთხი – თ, ჰ, ხ**, სამ-სამი – **წ, ჩ, ზ, მ, ნ, უ**, ორ-ორი – **ბ, დ, გ, ვ, კ, შ, წ, მ, ე**, თითო – **ფ, კ, კ, ჯ, ჯ, ვ, ე, შ, ს, შ, ხ**.

C

C სტრუქტურა ხუთი ქვესახეობით ვლინდება: **C** (17), **F₁** (10), **F₂** (12), **S** (9), **S°** (3):

C: -ჭ – დანიშნულების სუფიქსი: რასა-ჭ „თხილის“;

F₁: -ზ – სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელის სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: **აყა-ზ** „რომელიც იყო“;

F₂: -წ – მიმართულების ზმნისართების მაწარმოებელი: არა-წ „აქეთ“;

S: -ლ – ხოლმეობითობის სუფიქსი: **ა-ცა-ლ-ჭ-ნ** „დადიოდა ხოლმე“;

S°: -ჭ – სტატიკურ ზმნათა აწმყოს სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: **აყ-ჭ** „რომელიც არის“.

საანალიზო მოდელში 51 სუფიქსია. მათში თანხმოვნები ასეთი სიხშირითაა წარმოდგენილი: შვიდი – **ნ**, ხუთი – **ს**, სამ-სამი – **ჰ, ხ**, ორ-ორი – **პ, დ, კ, ჯ, ჭ, შ, ზ, წ, ხ, ე**, თითო – **ტ, ტ, ძ, ც, წ, ჩ, ჩ, ვ, ჟ, ლ, მ, ლ, უ**.

CCV

CCV სტრუქტურაში სამი ქვესახეობის სახით რვა სუფიქსი დასტურდება: **CCV** (1), **CSV** (2), **SCV** (5), რომელთა ექვს ერთეულში ა გვაქვს, ორში – **გ**:

CCV: -დყა – უქონლობის სუფიქსი: ძგ-დყა „უწყლოდ“;

CSV: -ფნგ – -თან, -ში, -ზე, -კენ: აწლაქა რ-ფნგ „ხეებთან“;

SCV: -ნდა – ნატვრითი კილოს სუფიქსი: დგ-ზ-ბა-ნდა „ნეტავ ვნახავდე!“.

CVC

CVC მოდელში ხუთი ქვესახეობის ექვსი სუფიქსია: **CVF₁** (1), **CVS°** (2), **F₁VF₁** (1), **F₁VF₂** (1), **SVS** (1), რომელთა ხუთ ერთეულში **გ** დასტურდება, ერთში – **ი**:

CVF₁: -კგს – მიმდევრობის ძველი მაწარმოებელი: შაჩ-კგს „ნეკი (ხელის)“;

CVS°: -გგმ – კავშირის გამომხატველი ნაწილაკი: ჟარ-გგმ სარ-გგმ „შენც, მეც“;

F₁VF₁: -სგზ – ელემენტი, რომელიც თვისებას გახაზავს (წარმოშობით სიტყვის ფუძე): ას შკოკოსგზთა „თოვლი თეთრ-სპეტაკი“;

F₁VF₂: -ზგზ – ზოგი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი: ამზა-ზგზ „უმტკნარესი“;

SVS: -მინ – ზოგიერთი სახელისგან ან ზმნისაგან აწარმოებს ზედსართავს: ფჰგს-მინ „ქალური“.

CC

CC მოდელში **CF₁** (1), **F₁C** (1) და **S^oC** (2) ქვემოდელების სახით გამოვლენილი ოთხი სუფიქსია:

CF₁: -ფს – მდებრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა სუფიქსი: ლა-ფს „ძუკნა“;

F₁C: -სტ – თხოვნით-მოწოდებითი ბრძანებითის ფორმების სუფიქსი: ჟ-ცა-სტ „აბა, ერთი წადი!“;

S^oC: -მტ – დინამიკურ ზმნათა ფინიტობის სუფიქსი: დ-ცგ-მტ „ის (ად.) მიდის“.

CVCV

CVCV მოდელში სამი სუფიქსია, **CVCV**, **F₁VF₂V** და **S^oVCV** ქვემოდელების სახით წარმოდგენილი. მათგან ოდენ ერთ პოზიციაშია გ, სხვებში ა ხმოვანი გვხვდება:

CVCV: -დაცა – უარყოფითი ზმნისართების სუფიქსი: ხგ-დაცა „უფასოდ“;

F₁VF₂V: -ჟგლა – ზოგიერთი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი: მ-კარ-ჟგლან „იყო იმდენად წყნარი“;

S^oVCV: -ჟაზა – მეტისტი ჭარბი თვისების ან მოქმედების სახეობის გადმომცემი სუფიქს-ნაწილაკი: ბა-ჟაზა-პ „მნელი დასანახავია“.

VCVC

VCVC მოდელი თითო სუფიქსის შემცველი **VSVF₁** და **VS^oVC** ქვესახეობებით ვლინდება, რომელთა თითო პოზიციაში დასტურდება უ, გ, ი და ა:

VSVF₁: -ინას – „მოყოლებული, დაწყებული“ სემანტიკის გამომხატველი სუფიქსი ზმნისართებში: ჟაჰ-ინას „გუმინდლიდან“;

VS^oVC: -უჟგჯ – ზოგი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი: ამლაგა-უჟგჯ „ყველაზე გამხდარი“.

CVCC

CVCC მოდელი CVSC და F1VSC ქვემოდელების ორი გ ხმოვნია სუფიქსითაა წარმოდგენილი:

CVSC: -ბგრგ – გამაძლიერებელი ნაწილაკი: სარა-ბგრგ „სწორედ მე“;

F1VSC: -ვგნდ – ელემენტი, რომელიც თვისებას გახაზავს (წარმოშობით სიტყვის ფუძე): ქააძჰა-ვგნდ „ყურყუმა შავი“.

სეგმენტირებადი სუფიქსები

VC

VC სტრუქტურაში VS ქვესტრუქტურის ერთი უ ხმოვნია სუფიქსია:

-უ-ნ – დინამიკურ ზმნათა ნამყო უსრულის სუფიქსი ფინიტურ წარმოებაში: დ-ც-უ-ნ „ის მიდიოდა“.

CCV

CCV სტრუქტურა CCV (1), F1CV (1), F1F1V (1), F1SV (3), SCV (2), SF2V (1) ქვესტრუქტურების ა ხმოვნის შემცველი ცხრა სუფიქსით დასტურდება:

CCV: -ძ-ძა – ატრიბუტული მსაზღვრელის აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი (თვისების გამაძლიერებელი): ბზგდ-ძძა „უკარგესი, კარგზე კარგი“;

F1CV: -ს-თა – ადგილის სუფიქსი: გგრ-ს-თა „ლამბი“;

F1F1V: -ზ-შა – თითქობითი კილოს სუფიქსი: დგ-გ-ბ-უ-ზ-შა „ის თითქოს ხედავს მას“;

F1SV: -ზ-ლა – განგრძობითობის სუფიქსი: მაჭ-ზ-ლა-რა „უმნიშვნელოდ ყოფნა“;

SCV: -რ-თა – ადგილის სუფიქსი: ჩა-რ-თა „სასადილო“;

SF2V: -რ-ჭა < -რა-ჭა – ადამიანთა კრებითი სახელების მაწარმოებელი გვარების, ხალხების და მსგავს სახელებში: ყარჩ-რ-ჭა „ყარაჩელები“.

CVCVC

CVCVC სტრუქტურაში F1VCVC (2), F1VSVS (1), SVCVS (2), SVCVS^o (1) ქვესტრუქტურების ა და გ ხმოვნების შემცველი ექვსი სუფიქსია:

F1VCVC: -ზა-ჯგ-კ – ერთვის ზმნის ბრძანებით და პირობით კილოებს, გადმოსცემს ნიუანსებს „მარტო, ოღონდ, მხოლოდ“: დ-სგ-რ-ბა-ზაჯგკ „ოღონდ (მხოლოდ) მიჩვენე“;

F1VSVS: -ზარგ-ნ – ალბაობითი კილოს სუფიქსი ნამყო დროში: დ-ცუ-ზარგნ „ალბათ, მიდიოდა“;

SVCVS: -რგ-ქენ – პირობითი კილოს რთული სუფიქსი სტატიკურ ზმნაში: ჟგ-ნხა-რგ-ქენ „თუ იმუშავებ“;

SVCVS°: -რ(გ)-გგ – პირობითი კილოს რთული სუფიქსი: (ა)ჟჰა-რ(გ)-გგ „მას თუ იტყვი (კიდევ)“.

CVCVCV

CVCVCV მოდელში **CVCVSV** ქვემოდელის ა და გ ხმოვნებიანი ერთადერთი სუფიქსი დასტურდება:

-კააკ-ნა – ზოგიერთი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი (ცქა-კააკნა „ყველაზე სუფთა“)

CCVCVC

CCVCVC მოდელი **SCVSVF₁** ქვემოდელის ა და გ ხმოვნის შემცველი ერთი სუფიქსით ვლინდება:

-ნდა-რგზ – ნატვრითი კილოს სუფიქსი: ს-ჩანხჩახა-ნდა-რგზ „ნეტავ მეჯოგე ვიყო!“

CVCCVC

CVCCVC სტრუქტურა **CVF₂CVF₂** ქვესტრუქტურის ა ხმოვნიან ერთადერთ სუფიქსს შეიცავს:

-ჭაალ-ჭაალ – წითლის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი: ყაფშ-ჭაალ-ჭაალ „უწითლესი“.

CVCCV

CVCCV სტრუქტურა **SVCCV** ქვესტრუქტურის ა და ი ხმოვნიანი ერთი სუფიქსის შემცველია:

-ლაკ-გი – დროის ზმნისართების სუფიქსი: დ-ან-აკგზ-ლაკვი „მუდამ, ყოველ-თვის“.

CCVC

CCVC მოდელი **F₁CVS**, **SCVF₁**, **SCVF₂**, **SCVS**, **SCVS°**, **SF₂VC**, **SSVF₁** ქვემოდელების გ (4) და ა (3) ხმოვნიან შვიდ სუფიქსს შეიცავს:

F₁CVS: -ზთგ-ნ – პირობითი კილოს რთული სუფიქსი: დ-რ-ჩფა-ნა-ზთგნ „თუ უკვე გააკეთეს“;

SCVF₁: -ნდა-ზ – ნატვრითი კილოს სუფიქსი: დ-დგ-მ-ბა-ნდა-ზ „ნეტავ ის მას არ

ნახავდეს!“;

SCVF₂: -რკა-ხ – განგრძობითი მოქმედების გამომხატველი სუფიქსი: ჭაჭა-რკა-ხ „ხვალ ისევ“;

SCVS: -რ-ქენ – პირობითი კილოს რთული სუფიქსი სტატიკურ ზმნაში: ში-ჭა-მი-რ-ქენ „თუ არ მოხვალთ“;

SCVS₀: -რ-გგა – პირობითი კილოს რთული სუფიქსი: (ა)ჭა-რ-გგა „მას თუ იტყვი (კიდევ)“;

SF₂VC: -რჭა-ტ < -რ(ა||გ)ჭა(ა)-ტ კონიუნქტივის რთული სუფიქსი: სგ-ძ-რჭა-ტ „მე დავიკარგო!“;

SSVF₁: -რ-ნგ-ს – მიზან-პირობითი კილოს რთული სუფიქსი: დ-გახგ-რ-ნგ-ს „რათა წაიღოს“.

CVCCVC

CVCCVC მოდელში **F₁VSCSVF₁** ქვემოდელის ა და ი ხმოვნის შემცველი ერთი სუფიქსია:

-ზა-რ-ქნგზ – პირობითი კილოს რთული სუფიქსი სტატიკურ ზმნაში: დგ-ლშაზა-ზა-რ-ქნგზ „თუ მას შეეძლო“.

CCCVC

CCCVC მოდელი **F₁SF₂VC** ქვემოდელის ა ხმოვნიანი ერთი სუფიქსითაა წარმოდგენილი:

-ზ-რჭა-ტ – სტატიკური ზმნების რთული სუფიქსი: დ-ჰალა-ზრჭა-ტ „ის ჩვენ შორის იყოს!“

CCC

CCC მოდელი **S⁰F₁C** ქვემოდელის ერთი სუფიქსით გამოვლინდა:

-ჭ-ში-ტ – დინამიკურ ზმნათა მყოფადი განუსაზღვრელის სუფიქსი ფინიტურ წარმოებაში: დ-ც-ჭ-ში-ტ „ის, ალბათ, უთუოდ წავა“.

CCVCV

CCVCV მოდელი **CF₂VCV** (1), **CSVCV** (1), **CSVSV** (1), **SCVCV** (1), **SCVSV** (3) ქვემოდელების ა და გ ხმოვნებიანი შვიდი სუფიქსით რეალიზდება:

CF₂VCV: -ფზა-ძა – „ყოველ“ სემანტიკის გამომხატველი სუფიქსი ზმნისართებში:

ჭაკჭ-ფხაძა „ყოველ დამე“;

CSVCV: -ფნგ-ძა – -თან-მდე: მცაჭაჭაარა ა-ფნგ-ძა „წელამდე (წელთან-მდე)“;

CSVSV: -ფნგ-ლა – -თან-კენ: აჰ ა-ფნგ-ლა დჯუჭუგლტ „მთავართან (მთავართან-კენ) გაემართა“;

SCVCV: -რ-ჭაჭა – ლამაზის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებელი: ხაფმ-რჭაჭა „ძალიან ლამაზი“;

SCVSV: -ნდა-რა – ნატვრითი კილოს სუფიქსი: დ-თე-წგ-ნდა-რა „ნეტავ წავიდეს!“.

CVC

CVC მოდელი შემდეგი ცხრა ქვემოდელის სახით ვლინდება: **CVF₁** (1), **F₁VC** (1), **F₂VF₁** (1), **F₂VS** (1), **F₂VS^o** (1), **SVF₁** (1), **SVF₂** (1), **S^oVF₁** (2), **S^oVS** (1). მათში შემავალი ათი სუფიქსიდან შვიდში ა ხმოვანი დასტურდება, სამში – გ:

CVF₁: -ჭგ-ს – ნაშიერის აღმნიშვნელი სუფიქსი: ჩხ-ჭგ-ს „კვიცი“;

F₁VC: -ზა-პ – ალბათობითი კილოს სუფიქსი: არაყა აჰ-ზაპ-ჰა „ალბათ, აქ არის (აქ იქნება)“;

F₂VF₁: -ზა-ზ – ზმნათა ნამყო უკვეობითი წინარე წარსულის სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: დ-ცა-ზა-ზ „რომელიც უკვე წასული იყო“;

F₂VS: -ზა-ნ – დინამიკურ ზმნათა ნამყო უკვეობითი წინარე წარსულის სუფიქსი ფინიტურ წარმოებაში: დგ-ცა-ზა-ნ „ის უკვე (ადრე) წავიდა, უკვე წასული იყო“;

F₂VS^o: -ზგ-ჟ – დინამიკურ ზმნათა ნამყო უკვეობითის სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: დ-ცა-ზგ-ჟ „რომელიც უკვე წავიდა, წასულია“;

SVF₁: -ნგ-ს – მიზან-პირობითი კილოს რთული სუფიქსი: მ-ჭა-ჭა-რ-გ-ნგ-ს „შემის მოსატანად“;

SVF₂: -ლა-ჭ – თანაობის, თანაზიარობის გამომხატველი რთული სუფიქსი: ქეთ-ლა-ჭ „თანასოფლელი“;

S^oVF₁: -ჟა-ზ – დინამიკურ ზმნათა ნამყო უსრულის სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში: დგ-ფს(გ)-ჟა-ზ „რომელიც კვდებოდა“;

S^oVS: -ჟა-ნ – დინამიკურ ზმნათა ნამყო უსრულის სუფიქსი ფინიტურ წარმოებაში: დგ-ფს(გ)-ჟა-ნ „ის კვდებოდა“.

CC

CC მოდელში F_1C ქვემოდელის ორი სუფიქსია:

-**ზ-ტ** – სტატკური ზმნების რთული სუფიქსი: დ-ჰალა-**ზ-ტ** „ის ჩვენ შორის იყოს!“

CVCC

CVCC მოდელი SVF_1C და $S^{\circ}VF_1C$ ქვემოდელების **ი** და **ა** ხმოვნებიანი თითო სუფიქსითაა რეალიზებული:

SVF_1C : -**მ-ი-შ-ტ** – კითხვითი აფიქსი: ნხარა სნარახჰ ბჰჸ-**მიშტ** „როგორ ფიქრობ, მე სამსახურში მიმიღებს?“;

$S^{\circ}VF_1C$: -**ჟა-შ-ტ** – დინამიკურ ზმნათა მყოფადი განუსაზღვრელის სუფიქსი ფინიტურ წარმოებაში: დგ-ფს(გ)-**ჟა-შ-ტ** „ის, ალბათ, უთუოდ მოკვდება“.

CCCV

CCCV სტრუქტურა F_1CF_2V ქვესტრუქტურის **ა** ხმოვნიან ერთ სუფიქსს შეიცავს:

-**ზ-ტ-ჰა** – თუმცაობითი კილოს რთული სუფიქსი, სადაც **ჰა** „თქმა“ ზმნის ძირია: დ-შა-ფშეგ-**ზ-ტ-ჰა** „თუმცა შეხედა“.

CVCV

CVCV მოდელში $CVCV$ (2), CVF_1V (1), $CVSV$ (2), F_2VCV (5), $SVCV$ (1) ქვემოდელების **ა** და თითო პოზიციაში **ი**, **გ** ხმოვნების შემცველი 11 სუფიქსი დასტურდება:

$CVCV$: -**ჩა-ქა** – მრ. რ.-ის ორმაგი წარმოება (ა-ჟა-**ჩა-ქა** „კაცები“);

CVF_1V : -**ძე-შა** – მოჩვენებითობის სუფიქსი: რ-ა-კ-**ძე-რ-შა-ნ** „ეგონათ“;

$CVSV$: -**თა-რა** – დანიშნულების სუფიქსი: ჯკა-**თარა** „სამარილე“;

F_2VCV : -**შა-ქა** – ადამიანთა კრებითი სახელის მრ. რ.-ის მაწარმოებელი: ა-ჟ(ა)-**შა-ქა** „ადამიანები“;

$SVCV$: -**რა-ქა** – მრ. რ.-ის ორმაგი წარმოება: ა-ჰა-**რა-ქა** „ხბოები“.

აბაზურ სუფიქსთა მოდელების სიხშირის ამსახველი ცხრილის ნახვა შესაძლებელია დანართში (იხ. ცხრილი #30).

ამრიგად, აბაზურში 413 მორფემა გამოვლინდა. პრეფიქსებსა და პრევერბებს სუფიქსები აღემატება – მათი რიცხვი 240-ით განისაზღვრა. პრეფიქსებს (76) პრევერბებიც (97) სჭარბობს.

აბაზურში 240 სუფიქსი რეალიზებულია 10 არასეგმენტირებადი და 17 სეგმენტირებადი მოდელის სახით. არასეგმენტირებადი სუფიქსები ასეთი სიხშირული თანმიმდევრობით გვხვდება: **CV** (95), **C** (51), **CCV** (8), **CVC** (6), **CC** (4), **CVCV** (3), **V** (3), **VC** (3), **VCVC** (2), **CVCC** (2), სეგმენტირებადები კი – ამგვარით: **CVCV** (11), **CVC** (10), **CCV** (9), **CCVC** (7), **CCVCV** (7), **CVCVC** (6), **CC** (2), **CVCC** (2), **VC** (1), **CCVCVC** (1), **CVCCVC** (1), **CVCCV** (1), **CVCCVCV** (1), **CCCVC** (1), **CCC** (1), **CVCVVCV** (1), **CCCVCV** (1).

აბაზურში დადასტურებული 97 პრევერბი 6 არასეგმენტირებადი და 10 სეგმენტირებადი სტრუქტურის სახითაა გამოვლენილი. არასეგმენტირებადი პრევერბების მოდელთა დისტრიბუცია ასეთია: **CV** (28), **CCV** (17), **C** (12), **CVCV** (3), **CVC** (1), **CCCVCV** (1), ხოლო სეგმენტირებადისა – ასეთი: **CVC** (12), **CVCV** (8), **CCV** (6), **CCCVCV** (2), **CCVCV** (2), **CCVC** (1), **CVCVC** (1), **CVCVVCV** (1), **CCCVC** (1), **CC** (1).

აბაზურში გამოვლენილი 76 პრეფიქსი ხუთ არასეგმენტირებად და სამ სეგმენტირებად სტრუქტურაშია გადანაწილებული. არასეგმენტირებადი პრეფიქსების სიხშირული მაჩვენებელი ამგვარია: **C** (31), **CV** (28), **V** (6), **VC** (3), **VCV** (1), სეგმენტირებადისა კი – ამგვარი: **VCCVCV** (3), **VCV** (3), **CCV** (1).

3.3. აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა შედარებითი ანალიზი

აფხაზურისა და აბაზურის აფიქსური მორფემები მოძიებულ იქნა გამოქვეყნებულ აფხაზურ-აბაზურ ლექსიკონებში, აფხაზურისა და აბაზურის შესახებ გამოცემულ ნაშრომებში, რომლებშიც გაანალიზებულია ან თავმოყრილია მათი აფიქსები.

აფხაზური და აბაზური აფიქსები იყოფა პრეფიქსებად, პრევერბებად და სუფიქსებად. კვლევის ფარგლებში, სინქრონია-დიაქრონიის გასამიჯნად, თითოეულ მათგანში ცალ-ცალკე გაანალიზდა არასეგმენტირებადი და სეგმენტირებადი აფიქსური მორფემები.

აფხაზურში აფიქსური მორფემების რიცხვა 346 შეადგინა, აბაზურში – 413. ორივე ენაში სუფიქსები (აფხაზური 157, აბაზური 240) აღემატება პრეფიქსებს (აფხაზური 64, აბაზური 76) და პრევერბებს (აფხაზური 125, აბაზური 97), ეს უკანასკნელი კი – პრეფიქსებს (აფხაზური 64, აბაზური 76).

კვლევამ აჩვენა, რომ აბაზურში გამოვლენილი აფიქსები 67 ერთეულით სჭარბობს აფხაზურისას. არაა გამორიცხული, კიდევ რომელიმე მორფემა იყოს ყურადღების მიღმა დარჩენილი აფხაზურში ან აბაზურში, თუმცა აქ გამოვლენილი

სხვაობის მთავარი განმსაზღვრელი აბაზურში ერთი მორფემის რამდენიმე ალომორფის თანაარსებობაა: აფხაზურში უქონლობა -და სუფიქსით გადმოიცემა (აფხ. ხგ-და „უთავო“), აბაზურში ამავე ფუნქციით პარალელურად გამოიყენება -დაჟა || -დაჟა || -და (ბჟგ-და „უძვლო“).

აფხაზურსა და აბაზურშიც რაოდენობრივად არასეგმენტირებადი მორფემები მეტია სეგმენტირებადზე, თუმცა ორივეგან სეგმენტირებადთან შედარებით არასეგმენტირებადი ერთეულები ბევრად მარტივი სტრუქტურისაა. ყველა ტიპის აფიქსში წამყვანია **C** და **CV** სტრუქტურა, პრევერბებში მათთან ერთად – **CCV** მოდელიც. როგორც აღინიშნა, სეგმენტირებადი ერთეულები არცთუ ბევრია, მაგრამ გამოირჩევა სტრუქტურული ნაირფეროვნებით, ეს განსაკუთრებით ითქმის სუფიქსებზე: არასეგმენტირებადი სუფიქსები აფხაზურში 12, ხოლო აბაზურში 10 სტრუქტურული სახეობით ვლინდება, სეგმენტირებადი მორფემები კი ორივე ენაში წარმოდგენილია 17 მოდელად.

ძირეული მორფემის მსგავსად, ორივე საკვლევ ენაში აფიქსურ მორფემებში დისტრიბუციული უპირატესობით გამოირჩევა ა ხმოვანი, მეორე ადგილს იკავებს გ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აბაზურზე მეტი გასაქანი გ-ს აფხაზურში აქვს, რაც აბაზურში ამოსავალი ა ხმოვნიანი ვარიანტების შენარჩუნებას უნდა მიეწეროს. აფხაზურ-აბაზურში გ აღემატება ა-ს პრეფიქსების **CV** მოდელში, აფხაზურ პრევერბებში არასეგმენტირებადის **CV** და სეგმენტირებადის **CVC**, **CCVCV**, **CVCV** მოდელებში, ასევე აბაზურში პრეფიქსების **VC**, ხოლო სუფიქსების **CVC** და **CCVC** მოდელებში, **CVCC** მოდელში კი ოდენ გ არის რეალიზებული. სხვა მოდელებში ყველგან ა სჭარბობს გ ხმოვანს. რაც შეეხება სხვა ხმოვნებს, აფხაზურსა და აბაზურშიც ი და უ მხოლოდ სუფიქსებშია, აფხაზურში ო-ც ოდენ სუფიქსებში რეალიზდება, აბაზურში ის ერთადერთ პრევერბშია. აფხაზურში ე ხმოვანიც მონაწილეობს აფიქსებში, აბაზურში კი საერთოდ არ გამოვლენილა. ა-სა და გ-საგან განსხვავებით, ორივე ენაში თითოეული სხვა ხმოვნის სიხშირე ერთი ათეულის ფარგლებშია.

აფხაზურ ცალი თანხმოვნის შემცველ პრეფიქსებში სიხშირით გამოირჩევა: **ჲ** (5), **ზ** (5), **ბ** (4), აბაზურში – **ჲ** (8), **რ** (8), **ზ** (6); აფხაზურ პრევერბებში განსაკუთრებით აქტიურია: **ლ** (3), **მ** (3), **თ** (3), **ქ** (3), აბაზურში – **ლ** (4); აფხაზურ სუფიქსებში ყველაზე ხშირი თანხმოვნების განაწილება ასეთია: **ნ** (7), **რ** (6), **ხ** (5), **ზ** (4), აბაზურში კი – **ნ** (12),

რ (7), ჰ (7), ხ (7), ლ (6), ს (6).

აფხაზურსა და აბაზურში გამოვლენილი აფიქსური მორფემები სტრუქტურულად ძირითადად მსგავსია, მაგრამ ზოგი მოდელი აბაზურში არ გამოვლინდა, ზოგიც – აფხაზურში: აბაზურში სეგმენტირებადი პრეფიქსებიდან არ რეალიზდება VCC. აბაზურ პრევერბებში არ დასტურდება VV, CCVV, CVV, CVCCV. აბაზურ სუფიქსებში არ დადასტურდა აფხაზურში რეალიზებული VV, VCV, CVV არასეგმენტირებადი მოდელები, სეგმენტირებადიდან კი – VCC, CV, CVV, CVVC, VVCC, CVVCC, CVVCVC მოდელები. ჩამოთვლილი მოდელების უმეტესობა VV-ს შეიცავს, ცხადია, ისინი აბაზურში ვერ იქნებოდა, რადგან ეს მიმდევრობა აბაზურს არ ახასიათებს არათუ აფიქსებში, არამედ ძირეულ მორფემებშიც კი, ვინაიდან დაცული აქვს ისტორიულად აფხაზურისთვისაც ჩვეული ზა.

ძირეული მორფემების მსგავსად, აფხაზური და აბაზური აფიქსური მორფემებიც მათთვის ამოსავლად ნავარაუდები CV მოდელის გვერდით სხვა სტრუქტურებსაც ავლენს. იგივე დასკვნა გამოტანილ იქნა მოხსენებაში „აფხაზურ-აბაზურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ამოსავალი სტრუქტურა“, რომ საანალიზო ენათა აფიქსებზე ჩატარებულმა დეტალურმა კვლევამ აჩვენა V, C, CV, VC, CC, CCV და CVC სტრუქტურის აფიქსებიც, რომელთა სეგმენტაცია ვერ ხერხდება (ფონიავა 2019, 74).

3.4. III თავის დასკვნა

ნაშრომის მესამე თავი დაეთმო აფხაზურისა და აბაზურის აფიქსური მორფემების შესწავლას გამოცემული აფხაზურ-აბაზური ლექსიკონებისა და სათანადო სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით.

აფხაზურ-აბაზურში პრეფიქსებად, პრევერბებად და სუფიქსებად დაყოფილი აფიქსური მორფემები დაჯგუფებულ იქნა არასეგმენტირებადი და სეგმენტირებადი ერთეულების სახით. დადგინდა, რომ ორივე ენაში არასეგმენტირებადი მორფემები შედარებით მარტივი აგებულებისაა და რაოდენობრივად სჭარბობს სეგმენტირებადს.

აფხაზურში 346 აფიქსური მორფემა დადასტურდა, აბაზურში – 413. ეს სხვაობა ძირითადად აბაზურში ალომორფების პარალელური გამოყენებით უნდა აიხსნას. ორივეგან სუფიქსები აღემატება პრეფიქსებსა და პრევერბებს, პრეფიქსები რაოდენობრივად ყველაზე ცოტაა. სამივე ტიპის აფიქსში უპირატესია C და CV სტრუქტურა, პრევერბებში კი – CCV სტრუქტურაც, თუმცა ამოსავლად მიჩნეული CV

მოდელის გვერდით, ძირეული მორფემების ანალოგიურად, არაერთი მოდელია რეალიზებული, განსაკუთრებით სეგმენტირებად მორფემებში.

აფხაზური არასეგმენტირებადი აფიქსები ძირითადად ერთმარცვლიანია, იშვიათად ორმარცვლიანიც, სეგმენტირებად პრეფიქსებსა და სუფიქსებს ურევია სამმარცვლიანი ერთეულებიც. იგივე ვრცელდება აბაზურზეც იმ განსხვავებით, რომ აბაზურში სამმარცვლიანი აფიქსები მხოლოდ პრევერბებსა და სუფიქსებში ვლინდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისევე როგორც ძირეულ მორფემაში, აფიქსურშიც ძირითადია ა და გ, თუმცა აფხაზურში გ-ს ხვედრითი წილი მეტია აბაზურისაზე, აბაზურში ამოსავალი ა ხმოვნის ვარიანტების დაცულობის გამო. სხვა ხმოვნები მეტწილად სუფიქსებშია, თუმცა თითოეულის რაოდენობა ერთ ათეულს არ აღემატება, ე ხმოვანი კი საერთოდ არ რეალიზდება აბაზურში.

აფხაზურსა და აბაზურში დადასტურებული აფიქსური მორფემები აგებული-ბით მეტწილად იდენტურია. ამ მხრივ ძირითად სხვაობას ქმნის აბაზურში VV მიმ-დევრობის უქონლობა, რაც აფხაზურისთვის დამახასიათებელი მათი შემცველი მოდელების აბაზურში არარსებობით გამოიხატა.

IV თავი. აფხაზურ-აბაზური ძირეული და მორფემათა მიჯნის ბგერათკომპლექსები

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი ეხება აფხაზურისა და აბაზურის როგორც ძირეულ, ისე მორფემათა მიჯნის ბგერათკომპლექსებს, კომპლექსთა შეერთების წესებსა და ბგერათკომპლექსებში განხორციელებულ ფონეტიკურ პროცესებს.

კვლევის შესავალში განხილულია ყველა ძირითადი მოსაზრება, რაც გამოთქმულა აფხაზურ-აბაზური ბგერათკომპლექსების შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ, კერძოდ, თავიანთ ნაშრომებში ამ საკითხებს სათანადო ადგილს უთმობდნენ ფ. ბორკი, ვ. ალენი, ქ. ლომთათიძე, ვ. ჩირიქა, ბ. ვოქსი, ჯ. კეტფორდი, ჯ. კოლარუსო, ჯ. ჰიუიტი, ა. სპრუიტი, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი და ხ. კაკავა.

ამავე შესავალში წარმოდგენილია ჩემი სამაგისტრო ნაშრომის „ფონემათა დისტრიბუცია აფხაზურ ზმნურ ძირებში“ ის დებულებები, რომლებიც უშუალოდ ზმნურ ძირებში გამოვლენილი თანხმოვანკომპლექსების ანალიზმა აჩვენა. ცხადია, საკითხი მხოლოდ აფხაზურის ზმნური ძირების შესწავლით ვერ ამოიწურებოდა, ამიტომაც წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა აფხაზურ-აბაზური ძირეული და მორფემათა მიჯნის როგორც ხმოვან-, ისე თანხმოვანკომპლექსების დეტალური ანალიზი.

საანალიზო მასალა მოძიებულია შესავალში ჩამოთვლილი აფხაზურ-აბაზური გამოცემული ლექსიკონებიდან. გამოვლენილი ბგერათკომპლექსები შესწავლილია ფონემათა თანმიმდევრული ანალიზის გამოყენებით (The gradual consonant analysis) (Butskhrikidze 2002, 147-152).

ნაშრომის ბოლო თავი მოიცავს ცხრა ქვეთავს. პირველი ეთმობა აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ხმოვანკომპლექსებს, მეორე ქვეთავში მოცემულია აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემებში გამოვლენილი დიფთონგებისა და ტრიფთონგების ანალიზი, მესამე ქვეთავი ეხება აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა თანხმოვანკომპლექსებს, რომლებშიც ცალ-ცალკეა განხილული ორ- და სამწევრა კომპლექსები, მეოთხე და მეხუთე ქვეთავებში გაანალიზებულია აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ხმოვანკომპლექსები, დიფთონგები და ტრიფთონგები, მეექვსე თავში წარმოდგენილია აფხაზურ-აბაზური მორფემათა მიჯნის თანხმოვანკომპ-

ლექსების ანალიზი, რომლებიც დაყოფილია ორწევრა, სამწევრა, ოთხ- და მეტწევრა თანხმოვანკომპლექსებად, მეშვიდე ქვეთავში განხილულია ბგერათა შეერთებით გამოწვეული ფონეტიკური პროცესები, ხოლო მერვეში – ფონოტაქტიკის კანონების მოქმედება ნასესხები ლექსიკის ადაპტაციისას, მეცხრე ქვეთავი ეთმოზა დასკვნას.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში დამუშავდა ორი მოხსენება („ბგერათ-შეერთების წესები და აფხაზურ-აბაზურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურა“⁴⁰, „Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)“⁴¹) და ორი სტატია („აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები“⁴² და „Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)“⁴³) ამ თავში მოქცეულ საკითხებზე, რომელთა დასკვნითი დებულებები მოყვანილი იქნება ქვემოთ, შესაბამის ადგილას.

4.1. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ხმოვანკომპლექსები

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისერტაციაზე მუშაობისას მომზადდა ინგლისურენოვანი მოხსენება „ხმოვანთა დისტრიბუცია აფხაზურში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)“, რომელიც შემდგომ სტატიის სახით გამოქვეყნდა ერთ-ერთ სამეცნიერო კრებულში.

ჩატარებული კორპუსული კვლევით გამოვლინდა, რომ აფხაზურში დასტურდება არა მხოლოდ აა, არამედ იდენტურ მიმდევრობებს ქმნის ე, ჯ და ო ხმოვნებიც. ა ფონემის მსგავსად, აა კომპლექსიც ყველა პოზიციაში დაწინაურებულია, სხვა იდენტურფონემიანი კომპლექსები იშვიათია, თანაც რეალიზდება მხოლოდ შორისდებულებში, კომპოზიტებში, ხმაბადვით სიტყვებსა და ნასესხობანში. სამი და მეტი იდენტური ფონემის შემცველი ხმოვანკომპლექსი აფხაზურს არ აქვს, ორიოდე შემახილის ან ხმიანობის აღმნიშვნელი სიტყვის გარდა, კორპუსში გამოვლენილი რამდენიმე სხვა შემთხვევა კორექტურას უნდა მიეწეროს. არაიდენტური ორწევრა კომპლექსებიდან საკუთრივ აფხაზურ სიტყვებშია აე ანლაუტსა (აეწა „ვარსკვლავი“) და ინლაუტში

⁴⁰ ნათია ფონიავა, „ბგერათშეერთების წესები და აფხაზურ-აბაზურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურა“ *ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი: იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები*, 5-7 ნოემბერი (თბილისი, 2015).

⁴¹ Natia Poniava, 'Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)', *The 17th Annual International Caucasus Conference in Memory of St. Grigol Peradze*, December 6-8 (Warsaw, 2021).

⁴² ნათია ფონიავა, „აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები“, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XLI* (თბილისი, 2013): 197-208.

⁴³ Natia Poniava, 'Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz National Corpus)', *Caucasica Antiqua et Christiana (In memory of Jan Braun) I* (Warsaw, 2021): 87-90.

(აფარაეიჭერშარა „ფულის ბრუნვა“), სხვები მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ ლექსი-კაში რეალიზდება (Poniava 2021, 89-90).

ეს კვლევა კორპუსს დაეყრდნო და მასში არაა გამიჯნული საკუთრივ აფხაზური მასალა და ნასესხები ლექსიკა, ცალ-ცალკე არაა წარმოჩენილი ძირეული მორფემისა და მორფემათა მიჯნის ვითარება, ამიტომაც ამ ქვეთავში ცალკე გაანალიზდება მხოლოდ ძირეული მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ხმოვანმიმდევრობები.

ძირეულ მასალაზე დაფუძნებული კვლევით დადგინდა, რომ აფხაზურში აა მიმდევრობა რეალიზდება ანლაუტსა და აუსლაუტში:

აა-რს „მოსვლა“;

ა-თბაა-რს „განი, სიგანე“.

აი მიმდევრობა არც ისე ხშირია და დასტურდება ოდენ ანლაუტში:

არგ „ნადირობისა და გარეული ცხოველების ღმერთი“

აუ ვლინდება ერთადერთ ლექსიკურ ერთეულში:

აჰბლ-აა „უბიხი“

ია მიმდევრობა დადასტურდა მხოლოდ ბოლოკიდურად:

ფრა „პირდაპირ, მიუხვევ-მოუხვევლად“

იი მიმდევრობა შემდეგ ლექსიკურ ერთეულშია წარმოდგენილი, რომელიც ოდენ ი ხმოვნინანი ვარიანტიტაც დასტურდება აფხაზურში:

ა-შიიი-შიი || ა-შიი-შიი „ინდაური“

ოო რეალიზდება მხოლოდ შორისდებულში, თავკიდურად და ბოლოკიდურად:

ოოჰარ „შეძახილი ხარის შესაჩერებლად“;

ჟოო „ჰეი! ოი!“.

უა გვხვდება აუსლაუტში:

ა-ყუა „ცხენის დაავადება“

უუ და უუ წარმოდგენილია მხოლოდ შორისდებულებში:

ჟუ „უი!“;

ა-ჭუუ „ფუ!“.

როგორც გამოიკვეთა, მხოლოდ ძირეულ მორფემაზე დაფუძნებული კვლევა ერთიან კორპუსულ მასალაზე ჩატარებული კვლევისაგან მეტად განსხვავებულ სურათს იძლევა. ძირეულ მორფემაში საერთოდ არ ვლინდება გ-სა და ე-ზე

დაწყებული კომპლექსები, არ დასტურდება აე, აგ, აო, იგ, იე, იო, იუ, ოა, ოგ, ოე, ოი, ოუ, უე, უი და უო მიმდევრობები. დადასტურებულ ხმოვანმიმდევრობათა დიდი ნაწილიც ოდენ შორისდებულებსა და ექსპრესიულ ლექსიკურ ერთეულებშია.

აფხაზურში ოდენ ორწევრა ხმოვანკომპლექსები ვლინდება (იხ. ცხრილი #31), აბაზურს კი საერთოდ არ ახასიათებს ხმოვანკომპლექსები. ისტორიულად აფხაზურსაც არ ექნებოდა სინქრონიულ დონეზე წარმოდგენილი ხმოვანკომპლექსები. ამის თქმის საფუძველს იძლევა აბაზურის ჩვენება და აქ მოყვანილ ფორმათა წარმომავლობა, იგულისხმება აა-ს მიღება ზა-საგან, სხვა ხმოვანმიმდევრობების შემთხვევაში კი – მათი დიფთონგებისაგან მიღება ან შორისდებულებში გამოვლენილი მიმდევრობების ექსპრესიული ბუნება.

ამრიგად, ვიზიარებ ვ. ჩირიქბას მოსაზრებას, რომ აა არ უდრის აა+ს (Chirikba 1996, 29-32), რადგან ძირეულ მასალაში გამოვლენილი აა მიმდევრობა მიღებულია ზა-საგან (ლომთათიძე 1976, 25), მაგრამ სხვაგვარადაა საქმე სხვა ხმოვანთა კომბინაციების შემთხვევაში: ისინი მეორეული ჩანს და მეტწილად შორისდებულებშია, მაგრამ თანამედროვე ენაში ხმოვანკომპლექსებს წარმოადგენს.

4.2. აფხაზურ-აბაზური ძირეული მორფემების დიფთონგებისა და ტრიფთონგების ანალიზი

ქ. ლომთათიძეს აფხაზურ-აბაზურში ძირითადად გამოყოფილი აქვს აა, აბ, აჟ, ზა დიფთონგები და აჟა ტრიფთონგი, თუმცა აღნიშნავს, რომ მეორეულ კომპლექსებში დასტურდება აგ, აგ, აე, აე, აო, აო, აუ, აი, აი, აი, აი, აჟ, აჟ, აჟ, აჟ, აჟ, აჟ, აჟ, აჟ, აჟ დიფთონგები (ლომთათიძე 1976, 54, 61).

წინამდებარე ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული ძირეული მორფემის ფარგლებში და მორფემათა მიჯნაზე გამოვლენილი აფხაზურ-აბაზური აღმავალი და დამავალი დიფთონგები. ეს ქვეთავი ეთმობა ძირში რეალიზებულ დიფთონგებსა და ტრიფთონგებს.

ძირეულ მორფემაზე დაყრდნობით შესრულებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აფხაზურსა და აბაზურში აა დასტურდება სამივე პოზიციაში:

აფხ. ააბა „ობოლი, ქვრივი“, აბაზ. ააშა „სასადილო მაგიდა (პატარა)“;

აფხ. ააბტ „ეხ, ახ“, აბაზ. ჟარაადა „მისამღერი“;

აფხ. ა-კაა-კაა „სუფთა“, აბაზ. კაა-კაა „უსათუოდ“.

ორივე ენაში აჭ გვხვდება ანლაუტსა და აუსლაუტში:

აფხ. აჭ „გრძელი“, აბაზ. აჭ-რა „სიგრძე“;

აფხ. ა-კაჭკაჭ-რა „ჩიტების ჭიკჭიკი“, აბაზ. ცაჭ „ოჰ! ვაი!“.

ორივე საანალიზო ენაში ოჭ გამოვლინდა ბოლოკიდურად:

აფხ. ა-შაოჭ-რა „სიცხე, პაპანაქება“, აბაზ. შაოჭ „მალემსრბოლი, შიკრიკი“

აფხაზურში ედ დასტურდება სამივე პოზიციაში, აბაზურში ოდენ – აუსლაუტში:

აფხ. ედთა „ისევ, კვლავ, კიდევ“;

აფხ. აქა „ჰო, კი, დიახ“ (შდრ. აძაძ „ჰო, კი, დიახ“);

აფხ. ა-პეაპეა-რა „შეშუპება“, აბაზ. ქაქა „საზომი“.

იძ წარმოდგენილია ბოლოკიდურ პოზიციაში აფხაზურსა და აბაზურშიც:

აფხ. ა-ჰაიძ-რა „მამბი, მამბნარი“, აბაზ. დიძ-რა 1. „გაქვავება“. 2. „გაცივება“

გა ვლინდება მხოლოდ აფხაზური ძირეული მორფემის ანლაუტში:

გა „ტკივილის გამომხატველი შორისდებული“

ორივე ენაში გჭ რეალიზდება ბოლოკიდურად:

აფხ. აღჭუ „გუგუნი (ხმაბაძვითი)“, აბაზ. ა-ლა-ჭაჭ-რა „ერთად ტირილი“ (შდრ.

ჭაჭა-რა „ტირილი, დატირება“)

აფხაზურში სულ ექვსი აღმავალი დიფთონგი გამოვლინდა, აბაზურში – ხუთი. აფხაზურში დადასტურებული აღმავალი დიფთონგებიდან აბაზურს არ აღმოაჩნდა მხოლოდ გა. ორივე ენაში ამ სახეობის დიფთონგში უპირატესია ე. აფხაზურსა და აბაზურში ძირეულ მორფემაში რეალიზებული აღმავალი დიფთონგების ცხრილის-თვის იხ. დანართი – ცხრილები #32, 33.

აფხაზურსა და აბაზურში რეალიზდება დამავალი დიფთონგებიც:

აა აფხაზურსა და აბაზურში დასტურდება თავკიდურად:

აფხ. ა-აა-რა „დაწოლა“, აბაზ. აა-რა-აა-რა „თვითონ“

აგ ოდენ აბაზურის თავკიდურ პოზიციაშია:

აგა „ობოლი“

აჟ აფხაზურში ვლინდება თავკიდურად და ბოლოკიდურად, აბაზურში კი – სამივე პოზიციაში:

აფხ. აჟ „იქ“, აბაზ. აჟ „შენ“

აბაზ. შუაჰ „სასჯელი“

აფხ. ა-წგ'რჷა „ნალარი (ნახნავზე)“, აბაზ. შუა-რს „სიცხე, პაპანაქება“

ჷუ მხოლოდ აფხაზურის ანლაუტში დადასტურდა:

ა-ჷჷ „ალიაქოთი, აურზაური“

ჷი წარმოდგენილია ორივე ენის ანლაუტში:

აფხ. ჷი „ის“, აბაზ. ჷრტ „უკ“

ჷო რეალიზდება ოდენ აფხაზურის ანლაუტში:

ჷოო „ჰეი! ოი!“

ჷგ მხოლოდ აბაზურის ანლაუტშია:

აბაზ. ჷგს „საქმე“

აფხაზურსა და აბაზურში ხუთ-ხუთი დამავალი დიფთონგი გვხვდება. ორივე ენაში ამ ტიპის დიფთონგის შექმნის მეტი შესაძლებლობით გამოირჩევა ჷ. ოდენ აფხაზურის ანლაუტში დადასტურდა ჷუ და ჷო, მხოლოდ აბაზურისაში – გგ და ჷგ. სათანადო ცხრილი იხ. დანართში – ცხრილები #34, 35.

აფხაზურ-აბაზურს ახასიათებს ტრიფთონგებიც. მათი რიცხვი არცთუ დიდია ძირეულ მორფემაში, მაგრამ მაინც დასტურდება გარკვეული რაოდენობით.

აფხაზურში ადა რეალიზდება თავკიდურად, აბაზურში – არა:

აფხ. ადაშე „კვერნა“

გჷა ორივე ენაში გვხვდება ბოლოკიდურ პოზიციაში:

აფხ. ა-წგ'ჷა-რა (შდრ. ა-წგ'ჷა-რა) „ტირილი, დატირება“, აბაზ. ჰგჷა-რა „ტირილი, დატირება“

ქვემოთ განხილული ტრიფთონგები მხოლოდ აბაზურში დადასტურდა, კერძოდ, გდა რეალიზდება ძირეული მორფემის ბოლოკიდურად:

ა-ჰგ'და „რა“

აჷა წარმოდგენილია ანლაუტსა და აუსლაუტში:

აჷათ „ისინი“;

კ'აჷა „კალია“.

ჷაჷ და ჷგჷ ოდენ თავკიდურ პოზიციაში ვლინდება:

ჷაჷ „შხამი“;

ქმე „ყმილი“.

აბაზურში დასტურდება ერთი ოთხწევრა, ხოლო აფხაზურში – ერთი ხუთწევრა ვოკალური ჯგუფი:

აბაზ. ჟაა „ყინვა, ქარბუქი“;

აფხ. ააჟჟ „ქადილის გამომხატველი შორისდებული“.

ამდენად, აფხაზურში მხოლოდ ორი ტრიფთონგი გამოვლინდა, აბაზურში – ხუთი. ამის მიზეზი აბაზურში ამოსავალი ვითარების შენარჩუნება, აფხაზურში კი ტრიფთონგების ჯერ დიფთონგად, ხოლო შემდეგ ეტაპზე ხმოვნად გარდაქმნა ჩანს.

4.3. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა თანხმოვანკომპლექსები

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, აფხაზურ-აბაზურ თანხმოვანკომპლექსებს თავიანთ კვლევებში ყურადღებას უთმობდნენ ფ. ბორკი, ვ. ალენი, ქ. ლომთათიძე, ვ. ჩირიქვა, ბ. ვოქსი, ჯ. კეტფორდი, ჯ. კოლარუსო, ჯ. ჰიუიტი, ა. სპრუიტი, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი და ხ. კაკავა. ნაშრომის ამავე ნაწილში გადმოცემულია დასახელებულ მეცნიერთა მიერ აფხაზურ-აბაზურ ბგერათკომპლექსთა შესახებ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური თანხმოვანკომპლექსები აბაზურზე უკეთაა შესწავლილი, მაგრამ რიგი საკითხებისა აფხაზურშიც ითხოვს დაზუსტებას. ამიტომაც განისაზღვრა ამ სადისერტაციო ნაშრომის ბოლო თავში ამ საკითხების განხილვა. ბგერათკომპლექსები შესწავლილია ფონემათა თანმიმდევრული ანალიზის გამოყენებით (The gradual consonant analysis) (Butskhrikidze 2002, 147-152).

4.3.1. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა ორწევრა თანხმოვანკომპლექსები

აფხაზურსა და აბაზურში, დისტრიბუციული თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს თანხმოვანკომპლექსების სამი ტიპი:

ა) თავკიდური: აფხ. ა-ფშშა-რა „გამომრობა“; აბაზ. ჰჰა-რა „თრიმლვა“;

ბ) ინტერვოკალური: აფხ. ა-რტტა „უბედური, საწყალი, საბრალო“; აბაზ. რტტა „საბრალო, საწყალი“;

გ) ბოლოკიდური: აფხ. ა-რ-ყაფშ-რა „გაწითლება“; აბაზ. ყაფშ-ხა-რა „გაწითლება“.

ჩემს სტატიაში „აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები“⁴⁴ გამოყოფილია

⁴⁴ ნათია ფონიავა, „აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები“, *იბერიულ-კავკასიური* 146

ანლაუტის, ინლაუტისა და აუსლაუტის თანხმომავანკომპლექსები. ზმნურ ძირებში მაქსიმალური სიგრძის თანხმომავანკომპლექსი სამწევრია. სტატიაში ერთადერთი ძირი მექანიკურადაა ჩათვლილი ოთხწევრად: ა-ქ-თშითში-რა „თუხთუხი“ (აბაზურ ანბანში თში გამოხატავს ჩი-ს, შესაბამისად, უნდა იყოს: ა-ქ-ჩიჩი-რა „თუხთუხი“).

აბაზურშიც სამწევრაზე უფრო ხშირია ორსეგმენტური კომპლექსები. სამწევრა მიმდევრობები ანლაუტსა და აუსლაუტშიც დასტურდება, ინლაუტში ერთადერთ ძირში გამოყოფილია სამსეგმენტური მიმდევრობა (ტფს: ჭატ-ფსგტ „ნესტიანი“), მაგრამ ის რედუპლიცირებული ჩანს და მისი განხილვა უფრო მართებული იქნება მორფემათა მიჯნის კომპლექსად.

ანლაუტში ხშირია იდენტურფონემიანი კომპლექსები, თუმცა ისინი საერთოდ არ დასტურდება ინლაუტსა და აუსლაუტში. ინტერვოკალურ და ბოლოვიდურ პოზიციაში ყველაზე გავრცელებულია SC მოდელი, მაგრამ საერთოდ არ რეალიზდება SS. აბაზურში აქცესიური კომპლექსებიც არის, თუმცა ენა უპირატესობას ანიჭებს თანხმომავანთა დეცესიურ შეერთებას (ფონიავა 2013, 197-208).

აფხაზური თანხმომავანკომპლექსები ყველაზე სრულად აღწერილია ხ. კაკავას მიერ, თუმცა მისი დისერტაციის ძირითად ნაწილში არაა გამიჯნული ძირეული და მორფემათა მიჯნის კომპლექსები (ერთადაა განხილული), არც საკუთარი და ნასესხები ლექსიკა. მას მხოლოდ დანართში აქვს ცალ-ცალკე მოცემული ძირეულ და მორფემათა მიჯნის კომპლექსთა სია, თუმცა სათანადო მაგალითების გარეშე (კაკავა 2012, 166-174). მკვლევარს მაგალითები მხოლოდ ძირითად ტექსტში აქვს, სადაც, როგორც აღინიშნა, არაა გამოყოფილი ძირისა და მორფემათა მიჯნის კომპლექსები.

ჩემ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ხ. კაკავას მიერ ძირისეულად მიჩნეული კომპლექსების ნაწილი – ფც, ფჭ, ფკ, ფშ, ფლ, თგ, თლ, ტყ, ტყ, ტყ, ტმ, ტტ, ძძ, ძგ, ძნ, ძლ, ცო, ცქ, ცკ, წშ, წმ, ცაქ, ჯგ, ჯნ, ჩფ, ჩკ, ჩკ, ჩხ, ჩლ, ჩნ, ჭბ, ჭლ, ჩხ, ჩნ, გჭ, გრ, ქლ, კტ, კჭ, კვ, კლ, ყლ, ყმ, ვგ, ჭბ, ზყ, ზქ, ზჭ, სტ, სკ, სჭ, სკ, სხ, სმ, სნ, შქ, შგ, შკ, შნ, შთ, შლ, შნ, ჟტ, ჟც, ღნ, ხჭ, ხჭ, ხლ, ხლ, ხფ, ხნ, ხჭ, ხნ, ხც, ხმ, ხჟ, ჰკ, ჰმ, ჰწ, ჰზ, ჰბ, რკ, რტ, რქ, რკ, ლდ, ლთ, ლს, ლკ, მკ, მქ, მჭ, მყ, მწ, ნთ, ნტ, ნც, ნგ, ნყ, ნჭ, ნხ – მხოლოდ მორფემათა მიჯნაზე ან ნასესხებ ლექსიკაში დასტურდება, ჯგ, ჭლ, შკ, ლლ

გაორკეცებით, სიმრავლის, სიხშირისა და ინტენსივობის გამოსახატავად, რასაც ხშირად ერთვის ფუძისეული ხმოვნის რედუქცია, რაც თავს უყრის ორ ერთგვაროვან თანხმოვანს (ლომთათიმე 1976, 205). მასვე მოცემული აქვს ამგვარი გაორკეცების მაგალითები, მაგრამ ერთმანეთისგან არაა გამიჯნული ძირი და მორფემათა ზღვარი (იქვე, 206-209), ამიტომაც მის მიერ ჩამოთვლილი იდენტურფონემიანი კომპლექსებიდან აფხაზურში ძძ და ჰჰ არ გამოვლინდა ჩემეულ სეგმენტაციაში.

აფხაზურსა და აზერულშიც თანხმოვანკომპლექსთა უმეტესობა ანლაუტში ვლინდება.

აფხაზურში ისინი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული 16 ქვემოდელით. თითოეულ მათგანს ფრჩხილებში უწერია რაოდენობა და თითო მაგალითი. კომპლექსთა სრული სიის ნახვა მაგალითებითურთ შესაძლებელია დანართში (იხ. ილუსტრაცია #1):

- CC (61): ბწ: ა-ბწა-რს „მკა“;
- CF₁ (12): ბჟ: ა-ბჟა „ნახევარი“;
- CF₂ (27): ფჰ: ა-ფჰს „ასული, ქალიშვილი“;
- CS (18): ბნ: ა-ბნა „ტყე“;
- F₁C (13): ზქ: ა-ზქა „ზურგი“;
- F₁F₁ (10): შხ: ა-შხა „ცხიმი, ქონი“;
- F₁F₂ (8): შხ: ა-შხა 1. „მთა“. 2. „ფუტკარი“;
- F₁S (6): სრ: ა-სრგ „ველური სორგო“;
- F₂C (10): ღბ: ა-ღბა „გემი, ხომალდი“;
- F₂F₁ (4): ხშ: ა-ხშაშა „ცივი, გრილი“;
- F₂F₂ (7): ლლ: ა-ლლარა „ჩამოფხეკა, აფხეკა“;
- F₂S (5): ჰნ: ა-ჰნგ 1. „სახლი“. 2. „შინ“;
- SC (19): მც: ა-მცა „ცეცხლი“;
- SF₁ (5): მზ: ა-მზა „მთვარე“;
- SF₂ (10): მხ: ა-მხგ „ყანა“;
- SS (2): მლ: ა-მლა „შიმშილი“.

ანლაუტში აფხაზურში 217 კომპლექსი აღმოჩნდა. ამათგან CC, F₁F₁ და F₂F₂

შეიცავს იდენტურფონემიან მიმდევრობებს, კერძოდ, CC-ში შედის ასეთი 17 ერთეული, F₁F₁ ქვემოდელის ათივე, ხოლო F₂F₂ ქვემოდელის შვიდივე ძირი იდენტურფონემიანია:

CC: ტტ: ა-ტტა-რა „გაწელვა“

F₁F₁: სს: ა-სსა „წვრილი“

F₂F₂: ლლ: ა-ლლა „ძლიერი“

ასეთი ძირების რედუქციაციისა და შემდეგ ხმოვნის ამოვარდნით მიღებისთვის თვალის დევნება, ზოგ შემთხვევაში, ახლაც შესაძლებელია: ჩჩ: ა-ჩჩა-რა „სიცილი“ (შდრ. ფერ. ა-ჩჩა-რა „id“).

გაუხმოვანებელი ძირების მსგავსად, ანლაუტშიც არის შემთხვევები, როცა არა-იდენტურფონემიან აფხაზურ ძირსაც პარალელურად მოეპოვება ხმოვნიანი ვარიანტი: ყც: აკვ-დგ-რ-ყცღ-ლა-რა „მიჭერა, მიჭყლეთა“ (||ა-წა-რ-ყც-რა „მიჭერა, მისრესა“).

აბაზურში ანლაუტის პოზიციაში 193 კომპლექსი დადასტურდა ქვემოთ მოცემული ქვემოდელების სახით (აფხაზურის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ყოველ ქვემოდელს მიწერილი აქვს რაოდენობა და მაგალითი, სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში (იხ. ილუსტრაცია #2):

CC (54): ბჭ: ბჭღ „წითელა“;

CF₁ (15): ბჟ: ბჟა „ნახევარი“;

CF₂ (27): ფჰ: ფჰა „ქალიშვილი“;

CS (17): ბნ: ბნა „ტყე“;

F₁C (12): ზქ: ზქღ „ზურგი“;

F₁F₁ (10): შხ: შხა „ცხიმი, ქონი“;

F₁F₂ (10): შხ: შხა „ფუტკარი“;

F₁S (1): ჟლ: ჟლა „ოჯახი“;

F₂C (3): ღბ: ღბა „მატარებელი“;

F₂F₁ (7): ხშ: ხშა „გრილი“;

F₂F₂ (7): ლლ: ა-დგ-ლლა-რა „ამოფხეკა“;

F₂S (4): ჰნ: ჰნა „მამის სახლი, კერა“;

SC (11): მც: მც „ცეცხლი“;

SF₁ (5): მზ: მზ „მთვარე, თვე“;

SF₂ (9): მხ: მხ „ყანა“;

SS (1): მლ: მლ „შიმშილი“.

აბაზურში გამოვლენილი 193 კომპლექსიდან იდენტურფონემიანი გამოდგა CC ქვემოდელის 12, F₁F₁ ქვემოდელის ათიდან ცხრა და F₂F₂ ქვემოდელის შვიდიდან ექვსი ძირი:

CC: ტტ: ა-ყ-ტტ-რა „დაშლა, დარღვევა“;

F₁F₁: სს: სს „წვრილი“;

F₂F₂: ხხ: ხხ „ტანადი“.

ფერიულში დადასტურებული ა-ჩჩ-რა „სიცილი“ ამოსავლად უნდა იქნეს მიჩნეული აბაზური ჩჩ ძირისთვისაც (მდრ. აბაზ. კვ-ჩჩ-რა „გაცინება“). ზოგ აბაზურ არაიდენტურფონემიან კომპლექსსაც აქვს ამოსავალი ხმოვნური ვარიანტები აფხაზურში: ფწ: ფწ „ულვაში“ (მდრ. აფხ. ა-ფაწ „ულვაში“), ბჟ: ბჟ „ძვალი“ (მდრ. აფხ. ა-ბაჟ).

აფხაზურსა და აბაზურში ინლაუტი გამოვლენილი კომპლექსებით ანლაუტს ვერ გაუტოლდება, მაგრამ ამ პოზიციაშიც რეალიზდება ბგერათკომპლექსები.

აფხაზურში ინლაუტში გამოვლენილია 86 კომპლექსი, 14 ქვემოდელის სახით, თითოეული ფრჩხილებში მითითებული რაოდენობით:

CC (7): ბბ: ა-ჭაბბ „სულელი“;

CF₁ (2): ფმ: ა-ჰაფმა „ქვევრი, ჭური“;

CF₂ (12): თჰ: ა-ფგთჰა „ფოცხვერი“;

CS (10): ჯმ: ა-ქაჯმა „მგელი“;

F₁C (3): ზბ: ა-ჰაზბა „დანა“;

F₁F₁ (2): ზშ: ა-ყაზშ „ხასიათი“;

F₁F₂ (2): შჰ: ა-ჰაშჰა „ძირმაგარა; ბარისპირა“;

F₁S (1): ზნ: ა-რაზნ „ვერცხლი“;

F₂C (1): ჰთ: ა-ლგჰთა „საცერი“;

F₂F₁ (1): ჰშ: ა-დაჰშა „და“;

SC (31): რბ: არბა „მამალი“;

SF₁ (5): მშ: ა-ჯგმშ „ხახვი“;

SF₂ (7): მპ: ა-ლგმპა „ყური“;

SS (2): რმ: არმა „მარცხენა“.

აფხაზურში, ანლაუტისგან განსხვავებით, ინლაუტში არ დადასტურდა F₂F₂ და F₂S ქვემოდელის კომპლექსები.

აფხაზურში ინლაუტში დადასტურდა 56 კომპლექსი, რომლებიც 13 ქვემოდელის სახითაა რეალიზებული, ფრჩხილებში მითითებული რაოდენობით:

CC (2): ბგ: აბგ „მოლიანი“;

CF₁ (1): ფშ: ფშ: ყაფშ „წითელი“;

CF₂ (6): ფპ: რაფპ „ფილტვი“;

CS (3): ჯმ: ქგჯმა „მგელი“;

F₁C (2): სფ: პასფა „დანა“;

F₁F₁ (3): ზშ: ყაზშა „ხასიათი“;

F₁S (1): ზნ: რგზნ „ვერცხლი“;

F₂C (2): ხთ: ლგხთა „საცერი“;

F₂F₁ (2): ხშ: ახშ „და“;

SC (25): რც: არცგნა „დედალი“;

SF₁ (2): მშ: ჯგმშ „ხახვი“;

SF₂ (4): მპ: ლგმპა „ყური“;

SS (3): რმ: კარმ „მახველი“.

აფხაზურშიც, აფხაზურის მსგავსად, ინლაუტში არ გვხვდება F₂F₂ და F₂S ქვემოდე-
ლის კომპლექსები.

აფხაზურსა და აფხაზურშიც აუსლაუტს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს თანხმო-
ვანკომპლექსები.

აფხაზურში ბოლოკიდურ პოზიციაში დადასტურდა ცხრა ქვემოდელი, ფრჩხი-
ლებში მოცემული რაოდენობით, სულ 48:

CF₁ (7): ა-რ-ყაფშ-რა „გაწითლება“;

CF₂ (4): ფხ: წგფხ „შარშან“;

F₁C (1): შთ: ა-უშთ-რა „გაშვება, მოშვება“;

F₁F₁ (1): შშ: ჩგშშ „გაჩუმების გამომხატველი შორისდებული“;

F₂C (1): ხჩ: ა-მაჩჩ „აქლემი“;

F₂F₂ (1): ჭჭ: ა-ბგჭჭ-რა „ხარის ბლავილი“;

SC (24): რგ: ა-ბგრგ „მოხუცი“;

SF₁ (4): მშ: ა-ლგმშ „სვია, ფშალა“;

SF₂ (5): რჭ: ა-ძგრჭ-რა „სმენა“.

აბაზურში ბოლოკიდურ პოზიციაში 18 კომპლექსი გამოვლინდა, ხუთ ქვემო-დელოში გადანაწილებული, თითოეული ფრჩხილებში მითითებული რაოდენობით:

CC (1): პყ: ჯაპყ „ღერო“;

CF₁ (2): ფშ: ყაფშ-ხა-რა „გაწითლება“;

CF₂ (1): ფხ: წგფხ „შარშან“;

SC (11): რგ: ვარგ „სოკო“;

SF₂ (3): რწ: ა-ჭარწ 1. „ფიჩხი“. 2. გადატ. „გამხდარი“.

აფხაზურის აუსლაუტში, აბაზურისაგან განსხვავებით, არ გამოვლინდა **CC**, აბაზურში კი არ დადასტურდა **F₁C**, **F₁F₁**, **F₂C**, **F₂F₂**, **SF₁** ქვემოდელების კომპლექსები.

აფხაზურში ყველა პოზიციის გათვალისწინებით სულ დადასტურდა 388 ორწევრა კომპლექსი (თუ სხვადასხვა პოზიციაში გამოვლენილ ერთნაირ კომპლექსს გამოვაკლებთ, მათი რიცხვი 309-ს შეადგენს), მათგან ოდენ თანხმოვანკომპლექსის სახით წარმოდგენილია 37 ძირი, ანლაუტში არის – 217, ინლაუტში – 86, ხოლო აუსლაუტში – 48.

აბაზურში გამოვლინდა 303 ორწევრა კომპლექსი (სხვადასხვა პოზიციის ერთნაირი კომპლექსების გამოკლებით 263), კერძოდ, 36 მხოლოდ კომპლექსით წარმოდგენილი ძირია, თავკიდურ პოზიციაში გვხვდება – 193, ინლაუტში – 56, ბოლოკიდურ პოზიციაში კი – 18 თანხმოვანკომპლექსი.

როგორც ჩანს, კომპლექსთა აბსოლუტური უმრავლესობა ორივე ენაში თავკიდურ პოზიციაში დასტურდება და, ამასთანავე, მოსალოდნელი კომპლექსების მცირედი ნაწილი რეალიზდება, კერძოდ, 58 თანხმოვნის მქონე აფხაზურს შეიძლებოდა ჰქონოდა 3364 ორწევრა კომპლექსი, ხოლო 61 თანხმოვნიან აბაზურს – 3721. იგივე დაასკვნა ჩერქეზულ ენებში ვ. შენგელიამ (შენგელია 2006, 16).

ორივე ენაში პოზიციების მიხედვით მოდელების გავრცელების საინტერესო

სურათი იკვეთება: აფხაზურში კომპლექსების სახით რეალიზებულ ძირებში ყველაზე გავრცელებულია **CC** (8), **SC** (6), **CS** (6) და **SF₁** (5), ანლაუტში – **CC** (61, მათგან 17 იდენტურთანხმოვნია), **CF₂** (27), **SC** (19), **CS** (18), ინლაუტში – **SC** (34), **CF₂** (12), **CS** (10), აუსლაუტში – **SC** (24); აბაზურში ამგვარი ვითარებაა: ოდენ კომპლექსებით წარმოდგენილ ძირებში ჭარბობს **CC** (18) და **CF₁** (5), ანლაუტში – **CC** (54, მათგან 12 იდენტურთანხმოვნია), **CF₂** (27), **CS** (17), **CF₁** (15), ინლაუტში – **SC** (25) და **CF₂** (6), აუსლაუტში – **SC** (11); არადა ხ. კაკავა აღნიშნავდა, რომ აფხაზურში შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება ორწევრა კომპლექსები, რომლებსაც ხშული და სპირანტი თანხმოვნები შეადგენს (კაკავა 2012, 16). ჩემი მასალის მიხედვით, ყველა პოზიციაში ხშულების კომბინაცია სჭარბობს ხშული-ფრიკატივის კომბინაციას არა მხოლოდ აფხაზურში, არამედ აბაზურშიც.

აფხაზურის ორწევრა კომპლექსებში ოდენ თანხმოვანმიმდევრობად რეალიზებულ ძირებში პირველ წევრად ყველაზე გავრცელებულია ხშულები (**C** 18), მათ მოსდევს სონორები (**S** 12) და ფრიკატივები (**F** 7), ანლაუტში ჭარბობს ხშულები (**C** 118), ფრიკატივები (**F** 63) კი აღემატება სონორებს (**S** 36), ინლაუტში პირველობა სონორებს უკავია (**S** 45), თუმცა ხშულები (**C** 31) სჭარბობს ფრიკატივებს (**F** 10), იგივე ვითარებაა აუსლაუტშიც: **S** 33, **C** 11, **F** 4.

აფხაზური ენის ორწევრა კომპლექსებში ოდენ თანხმოვნური შედგენილობის ძირებში მეორე წევრად თანაბარი რაოდენობით გამოვლინდა ხშულები და ფრიკატივები (**C** 15, **F** 15), ყველაზე იშვიათია სონორები (**S** 7), ანლაუტში უპირატესობა ხშულებს აქვს (**C** 103), ფრიკატივები (**F** 83) და სონორები (**S** 31) მეორემესამე ადგილებს ინაწილებს, ასეთივე ვითარებაა ინლაუტშიც (**C** 42, **F** 31, **S** 13), აუსლაუტში ბოლოკიდურ პოზიციაში **C₂**-ის ადგილას სონორები არ გვხვდება, მხოლოდ ხშულები და ფრიკატივებია (**C** 26, **F** 22).

აბაზურ ორწევრა კომპლექსებში მხოლოდ თანხმოვნების სახით წარმოდგენილ ძირებში პირველ წევრად უპირატესია ხშულები (**C** 24), მათ მოსდევს ფრიკატივები (**F** 10) და სონორები (**S** 2), იგივე თანმიმდევრობაა ანლაუტშიც (**C** 113, **F** 54, **S** 26), ინლაუტში კი ხშულებსა და ფრიკატივებს სჭარბობს სონორები (**S** 34, **C** 12, **F** 10), აუსლაუტშიც სონორები (**S** 14) აღემატება ხშულებს (**C** 4), სხვა პოზიციებისაგან განსხვავებით, აქ ფრიკატივები არ დასტურდება; აბაზურ ორწევრა კომპლექსებში

მხოლოდ თანხმობენური შედგენილობის ძირებში მეორე წევრად ყველაზე ხშირია ხშულები (C 22), შემდეგ – ფრიკატივები (F 12) და სონორები (S 2), ანლაუტში ფრიკატივები (F 90) სჭარბობს ხშულებსა (C 80) და სონორებს (S 23), ინლაუტში ხშულები (C 31) აღემატება ფრიკატივებსა (F 18) და სონორებს (S 7), აუსლაუტში ხშულები (C 12) ფრიკატივებზე ორჯერ მეტადაა გავრცელებული (F 6), ამ პოზიციაში, აფხაზურის მსგავსად, სონორები არ დასტურდება.

ამდენად, აფხაზურში დადასტურებული 388 კომპლექსიდან C₁-ის პოზიციაზე რეალიზდება 177 ხშული, 126 სონორი და 85 ფრიკატივი, C₂-ის პოზიციაზე კი – 186 ხშული, 151 ფრიკატივი და 51 სონორი. აფხაზურში გამოვლენილი 303 კომპლექსიდან C₁-ის პოზიციაზე არის 153 ხშული, 76 სონორი და 74 ფრიკატივი, C₂-ის პოზიციაზე კი – 145 ხშული, 126 ფრიკატივი და 32 სონორი. ორივე პოზიციის გათვალისწინებით აფხაზურ ორწევრა კომპლექსებში 363 ხშულია, 236 ფრიკატივი და 177 სონორი, აფხაზურში კი – 298 ხშული, 200 ფრიკატივი და 108 სონორი.

ბ. კაკავა აღნიშნავს, რომ აფხაზური მასალის შესწავლისას გამოიკვეთა ოდენ ხშულებისაგან (ბგ, კკ), სპირანტებისაგან (ხხ) და აფრიკატებისაგან (ცც, წწ) შემდგარი ორწევრა კომპლექსები, მათი ურთიერთკომბინაციები, ასევე სონორის შემცველი და ოდენ სონორიანი ორწევრა კომპლექსები (კაკავა 2012, 13). მე დავაკონკრეტებ, რომ ფრიკატივებისა და აფრიკატებისაგან შემდგარი ორწევრა კომპლექსები როგორც აფხაზურში, ისე აბაზურში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იდენტურთანხმობნიანია, სონორებისგან შემდგარი ორწევრა კომპლექსები ძალზე იშვიათია, თანაც ყოველთვის არაიდენტურთანხმობნიანი.

ჩემი კვლევის მიხედვით, ორივე ენაში, ანლაუტისაგან განსხვავებით, სადაც საკმაოდ გავრცელებულია იდენტურთანხმობნიანი ჯგუფები, ინლაუტსა და აუსლაუტში იდენტური ფონემების შემცველი ბგერათკომპლექსები ცოტაა, აფხაზურის ბოლოკიდურ პოზიციაში კი ასეთი თანხმობანიმდევრობა საერთოდ არ გვხვდება.

აფხაზურსა და აბაზურში ზოგი ფონემა საერთოდ არ მონაწილეობს კომპლექსებში. აფხაზურში C₁-ის პოზიციაზე არ რეალიზდება ლ, ჯჲ, გ, ქ ხშულები, ფრიკატივებიდან – ჰ, მაგრამ გვხვდება ოთხივე სონორი; C₂-ის პოზიციაზე ხშულებიდან არაა მხოლოდ ლ, მაგრამ დასტურდება ყველა ფრიკატივი და სონორი.

აბაზურში C₁-ის პოზიციაზე ხშულებიდან არაა ჯჲ, გ, ქ, ც, ფრიკატივებიდან – ჰ,

მაგრამ, აფხაზურის მსგავსად, დასტურდება ყველა სონორი, C₂-ის პოზიციაზე ხშულებიდან არაა **ჯ, ქ, ქ**, ფრიკატივებიდან და სონორებიდან კი ყველა რეალიზდება. თვალსაჩინოებისთვის მომზადებულია აფხაზურ და აბაზურ ორწევრა კომპლექსებში შემავალ ფონემათა კომბინაციების ცხრილები. რაკი ამ ენებში თანხმოვანთა რაოდენობა დიდია, ტექნიკური თვალსაზრისით გაჭირდა მათი თითო ცხრილად წარმოდგენა, ამიტომ ორივე ენისთვის ცალკეა მოცემული ოთხ-ოთხი ცხრილი: ხშულთა, ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა, ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა, ფრიკატივთა/სონორთა კომბინაციების ცხრილები (იხ. ცხრილები #36, 37).

ამდენად, აფხაზურში **ლ** საერთოდ არ მონაწილეობს კომპლექსებში, აბაზურში კი – **ჯ** და **ქ**.

აფხაზურში C₁-ის პოზიციაზე თანხმოვანთა სიხშირე ასეთია: **რ** (33), **მ** (30), **ბ**, **ფ** (17), **ნ** (14), **ც** (12), **თ**, **წ**, **ლ** (9), **ზ**, **ხ** (8), **ჭ**, **შ** (7), **ჩ**, **შ**, **ხ** (6), **პ**, **წ**, **ჯ**, **ს**, **ჟ**, **წ** (5), **ტ**, **ც**, **ჩ**, **გ**, **კ**, **კ**, **ყ**, **ფ**, **შ**, **ღ**, **ჰ**, **ჰ** (4), **დ**, **ძ**, **ჭ**, **კ**, **გ**, **ქ** (3), **თ**, **ყ**, **ყ**, **ვ** (2), **ბ**, **ქ**, **ტ**, **ჟ**, **შ**, **ლ** (1), C₂-ის პოზიციაზე კი – ამგვარი: **რ** (19), **ლ** (14), **თ** (12), **ბ**, **დ**, **შ**, **ხ**, **ჰ** (11), **ძ**, **ჩ**, **შ**, **ჰ**, **ჰ** (9), **ხ** (8), **პ**, **ტ**, **შ** (7), **ც**, **წ**, **გ**, **ყ**, **ზ**, **ს**, **ღ**, **წ**, **მ** (6), **ფ**, **წ**, **გ**, **კ**, **ჯ** (5), **ჯ**, **ჭ**, **ჭ**, **კ**, **ყ**, **წ** (4), **თ**, **ჩ**, **ქ**, **კ**, **ლ** (3), **ტ**, **ქ**, **ჟ**, **ლ** (2), **ბ**, **ც**, **ჯ**, **ქ**, **ვ**, **ფ**, **შ** (1) (იხ. ცხრილი #36).

აბაზურში C₁-ის პოზიციაზე თანხმოვანთა სიხშირული განაწილება ასეთია: **რ**, **მ** (24), **ბ** (20), **ფ**, **ნ** (12), **წ** (9), **თ**, **შ**, **ხ** (8), **ც**, **ჩ**, **ჩ**, **ს** (7), **ჩ**, **შ** (6), **ტ**, **ზ**, **შ** (5), **ჭ**, **გ**, **ვ**, **ყ**, **შ**, **ხ**, **ლ** (4), **პ**, **ჭ**, **ჭ**, **გ**, **კ**, **ქ**, **ფ**, **ღ**, **წ**, **ჰ** (3), **დ**, **ჯ**, **ქ**, **კ**, **კ**, **ყ**, **ჰ** (2), **ძ**, **ჯ**, **ყ**, **ჟ**, **ვ**, **შ**, **ლ**, **შ** (1), C₂-ის პოზიციაზე კი ასეთი სურათი გვაქვს: **რ** (11), **ხ**, **ჭ**, **ჰ** (10), **შ**, **ჰ**, **ლ** (9), **დ**, **თ**, **ტ** (8), **ფ**, **გ**, **ზ**, **ს**, **შ** (7), **ბ**, **ძ**, **წ**, **ჯ**, **კ**, **ყ**, **შ**, **ღ** (6), **ც**, **ჩ**, **ჭ**, **გ**, **ჰ**, **წ** (5), **პ**, **ჯ** (4), **ჯ**, **ჭ**, **ჩ**, **კ**, **კ**, **ყ**, **ყ**, **წ**, **ხ**, **მ** (3), **ჩ**, **ჰ**, **ჟ**, **შ**, **ლ**, **ლ** (2), **ჯ**, **ჭ**, **ქ**, **ქ**, **ც**, **ვ**, **ფ**, **შ** (1) (იხ. ცხრილი #37).

ჩემმა კვლევამ **ქ** ლომთათიძის დასკვნისგან განსხვავებული შედეგი აჩვენა თავკიდურად სონორთა განაწილებასთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევდა, რომ კომპლექსებში თავკიდურად ოთხივე სონორი დასტურდებოდა, მაგრამ **მ**-ს გამოყენების შემთხვევები აღემატებოდა სხვებს (ლომთათიძე 1976, 239), აფხაზურში თავკიდურად **რ** აღემატება **მ**-ს, აბაზურში კი **რ** და **მ** თანაბარი სიხშირით რეალიზდება, C₂-ის პოზიციაზეც ორივე ენაში **რ** არათუ სონორებს, არამედ ყველა თანხმოვანს აღემატება.

აფხაზურსა და აბაზურშიც დეცესიური კომპლექსები საკმაოდ აღმატება აქცესიურს, კერძოდ, აფხაზურში დადასტურდა 155 დეცესიური და 98 აქცესიური კომპლექსი, აბაზურში კი – 145 დეცესიური და 78 აქცესიური კომპლექსი. აფხაზურში იდენტურფონემიანი 39 კომპლექსია, აბაზურში – 37.

გ. ახვლედიანის მიერ გამოყოფილი ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემა (ახვლედიანი 1949, 109) აფხაზურსა და აბაზურში მათი ფონოტაქტიკის გათვალისწინებით ასეთ სახეს იღებს:

აფხაზური	აბაზური
A	A
ბგ – –	ბგ – –
– – –	ბგ – –
– – –	– – –
– – –	დგ – ტა
– – წკ	– – წკ
– – –	ჯგ – –
– – –	– – ჭკ

როგორც ჩანს, A სისტემა აფხაზურში მხოლოდ ბგ და წკ კომპლექსებით არის წარმოდგენილი, აბაზურს კი ემატება ჯგ-ც. აბაზურში ზოგი კომპლექსი პალატალიზებული და ლაბიალიზებული კომპონენტით რეალიზდება: ბგ, დგ, ტა და ჭკ (ეს უკანასკნელი დეგლოტალიზებული ჩკ ვარიანტიდან არსებობს ენაში, რასაც შეიძლება კირილიცას გავლენამაც შეუწყო ხელი).

აფხაზური	აბაზური
B	B
ბღ ფხ პყ	ბღ ფხ პყ
ბღ ფხ –	ბღ ფხ –
– ფჰ –	ბჟ ფჰ –
ბჟ ფჰ –	ბჟ ფჰ –
– თხ –	– თხ –
– თხო –	– – –
– თჰო –	– თჰო –

- თპ -	- - -
დლ ცხ -	- ცხ -
- ცხ ^რ -	- -წყ
- ცხ ^ბ -	- - -
- ცპ -	ძმ ცპ -
- ცპ ^ბ -	- - -
- - ჭყ	- - ჭყ
- - -	- - ჭყ ^რ
- ჩხ ^ბ ჭყ ^ბ	- - -
- ჩპ -	- ჩპ -
- - -	- ჩპ ^ბ -
- - -	- ჩხ ^ბ -
- ჩხ ^ბ -	- - -
- ჩპ ^ბ -	- ჩპ ^ბ -

B სისტემა A სისტემაზე უკეთაა წარმოდგენილი აფხაზურსა და აბაზურშიც. ორივეს ავლია **დლ, ტყ, წყ, ჯლ** და **ჩხ**, აბაზურს – **დლ-ც**. ორივე ენაში კომპლექსები დასტურდება პალატალიზებული და ლაბიალიზებული კომპონენტებით: აფხაზურში გვხვდება ქართულისაგან განსხვავებული **ბლ, ბჟ, ფხ, ფპ, ფპ^ბ, თხ, თპ, თპ^ბ, თპ^ბ, ცხ, ცხ^ბ, ცპ, ცპ^ბ, ჩხ^ბ, ჩპ, ჩხ^ბ, ჩპ^ბ, ჭყ^ბ**, აბაზურში – **ბლ, ბმ, ბჟ, ფხ, ფპ, ფპ^ბ, თპ, ძმ, ცპ, წყ, ჩპ, ჩპ^ბ, ჩხ^ბ, ჩპ^ბ, ჭყ^რ**.

ორივე ენაში ვლინდება დეცესიურ-არაჰარმონიული კომპლექსებიც: აფხაზურში **ბპ, ჯპ**, აბაზურში **ბპ, თმ, ჩმ, ჩმ^ბ**.

გ. ახვლედიანს აღდგენილი აქვს B სისტემის სავარაუდო თავდაპირველი სახე (ახვლედიანი 1949, 306), რისი არსებობის ერთგვარი დასტური გამოდის აბაზურის ვითარება, რომელშიც ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც დღესაც შენარჩუნებულია დეცესიურ-ჰარმონიული **ფპ, თპ, ჩპ^ბ**. აბაზურს დაცული აქვს ჯ-ის შემცველი დეცესიურ-არაჰარმონიული **ბგ, ბჟ** კომპლექსებიც.

ქართველური ენებისთვის გ. მაჭავარიანის მიერ გამოყოფილი A და B სისტემის

ქვეკლასები (მაჭავარიანი 1965, 81) აფხაზურსა და აბაზურში ამ სახით ვლინდება:

აფხაზური	აბაზური
A	A
– სქ სკ	– სქ სკ
– შკ	– –
– შქ	– –

აფხაზური	აბაზური
B	B
– სხ	– –
– –	– სწ
ზჷ–	ზჷ –
– შხ	– შხ
– –	– შხო
– შჷ	– –
ჟიჷ –	ჟიჷ –
– შიხ	– –
– შიხო	– შიხო
– შიჷ	– –
– –	– შიჷჷ

ორივე ქვესისტემა ორივე ენაში ნაკლებია, თუმცა დამატებით აფხაზურის A ქვესისტემაში გვაქვს სქ, სკ და შქ, აბაზური კი ოდენ სქ და სკ-ს სახითაა წარმოდგენილი. B ქვესისტემაში აფხაზურში დამატებით რეალიზდება ზჷ, შჷ, ჟიჷ, შიხ, შიხო, შიჷ კომპლექსებიც, აბაზურში – სწ, ზჷ, შიხო, ჟიჷ, შიხო, შიჷჷ.

აფხაზურსა და აბაზურშიც მარკირებულია დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც შედგება ლაბიალური ხშულისა და სისინა, შიშინა ფრიკატივებისაგან. ასეთია აფხაზურში ბზ, ბჟ, ბჟო, ფს, ფშ, ფშო, ფშო, კშ, ხოლო აბაზურში – ბზ, ბჟ, ბჟო, ფს, ფშ, ფშო, ფშო. აფხაზურში არამარკირებულია ბს, პჟ, პს, აბაზურში – ამათთან ერთად

პშ-ც.

ჰარმონიულია არადეცესიური ყრუ ფრიკატივისა და დენტალური ხშულისაგან შემდგარი მიმდევრობებიც, რომელთაგან აფხაზურში რეალიზდება **სთ, შთ, შ-თ, შ-დ**, აბაზურში – **სთ, შტ, შ-თ, შ-თ**.

არამარკირებულია A და B სისტემისა და ქვესისტემის წევრთა შებრუნებული კომბინაციები, ამათ გარდა: A სისტემიდან აფხაზურში – **გდ, გძ**, აბაზურში – **გდ, ჯძ**; B სისტემიდან აფხაზურში – **ღბ, ხჩ**, აბაზურში – **ღბ, ხჩ**.

ქ. ლომთათიძის აზრით, შეუთავსებელია **ნპ, პნ, ბს, ფზ, მქ, ჟმ, მჟ...** (ლომთათიძე 1976, 241). ჩემი კვლევა აჩვენებს, რომ აფხაზურსა და აბაზურშიც **სონორები დაშვებულია როგორც ხშულის მომდევნო, ისე წინა პოზიციაში**, ხშულებზე იშვიათად, მაგრამ **სონორები რეალიზდება ფრიკატივთა მომდევნოდ და წინა პოზიციაშიც** (ცხადია, ყველა სონორს არ აქვს კომბინაციის შექმნის თანაბარი შესაძლებლობა. სრული სიის ნახვა შესაძლებელია დანართში – იხ. ცხრილები #36, 37). აქვე დავამატებ, რომ მე სონანტები განხილული მაქვს არა როგორც თანხმოვანკომპლექსთა, არამედ დიფთონგთა და ტრიფთონგთა შემადგენელ კომპონენტად. რაც შეეხება თანხმოვანთა შეთავსების დაშვება-აკრძალვას, ჩემი დაკვირვებით, ერთი მორფემის ფარგლებში აფხაზურსა და აბაზურში შეთავსებადია **ჰომოგენური თანხმოვნები მჟღერობა-სიყრუს მიხედვით: მჟერი+მჟღერი, ფშვინვიერი+ფშვინვიერი, მკვეთრი+მკვეთრი**. აკრძალულია ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმოვანთა შეერთება მჟღერობა-სიყრუს მიხედვით, ასევე ერთი და იმავე ლოკალური რიგის ხშულისა და ფრიკატივების შეთავსება – წარმოდგენილია **ჩჩ**, მაგრამ არაა **ჩშ**.

4.3.2. აფხაზურ-აბაზურ ძირეულ მორფემათა სამწევრა თანხმოვანკომპლექსები

აფხაზურსა და აბაზურში ყველაზე გავრცელებულია ორწევრა თანხმოვანკომპლექსები. ამაზე ყველა მკვლევარი თანხმდება, თუმცა დასტურდება სამ- და მეტწევრა კომპლექსებიც, არადა მკვლევართა უმეტესობა აფხაზურ-აბაზურისთვის არაბუნებრივად მიიჩნევდა ორზე მეტწევრა ბგერათკომპლექსებს.

ჩემს სტატიაში „აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები“ გაანალიზებულია სამწევრა თანხმოვანკომპლექსებიც. კვლევის მიხედვით, არაიდენტურფონემიან კომპლექსებში I და II წევრი ქმნის აღმავალ ღიაობას, II და III – დამავალს. ამასთანავე,

I და II სეგმენტი მეტად დამახასიათებელია აფხაზურ-აბაზურისთვის, ამიტომაც ასეთი კომპლექსები ადვილად შედის კომბინაციაში III კომპონენტთან. სტატიაში გაზიარებულია ვ. ჩირიქბას მოსაზრება სამწევრა კომპლექსების მიღებისა მორფემათა კომბინაციების ან ხმოვანთა ელიზიის შედეგად (Chirikba 1996, 86), ასევე კომპლექსში შემავალ თანხმოვანთა გაორმაგებითაც (ფონიავა 2013, 204-205).

ბ. კაკავას მიერ ძირისეულად განხილული სამწევრა კომპლექსების უდიდესი ნაწილი მორფემათა მიჯნაზე ან ნასესხებ ლექსიკაში: ფსწ, ფსჰ, ფსლ, ფშქ, ფშძ, ცსლ, ჩფნ, ქკრ, ქკნ, ქჰჰ, ხთყ, წფშ, წჩფ, წკკ, წსს, რბწ, რფს, რთლ, რთძ, რძგ, რწკ, რწჯ, რწლ, რცძ, რჭძ, რჯძ, რგლ, მტყ, მფწ, მთლ, მძლ, მსკ, ნსთ, ნთხ, ნგრ, ნწლ, ნჩლ, ნჯნ. ბრსკ კი ოთხწევრაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მექანიკურად სამწევრებში აქვს შეტანილი, ზოგი მათგანი – რკჯ, რსტ, ნძლ – კი საერთოდ არ რეალიზდება ენაში. ყოველ შემთხვევაში აფხაზური ენის ეროვნულ კორპუსსა და ლექსიკონებში არ იძებნება მსგავსი შედგენილობის კომპლექსები; ორწევრა კომპლექსების მსგავსად, სამწევრების შემთხვევაშიც მას სათანადო მაგალითები არ აქვს მოყვანილი, მხოლოდ კომპლექსების ჩამონათვალია მოცემული დანართის სახით (იხ. კაკავა 2012, 168-170, 171-174).

ჩემ მიერ მოპოვებული მასალის ანალიზისას გამოვლინდა ისეთი კომპლექსები, რომლებიც ბ. კაკავასთან არაა გამოყოფილი: ფშრ, ფშქ, ტსს, რფჰ, რცწ, მფშ, ნწკ, ნთწ.

ჩემს საანალიზო მასალაში აფხაზურში სამწევრა ბგერათკომპლექსები ვლინდება ყველა პოზიციაში, ინლაუტის გამოკლებით. გაუხმოვანებელი მხოლოდ ორი ძირია, CF_2S და SCF_2 სტრუქტურისა. ანლაუტში სამკომპონენტანი მიმდევრობები ასეთი ქვემოდელებით რეალიზდება: CF_1C (2), CF_1F_1 (4), CF_1S (2), CF_2C (1), CF_2S (1), SCC (1), SCF_2 (1), აუსლაუტში თითო ძირის შემცველია SCC და SCF_1 მოდელები, ხოლო ორი ძირით წარმოდგენილია SCF_2 . მათი საერთო რაოდენობა 18-ს შეადგენს, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა ანლაუტშია წარმოდგენილი.

აბაზურშიც, აფხაზურის მსგავსად, სამწევრა ბგერათკომპლექსები ყველა პოზიციაში რეალიზდება, ინლაუტის გარდა. სულ 15 ძირი გამოვლინდა, მათგან ერთი გაუხმოვანებელია, CF_2F_2 სტრუქტურისა. ანლაუტში სამწევრა კომპლექსები შემდეგი ქვემოდელებითაა დადასტურებული: CF_1C (4), CF_1F_1 (4), CF_2F_2 (2), CF_2C (1), CCF_2 (1), F_2F_1S (1), SF_1C (1), აუსლაუტში კი SCF_2 ქვემოდელის ოდენ ერთი ძირია.

აფხაზურსა და აბაზურში გამოვლენილი სამწევრა კომპლექსების პირველი-მეორე ან მეორე-მესამე წევრი ქმნის ამ ენათათვის მეტად ბუნებრივ, დეცესიურ მიმდევრობებს, როგორებიცაა: ფშ, ფშა, ფჰ, ცხ, ჭყ, თხ...; მესამე ან პირველ წევრად კი მეტწილად მოუდის სონორი, ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზურს.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ჩირიქბას მიხედვით, აფხაზურში მორფემის დონეზე თანხმოვანთა მაქსიმალური რაოდენობა იშვიათად არის ოთხი (Chirikba 1996, 76), ოთხწევრა თანხმოვანკომპლექსი ვერც მე დავადასტურე და ვერც ხ. კაკავამ.

ხ. კაკავა წერს, რომ აფხაზურ ენაში არ დასტურდება არცერთი შემთხვევა სამზე მეტთანხმოვნიანი კომპლექსების რეალიზებისა ერთი მორფემის ფარგლებში და ეს კიდევ ერთი საბუთია ქ. ლომთათიძის მიერ მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ნავარაუდები ძირთა და აფიქსთა ამოსავალი CV მოდელის არამცთუ ისტორიულად, არამედ ამჟამად არსებობისა. მისი აზრით, ეს მოდელი დღესაც ახდენს გავლენას ფუძეთა ფონემატურ სტრუქტურაზე და ხელს უშლის აფხაზურ ენაში თანხმოვანთა დიდი რაოდენობის თავმოყრას როგორც ძირებსა და აფიქსებში, ისე მორფემათა ზღვარზე (კაკავა 2012, 153). სრული სიმართლეა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანკომპლექსი სამწევრაა – იგივე შედეგი მომცა აფხაზურ-აბაზური მასალის ანალიზმა მეც. CV მოდელი ისტორიულადაც არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ ის არც ამოსავალში იყო ერთადერთი (იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავი) და არც ახლა (იხ. ცხრილები #17, 24), მით უმეტეს, მას ვერ მივაწერთ თანხმოვანთა შეჯრისთვის ხელის შეშლას.

4.4. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ხმოვანკომპლექსები

მორფემათა ზღვარზე ძირეული მორფემისეული ხმოვანი ხვდება აფიქსისეულ ხმოვანს, რაც იწვევს ხმოვანმიმდევრობის შექმნას.

წინამდებარე ქვეთავში გაანალიზდა საკუთრივ აფხაზურ-აბაზურ მასალაში გამოვლენილი ხმოვანმიმდევრობები. ამ მასალაზე ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ აფხაზურში რეალიზდება შემდეგი ხუთი ხმოვანმიმდევრობა, რაც ოთხით ნაკლებია ძირეულ მორფემაში დადასტურებულ ხმოვანკომპლექსებზე (ცხრილისთვის იხ. ცხრილი # 38):

აა: ანლა-აბლა იჟზეყოჟ „ღვიძლი ნათესავი“;

აი: ა-აკა „ბიბილო“;

აე: 4-ეპა „საწნახელი“;

აუ: ა-ჟს „საქმე“;

გა: ა-გგ-ად-ტ „გულ-სისხლძარღვთა“.

აბაზურის ძირეულ მორფემაში ხმოვანკომპლექსი არ დადასტურებულა, მაგრამ მორფემათა მიჯნაზე ოთხი ხმოვანმიმდევრობა გამოვლინდა (ცხრილისთვის იხ. ცხრილი # 39):

აა: ანა-სა-არა-სა „ასე და ისე“;

გა: ა-ძგ-ალბა „გემი“;

გი: ჯგ-ი-ჰ-რა „შემობრუნება“;

ია: ანა-სა-გი-არა-სა-გი „ასე თუ ისე“.

აფხაზურში, აბაზურისაგან განსხვავებით, ორი სამწევრა ხმოვანკომპლექსიც დადასტურდა:

ააა: ანასთხა-აასთხარა „მიწევ-მოწევა“;

იაა: ა-ბჟრ-აა „შუათანა და, ძმა“.

კვლევამ როგორც აჩვენა, ძირეული მორფემის მსგავსად, მორფემათა მიჯნაც არც ისე მდიდარია ხმოვანკომპლექსებით, პირიქით, აფხაზურში ხმოვანმიმდევრობათა მრავალფეროვნებით ზღვარზე მეტად ძირეული მორფემა ხასიათდება, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მიჯნაზე სამწევრა ხმოვანკომპლექსებიც გამოვლინდა. აბაზურში სამწევრა ხმოვანმიმდევრობა არ დადასტურდა, მაგრამ, ძირისაგან განსხვავებით, მორფემათა ზღვარზე რამდენიმე ხმოვანკომპლექსი გვხვდება.

4.5. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის დიფთონგები, ტრიფთონგები

მორფემათა ზღვარზე თავს იყრის ძირეული და აფიქსისეული ხმოვნები თუ სონანტები, რის შედეგადაც მიიღება დიფთონგები და ტრიფთონგები.

ძირეული მორფემის მსგავსად, მორფემათა ზღვარზეც გვხვდება აღმავალი და დამავალი დიფთონგები.

აფხაზურ მასალაში გამოვლინდა ათი აღმავალი დიფთონგი:

აა: ი-ყა-ღ-წა-პ „გააკეთებს“;

აჟ: ა-ჟაჟ „ადამიანი“;

გა: აბლა თგ-ღ-ხ-იტ „თვალი ამოსთხარა“;

გჷ: დგ-ჷ-ფგ-რგ-ჷ-გარ-ოჷპ „უნდა მოიშორო“;

ეე: ა-ფე-ფფ „შვილიშვილი (ვაჟი)“;

იი: დ-ი-ფტ „დაიბადა“;

ოო: ი-ჷ-მო-ჷპ „გაქვს, გყვანან ისინი“;

ოი: ს-ცო-ფტ „მივდივარ“;

ოჷ: სგ-ყო-ჷპ „ვარ“;

უუ: ი-მგა-დჷ-ჷ „ორსული“.

აფხაზურ აღმავალ დიფთონგთა ცხრილის ნახვა შესაძლებელია დანართში (იხ. ცხრილი #40).

აზაზურში მორფემათა ზღვარზე დადასტურდა ექვსი აღმავალი დიფთონგი, რომლებიც ცხრილის სახით მოცემულია დანართშიც (იხ. ცხრილი #41):

აი: ბ-ჰა-ფ „მოდი!“;

აჷ: დ-ან-ბა-ჷ-ბა „როდის ნახე შენ (კ.) ის (ად.)?“;

გი: დ-ლ-გრ-ცგ-ფტ „მას (კ.) მისთვის (ქ.) მიგაცემინე ის (ნ.)“;

გჷ: მგ-ჰნგ-ჷ-მ-გა-ზ „რაც შინ არ გისწავლია (რაც შიგნიდან არ გამოგოიტანია)“;

იჷ: მ-ბზი-ჷ „კეთილი“;

უჷ: მგ-მგა-დჷ-ჷ „ორსული“.

აფხაზური ენის მორფემათა მიჯნაზე რეალიზდა ექვსი დამავალი დიფთონგი:

აი: მ-ა-მო-ჷპ „აქვს“;

აი: ი-თმ-რ-ზ „გაყიდული“;

აე: არმ-ეფჷ „ამგვარი“;

აუ: ა-ჷს მ-ჷპ „იმუშავებს“;

აგ: ზ-თი-გზ „ვინც გაყიდა“;

აჷ: ჷ-ა-ბა-ყუ „სადა ხარ (კ.)?“.

აზაზურში მხოლოდ ორი დამავალი დიფთონგი გამოვლინდა:

აი: მ-ა-ცგ-ბზაზგ-ფტ „ისინი ერთად ცხოვრობენ“ (ეს მაგალითი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ერთ სიტყვაში თავს იყრის დამავალი და აღმავალი დიფთონგები);

აგ: გ-ა-ზ-მ-გ-მ-თგზ-ტ „(პასუხი) ვერ გასცა მან (ნ.) მას (კ.)“.

აფხაზურ და აზაზურ დამავალ დიფთონგთა ცხრილები წარმოდგენილია დანართის სახითაც (იხ. ცხრილები #42, 43).

აფხაზურში აღმავალ დიფთონგთა შექმნის თანაბარ შესაძლებლობას ავლენს **ღ** და **ჟ-ც**, აბაზურში კი ეს უკანასკნელი ორჯერ ჩამორჩება **ღ-ს**. ამ ტიპის დიფთონგებში აფხაზურში ყველა ხმოვანი მონაწილეობს (გარკვეული შეზღუდვა ეხება **ე-სა** და **უ-ს** – ოდენ **ღ-თან** ქმნის დიფთონგს), აბაზურში კი ორივე სონანტთან კომბინაციაში შედის მხოლოდ **ა** და **გ**, **ი** და **უ** ოდენ **ჟ-სთან** კომბინაციაში გვხვდება, **ე** და **ო** საერთოდ მოკლებულია დიფთონგის წარმოქმნის უნარს.

აფხაზურის დამავალ დიფთონგებში **ღ** მხოლოდ **ო-სთან** კომბინაციაში არ რეალიზდება, **ჟ** კი ოდენ **ა-ს** უერთდება. აბაზურში **ღ** მარტო **ა-სა** და **გ-სთან** ქმნის დამავალ დიფთონგს, **ჟ** კი – ვერცერთ ხმოვანთან.

აფხაზურ-აბაზური მორფემათა მიჯნა ხასიათდება **ტრიფთონგებითაც**. ისინი რაოდენობრივად აღემატება ძირეულ მორფემაში გამოვლენილ ტრიფთონგებს.

აფხაზურში დადასტურდა რვა ტრიფთონგი, მათგან ექვსში პირველი და მესამე ადგილი უკავია ხმოვანს, ორში კი – სონანტს:

აღა: **ა-ღრა** „საპალნე, ტვირთი“;

აღე : **კა-ღე-ჟ-იტ** „წააქცია (მან ის)“;

გაა: **ა-ძე-ღა-ს** „მდინარე“;

აჟა: **ა-ჟა-რა** „ნათესაობა“;

აჟუ: **ა-ჟჟ** „ალიაქოთი, აურზაური“;

იღა: **რ-ღა-ს-ზ-ო-ჟ** „წარსული“ (ეს მაგალითი ყურადღებას იქცევს მასში ტრიფთონგისა და დიფთონგის არსებობის გამოც);

აღეა: **ღ-ეა-ბა-ბო-ღტ** „ისინი ერთმანეთს ხედავენ“;

ჟეა: **ღ-აჟ-კ-ჟე-ღტ** „ვიჭერთ მათ“.

აფხაზურ ენაში მოიპოვება პარალელური ვარიანტები, რაც აჩვენებს სამწევრა ვოკალური ჯგუფის ხმოვანმიმდევრობად გარდაქმნას: აფხ. **ა-ეწა** < **ა-ღაწა** „ვარსკვლავი“.

აბაზურის მორფემათა მიჯნაზე გამოვლენილ ტრიფთონგთა რიცხვი 14-ს შეადგენს, რაც ექვსი ერთეულით სჭარბობს აფხაზურის მაჩვენებელს. მათგან 12 ერთეულში პირველ და მესამე კომპონენტად ხმოვანია, ხოლო ორში – სონანტი:

აღა: **ღარა-ღარა** „თვითონ“;

აღე: **ღ-ათა-ღეს-ბ-ტ** „კვლავ ესროლა მას“;

- ადი: დ-ჭა-მ-იტ „მოდის“;
- გა: შიგ-მაჭა „ვარსკვლავი“;
- იგ: ჟრ-მგ-რთა „სამჭედლო“;
- აჭა: დ-ან-ცა-ჭა „როცა მიდის“;
- აჭე: ა-ჭეს „საქმე“;
- გჭა: აფსგ-ჭა „აფხაზი“;
- გჭე: მ-ლ-გ-ჭ-გ-ს-რგ-თ-ტ „შენ (ად.) ის (ქ.) გაუშვი“;
- იჭა: ანსი-ჭაჯ „ყოველდამე“;
- ეჭა: ს-შა-ჭე-ჭა-ზ „გავლისას“;
- უჭე: ა-ც-ჟ-ჭ-ჭეჭი „ადამიანი (მოლიდინე)“;
- მგჭ: მგ-ჭ-ბა-მა „ის (ნ.) შენ (მ.) ნახე?“;
- ჭგმ: ჭგ-მ-ყგ-წ „მომორდი, გაეცალე!“.

სამწევრა ჯგუფების ორწევრად გარდაქმნის პროცესი აფხაზურის მასშტაბისა რომ არ არის აბაზურში, სწორედ ამით უნდა აიხსნას აბაზურ მასალაში გამოვლენილი ტრიფთონგების სიმრავლე.

აფხაზურში დადასტურდა თითო ოთხ- და ხუთწევრა ვოკალური ჯგუფი:

აჭეჭ: ალა-ჭეჭ-რა „ყმუილის ატეხა“;

ეჭეჭ: ს-ნეჭ-ჭე-მტ „მივდივარ“.

აბაზურში მხოლოდ ერთი ოთხწევრა ვოკალური ჯგუფი გვხვდება:

ადაჭ: ა-ბა-და-ჭ-ხა-რა „ხელახლა ერთმანეთის პოვნა, ნახვა“

ამრიგად, ძირეული მორფემის მსგავსად, აბაზური მორფემათა მიჯნაზე გამოვლენილი ტრიფთონგების რაოდენობითაც აღემატება აფხაზურს, რაც აბაზურში ამოსავალი ვითარების დაცვით, აფხაზურში კი სამწევრა ვოკალური ჯგუფების ორწევრად გარდაქმნით უნდა აიხსნას.

4.6. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის თანხმოვანკომპლექსები

მორფემათა ზღვარზე ძირეული მორფემის თანხმოვანი თუ თანხმოვანთა მიმდევრობა რთულდება აფიქსისეული თანხმოვნებით და წარმოიქმნება ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთკომპონენტური თანხმოვანკომპლექსები, რომლებიც შედგენილობით არცთუ იშვიათად ემთხვევა ძირეული მორფემის მიმდევრობებს, მაგრამ, ამ

უკანასკნელის კომპლექსებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა შეერთების მეტი თავისუფლებით, შესაბამისად, აღემატება მათ რაოდენობრივადაც.

4.6.1. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ორწევრა თანხმოვანკომპლექსები

მორფემათა მიჯნის შემთხვევაში თანხმოვანკომპლექსებს არ ვყოფ პოზიციების მიხედვით და ერთიანად ვაანალიზებ, რადგან აფხაზურში ისინი ყოველთვის ინლაუტში რეალიზდებიან, აბაზურის ცალკეულ შემთხვევებში ა- პრეფიქსის უქონლობის გამო ისინი ანლაუტის პოზიციაშიც დასტურდება.

აფხაზური მორფემათა მიჯნის თანხმოვანკომპლექსები ყველაზე სრულად აღწერილი ჰქონდა ხ. კაკავას, თუმცა, როგორც 4.3 ქვეთავში აღინიშნა, მისი ნაშრომის ძირითად ნაწილში არაა გამოყოფილი ძირეული და მორფემათა მიჯნის კომპლექსები, არც საკუთარი და ნასესხები ლექსიკა, მხოლოდ დანართშია წარმოდგენილი ძირეულ და მორფემათა მიჯნის კომპლექსთა სია, სათანადო მაგალითების გარეშე (კაკავა 2012, 166-174).

აფხაზურში ორწევრა თანხმოვანკომპლექსები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული 16 ქვემოდელით. ყოველ ქვემოდელს ფრჩხილებში უწერია რაოდენობა და თითო მაგალითი. კომპლექსთა სრული სია მაგალითებითურთ მოცემულია დანართში (იხ. ილუსტრაცია #3):

- CC (147): ქტ: ა-ქ-ტა-რა „დაჯდომა (რამეზე)“;
- CF₁ (40): დჟ: ა-კ-დ-ჟა-რა „აგლეჯა“;
- CF₂ (56): ფხ: ა-ხფ-ხფ-რა „ჩორთით სიარული“;
- CS (62): თრ: ა-თ-რს 1. „გომური, ბოსელი“. 2. „ბუდე“;
- FiC (69): ვგ: ა-ვ-გა-რა „რადაცის გვერდზე ჩატარება“;
- FiF₁ (5): ჟშ: ა-ჟ-შაყა „ბეჭი“;
- FiF₂ (19): ზხ: ა-ზ-ხაჯ-რა „ფიქრი“;
- FiS (19): შრ: ა-შ-რს „კვლა“;
- F₂C (53): ლტ: ა-ლ-ტა „ფიცრული“;
- F₂F₁ (13): ნჟ: ა-ნ-ჟა-რს „მოწყვეტა“;
- F₂F₂ (17): ხჟ: ა-რ-ხ-ჟა „თხუთმეტი (ად. კ.)“;
- F₂S (16): ჰრ: ა-ჰ-რს „ძოვა“;

SC (86): ლპ: ა-ღ-აღ-პალ „ხმაური“;

SF₁ (20): მჟ: ა-მ-ჟა-რა „წართმევა“;

SF₂ (24): რპ: ა-რ-პი „დახვეული“;

SS (8): ნლ: ჩი-ნ-ლა „დღისით“.

აფხაზურში 654 კომპლექსი გამოვლინდა. ამათგან **CC**, **F₂F₂** და **SS** შეიცავს იდენტურფონემიან მიმდევრობებს, კერძოდ, **CC** სამ ერთეულს, **F₂F₂** ქვემოდელი ოთხ და **SS** ოდენ ერთ კომპლექსს:

CC: ტტ: ა-ჟი-ტ-ტი „უძველესი“;

ძძ: ა-დუ-ძ-ძა „ძალიან დიდი“;

კკ: ა-ცი-კ-კე „თავხედი, ცელქი“;

F₂F₂: ხხ: ა-თახ-ხა-რა „მონდომება“;

წწ: ა-ნახ-წ-წი „იქ (შორს)“;

ჰჰ: კნა-ჰ-ჰა-პ „ჩამოვკიდებთ“;

ჭჭ: ა-ჭი-ჭი „მორბენალი“;

SS: რრ: ა-ბარ-რა 1. „მშრალი ადგილი, მიწის მშრალი ნაკვეთი“. 2. „ხმელეთი“.

აბაზურში 483 კომპლექსი დადასტურდა ქვემოთ წარმოდგენილი 16 ქვემოდე-
ლის სახით. თითოეულ ქვემოდეულს მიწერილი აქვს რაოდენობა და მაგალითი,
სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში (იხ. ილუსტრაცია #4):

CC (140): ბჟ: აბ-ჟა 1. „მამამთილი“. 2. „სიმამრი“;

CF₁ (22): ჯს: აჯ-სი „მუხნარი“;

CF₂ (41): პხ: აპ-ხი „ფრჩხილი“;

CS (41): ცმ: აცი-მი „პაწაწინა“;

F₁C (44): ზკ: აკ-ზი „ბრჭყვიალა“;

F₁F₁ (6): ჟშ: აჟ-ში „900 (ნ. კ.)“;

F₁F₂ (21): სხ: ას-ხა-რა „დამსუბუქება“;

F₁S (16): ზნ: აზ-ნი „ერთხელ“;

F₂C (27): ჰბ: აპ-ბი „უფროსი“;

F₂F₁ (1): ჟჟ: აჟ-ჟი-გა „გამაღიზიანებელი“;

F₂F₂ (12): ხჟ: აპ-ჟი „მკერავი“;

F₂S (8): ჰრ: ჰ-რა „ძოვა“;

SC (65): რჰ: ა-ლა-რ-ჰჰა „გატეხილი“;

SF₁ (12): ნშ: ან-შა „ბიძა (დედის ძმა)“;

SF₂ (16): ლჰ: ა-ლ-ჰა-რა 1. „ამოღება“. 2. „გადატანა“;

SS (11): მლ: ჟა-მ-ლაგ „უცხიმო“.

აბაზურში რეალიზებული 483 კომპლექსიდან იდენტურფონემიანი აღმოჩნდა **CC** ქვემოდელის სამი, ხოლო **F₁F₁**, **F₂F₂** და **SS** ქვემოდელების – თითო კომპლექსი:

CC: დდ: ჰა-დ-და-ლ-რა „მიყვანა“;

ძძ: ბზგჲ-ძ-ძა „უკარგესი“;

ცც: დ-ლგ-ც-ცა-ტ „ის (ად.) მასთან (ქ.) ერთად წავიდა“;

F₁F₁: ზზ: ზ-ზა-კ-რა „სცემო ვიღაცისთვის (ვიღაცის გამო)“;

F₂F₂: ჰჰ: ჰ-ჰგ „მორბენალი“;

SS: რრ: არ-რა „არმია“; დგრ-რა-და „გაუნათლებელი“.

ორივე ენაში ძირეულ მორფემაზე მეტი კომპლექსი გამოვლინდა მორფემათა მიჯნაზე, მაგრამ მოსალოდნელი კომპლექსების მაინც ძალიან მცირე ნაწილი დასტურდება.

ორივე ენაში გავრცელების თვალსაზრისით გამოირჩევა შემდეგი ქვემოდელის კომპლექსები: აფხაზურში **CC** (147), **SC** (86), **F₁C** (69), **CS** (62) და **CF₂** (56), აბაზურში **CC** (140), **SC** (65), **F₁C** (44), **CS** (41) და **CF₂** (41). ძირეული მორფემის კომპლექსების მსგავსად, აფხაზურსა და აბაზურშიც მორფემათა მიჯნის კომპლექსებშიც ხშულების კომბინაცია აღემატება სხვებისას.

აფხაზურის ორწევრა კომპლექსებში **C₁**-ის პოზიციაზე ყველაზე ხშირია ხშულე-ბი (**C** 305), მათ მოსდევს ფრიკატივები (**F** 211) და სონორები (**S** 138); მეორე წევრად გამოვლენის თვალსაზრისითაც მათი თანმიმდევრობა პირველის ანალოგიურია (**C** 355, **F** 194, **S** 105).

აბაზურის ორწევრა კომპლექსებში პირველ კომპონენტად ყველაზე გავრცელებულია ხშულები (**C** 244), აფხაზურის მსგავსად, მათ მოსდევს ფრიკატივები (**F** 135) და სონორები (**S** 104), **C₂**-ის პოზიციაზეც თანმიმდევრობა უცვლელია (**C** 276, **F** 131, **S** 76).

აფხაზურსა და აბაზურში ზოგი ფონემა საერთოდ არ მონაწილეობს კომპლექ-

სებში. აფხაზურში C₁-ის პოზიციაზე არ გვხვდება ძ და კ ხშულები, მაგრამ რეალიზდება ყველა ფრიკატივი და სონორი; C₂-ის პოზიციაზე ხშულებიდან არაა ოდენ ლ, მაგრამ დასტურდება უკლებლივ ყველა ფრიკატივი და სონორი. აბაზურში C₁-ის პოზიციაზე არ ვლინდება ჯ, კ, ყ, ე ხშულები, ფრიკატივებიდან – ვ, მაგრამ გვხვდება ყველა სონორი, C₂-ის პოზიციაზე აბაზურს აკლია ჯ, ჯ ხშულები და ვ, ჭ, ჟ ფრიკატივები, მაგრამ წარმოდგენილია ყველა სონორი. ამრიგად, აფხაზურში მორფემათა მიჯნის კომპლექსებში ყველა ფონემა მონაწილეობს, აბაზურის ორწევრა კომპლექსების შექმნაში არაა ჩართული ოდენ ვ.

ძირეული კომპლექსების მსგავსად, მორფემათა მიჯნისთვისაც შედგენილია აფხაზურისა და აბაზურის ორწევრა კომპლექსებში შემავალ კომპონენტთა კომბინაციების ცხრილები. თანხმოდანთა სიმრავლის გამო ამ შემთხვევაშიც გაჭირდა მათი თითო ცხრილად მომზადება, ამიტომ თითოეული ენისთვის წარმოდგენილია ოთხ-ოთხი ცხრილი: ხშულთა, ხშულთა და ფრიკატივთა/სონორთა, ფრიკატივთა/სონორთა და ხშულთა, ფრიკატივთა/სონორთა კომბინაციების ცხრილები (იხ. ცხრილები #44, 45).

აფხაზური ენის მორფემათა მიჯნის კომპლექსებში C₁-ის პოზიციაზე თანხმოდანთა დისტრიბუცია ასეთია: რ (51), მ (36), ხ (30), ლ (26), დ, ზ, ნ (25), თ, ს (24), ც (21), წ, გ (19), ქ (18), ფ, ძ, ჩ (17), ზ (16), ჟ (15), ც, წ, ხ (14), ბ, შ (13), ყ (12), პ (11), ჭ, ლ (10), ჯ (9), ჩ, კ, შ (8), შ (7), ტ, გ, ლ (6), ჭ, წ (5), ლ, ტ, ყ, ყ, ჰ (4), ჯ, ქ, კ, ყ, ვ, ჟ, ლ (3), თ, გ, ჭ, პ (2), ქ (1), C₂-ის პოზიციაზე კი – ასეთი: რ (49), ხ (29), ჰ (23), კ, ყ (22), ლ, ნ (20), გ (19), ბ, ძ (18), თ, ც, შ, ხ, ჰ (17), გ, მ (16), ფ, ტ, კ (15), დ, წ, ჟ (14), ც, წ, ჭ (13), ყ, შ, პ (12), შ (11), გ, ს, წ (9), თ, ქ (8), კ (7), ტ, ჩ, ზ (6), პ, ჩ, ყ, ლ (5), ჯ, ქ, ლ (4), ჭ, ქ, ყ, ჟ, ლ (3), ძ, ჯ, ვ, ჭ (2), ლ (1) (იხ. ცხრილი #44).

აბაზურ ენაში მორფემათა ზღვარზე C₁-ის პოზიციაზე თანხმოდანთა სიხშირული განაწილება ასეთია: რ (43), ქ (26), გ, ზ, ნ (25), მ (24), ც (22), ჯ (21), დ (19), ზ (17), ძ, ს, ჟ, ლ (13), წ, ჩ (12), ფ, ჩ (11), ყ (10), თ (9), კ (7), ხ, ლ (6), პ, ჭ, ჭ, კ, ყ, შ, შ, შ, ჟ, ხ (5), ჯ, ჭ, ყ, ჰ, ჰ (4), ბ, ჩ, გ, წ, შ (3), ტ, ქ, ლ (2), ჯ, გ, ვ, დ, პ (1), C₂-ის პოზიციაზე კი – ამგვარი: რ (47), ხ (22), ჰ (20), გ, შ (19), ბ, ჭ, ყ (18), თ, ც (16), დ, კ (15), ჯ (14), ფ (13), წ, ჟ, მ (12), გ, შ, ჰ (10), ჭ, ლ, ნ (9), ტ (8), ჩ, გ, ს, პ (7), ძ, ჩ, კ (6), ჭ, ჩ, ც, ზ (5), პ, ჰ, შ, ლ (4), კ, ქ, ყ, ყ, ლ,

ს (3), ჯ, ზ, ქ, ქ, შ (2), ჟ, ლ (1) (იხ. ცხრილი #45).

ძირეული მორფემის კომპლექსების მსგავსად, აფხაზურსა და აბაზურში მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი დეცესიური კომპლექსები სჭარბობს აქცესიურს: აფხაზურში გვაქვს 414 დეცესიური და 230 აქცესიური კომპლექსი, აბაზურში კი – 270 დეცესიური და 207 აქცესიური კომპლექსი.

გ. ახვლედიანის ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემა (ახვლედიანი 1949, 109) აფხაზურისა და აბაზურის ფონოტაქტიკის გათვალისწინებით მორფემათა მიჯნაზე ასეთი შედგენილობით გვხვდება:

აფხაზური	აბაზური
A	A
- - ჰკ	- - -
დგ - ტკ	დგ - -
დგ - ტკ	- - -
- თქ -	დგ - -
ძგ - -	ძგ ცქ წკ
- - წკ	ძგ - -
- ცქ -	- ცქ -
- ჩქ ჰკ	- - ჰკ
ჯგ - -	- - -
- - -	- ჩქ -
- - ჰკ	- - -

ძირეული მორფემისაგან განსხვავებით, მორფემათა მიჯნის A სისტემა აფხაზურსა და აბაზურშიც უკეთაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ორივე ენაში კომპლექსთა ნაწილი პალატალიზებული და ლაბიალიზებული კომპონენტებით რეალიზდება: დგ, თქ, ჰკ, ჩქ...

აფხაზური	აბაზური
B	B
- ფხ პყ	- - -
- - პყ	- - პყ

- ფჰ -	- - -
ბჰ - -	- - -
- თხ -	- თხ -
- - ტყ	ღღ - ტყ
- თხო -	- თხო -
- - -	ღჟ თჰ -
- თჰ -	- - -
- თაჰ -	- - -
- ცხ წყ	- ცხ -
ძღ ცწ წყ	- - წყ
- - -	ძჟ - -
- ცჰ -	ძჟ - -
- ჩხ -	- - -
- - -	ძჟ - -
- - -	- - ჭყ
- - -	- ჩხ -
- ჩხ -	- - -
- ჩხ ჭყ	- - -
- ჩხო ჭყ	- - -

ძირეული მორფემის მსგავსად, მორფემათა ზღვარზეც B სისტემა A სისტემაზე უკეთაა რეალიზებული აფხაზურსა და აბაზურში. ორივე ენაში კომპლექსები ვლინდება პალატალიზებული და ლაბიალიზებული კომპონენტებითაც.

მორფემათა მიჯნაზე, ძირეული მორფემის მსგავსად, გ. მაჭავარიანის მიერ ქართველური ენებისთვის გამოყოფილი A და B სისტემის ქვეკლასები (მაჭავარიანი 1965, 81) ორივე ენაში ამ შემადგენლობით დასტურდება:

აფხაზური	აბაზური
A	A
ზგ სკ	ზგ -
ზგ სქ სკ	- -

ზგ° სკ°	ზგ° –
– –	ჟბ –
ჟგ შქ	ჟგ –
– –	ჟგ° –
აფხაზური	აბაზური
B	B
ზღ –	– სხ
– სხ°	– –
– –	ზჟ –
– სჰ°	ზჰ –
– –	– შხ
– შხ°	– –
– შჰ	ჟჟ –
– –	ჟჰ –
– შხ	– –
– –	ჟჰ° –
– შხ	– –
– შხ°	– –
– შჰ	ჟჟ შჰ

აფხაზურსა და აბაზურში ორივე ქვესისტემა ნაკლულია, თუმცა ორივეგან რეალიზდება ქართველური ენებისგან განსხვავებული კომპლექსები: სხ°, ჟჟ, შჰ, ჟჰ°...

აფხაზურის მორფემათა მიჯნაზეც მარკირებულია ლაბიალური ხშულისა და სინა, შიშინა ფრიკატივებისაგან შედგენილი დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსები: **ბზ, ფს, ფშ°, პს, პშ°, ხოლო არამარკირებულია ბს, ბჟ, ბჟ°, ფშ, ფშ°, პჟ, პშ.** ამგვარი კომპლექსებიდან ჩემს საანალიზო აბაზურ მასალაში გამოვლენილია მხოლოდ **ფჟ.**

მორფემათა ზღვარზეც რეალიზდება ჰარმონიული არადეცესიური ყრუ ფრიკატივისა და დენტალური ხშულისაგან შემდგარი კომპლექსებიც. მათგან აფხაზურში

გვხვდება **სდ, სთ, შდ, შთ, შოთ**, აბაზურში – **სდ, სთ, სტ, შდ, შტ**.

როგორც მოსალოდნელი იყო, რაოდენობრივად მორფემათა მიჯნაზე ძირეულ მორფემაზე მეტი კომპლექსი გამოვლინდა – მიჯნისეული კომპლექსები აფხაზურში ორჯერ აღემატება ძირეულისას (654 და 309), აბაზურში – თითქმის ორჯერ (483 და 263).

ორივე ენაში მიჯნაზე დასტურდება ისეთი მიმდევრობები, რომლებიც დამახასიათებელია ძირეული მორფემისთვისაც (**ზზ, ფფ, თთ**), ასევე ერთი მორფემის ფარგლებში დაუშვებელი ბგერათშეერთებანიც: **დგ, ძგ, ჭკ, ტყ, ზგ...** არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კომპლექსი ძირეული მორფემის ფარგლებში რეალიზდება, მაგრამ მიჯნაზე არაა წარმოდგენილი: **ზგ, ბღ, პყ...**

ძირეული მორფემის კომპლექსებისთვის დამახასიათებელი აკრძალვა – **ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუს მიხედვით შეერთების** – მორფემათა მიჯნაზე ირღვევა: აფხაზურში დასტურდება **თტ, ძძ, ცწ, ჩჩ...**, აბაზურში – **ფფ, თთ, ცწ, ჩჩ...** იგივე ითქმის **ერთი და იმავე ლოკალური რიგის ხშულისა და ფრიკატივების შეერთებაზე** – აფხაზურში გვხვდება **ძს, ჯშ**, აბაზურში – **ჩშ, ჩშ**.

4.6.2. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის სამწევრა თანხმოვანკომპლექსები

აფხაზურსა და აბაზურში მორფემათა მიჯნაზე სამწევრა თანხმოვანკომპლექსები ბევრად აღემატება ერთი მორფემის ფარგლებში დადასტურებულ სამწევრა მიმდევრობებს.

ბ. კაკავას მორფემათა მიჯნის სამწევრა თანხმოვანკომპლექსების ჩამონათვალი მოცემული აქვს დანართში (კაკავა 2012, 171-173).

ჩემს საანალიზო მასალაში მორფემათა ზღვარზე აფხაზურში სამწევრა ბგერათკომპლექსები ვლინდება შემდეგი ქვემოდელებითა და რაოდენობით:

CCC (9): **ფჩჩ**: ა-ფ-ჩჩ-რს „გატეხა, დამსხვრევა“;

CCF₁ (14): **ბფს**: აბ-ფსა „მამინაცვალი“;

CCF₂ (8): **ფჩხ**: ა-ფჩხ-ბს „ნატეხი, ნამსხვრევი“;

CCS (42): **ფფრ**: ა-ხგ-ფფ-რს „აქერცვლა“;

CF₁C (25): **ბზდ**: ა-ბზ-დუ „ტრაბახა, მკვებარა“;

- CF₁F₁ (9): ქშშპ: ა-ქ-შშპა-რა „სუნის ასვლა“;
- CF₁F₂ (15): ფსხ: ა-ფს-ხგ-ხ-რა „სულის ამოხდა“;
- CF₁S (18): ფსნ: ა-ფს-ნგ „აფხაზეთი“;
- CF₂C (6): ზნძ: აზ-ზძ „მამის სახელი“;
- CF₂F₂ (6): ქპპპ: ა-ქ-პპპა-რა „ვინმესთვის შეყვირება“;
- CF₂S (7): დხრ: ა-დ-ხ-რა „გამოწევა (რაცის)“;
- CSC (2): ცმწ: ა-ც-მწ „კრაზანა“;
- CSF₂ (3): ცმჰ: ა-ჰგ-მჰა „ახალი გზა“;
- F₁CC (10): სწყ: უბგს-წყა „სწორედ ისე“;
- F₁CF₁ (3): სფშ: ა-ქს-ფშა „წმინდა საქმე“;
- F₁CF₂ (3): ჟფჰ: ა-ჟ-ფჰა „სიბერის ქალიშვილი, ნაბოლარა“;
- F₁CS (12): ჟკრ: ა-ჟ-კ-რა „გასუქება“;
- F₁F₁C (1): ჟშთ: ა-ჟ-შ-თ-რა „ნახვს „ამერიიდან““;
- F₁F₁F₂ (1): ჟზჰ: ა-ჟ-ზ-ჰა „ჯილეხი, ხუზარა“;
- F₁F₁S (6): შშრ: ა-შ-შ-რა „სტვენა“;
- F₁F₂C (2): შხჩ: ა-შ-ხ-ჩა „მეკარე“;
- F₁F₂F₂ (1): ზპპპ: ა-ზ-პ-პპა-რა „შექუჩება (რაცის)“;
- F₁F₂S (4): ვხრ: ა-ვ-ხ-რა „გვერდიდან ამოღება“;
- F₁SC (1): შრწ: ა-ვგ-შ-რ-წგ „დამწნილებული ნიორი“;
- F₁SF₂ (5): ჟრჰ: ა-ჟ-რ-ჰ-ა „ქიშმიში“;
- F₂CC (4): ხფჩ: ა-ხ-ფ-ჩგ-გა „თავსატეხი“;
- F₂CF₁ (5): ჰბზ: ა-ჰ-ბ-ზგ „ორპირი“;
- F₂CF₂ (3): ხფჰ: ა-ხ-ფ-ჰა 1. „გაზრდილი“. 2. „ნათლია“;
- F₂CS (12): ჰტრ: ა-ხ-პ-ტ-რა „გაქვავება“;
- F₂F₁C (7): ხშკ: ა-ლან-შ-კა-კა „ბედნიერი“;
- F₂F₁S (4): ხშრ: ა-ხ-შ-რა „წასმა“;
- F₂F₂F₁ (1): ჰხჟ: ა-ჟა-ჰ-ხ-ჟა „უკმეხი ადამიანი“;
- F₂F₂F₂ (1): ხპპპ: ა-ხ-პ-პპა-რა „რაცის ზედაპირიდან მიხვეტა“;

F₂F₂S (3): ღღრ: ა-ღღ-რს „ღრენა“;

F₂SC (3): ზნც: ა-ზნ-ცა-რს „შენობიდან გამოდევნა“;

F₂SF₂ (1): ღღზ: ა-ღღ-ზა „ხშირი კვამლი“;

F₂SS (1): ზრრ: ა-თგ-ზრ-რს „გადმოვარდნა“;

SCC (37): რბგ: ა-რ-ბგა-რს „დანგრევა“;

SCF₁ (15): ნფს: ან-ფსა „დედინაცვალი“;

SCF₂ (23): რფხ: ა-გა-რ-ფხა-რს „პირმოთნეობა, მლიქნელობა, პირფერობა, მასმებლობა“;

SCS (42): რთრ: ა-რ-თ-რს „გავსება“;

SF₁C (10): მშგ: ა-მშ-გა-რა „უსაქმურობა“;

SF₁F₁ (5): რშშ: ა-ხგ-რ-შშა-რს „ჩამოგდება“;

SF₁F₂ (5): მშზ: ა-მშ-ზგ-ნ-ზაჟა (ძვ.) „ორმოცი (დღე)“;

SF₁S (14): რჟრ: ა-რ-ჟ-რა „დაღვივება“;

SF₂C (5): ლხგ: ა-გგ-ლ-ხ-გა „კურკის გამოსაცლელი ხელსაწყო“;

SF₂F₁ (2): მხშ: ა-მ-ხშა-ტ „არგასაჩენი“;

SF₂F₂ (10): რზზ: ა-რ-ზზა-რა „ვინმეს აყვირება“;

SF₂S (12): რზრ: ა-რ-ზ-რს „მარცვა“;

SSC (2): რმწ: ა-ყარმ-წგს „ბუღბუღი“.

აფხაზურში სამწევრა თანხმომავანკომპლექსები 50 ქვემოდელშია გადანაწილებული. მათი ჯამი 440-ს შეადგენს. კომპლექსები სრულად მაგალითებითურთ წარმოდგენილია დანართში (იხ. ილუსტრაცია #3).

აბაზურშიც სამწევრა კომპლექსები შემდეგი ქვემოდელებითა და რაოდენობითაა დადასტურებული:

CCC (21): ფჩჩ: ფ-ჩჩგ „ნატეხი, ნამსხვრევი“;

CCF₁ (12): გქშ: გ-ქშა-რა „გულისცემა“;

CCF₂ (18): ბბზ: ბბ-ზგ „მარქენალი“;

CCS (35): ფჯრ: ფ-ჯ-რა „დაჭრა, დაჩეხა“;

CF₁C (7): ფსზ: ფს-ზგ „ქელები“;

CF₁F₁ (3): ჯოსს: ჯავს-სსა „ხრეში“;

- CF₁F₂ (7): ფშხ: შა-ყაფშ-ხა-რა 1. „გაწითლება“. 2. „გახურება“;
- CF₁S (13): ქშრ: ა-ქ-შ-რა 1. „მოკვლა“. 2. „მიღება“;
- CF₂C (3): ფხძ: ფხ-ძღ „ოფლი; შრომა“;
- CF₂F₁ (1): ფწჟ: ფწ-ჟა-რა „მოტეხა“;
- CF₂F₂ (4): დჰჰ: ა-დ-ჰჰა-რა „გაქექვა, გადაქექვა“;
- CF₂S (6): ბლრ: ბლ-რა „ფხანა, მოფხანა“;
- CSC (1): ქრგ: შა-ქ-რ-გგ-ლ-რა „შექმნა“;
- CSS (1): ქლრ: შა-ჯგქ-ლ-რა 1. „გამგზავრება“. 2. „გახსნა, გაშლა“;
- F₁CC (6): ზცც: ა-ზ-ცცა-რა „გაგდება, ჩაგდება რალაციდან“;
- F₁CF₁ (3): ზბზ: ა-ზა-ზ-ბზი-ზლა-რა „კარგი ურთიერთობის ქონა ერთმანეთთან“;
- F₁CF₂ (4): ზწზ: ა-ზ-წზა-რა „შეკითხვა“;
- F₁CS (9): შტლ: ა-ძვა-შტ-ლა-ზლა-რა „ვილაცასთან ერთად წოლა“;
- F₁F₁C (1): ზშთ: ა-ჟიზ-შთა-რა „იმ ხანიდან“;
- F₁F₁F₂ (2): შიში: გარა-შიში-ჰღ „ლობის დამწნავი“;
- F₁F₁S (12): ზზრ: ზზ-რა „ბლავილი, ყმუილი“;
- F₁F₂C (2): ზხწ: ხგზ-ხწაშა „საჩუქარი“;
- F₁F₂F₂ (2): ზჰჰ: ა-ზ-ჰჰა-რა 1. „მოხვეტა შენკენ“. 2. „დაგროვება“;
- F₁SF₂ (1): ზრშ: დ-ჰლა-ზ-რშა-ტ „ის ჩვენ შორის იყოს!“;
- F₂CC (1): ჰკგ: მგშ-კ-გა-რა 1. „სწორ გზას აცდენა“. 2. „გაფუჭება“;
- F₂CF₁ (2): ჰბზ: ჰ-ბზი „კეთილი“;
- F₂CF₂ (1): ჰწზ: კგშ-წზღ „ლოგინი“;
- F₂CS (6): ხქრ: ხ-ქ-რა „დაფშენა, დამსხვრევა“;
- F₂F₁C (1): ხში: ა-ხში-ჩა-ზლა-რა „დობა“;
- F₂F₁F₁ (2): ჰის: ა-ჰის-სა „ქალები“;
- F₂F₁F₂ (1): შში: აშ-ში-ჰღ „რეაასი (ად.)“;
- F₂F₁S (8): ხშრ: ა-ხ-შ-რა „რალაცის ხახუნი“;
- F₂F₂S (3): ლლრ: ლლ-რა „ღრენა“;
- F₂SF₂ (1): ლმჰ: დალ-მჰჰგ „თავკომბალა“;
- SCC (22): ნყც: ა-ლა-ნყ-ცა-რა „გარეკვა“;

- SCF₁ (10): ნფს: ან-ფს „დედინაცვალი“;
- SCF₂ (20): მცპ: მც-პა „მატყუარა“;
- SCS (20): ნვრ: ა-ლა-ნვ-რა 1. „მიკუთვნება“. 2. „ჩარიცხვა“;
- SF₁C (6): რსთ: გგრ-ს-თა „ლამბი“;
- SF₁F₁ (4): რზზ: ხა-რ-ზზ-რა „ტრიალი“;
- SF₁F₂ (4): ლჭჭ: ბგლ-ჭჭ „დამწვრის სუნი“;
- SF₁S (6): რშრ: ა-ლა-რ-შ-რა „ადუღება“;
- SF₂C (4): მჭყ: მჭ-ყგ-წ-რა „გზიდან გადახვევა“;
- SF₂F₁ (2): ნხშ: ან-ხშა „დეიდა“;
- SF₂F₂ (3): რღღ: ა-ქგ-რ-ღღ-რა 1. „ზედ მიჭერა“. 2. „მიხრახნა“;
- SF₂S (6): ნჭრ: ჟა-გგ-ნ-ჭ-რა „გაგება“.

აბაზურის 308 სამწევრა თანხმოვანკომპლექსი 46 ქვემოდელადაა წარმოდგენილი. კომპლექსების ჩამონათვალი მაგალითებითურთ არის დანართში (იხ. ილუსტრაცია #4).

აფხაზურ ენაში მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა თანხმოვანკომპლექსები 24-ჯერ აღემატება ერთი მორფემის ფარგლებში რეალიზებულ კომპლექსებს (ძირში დადასტურდა 17, მიჯნაზე – 440), აბაზურში – კი 20-ჯერ (ძირში გამოვლინდა 15, მიჯნაზე – 308).

ძირეული მორფემის სამწევრა კომპლექსების მსგავსად, ზღვარზე დადასტურებული ბგერათმომდევრობების პირველი-მეორე ან მეორე-მესამე წევრი ქმნის ამ ენათათვის დამახასიათებელ დეცესიურ კომბინაციებს: ბჟ (აფხ., აბაზ. ბჟბ), ფშ (აფხ., აბაზ. ფშბ)... ძირის მსგავსად, მიჯნაზეც სამწევრა კომპლექსებს მესამე (აფხ., აბაზ. დდრ, პპრ...) ან პირველ წევრად (აფხ., აბაზ. რფს, ნფშ...) მეტწილად აქვთ სონორი, თუმცა არის ამ წესების დარღვევის შემთხვევებიც: აფხ. ბხთ, ფცჟ, ძკჭ, აბაზ. ფხძ, ქჩფ, გჟყ...

4.6.3. აფხაზურ-აბაზურ მორფემათა მიჯნის ოთხ- და მეტწევრა თანხმოვანკომპლექსები

აფხაზურსა და აბაზურში ორ- და სამწევრა თანხმოვანკომპლექსების ოდენობით არა, მაგრამ მაინც დასტურდება ოთხ- და მეტწევრა მიმდევრობები.

აფხაზურში ოთხწევრა კომპლექსები რეალიზდება 43 ქვემოდელოთ: **CCCS** (2), **CCF₁C** (2), **CCF₁F₁** (2), **CCF₁F₂** (1), **CCSF₁** (1), **CF₁CC** (4), **CF₁CF₂** (1), **CF₁CS** (2), **CF₁F₁C** (1), **CF₁F₁S** (1), **CF₁F₂C** (1), **CF₁SF₂** (1), **CF₂CC** (1), **CF₂SC** (1), **CSCC** (1), **F₁CCS** (1), **F₁CF₁C** (1), **F₁CF₁S** (2), **F₁CSS** (1), **F₁SCC** (2), **F₁SCS** (1), **F₂CF₁S** (1), **F₂CF₂C** (1), **F₂F₁CC** (1), **F₂SCC** (1), **SCCC** (3), **SCCF₁** (2), **SCCS** (8), **SCF₁C** (3), **SCF₁F₁** (2), **SCF₁F₂** (1), **SCF₁S** (2), **SCF₂C** (1), **SCF₂S** (1), **SF₁CC** (2), **SF₁CF₂** (1), **SF₁CS** (3), **SF₁F₁F₁** (2), **SF₁F₁S** (1), **SF₁F₂C** (2), **SF₂CF₂** (1), **SF₂SS** (2), **SSCS** (1). სულ გამოვლინდა 72 ერთეული. მათი სრული სია სათანადო მაგალითებითურთ წარმოდგენილია დანართში (იხ. ილუსტრაცია #3).

აბაზურში ოთხწევრა კომპლექსები 37 ქვემოდელოს სახითაა წარმოდგენილი: **CCCC** (1), **CCCS** (4), **CCF₁C** (2), **CCF₁F₁** (2), **CCF₁F₂** (1), **CCF₁S** (2), **CF₁CF₁** (1), **CF₁CF₂** (1), **CF₁CS** (1), **CF₁F₁F₂** (1), **CF₁F₁S** (4), **CF₁F₂S** (1), **CF₁SC** (1), **CF₂CS** (1), **CF₂F₂S** (2), **CSCC** (1), **F₁CCS** (1), **F₁CF₁S** (2), **F₁CSS** (1), **F₁SCC** (1), **F₂CF₁S** (1), **F₂F₁CS** (2), **SCCC** (1), **SCCF₂** (3), **SCCS** (4), **SCF₁C** (1), **SCF₁F₁** (1), **SCF₁F₂** (4), **SCF₁S** (4), **SCF₂F₂** (3), **SCF₂S** (1), **SF₁CC** (1), **SF₁CS** (3), **SF₂CF₁** (1), **SF₂CS** (1), **SF₂F₁S** (2), **SF₂F₂S** (3). სულ დადასტურდა 67 კომპლექსი. ისინი სრულად მაგალითებითურთ მოცემულია დანართში (იხ. ილუსტრაცია #4).

ხუთწევრა კომპლექსები ორივე ენაში ძალიან იშვიათია. აფხაზურში ისინი წარმოდგენილია თითო ერთეულის შემცველი რვა ქვემოდელოს სახით: **CF₂CF₁C** (1), **F₂CCF₁F₁** (1), **SCCCS** (1), **SCF₁CS** (1), **SCF₁F₂S** (1), **SCF₂CS** (1), **SCF₂CF₁** (1), **SF₁CF₁S** (1), აბაზურში კი დასტურდება თითო კომპლექსით რეალიზებული შვიდი ქვემოდელო: **CCF₁F₁F₂** (1), **CF₁CF₂S** (1), **CF₂CF₁F₂** (1), **F₂CF₁F₁F₂** (1), **SCCCF₂** (1), **SCCF₁F₁** (1), **SCF₁CS** (1). კომპლექსები სრულად წარმოდგენილია დანართში (იხ. ილუსტრაციები #3, 4).

აბაზურში გამოვლინდა ერთადერთი ექვსწევრა კომპლექსი **CCCF₁F₁F₂** ქვემოდელოს სახით: **გ-თ-ფსს-ჭ-რ** „შემინება“.

ოთხწევრა კომპლექსებში დიდწილად პირველი-მეორე (აფხ. **ბჟთყ**, აბაზ. **ფსჭშ**) ან მეორე-მესამე (აფხ. **თფშჟ**, აბაზ. **ჩაფსშ**) წევრი ქმნის ბუნებრივ კომპლექსებს, ანაც პირველი-მეორე წევრისაგან შედგენილ ასეთ კომპლექსს მესამე-მეოთხე წევრად ამ ენათათვის მეტად დამახასიათებელი **CS** მიმდევრობა (აფხ. **ფშჟლ**, აბაზ. **ფშზლ**) ემატება. **CS** მიმდევრობა პირველ-მეორე წევრადაც დასტურდება: აფხ. **შრბწ**, აბაზ. **ფწყგ**. **S** საკმაოდ გავრცელებულია კომპლექსის როგორც პირველ, ისე მეოთხე კომპონენტადაც: აფხ. **რწწრ**, აბაზ. **რბწრ**.

ხუთწევრა კომპლექსებში ძირითადად C_1C_2 -ში არის SF_1 ან SC და C_3C_4 -ში (აფხ. მშფშტ, აბაზ. მწფსს) ან C_4C_5 -ში (აფხ. მშხზ) CF_1 , CS საკმაოდ ხშირია C_4C_5 -შიც (აფხ. ლწმორ, აბაზ. მგშორ). ოთხწევრა ჯგუფების მსგავსად, ხუთწევრა კომბინაციებშიც S რეალიზებულია C_1C_5 პოზიციაში: აფხ. რფხორ, აბაზ. მგშორ.

დანართებში წარმოდგენილი სამ- და მეტწევრა თანხმომავანკომპლექსების ჩამონათვალის კი ცხადად აჩვენებს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ცალსახად აღიარებული მოსაზრება „ორი თანხმომავანის კანონის“ არსებობის შესახებ (Bork 1909, 9, Allen 1956, 141-142, ლომთათიძე 1976, 240, Spruit 1986, 83-84, კაკავა 2012, 125) არათუ შეზღუდულია ზოგ შემთხვევაში, როგორც მიიჩნეოდა, არამედ პრაქტიკულად არ მუშაობს: ძირეულ მორფემაში სამწევრა კომპლექსები იშვიათია, მაგრამ მორფემათა მიჯნაზე აფხაზურში რეალიზებულია 440 სამწევრა კომპლექსი (654 ორწევრა), აბაზურში კი – 308 (483 ორწევრა).

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში თანხმომავანთა შორის მოქცეული g თანხმომავანთგამყარი კი არ არის, ფუძისეულია: აფხ. ა-ვანთხწარ || ა-ვანთხწარ „ქათმის ზურგი“, მიღებულია ა-ს რედუქციის შედეგად.

ზოგ შემთხვევაში g გაჩენილი კი არაა, არამედ არცაა მომხდარი რედუქცია და შენარჩუნებულია ფუძისეული ხმოვანი: აფხ. ა-ფსგ-მ-ბზა „ცოცხალ-მკვდარი“ (ზედ-მიწ. „მკვდარი-უსიცოცხლო“).

ზოგი მკვლევრის მიერ g -ს გაჩენის მაჩვენებლად მოხმობილ პარალელურ ფორმებში (ა-წწ-რა || ა-წწ-რა „ქვემოდან ამოსვლა“, ა-ცხრაა-რა || ა-ცხრაა-რა „დახმარება...“) (კაკავა 2012, 124-125) g -ს შემცველი ვარიანტები ამოსავალი, რედუქცია-მდელი ვითარების ამსახველია.

„ორი თანხმომავანის კანონის“ დარღვევის მიზეზად ზოგ მკვლევარს მიჩნეული აქვს აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესებზე ქართველური სუბსტრატის, კერძოდ, მეგრულის ზეგავლენა, რომელიც ავტორთა შეფასებით, აფხაზურისთვის სუბსტრატად იქცა XVI-XVIII სს-ში და რომლისთვისაც ორზე მეტი თანხმომავანის შემცველი ბგერათკომპლექსები ბუნებრივი და მეტად გავრცელებულია. მათივე მოსაზრებით, ამგვარი დარღვევები ჭარბობს საკუთრივ აფხაზურ მასალაში (გვანცელაძე, კიპაროძე და ციმინტია 2003, 14-15). ეს უკანასკნელი მოსაზრებაც პირდაპირ ეჭვქვეშ აყენებს ავტორთა დასკვნას, რომ არაფერი ვთქვათ ქართველური

(და არამარტო) მასალის ადაპტაციისას აფხაზურში თავჩენილ კომპლექსებზე (იხ. 4.8. ქვეთავი) და აბაზურის მონაცემებზე, რომელშიც გვხვდება როგორც სამ-, ისე ოთხ- და ხუთწევრა კომპლექსებიც, აფხაზურისაგან განსხვავებით, ერთი ექვსწევრა კომპლექსიც კი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აფხაზურსა და აბაზურში გვაქვს უამრავი შემთხვევა (აფხაზურში 440 სამწევრა კომპლექსი, აბაზურში 308), როცა **გ** არ ჩნდება ორზე მეტწევრა კომპლექსების შექმნის მიუხედავად: აფხ. ა-კა-რ-ტტა-რა „დაღვრა“, აბაზ. ა-ლა-რ-ტტა-რა „რადაცის ჩასხმა სქელ მასაში“ ფორმებში თავისუფლად შეიძლება გაჩენილიყო ნეიტრალური ხმოვანი რ-ს მომდევნოდ, მაგრამ ასე არ მოხდა, არც მათ პირიან ფორმებში, მაგრამ არის უამრავი ფაქტი, როცა სამწევრა კომპლექსის შექმნა არ არის შემაფერხებელი ფაქტორი და **გ** იკარგება: აფხ. ა-ყგრყჳდა „ხორხი, სასულე“, ა-ყგრყ-მჳჯ „ხვანჩი“ (შდრ. ა-ყგრყჳ „ყანყრატო, ყელი, ხორხი“) და ა-შაშსთა || ა-შაშგსთა „შველი“; იგივე ვითარებაა აბაზურშიც – **გ** იკარგება მოსალოდნელი როგორც ორ-, ისე სამწევრა მიმდევრობის წარმოქმნის შემთხვევაშიც: აბაზ. ნაპ-ბლჳ „მაჯა“, ნაპ-ხჳ „ფრჩხილი“ (შდრ. ნაპჳ „ხელი“). აბაზ. ქ-გ-ღა-რა „იმედის ქონა“ (შდრ. აფ-ქ-გ-ღა-რა „ერთმანეთის იმედის ქონა“). აფხაზური და აბაზური თითქოს მიისწრაფვის მარცვლიანობის შემცირებისკენ, მაგრამ ფრჩხილში მოცემული მაგალითი ოთხ-მარცვლიანია და **გ** ხმოვანი შენარჩუნებულია, ორმარცვლიანში კი **გ** დაკარგულია. საჭიროა, ექსპერიმენტულად შესწავლილ იქნეს „ორი თანხმოვნის კანონსა“ და მარცვლიანობის შემცირება-შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები.

4.7. ფონემათა შეერთებით გამოწვეული ფონეტიკური პროცესები აფხაზურსა და აბაზურში

აფხაზურსა და აბაზურში ყველა ძირითადი ფონეტიკური პროცესი – რედუქცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, ლაბიალიზაცია, დელაბიალიზაცია, სპირანტიზაცია, აფრიკატიზაცია, პალატალიზაცია, ბგერის დაყრუება, ბგერათა შერწყმა, ბგერათა დაკარგვა, მეტათეზისი, ბგერათმონაცვლეობა, ბგერათკომპლექსის სუპერაცია – აღწერილია სხვადასხვა მეცნიერის მიერ (ლომთათიძე 1944, 48-66, ლომთათიძე 1954, 30-48, Бгажба 1964, 94-130, ციკოლია 1969, 17-30, Килба 1983, 15-30, ლომთათიძე 1976, 220-238, Chirikba 1996, 77-80, გვანცელაძე 2003, 34-36, ლომთათიძე 2006, 16-17, კაკავა 2008, 66-69, მაჭავარიანი 2017, 21-29, მაჭავარიანი 2020, 47, O’Herin 2020, 453-454),

თუმცა აქ მათ შევეხები ძირითა, აფიქსთა სტრუქტურებსა და ბგერათკომპლექსებში გამოწვეული ცვლილებების კუთხით.

4.7.1. რედუქცია

აფხაზურ-აბაზურში მახვილის მოქმედებით გამოწვეული რედუქცია იწვევს თანხმოდანთა შეჯერას (Генко 1955, 63). ქ. ლომთათიძე და ვ. ჩირიქბა აზუსტებენ, რომ ამ გზით მიღებული თანხმოდანკომპლექსები აბაზურზე უფრო დამახასიათებელია ბზიფურისთვის (ლომთათიძე 1976, 131, Chirikba 1996, 27). რედუქცია ასევე აღწერილი აქვთ ხ. ბლაჟბას, მ. ციკოლიას, ნ. თაბულოვას, თ. გვანცელაძეს, ნ. მაჭავარიანს და ხ. კაკავას (Блажба 1964, 119-130, ციკოლია 1969, 29-30, Табулова 1976, 31-32, გვანცელაძე 2003, 36, კაკავა 2008, 66-69, მაჭავარიანი 2017, 30, მაჭავარიანი 2020, 47).

აფხაზურსა და აბაზურში რედუქციის გზით თანხმოდანკომპლექსთა შექმნის შესაბამისად იცვლება ძირთა და აფიქსთა სტრუქტურაც. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა:

CC < CVC: აბაზ. წა-რ-ყდ-რა „შეკრეჭა, გასხლვა“ (შდრ. აფხ. ა-წა-რ-ყდ-რა „id“); აბაზ. ყჟ-რა „ქმუქნა“ (შდრ. აფხ. ა-ყჟ-რა „id“).

მოყვანილ მაგალითებში რედუცირებულია **ჯ**, მაგრამ ა-ს ამოვარდნის შემთხვევებიც გვხვდება:

CC < CVC: აბაზ. ა-ლა-ყშ-რა 1. „დასვრა“. 2. „განაწყენება“ (შდრ. აფხ. ა-ყშ-რა „id“);

CC < CCV: აბაზ. მზ-ხა-რა „გაძლიერება“ (შდრ. აბაზ. მზზ „ძალა, ღონე“).

ჩანს, რომ **CC** მიღებულია როგორც **CVC**, ისე **CCV** სტრუქტურისაგან.

CVC < CVCV: აფხ. ა-რ-ხჟ-რა „დაპატარავება“ (შდრ. აფხ. ა-ხჟჟ „ბავშვი“); აბაზ. მაყ-ხა-რა „გაძლიერება“ (შდრ. აბაზ. მაყზ „ძლიერი“); აბაზ. გგლ-რა „დგომა“ (შდრ. აფხ. ა-გგლა-რა „id“).

CCC < CCVC: აფხ. ა-შქრ-რა || ა-შქგრ-რა „კობტა სიარული“.

CVCC < CVCCV: აფხ. ა-ყაფშ-ხა-რა „გაწითლება“, აბაზ. ჰა-ყაფშ-ხა-რა 1. „გაწითლება“. 2. „გახურება“ (შდრ. აბაზ. ყაფშზ „წითელი“); აფხ. ა-ჰაღდ || ა-ჰაღდზ || ა-ჰაღდზ „ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი“.

CVCVC < CVCVCV: აფხ. ა-ჰარაკ-რა „ამაღლება, აწევა“ (შდრ. აფხ. ა-ჰარაკ || ა-

ჰარაკე „მაღალი (ყველაფერი, გარდა ადამიანისა)“).

აფხაზურისა და აბაზურის მოყვანილი მაგალითების შედარება აჩვენებს, რომ ამოსავალი სტრუქტურა შენარჩუნებულია ერთ-ერთ მათგანში, თუმცა რედუქციის შედეგად აგებულია იცვლება თითოეული ენის ფარგლებშიც.

რედუქციით გამოწვეული სტრუქტურის ცვლა ეხება არა მხოლოდ ძირულ მორფემას, არამედ აფიქსებსაც:

CV < CCV < CVCV: აფხ. -და – უქონლობის სუფიქსი (ხგ-და „უთავო“), აბაზ. -და || -დჷა || -დაჷა – „id“ (ბჷგ-და „უძვლო“).

C-VV < C-CV < CV-CV: აფხ. რ-აა – ადამიანთა კრებითი სახელების მაწარმოებელი გვარების, ხალხების და მსგავს სახელებში (ესმა-რაა „ესმა და მისიანები“), აბაზ. -რ-ჷა < -რა-ჷა – „id“: ყარჩ-რ-ჷა „ყარაჩელები“. ამ შემთხვევაში აბაზურში პროცესი გაჩერებულია შუა საფეხურზე, აფხაზურში კი ბოლომდეა მისული.

C-C < C-CV < CV-CV: აბაზ. შ-ტ- „ძირს“ (ა-შტ-ჷ ა-გაგ-ს-ჷა-მ „წაქცეულს (მწოლარეს) არ სცემენ“), აფხ. შ-თა- < შა-თა- „ძირს, კვალზე“ (ა-შთო-ჷჷ „კვალში უდგას“).

მოხმობილი მასალა აჩვენებს, რომ აფიქსების შემთხვევაშიც ამოსავალთან ახლოს მდგომი ვითარება დაცულია ხან აბაზურში, ხანაც – აფხაზურში.

4.7.2. ასიმილაცია

აფხაზურ-აბაზურში გვხვდება როგორ რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაციის ცალკეული ფაქტები. აღწერილია ასიმილაციის შედეგად მომხდარი გამჟღერება (გარდამავალ ზმნაში პირის ნიშანთა გამჟღერების ჩათვლით), გაფშვინვიერება, დარბილება, დაყრუება (ლომთათიძე 1944, 48-52, 54-55, ლომთათიძე 1954, 30-35, 41-42, Бражва 1964, 94-101, ციკოლია 1969, 17-25, ლომთათიძე 1976, 231-233, Табулова 1976, 30-31, 34-35, გვანცელაძე 2003, 35, ლომთათიძე 2006, 16, მაჭავარიანი 2017, 20-21, 27-28, მაჭავარიანი 2020, 47, O’Herin 2020, 453-454).

ჩემ მიერ შენიშნულია კონტაქტური ასიმილაციის ნიადაგზე მომხდარი გამკვეთრება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ აბაზურში იყო შემჩნეული: აფხ. ა-ჩი-კაბალ || ა-ჩიგ-კაბალ || ა-ჩიგ-კაბალ „უბელო, შეუკაზმავი ცხენი“; აბაზ. შტა-რ-ბჷ-რა „გაჭყლეტა“, შდრ. ზგ-რ-ჷრ-რა „რადაცის გაჭყლეტის ცდა“ (შდრ. ქართ. ბწკენა და კუთხ. პწკენა). აქ ჩემ მიერ აფხაზურისთვის მოყვანილი მაგალითი ხ. ბლაჷბას

სუბსტიტუციად აქვს განხილული (Бражба 1964, 107).

აფხაზურში დასტურდება დისტანციური გლოტალიზაციის შემთხვევაც: აფხ. ა-ლა-რ-ჰათა 1. „დაულაგებელი (შენობა)“. 2. „მოუწესრიგებელი“, შდრ. ა-ლა-რ-ჰატა-რა 1. „უწესრიგობა“. 2. „დაბურდვა“.

4.7.3. დისიმილაცია

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია დისიმილაციით გამოწვეული ბგერათა გამჟღერება, დაყრუება, გაფშვინვიერება, ყურადღება გამახვილებულია დისიმილაციურ რედუპლიკაციაზეც (ლომთათიძე 1940, 131-132, ლომთათიძე 1944, 55, ლომთათიძე 1954, 41, Бражба 1964, 101-102, ციკოლია 1969, 25-26, ლომთათიძე 1976, 234-236, Chirikba 1996, 77, ლომთათიძე 2006, 16, გვანცელაძე 2003, 35, მაჭავარიანი 2020, 47).

მ. ციკოლიას მოყვანილი აქვს მხოლოდ კონტაქტური დისიმილაციური გამკვეთრების მაგალითი (ციკოლია 1969, 26), ჩემს აფხაზურ მასალაში კი დადასტურდა დისტანციური დისიმილაციური გამკვეთრების შემთხვევებიც: აფხ. ა-ხაპტც || ა-ხაფტც „ვბილი“, რასაც ხ. ბლაჟბა პ/ფ სუბსტიტუციად განიხილავს (Бражба 1964, 107), მაგრამ არის სხვა მაგალითებიც: აფხ. ა-ფაჟალ || ა-ფაქალ „ცხიმი, ქონი“; ა-ლა-რ-კაცა-რა „რყევა, ჯაყჯაყი“; შდრ. ა-ლა-ქაცა-რა 1. „რწევა“. 2. „კანკალი“. 3. „რყევით დაქანცვა“, არადა მას ქ/ჭ ან ქ/კ მონაცვლეობის არსებობაზე არაფერი აქვს აღნიშნული.

ქ. ლომთათიძე სვამს კითხვას აფხაზურში არსებული პარალელური ფორმების (აბაზ. ჭკუნ || ჩკუნ „ყმაწვილი“, კტგჷ || ჭტგჷ „ქათამი“, წკვ || ცკვ „კაბა“) დისიმილაციის გზით ახსნის შესახებ (ლომთათიძე 1944, 55), თუმცა ამ მოვლენას ვ. ჩირიქბა ორი გლოტალიზებული წევრისაგან შემდგარ თანხმოვანკომპლექსში ერთ-ერთის დეგლოტალიზაციად განიხილავს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებლად მიაჩნია აშხარულისა და ტაპანთურისათვის (Chirikba 1996, 78). ვფიქრობ, ეს მოვლენა უნდა კვალიფიცირდეს, როგორც დისიმილაციის ნიადაგზე მომხდარი დეგლოტალიზაცია, რაშიც გარკვეული წვლილი შესაძლოა მიუძღოდეს რუსული ენის ძლიერ გავლენასაც.

ვ. ჩირიქბას დეგლოტალიზაცია შენიშნული აქვს ყრუ ფრიკატივების წინ (კშ > ქშ: აბჟ. ა-ქშა-რა, ბზიფ. ა-კშა-რა, ტაპ. ქშა-რა „დარტყმა“) და მორფემათა მიჯნაზეც

(ბზიფ. აბჟ. ლა-კ-წა, ტაპ. ლა-ქ-ცა „უპე“) (Chirikba 1996, 78). ყრუ ფრიკატივის შემცველ კომპლექსში პირველი წევრის დეგლოტალიზაცია მეც დავადასტურე აფხაზურში: აფხ. ა-კჷრ || ა-ქჷრ „შავი ყურძნის ჯიში“.

4.7.4. დელაბიალიზაცია

აფხაზურსა და აბაზურში დელაბიალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები კარგად არის აღწერილი (ლომთათიძე 1944, 23-28, 55-56, Бражња 1964, 112-117, ლომთათიძე 1976, 224-225, Табулова 1976, 36, Килნა 1983, 15-19, ლომთათიძე 2006, 15-16, მაჭავარიანი 2017, 24-25).

ჩემი კვლევის სიახლე ისაა, რომ აბაზურში გამოვავლინე პროცესი, რომლის მსგავსიც ე. კილბას დადასტურებული აქვს ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში – ლაბიალიზებული თანხმოვნის წინა ა-ს ო-ში გადასვლა და შემდეგ ამ თანხმოვნის დელაბიალიზაცია (Килნა 1983, 18): აბაზ. ლრკ „ზღაპარი“ (შდრ. აფხ. ა-ლაჸ „id“).

4.7.5. აფრიკატიზაცია

აფხაზურსა და აბაზურში აფრიკატიზაცია განხილული აქვს რამდენიმე ავტორს (Бражња 1964, 110-111, ლომთათიძე 1976, 226, Chirikba 1996, 78).

ს > ც პროცესი ხ. ბლაჟბას შენიშნული აქვს ბზიფურში (Бражња 1964, 110-111). აფრიკატიზაციის მსგავსი შემთხვევა ჩემს მასალაში შევნიშნე აბაზურშიც: აბაზ. ძ-ცა-რა „ცურვა“ (შდრ. აფხ. ა-ძ-სა-რა „id“).

4.7.6. დეზაფრიკატიზაცია

აფხაზურსა და აბაზურში დეზაფრიკატიზაცია არაა განხილული, თუმცა ეს მოვლენა შევნიშნე როგორც აფხაზურის ფარგლებში, ისე აფხაზურისა და აბაზურის შედარებისას. ეს ეხება არა მხოლოდ ბგერათკომპლექსს, არამედ ცალკე აღებულ ფონემასაც:

აბაზ. ფსგზ „თევი“, შდრ. აფხ. ა-ფსგძ „id“

აბაზ. შა-ხზე „მამის სახელი“, შდრ. აფხ. ა-ხძ „სახელი“

ეს უკანასკნელი მაგალითი ბგერათმონაცვლეობად აქვს კვალიფიცირებული ე. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1944, 59).

არის შემთხვევა, როცა აფხაზურში აფრიკატი კარგავს არა ოკლუზიურ, არამედ სპირანტულ ელემენტსაც. ეს ხდება ბგერათკომპლექსში და რეალიზდება წ > ტ

პროცესის სახით:

აფხ. ა-ტრგ'შ \leftarrow ა-წრგ'შ „სტვენა“

4.7.7. მეტათეზისი

მეტათეზისი კარგადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში (ლომთათიძე 1954, 40, Бражва 1964, 102-104, ციკოლია 1969, 26, ლომთათიძე 1976, 237, Табулова 1976, 36, Килба 1983, 23, Chirikba 1996, 79, გვანცელაძე 2003, 35, მაჭავარიანი 2017, 27, მაჭავარიანი 2020, 47).

ჩემ მიერ ქვემოთ მოყვანილი მაგალითების ანალოგიური ფაქტები მეტათეზისად არის შეფასებული აფხაზურში (ლომთათიძე 1976, 237, Килба 1983, 23), მაგრამ ხაზგასმას ითხოვს და ბგერათშეერთების თვალსაზრისით საინტერესოა მეტათეზისის ისეთი შემთხვევები, როცა ორივე ენაში თანხმოვნის გადასმა იწვევს თავკიდურ პოზიციაში ბგერათკომპლექსის შექმნას:

აფხ. ა-ჭრაპატ \leftarrow ა-ჭარპატ „ორთითი, ორკაპი“

აბაზ. გრგ „ნემსი“, შდრ. აფხ. ა-გვრ „id“

4.7.8. ბგერის განვითარება

ბგერათა განვითარებას სხვადასხვა მკვლევარი შეეხო აფხაზურსა და აბაზურში (ლომთათიძე 1944, 57, ლომთათიძე 1954, 42, Табулова 1976, 35, Килба 1983, 23-24, მაჭავარიანი 2017, 27).

ჩემს მასალაში დამატებით გამოვლინდა მ-ს გაჩენა ფ-ს წინ აფხაზურში:

აფხ. ა-კ'ამფშ || ა-კ'აფშ „ქორის სახეობა“

სათანადო აფხაზურ ფუძესთან შედარება აჩვენებს, რომ აბაზურში რ ჩნდება ჩ-ს წინ:

აბაზ. ნტრა „კანაფი“, შდრ. აფხ. ა-ნტც „id“

4.7.9. კომპლექსთა სუპერაცია

კომპლექსთა სუპერაციასაც ეთმობა სხვადასხვა მეცნიერის ყურადღება (ლომთათიძე 1976, 237, Килба 1983, 24, Chirikba 1996, 77-78, მაჭავარიანი 2017, 27).

ჩემს მასალაშიც დადასტურდა კომპლექსის როგორც პირველი, ისე მეორე წევრის დაკარგვის შემთხვევები:

ა) აფხ. ა-ხად < ა-ხარძ „ტუტე“

აფხ. ა-შეტა < ა-შეტა „გალურჯებული ადგილი (სხეულზე), ლიბრი“

ბ) აფხ. ა-ხჯ < ა-ხჯუ „კუნძი“

საანალიზო მასალაში გამოვავლინე სამ- და ოთხწევრა ბგერათმომდევრობის გამარტივების მაგალითებიც:

აფხ. ა-ჰა-ცა „ქვის ხიდი“ ფორმაში შესაძლოა, სამწევრა კომპლექსი იყოს გამარტივებული: < *ა-ჰა-ცა. შდრ. აფხ. ა-ჰა „ქვა“.

აფხაზური ა-კჰმ და აზაზური ქჰს „წიწილა“ ფორმებისაგან სავარაუდებელია, რომ ამოვარდნილი იყოს ტ, შდრ. აფხ. ა-კტ, აზაზ. ქტ „ქათამი“.

აფხ. ა-ჰსა „ქალები“ მიღებული უნდა იყოს ა-ფჰსჰა < ა-ფჰგსჰა ფორმისაგან, ფ და ქ ფონემების დაკარგვით.

აფხ. ა-ჰაფმცა < *ა-ჰაფმცა < *ა-ჰაფმაცა „ღამის მთევლები“, შდრ. ა-ჰაფმაცა „ღამის მთეველი“.

4.7.10. ბგერათგადაწევა

კალდახვარულ თქმაში ში-ს სისინ-შიშინა ს'-ში გადასვლა შენიშნული აქვს ხ. ბლაჟბას (Бгажба 1964, 70), მე კი აფხაზურში გამოვავლინე ბგერათგადაწევის ისეთი შემთხვევა, როცა ში იძლევა სს-ს:

აფხ. ა-ჰასსა < ა-ჰაშა 1. „თეთრი თიხა“. 2. „წვრილი და თეთრი ჯიშის მსხალი“

აფხ. ა-წაასსა < ა-წაშა „მაჟალო“

როგორც ჩანს, თანხმოდანთა გადაწევა წარმოების ადგილის მიხედვითაა მომხდარი და რადგან მაგარი ს არ აქვს აფხაზურს, შესატყვისად გემინირებული ს მოგვევლინა.

სუბსტიტუცია (ლომთათიძე 1954, 37-39, 43-48, ციკოლია 1969, 26-28, Бгажба 1964, 104-110, Табулова 1976, 35-36, Килба 1983, 21-23, გვანცელაძე 2003, 35-36, მაჭავარიანი 2017, 25-27, მაჭავარიანი 2020, 47), ბგერათა დაკარგვა (ლომთათიძე 1954, 35-37, 39-40, ციკოლია 1969, 29, Бгажба 1964, 118-119, Табулова 1976, 32-34, 35, Килба 1983, 21), სიმაგრის მოშლა (Килба 1983, 19-21, მაჭავარიანი 2017, 25), სპირანტიზაცია (Бгажба 1964, 111-112, ლომთათიძე 1976, 236) ისეა განხილული, რომ ჩემს მასალაში ახალი არაფერი გამოვლენილა.

ესენია ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რომლებიც დასტურდება აფხაზურსა და აბაზურში, თუმცა ძირთა და აფიქსთა სტრუქტურის ცვლასა და კომპლექსის შექმნაში მთავარია რედუქციის როლი.

4.8. ფონოტაქტიკის კანონების მოქმედება ნასესხები ლექსიკის ადაპტაციის პროცესში

ყოველი ენა ნასესხებ ლექსიკას თავის ფონოტაქტიკურ მოდელს უქვემდებარებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც აფხაზური და აბაზური წარმოადგენს. აფხაზურსა და აბაზურში სხვა ენათა ბგერების გადმოცემას არაერთი მკვლევარი შეეხო (ლომთათიძე 1944, 14, 38-42, ლომთათიძე 1976, 19-64, Табулова 1976, 25, ლომთათიძე 2006, 9, კაკავა 2012, 154-159, მაჭავარიანი 2017, 15-16, გვანცელაძე 2011, 136-254, 286-350, 360-367, ბუკია 2013, მაჭავარიანი 2020, 42-43, გვანცელაძე და ჭაავა 2021, 173-204, 215-229), თუმცა სესხებისას მომხდარი კომბინატორული ცვლილებები სისტემურად არაა განხილული და ეს ქვეთავი სწორედ ამას ისახავს მიზნად.

წინამდებარე ქვეთავში ნასესხები ლექსიკა განხილულია ბგერათკომპლექსთა შექმნის თვალსაზრისით, თუმცა წინასწარ აღვნიშნავ, რომ შეინიშნება გამსესხებელი ენის ია ხმოვანმიმდევრობის სუპერაცია მისი პირველი ან მეორე წევრის დაკარგვის გზით:

ა-ზარაზა || ა-ზარაზა „ზიარება“ < ქართ. ზიარება;

ა-დიკან „დიაკვანი“ < ქართ. დიაკვანი (< ბერძ.).

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აფხაზური ენისთვის მეტად ბუნებრივი აა ხმოვანმიმდევრობა უცვლელად ნარჩუნდება:

ა-ზანაათ „პროფესია“ თურქ. < zanaat „id“ (< არაბ.)

აფხაზურსა და აბაზურში გამარტივების გარეშე ნარჩუნდება გამსესხებელი ენის ორ- და სამწევრა თანხმოვანკომპლექსი:

აფხ. ა-ჩქ'გვ „ჩანგალი“ < მეგრ. ჩქიფი „id“;

აფხ. ა-კ'არმ „ნათესავი“ < მეგრ. კერძი (მოჯგირე) „ახლო ნათესავი“;

აფხ. ა-ბანძლ „სკანდალი“ < მეგრ. ბანძლი „id“;

აფხ. ა-სანძლ „საზღვარი“ < მეგრ. სანძლო „id“;

აბაზ. ადგ'ელ „მიწა“ < ქართ. ადგილი „id“;

აბაზ. აყრალ' „ქვეყანა, სახელმწიფო“ < თურქ. kral „მეფე“;

აბაზ. ინსთითუთ „ინსტიტუტი“ < რუს. институт „id“.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურსა და აბაზურს თავკიდურ პოზიციაში ბგერათკომპლექსის შექმნის მიდრეკილება აქვს, რაც კარგად ჩანს ნასესხობათა ადაპტაციის დროს: გამსესხებელ ენაში არ არის თანხმოვანკომპლექსი, მაგრამ ორივე ენაში მოსალოდნელია ბგერათკომპლექსის მიღება როგორც თავკიდურ პოზიციაში, ისე ინლაუტში.

ასეთ შემთხვევებში აფხაზურსა და აბაზურში მეტწილად რედუქციის ან ხმოვნის წინამავალ თანხმოვანთან პალატალიზაციის ან ლაბიალიზაციის ელემენტად შერწყმის შედეგად იქმნება სხვადასხვა ქვემოდელის ორწევრა ბგერათკომპლექსები:

CC

აფხ. ა-ღჟან „დუქანი“ < თურქ. dükkân „id“, შდრ. აბაზ. თჟან „id“;

აბაზ. ქთაფ „რელიგიური საკითხავი“ < თურქ. kitap 1. „წიგნი“. 2. „id“.

CF₂

აფხ. ა-ფჰალ „სურა წყლისთვის“ < ქართ. ფოხალი

CS

აფხ. ა-პრასქა „პრასი“ < მეგრ. პურასქია „id“;

აფხ. ა-ქლამგშ „ფელამუში“ < ქართ. ფელამუში;

აფხ. ა-ქლრთ „ქვირითი“ < მეგრ. ქვილითი „id“ (შდრ. აფხ. ა-ქგრთ „ქვირითი“ < ქართ. ქვირითი);

აფხ. გნჰჰა, აბაზ. გნჰჰ „ცოდვა“ < თურქ. günah „id“;

აფხ. ა-ყმგს, აბაზ. ყმგს „კუმისი“ < რუს. кумыс „id“;

აბაზ. ყმგყო „ყუმიხი“ < რუს. Кумык „id“, შდრ. აფხ. ყგმგკ „id“;

აბაზ. ყნაყ „ყონალი“ < თურქ. konak „id“;

აბაზ. ქლრსა „ეკლესია“ < თურქ. kilise „id“ (< ბერძნ.).

F₁C

აფხ. ა-ფტელ || ა-ფტრლ || „პატრუქი, ფითლა“ < რუს. Фитиль, შდრ. აბაზ. ა-ფითრლ~ „id“

F₁S

აფხ. ა-შნელ „შინელი“ < რუს. шинель „id“, შდრ. აბაზ. შნელ~ „id“

F2S

აბაზ. ახრათ რელიგ. „იმქვეყნიური სამყარო“ < თურქ. ahiret „id“

SC

აფხ. ა-მქჳჳ „ქორწინება“ < თურქ. nikah „id“, შდრ. აბაზ. ნაქჳჳ „ქორწინება“

SF₁

აფხ. ა-მზეზ რელიგ. „მიზეზი“ < ქართ. მიზეზი;

აფხ. ა-მსელმან „მუსლიმანი“ < თურქ. Müsülman „id“;

აფხ. ა-მშამბა „მუშამბა“ < ქართ. მუშამბა;

აფხ. ა-ნშან „ხალი“ < მეგრ. ნიშანი „id“.

SF₂

აფხ. ა-მჰაჯღრ „მუჰაჯირი“ < თურქ. muhacir „id“

ინლაუტში იქმნება CC, CS, F1S და F2S ქვემოდელების კომპლექსები:

CC: აფხ. ა-შაჳტანა „შაკიკი“ < მეგრ. შაკიტახა „id“;

CS: აფხ. ა-ჯგჳრქე (ზზიფ.) || ა-ჩგჳრქე „სიმინდი“ < მეგრ. ჯიქურე „სიმინდის ჯიში“;

აბაზ. ჭაყრ „მათხოვარი“ < თურქ. fakir „ღარიბი“;

F1S: აფხ. ა-დაშმა „იატაკი“ < თურქ. döşeme „id“;

აბაზ. საჟუნა „საჟენი“ < რუს. сажень „id“.

F2S: აფხ. ა-ბაღრქე || ა-ბაღღრ „ბელურა“ < მეგრ. ბაღირე „id“;

აფხ. ა-მაჰმეზ „დეზი“ < მეგრ. მუხამუზი „id“;

აფხ. ა-მგრჳ „მორგვი“ < ქართ. მორგვი (ქართულის სამწევრა მიმდევრობის ბოლო წევრი ლაზიალიზაციის ელემენტად შეერწყა წინა ბგერას).

თავკიდურად ასეთი ქვემოდელების სამ- და იშვიათად ოთხწევრა კომპლექსებიც რეალიზდება:

CSC: აფხ. ა-გრგღლ < ა-გრგღღნ „საქორწინო გვირგვინი“ < მეგრ. გურგინი „id“

F2SC: აფხ. ა-ხმჯარ „ხვანჯარი“ < ქართ. ხვანჯარი;

აფხ. ა-ხრჯღნ „ხურჯინი, აზგა“ < ქართ. ხურჯინი (< სპარს.).

SCC: აბაზ. ნბჯაჰ „მეგობარი“ < ჩერქ. нынжьэгъу „id“

SCS: აფხ. ა-ნჯნღრ-ხა-რა „ინჟინრად ქცევა“ < რუს. инженер „id“, შდრ. აბაზ.

ინჟინერ „id“

CSF1C: აფხ. ა-გრშთა „გვირისტი“ < ქართ. გვირისტი

ინლაუტმიც და აუსლაუტმიც გვხვდება შემდეგი ქვემოდელების სამწევრა კომპლექსები:

F2F1C: აფხ. ა-დალსთან, აბაზ. დალსთან „დალესტანი“ < რუს. дагестан „id“

SCS: აფხ. ა-ქარანჯ-რა „მოჯამაგირეობა“, შდრ. აფხ. ა-ქარანჯგ „მოჯამაგირე“ < მეგრ. ქირანჯი „id“;

აფხ. ა-თარჯმან „თარჯიმანი“ < ქართ. თარჯიმანი (< არაბ.).

SCC: აფხ. ა-ლერწკ „ჭიაყელა“ < მეგრ. ღვერწკი „id“

აფხაზურ-აბაზურში სესხებისას დასტურდება რედუქციის შემდეგ ეტაპზე მომხდარი ასიმილაციის შემთხვევები, კერძოდ, ამგვარი ასიმილაციის შედეგად მომხდარია:

გამჟღერება: აფხ. ა-სამბლ „საწებელი“ < ქართ. საწებელი;

დაყრუება: აფხ. ა-ჩქარქდ (ბზიფ.) || ა-ჯქარქდ „სიმინდი“ < მეგრ. ჯიქურე „სიმინდის ჯიმი“;

აფხ. არფკა „ქვედატანი, ჩიხორა“ < რუს. чирка „id“;

აფხ. ა-ფსგლმან < ა-მსგლმან „მუსლიმანი“ < თურქ. Müsülman „id“;

აბაზ. თქან „დუქანი“ < თურქ. dükkân „id“, შდრ. აფხ. ა-ლქან „id“.

არის რედუქციის ეტაპის გავლის გარეშე მომხდარი ასიმილაციური დაყრუების მაგალითიც:

აფხ. ა-ჩხგნჩ „ქვების ჩამოსაკიდებელი, ცეცხლის პირას აღმაცერად დასობილი ქდეებიანი ჯოხი“ < მეგრ. ჩხინჯი „ჩხირი“

სესხებისას აფხაზურში მომხდარია სრული რეგრესული ასიმილაციაც:

აფხ. ა-შარშაჟ „ზეწარი“ < თურქ. çarşaf „id“

აფხაზურში ლექსიკური ერთეულების სესხებისას შეინიშნება დისიმილაციური გამჟღერება, ხოლო აბაზურში – დისიმილაციური დაყრუება:

აფხ. ა-კუნდხ || ა-კუნთხ „კუთხე“ < მეგრ. კუნთხუ „id“;

აფხ. ა-კაფდან „გემის კაპიტანი“ < თურქ. kaptan „id“, შდრ. აბაზ. ქაფითან „id“;

აფხ. აკბერ-ჩბტრ „ნაგავი“, აბაზ. ჰაბერ-ჩბტრ „მველმანი, ძონძი“ < თურქ. abur cubur „უსარგებლო“.

სხვა ენათაგან შეთვისებულ მასალაში ვლინდება გლოტალიზაციის მაგალითებიც:

აფხ. ა-მტკჷმა „მოთქმა“ < ქართ. მოთქმა;

აფხ. აჭთჷკა || აპტჷკა „აფთიაქი“ < რუს. аптека „id“, შდრ. აბაზ. აფთეკა „id“;

აბაზ. პატრაჷჷან „პომიდორი“ < თურქ. patlıcan „ბადრიჯანი“.

აფხაზურსა და აბაზურში ნასესხები ლექსიკის ადაპტაციის შემდგომ ეტაპზე მომხდარა დელაბიალიზაცია:

აფხ. ა-წერჷდ > ა-წერჷდ „წვერა“ < მეგრ. წვერედი „id“

აფხაზურში გამოვლინდა აფრიკატიზაციის შემთხვევებიც:

აფხ. ა-ჟასხჷრ > ა-ჟაცხჷრ (ბზიფ.) „საძირკველი“ < მეგრ. ოსხირი „id“;

აფხ. ა-მაცჷარს „მასხარა“ < თურქ. maskara „id“;

აფხ. ა-შალაშჷნ || ა-ჩალაშჷნ „შალაშინი“ < ქართ. შალაშინი;

აფხ. ჯანდარმ || ჟანდარმ, აბაზ. ჯანდარმ „ჟანდარმი“ < რუს. жандарм „id“.

ჩემ მიერ აფხაზური და აბაზური მასალის ურთიერთშედარებისას გამოვლენილი დეზაფრიკატიზაცია ნასესხებ ლექსიკაშიც იჩენს თავს:

აფხ. ა-საზბჷლ || ა-სგზბჷლ (ბზიფ.) < ა-საძბჷლ „საწებელი“ < ქართ. საწებელი;

აფხ. ა-ჩაჩმჷ > ა-შაშმჷ „საპირფარეშო“ < თურქ. çeşme „id“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თურქულიდან სესხებისას მოხდა დისტანციური პროგრესული ასიმილაცია, ა-შაშმჷ ფორმა კი ა-ჩაჩმჷ ფორმისეული ჩ-ს დეზაფრიკატიის გზითაა მიღებული;

აფხ. ა-ჭჷან „ნახარში, წვენი“ < ქართ. წვენი, შდრ. აბაზ. ჭჷან „id“ (ეს ნასესხობა განხილული აქვს ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1976, 159), მაგრამ ტ < წვ დეზაფრიკატიზაციად არ აქვს შეფასებული). შდრ. ჩემ მიერ საკუთრივ აფხაზურ მასალაში დადასტურებული წ > ტ პროცესი: აფხ. ა-ტრგჷშ < ა-წრგჷშ „სტვენა“.

ნასესხებ ლექსიკაში გვაქვს მეტათეზისის ფაქტებიც:

აფხ. ა-კამლჷჷჷ < ა-კალმჷჷჷჷ „კალმახი“ < მეგრ. კალმახა „id“;

აფხ. ა-ტაპერჯჷან < ა-პატერჯჷან „ბადრიჯანი“ < თურქ. patlıcan „id“, შდრ. აბაზ. პატრაჷჷან „პომიდორი“;

აფხ. ა-ყღღჷრ < ა-ყარღღ „ყვერული“ < მეგრ. ყვარილი „id“;

აბაზ. ალთეს „ატლასი“ < რუს. атлас „id“, შდრ. აფხ. ატლას „id“;

აბაზ. თრქჷ „თურქი“ < თურქ. Türk „id“, შდრ. აფხ. ა-თრქჷა „id“.

ნასესხებ მასალაში არის მეტათეზისის ისეთი შემთხვევა, როცა ბგერის გადასმა იწვევს გამსესხებელი ენის ორ- და სამწევრა ბგერათკომპლექსის გახლეჩას:

აფხ. ა-ქარმტ „აგური“ < ქართ. კრამიტი;

აფხ. ა-ტყალბ 1. „შლამი“. 2. „ველური ალუჩის ტყლაპი“ < ქართ. ტყლაპი

ძირეულის მსგავსად, სხვა ენათაგან შეთვისებული ლექსიკისთვისაც არის დამახასიათებელი ბგერის განვითარება:

ბ: აფხ. ა-ზარზან „ზარზანი“ < ქართ. ზარზანი (< სპარს.);

დ: აფხ. ა-ფარდგალ (ბზიფ.) || ა-ფგრგალ „ფარგალი“ < ქართ. ფარგალი;

მ: აბაზ. კამბესთა „კომბოსტო“ < რუს. капуста „id“, შდრ. აფხ. ა-კაპესტა „id“;

რ: აბაზ. ჭარჯაყ „ბუხარი“ < თურქ. ocak „id“, შდრ. აფხ. ა-ჭაჯაყ „id“;

აბაზ. ხარზუნა „განძი, ქონება“ < თურქ. hazine „id“ < არაბ., შდრ. აფხ. ა-ხაზუნა „id“.

აბაზურში გამსესხებელი ენის ი ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან თავს იჩენს ქ თავკიდურ პოზიციაში:

აბაზ. ცრზენ „ნებართვა“ < თურქ. izin „id“;

აბაზ. ცრზლის „ემმაკი“ < თურქ. iblis „id“.

სხვა ენებიდან შესულ მასალაში ვლინდება სუბსტიტუციის ფაქტებიც. დამახასიათებელია შემდეგ ბგერათა მონაცვლეობა:

რ/ლ: აფხ. ა-ქალმტ (ბზიფ.) < ა-ქარმტ „აგური“ < ქართ. კრამიტი;

ლ/რ: აბაზ. პატრაჟან „პომიდორი“ < თურქ. patlıcan „ბადრიჯანი“;

ნ/რ: აფხ. ა-ფგრჯან „არყის ჭიქა“ < თურქ. fincan „id“;

ნ/ლ: აფხ. ა-ლამაზ < ა-ნამაზ „ნამაზი“ < თურქ. namaz „id“, შდრ. აბაზ. ნამაზ „id“. ქ. ლომთათიძეს ამ სიტყვაში ნ/ლ პროცესი შენიშნული აქვს აშხარულში (ლომთათიძე 1954, 44);

ნ/მ: აფხ. ა-ჩამგორ „ჩონგური“ < მეგრ. ჩონგური „id“;

მ/ბ: აფხ. ა-ბაგანა < ა-მაგანა < მეგრ. მაგანა „id“;

მ/ნ: აფხ. ა-ყანჩგ (ბზიფ.) < ა-ყამჩგ „მათრახი; შოლტი“ < თურქ. kamçı „id“.

ნასესხებ ერთეულებშიც გვხვდება ბგერათკომპლექსის გამარტივების მაგალითები:

აფხ. ა-კამაშ < ა-კამბაშ „კამერი“ < მეგრ. კამბეში „id“, შდრ. აბაზ. კამბეშ „id“;

აფხ. ა-კაცხა „საკინძე (ტანსაცმლისა)“ < მეგრ. კანცხუ „კაუჭი, ღუგმა“;

აფხ. ა-მშითქ, აბაზ. მემთეჟ „სატურე“ < რუს. мундштук „id“ (კომპლექსი გამარტივებულია აბაზურშიც, მაგრამ, მისგან განსხვავებით, აფხაზურში რედუცირებულია ხმოვანი და შექმნილია სამწევრა ბგერათკომპლექსი);

აფხ. ა-ჟფშეღლ „ანგელოზი“ < ქართ. უფლიშვილი.

გამსესხებელი ენისთვის ამოსავალი, გაუმარტივებელი ფორმა შენარჩუნებულია აფხაზურში:

აფხ. ა-წყარკუთხა „ნათლისღება, წყალკურთხევა“ < მეგრ. წაკურთხია < *წყარკურთხია „id“

აფხაზურში ბგერათგადაწევა მასალის სესხების დროსაც გამოვლინდა, კერძოდ, გამსესხებელი ენის ჭ-ს წ-ში გადასვლა:

აფხ. ა-წყინტ „ჰყინტი სიმინდი“ < ქართ. ჰყინტი

ამრიგად, საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აფხაზურსა და აბაზურში უცვლელადაც ნარჩუნდება გამსესხებელი ენის ბგერათკომპლექსი, გარკვეულ შემთხვევებში კი ის ექვემდებარება სუპერაციას. ორივე ენაში ძირითადად რედუქციის ან ხმოვნის წინამავალ თანხმოვანთან პალატალიზაციის ან ლაბიალიზაციის ელემენტად შერწყმის გზით სიტყვათა სესხებისას იქმნება მეტწილად ორწევრა, ზოგჯერ – მეტწევრა ბგერათკომპლექსებიც. გარდა ამისა, საანალიზო მასალაში დადასტურდა ასიმილაციის, დისიმილაციის, გლოტალიზაციის, დელაბიალიზაციის, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციის, მეტათეზისის, ბგერის განვითარების, სუბსტიტუციის, ბგერათკომპლექსის სუპერაციისა და ბგერათგადაწევის შემთხვევები.

4.9. IV თავის დასკვნა

ნაშრომის მეოთხე თავში გამოცემულ ლექსიკონებზე დაყრდნობით განხილულ იქნა აფხაზურისა და აბაზურის ძირეული და მორფემათა მიჯნის ბგერათკომპლექსები, მათი შეერთების წესები, საკუთარი და სხვა ენათაგან შეთვისებული ლექსიკის ბგერათკომპლექსებში მომხდარი ფონეტიკური პროცესები.

კვლევამ აჩვენა, რომ ძირეულ მორფემაში აფხაზურში მხოლოდ ორწევრა ხმოვანკომპლექსები რეალიზდება, მათი რიცხვი მორფემათა მიჯნაზე მცირდება, აბაზურ-

რისთვის ძირეულ მორფემაში ხმოვანკომპლექსები საერთოდ არაა დამახასიათებელი, მაგრამ მორფემათა ზღვარზე ოთხი ხმოვანმიმდევრობა გამოვლინდა.

ორივე ენაში თითქმის თანაბრად რეალიზდება როგორც აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგები. ორივეგან აღმავალი დიფთონგის შექმნის მეტ შესაძლებლობას ავლენს **ღ**, ხოლო დამავალისას – **ჭ**. ორივე ტიპის დიფთონგი ვლინდება ორივე ენაში მორფემათა მიჯნაზე. ტრიფთონგების რაოდენობით აბაზური აღემატება აფხაზურს, რაც აბაზურში ამოსავალი ვითარების უკეთ შენარჩუნებით უნდა აიხსნას. იგივე ვითარებაა მორფემათა ზღვარზეც.

აფხაზურის ძირეულ მორფემაში დადასტურდა 388, ხოლო აბაზურისაში – 303 ორწევრა კომპლექსი. ისინი გვხვდება სამივე პოზიციაში, მაგრამ კომპლექსთა აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ანლაუტში იჩენს თავს. მორფემათა მიჯნაზე აფხაზურში 654 ორწევრა კომპლექსი გამოვლინდა, აბაზურში – 483. როგორც ძირში, ისე ზღვარზეც ორივე ენაში B სისტემა A სისტემაზე სრულადაა რეალიზებული, აქცესიურ კომპლექსებს სჭარბობს დეცესიურები. ერთი მორფემის ფარგლებში აფხაზურსა და აბაზურში შეთავსებადია ჰომოგენური თანხმოვნები მჟღერობა-სიყრუს მიხედვით: მჟღერი+მჟღერი, ფშვინვიერი+ფშვინვიერი, მკვეთრი+მკვეთრი. აკრძალულია ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმოვანთა კომბინაციები მჟღერობა-სიყრუს მიხედვით, ასევე ერთი და იმავე ლოკალური რიგის ხშულისა და ფრიკატივების შეერთება. ეს წესები მორფემათა მიჯნაზე ირღვევა.

აფხაზურსა და აბაზურში სამწევრა კომპლექსები მცირე ოდენობით ვლინდება ანლაუტსა და აუსლაუტში. მათი რაოდენობა საგრძნობლად მაღალია მორფემათა მიჯნაზე (აფხაზურში – 440, აბაზურში – 308). მათ პირველ-მეორე ან მეორე-მესამე წევრად გვხვდება ორივე ენისთვის ბუნებრივი, დეცესიური მიმდევრობები, მესამე ან პირველ წევრად კი მეტწილად წარმოდგენილია სონორი, განსაკუთრებით აფხაზურში, თუმცა ამ წესების დარღვევა ხშირია მორფემათა ზღვარზე. ორივე ენაში მორფემათა მიჯნაზე რეალიზდება სამზე მეტწევრა ბგერათკომპლექსებიც: აფხაზურში დადასტურდა 72 ოთხწევრა და 8 ხუთწევრა, ხოლო აბაზურში 67 ოთხწევრა, 7 ხუთწევრა და ერთადერთი ექვსწევრა კომპლექსი.

ფონეტიკურ პროცესებშიც გამოვლინდა გარკვეული სიახლეები, როგორცაა: რედუქციის შედეგად ძირთა და აფიქსთა სტრუქტურის შეცვლა, აფხაზურში დისტან-

ციური გლოტალიზაცია, კონტაქტური ასიმილაციური გამკვეთრება, დისტანციური დისიმილაციური გამკვეთრება; აბაზურში ს > ც აფრიკატიზაცია და ე. კილბას მიერ ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში შენიშნული ლაბიალიზებული თანხმოვნის წინ ა > ო გარდაქმნა და შემდეგ ამ თანხმოვნის დელაბიალიზაცია. ორივე ენაში გამოვლინდა აქამდე შეუმჩნეველი დეზაფრიკატიზაცია, აფხაზურში აფრიკატის მიერ არამხოლოდ ოკლუზიური, არამედ სპირანტული ელემენტის დაკარგვითაც. აფხაზურში დადგინდა ში:სს ბგერათგადაწევაც.

ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა ასიმილაციის, დისიმილაციის, გლოტალიზაციის, დელაბიალიზაციის, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციის, მეტათეზისის, ბგერის განვითარების, სუბსტიტუციის, ბგერათკომპლექსის სუპერაციისა და ბგერათგადაწევის შემთხვევები, თუმცა წამყვანია რედუქციის ან ხმოვნის წინამავალ თანხმოვანთან კონტაქტულირებულ ელემენტად შერწყმის გზით სიტყვათა სესხებისას მეტწილად ორწევრა, ზოგჯერ მეტწევრა ბგერათკომპლექსების შექმნა. ორივე ენაში უცვლელადაც ნარჩუნდება გამსესხებელი ენის ბგერათკომპლექსი, გარკვეულ შემთხვევებში კი ის ექვემდებარება სუპერაციას. ძირეულ მასალაში აფხაზური და აბაზური მასალის ურთიერთშედარებისას გამოვლენილი დეზაფრიკატიზაცია ნასესხებ ლექსიკაშიც იჩენს თავს.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზნები და მათ მისაღწევად საჭირო საკვლევე კითხვები ჩამოყალიბდა შესავალში. დასახული ამოცანების შესაბამისად, გამოკვლევაში პოზიციებისა და სტატისტიკის გათვალისწინებით განხილულ იქნა აფხაზურსა და აბაზურში ფონემათა განაწილებისა და შეზღუდვის წესები, ხმოვან- და თანხმოვან-კომპლექსები, ბგერათა შეერთების კანონზომიერებანი, ძირეული და აფიქსური მორფემების სტრუქტურული მოდელები, საკუთარ და ნასესხებ ლექსიკაში მომხდარი ძირითადი კომბინატორული ცვლილებანი. საკვლევე მასალის შერჩევისას დაცულია რეპრეზენტაციულობა და ხელმისაწვდომობა, ხოლო ანალიზისას – ვალიდურობა და გადამოწმებადობა. გამოყენებულია კვლევის ტრადიციული და თანამედროვე (კორპუსული კვლევა) მეთოდები. ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის ძირითადი დასკვნები.

აფხაზური და აბაზური, ფონემების დისტრიბუციის მხრივ, ავლენს როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ შედეგებს. ორივე ენაში, გავრცელების თვალსაზრისით, პირველ ათეულს მეტწილად ქმნის აფიქსების ფუნქციის მქონე ან აფიქსში შემავალი ფონემები, ანლაუტსა და ინლაუტში ისინი ძირითადად კლასოვან-პიროვანი პრეფიქსებია, აუსლაუტში კი – დიდწილად ფინიტურ-ინფინიტურ ფორმათა დრო-კილოს სუფიქსები.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურსა და აბაზურში ფონემების რაოდენობა განსხვავებულია, ორივე ენაში ანლაუტის პოზიციაში პირველ და მეორე ადგილზეა ა და **ჲ** კი – მეშვიდეზე; აუსლაუტში აფხაზურსა და აბაზურშიც ყველაზე ხშირად რეალიზებულია ა ხმოვანი.

აფხაზურსა და აბაზურში ფონემები მაღალი დისტრიბუციით გამოირჩევა ინლაუტსა და აუსლაუტში, ანლაუტში მათი გამოვლენა ნაკლებია, ფრიკატივები, პირიქით, აუსლაუტზე ხშირად ანლაუტში გვხვდება.

აფხაზურში ყველა ფონემა რეალიზდება სამივე პოზიციაში, აბაზურში ასეა მხოლოდ ინლაუტში. აბაზურის ანლაუტში საერთოდ არ გვხვდება 13 ფონემა (**ჯ**, **ჭ**, **პ**, **ქ**, **კ**, **კ'**, **ყ**, **ღ**, **ღ'**, **ღ**, **ღ'**), ხოლო აუსლაუტში – 17 (**ჭ**, **ჩ**, **ჭ**, **წ**, **ჯ**, **ღ**, **ღ**, **ჭ**, **ყ**, **ც**, **გ**, **ღ'**, **ჰ**, **ძ**, **კ**, **ქ**, **ქ'**).

აფხაზურისა და აბაზურის ანლაუტსა და აუსლაუტში მხოლოდ 15 ფონემაა ყველაზე გავრცელებული, სხვები 1%-ზე ნაკლები სიხშირით ხასიათდება, ინლაუტში 45 ფონემას აქვს გავრცელების 1%-ზე მაღალი მაჩვენებელი.

აფხაზურში 2000 ძირეული მორფემა 48 სტრუქტურული მოდელითაა წარმოდგენილი, აბაზურის 1276 ძირი კი – 35-ით. ნაშრომში ისინი დაყოფილია უმარცვლო, ერთ-, ორ-, სამ- და ოთხმარცვლიან ძირებად. ორივე ენაში ერთ- და ორმარცვლიანი ძირები პირველ-მეორე ადგილზეა, უმარცვლოები და სამმარცვლიანები – მესამე-მეოთხეზე, ოთხმარცვლიანი ძირები ყველაზე იშვიათია.

უმარცვლო ძირები აფხაზურსა და აბაზურში C, CC და CCC მოდელებით რეალიზდება. ისინი აფხაზურში ამგვარივე სიხშირული თანმიმდევრობითაა, აბაზურში კი CC აღემატება C-ს.

აფხაზურისა და აბაზურის ერთმარცვლიანი ძირეული მორფემებიც მსგავსი სტრუქტურებით ვლინდება, მხოლოდ VCC სტრუქტურის ძირები არ დადასტურდა აბაზურში.

ორივე ენაში CVC სტრუქტურაში ანლაუტის პოზიციაში ფონემის გამოვლენის სიხშირე უკუპროპორციულია მისი გამოვლენის სიხშირისა აუსლაუტში.

აფხაზურში 17 მოდელად წარმოდგენილია 810 ორმარცვლიანი ძირი, ხოლო აბაზურში 14 მოდელის სახითაა 519 ძირეული მორფემა. ორივე ენაში ორმარცვლიან ძირებში ყველაზე გავრცელებულია CVCV მოდელი, რომლის მცირე ნაწილი რედუპლიკაციის გზითაა მიღებული.

აფხაზურის 63 სამმარცვლიანი ძირი 14, ხოლო აბაზურის 20 ძირი გვხვდება 5 მოდელის სახით. ორივე ენაში პირველ სამეულს ქმნის CVCVCV, CVCCVCV და CVCVCVC სტრუქტურები.

აფხაზურში სამი და აბაზურში შვიდი ოთხმარცვლიანი ძირი ორი სტრუქტურის სახით რეალიზდება, ორივეგან უპირატესია CVCVCVCV მოდელი.

აფხაზურ-აბაზურში პრეფიქსების, პრევერბებისა და სუფიქსების სახით გამოვლენილი აფიქსური მორფემები სინქრონია-დიაქრონიის გასამიჯნად დაიყო არასეგმენტირებად და სეგმენტირებად ერთეულებად. ორივე ენაში არასეგმენტირებადი მორფემები სეგმენტირებადს აღემატება და მარტივი აგებულებითაც გამოირჩევა.

აფხაზურში 346 აფიქსური მორფემა გამოვლინდა, აბაზურში 67 აფიქსით მეტი –

413. ამ სხვაობის მიზეზი აბაზურში ალომორფების პარალელური გამოყენება ჩანს. ორივე ენაში სუფიქსები სჭარბობს პრეფიქსებსა და პრევერბებს, პრეფიქსები ყველაზე ცოტა რაოდენობით რეალიზდება.

აფხაზური და აბაზური არასეგმენტირებადი აფიქსები ერთმარცვლიანია, იშვიათად ორმარცვლიანიც, აფხაზურში სამმარცვლიანი სეგმენტირებადი პრეფიქსები და სუფიქსებიც რეალიზდება, აბაზურში კი ოდენ პრევერბებსა და სუფიქსებს ურევია სამმარცვლიანი აფიქსები.

აფხაზურსა და აბაზურში გამოვლენილი აფიქსები მეტწილად იდენტური სტრუქტურისაა. ამოსავალი ვითარების დაცვის გამო, სხვაობას აჩვენებს აბაზურში VV მიმდევრობის უქონლობა.

ძირეული მორფემის მსგავსად, აფიქსურშიც უპირატესია ა და გ ხმოვნები, თუმცა აფხაზურში აბაზურზე მეტად გავრცელებულია გ, აბაზურში ამოსავალი ა ხმოვნიანი ვარიანტების შენარჩუნების გამო. სხვა ხმოვნები ძირითადად სუფიქსებში იჩენს თავს, თუმცა თითოეული მათგანი ერთ ათეულს არ აჭარბებს, ე ხმოვანი კი საერთოდ არ გვხვდება აბაზურში.

ორივე ენის ძირეული და აფიქსური მორფემების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათთვის ამოსავლად ნავარუდევი CV მოდელი საკმაოდ ხშირი გავრცელებისაა, მაგრამ მის გვერდით არა მარტო არსებობს სხვა სტრუქტურის ძირები და აფიქსები, არამედ ძირებში სხვა მოდელები ბევრად აღემატება CV-ს. სამივე ტიპის აფიქსში უპირატესობით სარგებლობს C და CV მოდელი, პრევერბებში – CCV სტრუქტურაც. აფხაზურ-აბაზურში CVC, CCV, CVCC, CCVC და CVCV მოდელების რეკონსტრუქციას მხარს უჭერს ამ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები.

აფხაზური ენის ძირეულ მორფემაში ოდენ ორწევრა ხმოვანკომპლექსები რეალიზდება, მათი რაოდენობა მორფემათა მიჯნაზე იკლებს, აბაზურის ძირეულ მორფემაში ხმოვანკომპლექსები საერთოდ არ არის, მორფემათა ზღვარზე კი ოთხი ხმოვანმიმდევრობა დადასტურდა.

ორივე ენაში თითქმის თანაბარი ოდენობის აღმავალი და დამავალი დიფთონგები გამოვლინდა. მათში აღმავალ დიფთონგებს მეტწილად ქმნის **ჲ**, დამავალს – **ჳ**. აღმავალი და დამავალი დიფთონგები ორივე ენის მორფემათა ზღვარზეც რეალიზდება.

ძირეულ მორფემაშიც და მიჯნაზეც ტრიფთონგების რაოდენობით აბაზური

სჭარბობს აფხაზურს, რაც აბაზურში ამოსავალი ვითარების დაცულობის შედეგი ჩანს.

აფხაზურისა და აბაზურის ძირეულ მორფემაში ორწევრა კომპლექსები სამივე პოზიციაში დასტურდება, მაგრამ მათი უმეტესობა ანლაუტში იყრის თავს. აფხაზურში სულ გამოვლინდა 388, აბაზურში – 303 ორწევრა კომპლექსი.

კომპლექსთა რაოდენობა იმატებს მორფემათა ზღვარზე – მათი რიცხვი აფხაზურში 654 ერთეულს აღწევს, აბაზურში – 483-ს.

ორივე ენაში ძირშიც და მორფემათა მიჯნაზეც რეალიზებულია A და B სისტემა, თუმცა ეს უკანასკნელი A სისტემაზე სრულადაა წარმოდგენილი. ორივეგან გამოყოფილია A და B სისტემის ქვეკლასებიც. აფხაზურსა და აბაზურშიც არამარკირებულია A და B სისტემისა და ქვესისტემის წევრთა შებრუნებული კომბინაციები.

აფხაზურსა და აბაზურშიც დეცესიური კომპლექსები აღემატება აქცესიურებს.

ორივე ენაში ერთი მორფემის ფარგლებში შეთავსებადია ჰომოგენური თანხმოვნები მჟღერობა-სიყრუის შესაბამისად, თუმცა აკრძალულია ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმოვანთა კომბინაციები მჟღერობა-სიყრუის მიხედვით, ასევე ერთი და იმავე ლოკალური რიგის ხშულისა და ფრიკატივების შეერთება. მორფემათა მიჯნაზე ხშირია ამ წესების დარღვევები.

აფხაზურისა და აბაზურის ძირეულ მორფემაში სამწევრა კომპლექსები ცოტაა, ისიც მხოლოდ ანლაუტსა და აუსლაუტში. მათი რიცხვი საკმაოდ იზრდება მორფემათა ზღვარზე – აფხაზურში დადასტურებულია 440, აბაზურში – 308 სამწევრა თანხმოვანკომპლექსი.

ძირეული მორფემის სამწევრა კომპლექსების პირველი-მეორე ან მეორე-მესამე წევრი ორივე ენისთვის ბუნებრივი, დეცესიური მიმდევრობების შემქმნელია, მესამე ან პირველ წევრად კი დიდწილად გამოვლენილია სონორი, განსაკუთრებით აფხაზურში. სამწევრა კომპლექსები ასეა შედგენილი მორფემათა ზღვარზეც, თუმცა ეს წესები ხშირად ირღვევა.

აფხაზურსა და აბაზურში მორფემათა მიჯნაზე ვლინდება სამზე მეტწევრა ბგერათკომპლექსებიც: აფხაზურში – 72 ოთხწევრა და 8 ხუთწევრა, აბაზურში – 67 ოთხწევრა, 7 ხუთწევრა და ერთი ექვსწევრა კომპლექსი.

ძირეულ მორფემაში ორივე ენაში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანკომპლექსი

სამწევრაა, მორფემათა მიჯნაზე აფხაზურში – ხუთწევრა, აბაზურში კი – ექვსწევრა. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ცალსახად მიღებული აზრი „ორი თანხმოვნის კანონის“ არსებობის შესახებ პრაქტიკულად არ მუშაობს.

აფხაზურსა და აბაზურს თითქოს აქვს მიდრეკილება მარცვლიანობის შემცირებისა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ორმარცვლიან სიტყვაში ხმოვანი რედუცირდება, ოთხმარცვლიანში კი ნარჩუნდება.

ძირეულ მასალაში მომხდარ ფონეტიკურ პროცესებში შენიშნულ იქნა ცალკეული სიახლეები: რედუქციის შედეგად იცვლება ძირთა და აფიქსთა სტრუქტურა, აფხაზურში ხდება დისტანციური გლოტალიზაცია, კონტაქტური ასიმილაციური გამკვეთრება და დისტანციური დისიმილაციური გამკვეთრება; აბაზურში გამოვლინდა ს > ც აფრიკატიზაცია, ლაბიალიზებული თანხმოვნის წინ ა > ო გარდაქმნა და ამ თანხმოვნის დელაბიალიზაცია.

ორივე ენაში დადასტურდა აქამდე შეუმჩნეველი დეზაფრიკატიზაცია, აფხაზურში აფრიკატის მიერ როგორც ოკლუზიური, ისე სპირანტული ელემენტის დაკარგვითაც, რაც ნასესხებ ლექსიკაშიც იჩენს თავს.

აფხაზურში გამოვლინდა ში – სს ბგერათგადაწევაც: აფხ. ა-წამსა < ა-წაშა „მაჟალო“.

ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა ასიმილაციის, დისიმილაციის, გლოტალიზაციის, დელაბიალიზაციის, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციის, მეტათეზისის, ბგერის განვითარების, სუბსტიტუციის, ბგერათკომპლექსის სუპერაციისა და ბგერათგადაწევის შემთხვევები, თუმცა ძირითადია რედუქციის ან ხმოვნის წინამავალ თანხმოვანთან კოარტიკულირებულ ელემენტად შერწყმის გზით სიტყვათა სესხებისას მეტწილად ორწევრა, ხანდახან მეტწევრა ბგერათკომპლექსების შექმნა.

ორივე ენაში უცვლელადაც ნარჩუნდება გამსესხებელი ენის ბგერათკომპლექსი, ცალკეულ შემთხვევებში ხდება მისი სუპერაცია.

სამომავლოდ საშურია მიღებული შედეგების დეტალური შედარება მონათესავე ენათა სათანადო მონაცემებთან და მათი ტიპოლოგიური განზოგადება; აფხაზურ-აბაზურში „ორი თანხმოვნის კანონისა“ და მარცვლიანობის შემცირება-შენარჩუნების საკითხების ექსპერიმენტული შესწავლა.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ახვლედიანი, გიორგი. 1949. *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბუკია, მანანა. 2013. *ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი: მერიდიანი.
3. გვანცელაძე, თეიმურაზ. 2011. *აფხაზური ენა (სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება)*. თბილისი: უნივერსალი.
4. გვანცელაძე, თეიმურაზ, თინათინ კიპაროძე და ჯულიეტა ციმინტია. 2003. ქართველური სუბსტრატის როლის შესახებ აფხაზურ ენაში „ორი თანხმოვნის კანონის“ დარღვევის წარმოქმნაში. *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები*, 14-15. თბილისი: უნივერსალი.
5. გვანცელაძე, თეიმურაზ. 2003. *აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელათვის*. I. თბილისი: ქართული ენა.
6. გვანცელაძე, თეიმურაზ და სოფიკო ჭაავა. 2021. *აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი)*. თბილისი: სამშობლო.
7. კაკავა, ხატია. 2006. „ორი ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი კომპლექსები აფხაზურში“. *საენათმეცნიერო ძიებანი XXIII*: 137-145. თბილისი: ქართული ენა.
8. კაკავა, ხატია. 2006ა. „ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში“. *საენათმეცნიერო ძიებანი XXIV*: 115-123. თბილისი: ქართული ენა.
9. კაკავა, ხატია. 2008. „ხმოვნის რედუქცია როგორც თანხმოვანთშეჯრის წარმოქმნის ერთ-ერთი პირობა აფხაზურში“. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები V*. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, 66-69. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. კაკავა, ხატია. 2009. „ინტერნაციონალიზმების ფონეტიკური ადაპტაციის თავისებურებანი აფხაზურში“. *ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები I*: 103-110. თბილისი: უნივერსალი.

11. კაკავა, ხატია. 2012. *თანხმოვანთკომპლექსები აფხაზურ ენაში*. დის., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
12. ლომთათიძე, ქეთევან. 1940. რედუპლიკაციის ფუნქციები აფხაზურში. *ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე* 5-6: 115-135. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
13. ლომთათიძე, ქეთევან. 1944. *აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი* (ტექსტებიტურთ). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
14. ლომთათიძე, ქეთევან. 1954. *აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორი* (ტექსტებიტურთ). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
15. ლომთათიძე, ქეთევან. 1976. *აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი*, I. *ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები*. თბილისი: მეცნიერება.
16. ლომთათიძე, ქეთევან. 1982. *ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში*. თბილისი: მეცნიერება.
17. ლომთათიძე, ქეთევან. 2006. *აბაზური ენა*. თბილისი: უნივერსალი.
18. მაჭავარიანი, გივი. 1965. *საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. მაჭავარიანი, ნანა. 2017. *აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები (აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით), ტექსტებითა და ლექსიკონით*. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
20. მაჭავარიანი, ნანა. 2020. *აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები გრამატიკული მიმოხილვითურთ*. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
21. ფონიავა, ნათია. 2010. *ფონემათა დისტრიბუცია აფხაზურ ზმნურ ფუძეებში*. სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
22. ფონიავა, ნათია. 2010ა. აფხაზური ენის CVC ტიპის ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის. *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები*, 43-44. თბილისი: უნივერსალი.

23. ფონიავა, ნათია. 2011. CVCV და CVCVC სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის. *აკად. ქ. ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლინგვისტ-კავკასიოლოგთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*, 154-156. თბილისი.
24. ფონიავა, ნათია. 2011ა. თანხმომავანკომპლექსები აფხაზური ენის ერთმარცვლიან ზმნურ ძირებში. *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXII*, 68-70. თბილისი: უნივერსალი.
25. ფონიავა, ნათია. 2012. ფონემათა დისტრიბუცია CV და CVCV სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირებში. *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესიის მასალები*, 35-36. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
26. ფონიავა, ნათია. 2012ა. CVC ტიპის აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური სტრუქტურის ანალიზი. *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXIII*, 74-75. თბილისი: მერიდიანი.
27. ფონიავა, ნათია. 2012ბ. CVC სტრუქტურის ზმნური ძირები აფხაზურ-აფხაზურ ენებში. *ჰუმანიტარული კვლევების წელიწდეული III*: 125-142. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
28. ფონიავა, ნათია. 2013. აფხაზურ ზმნურ ძირთა თანხმომავანკომპლექსები. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XLI*: 197-208. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
29. ფონიავა, ნათია. 2015. ბგერათმეცნიერების წესები და აფხაზურ-აფხაზურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურა. *ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი: იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები*, 70-72. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
30. ფონიავა, ნათია. 2019. აფხაზურ-აფხაზურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა ამოსავალი სტრუქტურა. *ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V – ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის საკითხები*, 73-74. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
31. ფონიავა, ნათია. 2020. ფრიკატივ ფონემათა დისტრიბუცია აფხაზურში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით). *რეგენზირებადი ბილინგვური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“* 14 (ქართულ ენაზე).

- თბილისი. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/250> (18.06.2023). Poniava, Natia. 2020. Distribution of Fricative Phonemes in Abkhaz (According to the Abkhaz National Corpus). *Electronic Bilingual Scholarly Peer-Reviewed Journal 'Spekali'* 14 (in English). Tbilisi. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/14/250/> (accessed on 18.06.2023).
32. ფონიავა, ნათია. 2021. აფხაზური ენის ხშულ ფონემათა დისტრიბუცია ანლაუტში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით). *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXII*, 39-41. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
33. ფონიავა, ნათია. 2025. აფხაზურ ხშულ ფონემათა დისტრიბუცია (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით). *რეცენზირებადი ბილინგვური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“* (ქართულ ენაზე). თბილისი (მიღებულია გამოსაქვეყნებლად). Poniava, Natia. Distribution of Abkhaz plosive phonemes (According to the Abkhaz National Corpus). *Electronic bilingual scholarly peer-reviewed Journal 'Spekali'* (in English). Tbilisi (Accepted for publication).
34. ქურდიანი, მიხეილ. 2007. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
35. ჩუხუა, მერაბ. 2009. *ინგუშური ენა*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
36. შენგელია, ვაჟა. 2006. *ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი*. თბილისი: ქართული ენა.
37. ჩიქობავა, არნოლდ. 1979. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
38. ციკოლია, მირიან. 1969. *აფხაზური ენის აბჟურდი დიალექტი*. თბილისი: მეცნიერება.
39. Allen, William Sidney. 1956. Structure and System in the Abaza Verbal Complex. *Transactions of the Philological Society* 55 (1): 127-176. Wiley (Blackwell Publishing).
40. Bork, Ferdinand. 1909. *Beiträge zur Sprachwissenschaft* III. Königsberg: Leupold.
41. Bouda, Karl. 1940. Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart. *ZDMG*, BD. 94, H 2: 234-250. Berlin-Leipzig.
42. Butskhrikidze, Marika. 2002. *The Consonant Phonotactics of Georgian*. Leiden: LOT.

43. Catford, John. 1977. Mountain of Tongues: The Languages of the Caucasus. *Annual Review of Anthropology* 6, 283-314.
44. Chirikba, Viacheslav. 1996. *Common West Caucasian: The Reconstruction of Its Phonological System and Parts of Its Lexicon and Morphology*. Leiden: CNWS Publications.
45. Colarusso, John. 1988. *The Northwest Caucasian Languages: A Phonological Survey*. London: Garland Publishing.
46. Deeters, Gerhard. 1931. Der abchasische Sprachbau. *Nachrichten von der Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-Historische Klasse* 3: 289-303. Göttingen.
47. Hewitt, George. 1979. *Lingua Descriptive Studies 2: Abkhaz*. In collaboration with Z.K. Khiba. Amsterdam: North Holland Publishing Company.
48. Hewitt, George. 2010. *Abkhaz: A Comprehensive Self-Tutor*. Muenchen: Lincom Europa.
49. Kuipers, Aert. 1955. The North-West Caucasian Languages. *Analecta Slavica* I: 193-206. Amsterdam.
50. Larsson, Filip. 2024. *Nominal and Verbal Affixation in the Caucasus: A Morphological and Phonological Approach*. Doctoral Thesis (monograph), Centre for Languages and Literature, Lund University.
51. Matsumura, Kazuto, ed. 2002. *Indigenous Minority Languages of Russia: A Bibliographical Guide* (ELPR Publications Series B004). Tokio: Nakanishi Printing Co.
52. O'Herin, Brian. 2020. Abaza and Abkhaz. In *The Oxford Handbook of Languages of the Caucasus*, edited by M. Polinsky. Oxford: Oxford University Press.
53. Poniava, Natia. 2014. On the Phonemic Structure of Abkhaz Affixes. *Тезисы докладов IV Международной научной конференции «Кавказские языки: генетикоареальные связи и типологические общности*, 144-145. Махачкала: ИЯЛИ ДНЦ РАН.
54. Poniava, Natia. 2014a. Phonemic Structure of Abkhaz-Abaza Affixal Morphemes (I. Abkhaz Morphemes). *Caucasiologic Papers* 6: 220-243. Tbilisi: TSU Press.
55. Poniava, Natia. 2021. Distribution of Vowels in Abkhaz (Based on the Abkhaz

- National Corpus). *Caucasica Antiqua et Christiana* (In memory of Jan Braun) I: 87-90. Warsaw: Faculty of Oriental Studies University of Warsaw.
56. Spruit, Arie. 1986. *Abkhaz Studies*. Leiden: University of Leiden.
57. Аршба, Нелли. 1979. *Динамическое ударение и редукция гласных в абхазском языке*. Тбилиси: Мецниереба.
58. Бгажба, Хухут. 1964. *Бзыбский диалект абхазского языка*. Тбилиси: Академия наук Грузинской ССР.
59. Генко, Анатолий. 1955. *Абазинский язык: Грамматический очерк наречия Тапанта*. Москва: Академия наук СССР.
60. Килба, Эмма. 1983. *Особенности речи батумских абхазов*. Тбилиси: Мецниереба.
61. Килба, Эмма. 2012. К проблеме реконструкции исторического садзского диалекта абхазского языка. *Джигетский сборник. Вып. 1. Вопросы этнокультурной истории Западной Абхазии или Джигетии*. 106-113. Москва: АКВА-Абаза. http://apsnyteka.org/1218-kilba_statji.html (accessed on 18.06.2023).
62. Клычев, Рауф. 1972. *Глагольные суффиксы направления в абазинском и абхазском языках*. Черкесск: Ставропольское книжное издательство.
63. Клычев, Рауф. 1994. Локально-превербное образование глаголов абазинского языка. Черкесск: Аджьпа.
64. Марр, Николай. 1912. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. Санкт-Петербург: Императорская академия наук.
65. Рogaва, Георгий. В. 1985. К вопросу о взаимоотношении между сложной системой консонантизма и простой системой вокализма в абхазско-адыгских языках. *Ежегодник иберийско-кавказского языкознания* 12: 182-186. Тбилиси: Мецниереба.
66. Табулова, Нурья. 1976. *Грамматика абазинского языка: Фонетика и морфология*. Черкесск: Карачаево-Черкесское отделение Ставропольского книжного издательства.
67. Трубецкой, Николай. 1960. *Основы фонологии*. Москва: Издательство иностранной литературы.
68. Услар, Пётр. 1862. *Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык*. Санкт-

ლექსიკონები/წყაროები

1. ბერიძე, მარინა და სხვები. 2018. *ქართული-აფხაზური-ინგლისური სიხშირული ლექსიკონი*. Wojnowice: KEW.
2. გაგუა, რუსუდან და სხვები. 1983. *რუსულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. გვანცელაძე, თეიმურაზ. 2000. *მცირე აფხაზურ-ქართულ ლექსიკონი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. გვანცელაძე, თეიმურაზ. 2012. *აფხაზურ-ქართულ ლექსიკონი*. თბილისი: ინტელექტი.
5. გვანცელაძე, თეიმურაზ. 2012ა. *ქართულ-აფხაზური ლექსიკონი*. თბილისი: ინტელექტი.
6. მაჭავარიანი, ნანა. 2018. *აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით*. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
7. რომანოვი, ვლადიმერ. 2013. *აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი. აფხაზური ლექსიკონი*. გამოსაცემად მოამზადა თ. გვანცელაძემ. თბილისი: ნეკერი.
8. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. <http://ena.ge/explanatory-online> (05.02.2025).
9. ქაჯაია, ოთარ. 2001. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. I. თბილისი: ნეკერი.
10. ქაჯაია, ოთარ. 2002. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. II. თბილისი: ნეკერი.
11. ქაჯაია, ოთარ. 2002ა. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. III. თბილისი: ნეკერი.
12. ქაჯაია, ოთარ. 2009. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. IV. თბილისი: ინოვაცია.
13. ქობალია, ალიო. 2010. *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი: არტანუჯი.
14. ჯანაშია, ბაგრატ. 1954. *აფხაზურ-ქართულ ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
15. Chirikba, Viacheslav. 1996. *A Dictionary of Common Abkhaz*. Leiden.
16. *English-Adyghe dictionary*. <https://glosbe.com/en/ady/dress> (05.07.2023).
17. Panova, Anastasia and others. *Spoken corpus of Abaza*. Moscow: School of Linguistics, HSE University; Linguistic Convergence Laboratory, HSE University. (Available

- online at: https://lingconlab.ru/spoken_abaza/ (accessed on 07.02.2025).
18. *The Abkhaz National Corpus*. <https://clarino.uib.no/abnc/page> (accessed on 07.02.2025.)
 19. Türk dil kurumu. 2023. *Güncel Türkçe sözlük*. <https://sozluk.gov.tr/> (accessed on 06.02.2025).
 20. UNESCO. 2010. Abaza. *The world atlas of languages*. <https://en.wal.unesco.org/languages/abaza> (accessed on 20.04.2023).
 21. UNESCO. 2010a. Abkhaz. *The world atlas of languages*. <https://en.wal.unesco.org/search?keys=Abkhaz> (accessed on 20.04.2023).
 22. Бгажба, Хухут, ред. 1964а. *Русско-абхазский словарь*. Сухуми: Алашара.
 23. Генко, Анатолий. 1998. *Абхазско-Русский словарь*. Издательство. Сухум: Алашара.
 24. Касландзия, Владимир. 2005. *Абхазско-русский словарь I*. А-Н. Сухум: ОЛМА-ПРЕСС.
